

მართლმსაჯულება **4**'12
კანონი

Justice and Law Legal Journal
#4(35)'12

N4(35)^{'12}

მართლმსაჯულება



კანონი

რედაქტორი

ნინო ძიციგური

რედაქტორის თანაშემწე

ირმა ბეჟაური

ნომერზე მუშაობდნენ:

ინგა ალავიძე

ლეილა კოშკაძე

მაია ჩოჩუა

დიზაინი:

ბესიკ დანელია

ფოტოზურუნველყოფა:

დავით ხიზანიშვილი

სარედაქციო საბჭო:

დინა ბერეკაშვილი

თამარ ჯამბახიძე

ინგა კვაჩანტირაძე

კონსტანტინე კუბლაშვილი

ზაზა მემიშვილი

ვალერი ცერცვაძე

Editorial Board:

DIANA BEREKASHVILI

TAMAR ZAMBAKHIDZE

INGA KVACHANTIRADZE

KONSTANTINE KUBLASHVILI

ZAZA MEISHVILI

VALERI TSERTSVADZE

Editor:

NINO DZIDZIGURI

Assistant to Editor:

IRMA BEKAURI

The issue was prepared by:

INGA ALAVIDZE

LEILA KOSHKADZE

MAIA CHOCHUA

Designed by

BESIK DANELIA

Photo support by

DAVIT KHIZANISHVILI

*English version of articles has been provided by Candidates
of Law faculty of Tbilisi State University*



საპარტვილოს მოსამართლეთა
ასოციაცია
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA



აკრძალულია აქ გამოქვეყნებული მასალების
გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, საქართველოს
მოსამართლეთა ასოციაციისა და საქართველოს
უზენაესი სასამართლოს წერილობითი
ნებართვისა და წყაროს მითითების გარეშე.

უპკ (UDC) 340.11+340.130.5

მ-306

ISSN 1512-259X

5

კონსტანტინე კუბლაშვილი: „რეფორმა არ არის ერთჯერადი, სრულყოფილი შედეგის მისაღწევად წლებია საჭირო“

KONSTANTINE KUBLASHVILI: “REFORM IS NOT A SINGLE ACT, IT TAKES YEARS TO REACH ALL SET GOALS”

16

ჯონი ხეტურიანი

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლი

CONSTITUTIONAL COURT CONTROL OVER
THE INTERNATIONAL AGREEMENTS OF GEORGIA
JONI KHETSURIANI

37

სიმონ ჩხაიძე

დაუსრულებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო პროცესში – ძირითადი პრობლემები, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

DECISION IN ABSENCIA IN CIVIL PROCEEDINGS – MAJOR PROBLEMS
ANALYZES OF COURT PRACTICE
SIMON CHKHAIDZE

50

ირაკლი ბურდული

ერთგულების მოვალეობა, როგორც უმრავლესობისა და უმცირესობის ქმედების მასშტაბი საკორპორაციო სამართალში

COMMITMENT OBLIGATION – SCALE OF ACTION OF THE MAJORITY AND
THE MINORITY WITHIN CORPORATE LAW
IRAKLI BURDULI

71

ქეთევან ქაშაშიძე

ეკოლოგიური კატასტროფების შედეგად იძულებით გადაადგილებული პირები – ეკომიგრანტები

ECOMIGRANTS – INTERNALLY DISPLACED PERSONS AS A RESULT OF
ECOLOGICAL DISASTERS
KETEVAN KAMASHIDZE

81

გოგა კიკილაშვილი

არარა აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება

REIMBURSEMENT OF THE DAMAGE INCURRED AS A RESULT OF THE
FULFILLMENT OF THE ANNULLED ADMINISTRATIVE ACTS -LEGAL ACT
GOGA KIKILASHVILI

92

ლაშა გელანტია

საქართველოს კონსტიტუციურ სივრცეში აფხაზეთის
ბანსაკუთრებული სტატუსის შესახებ

SPECIAL STATUS OF ABKHAZIA IN THE GEORGIAN CONSTITUTIONAL SPACE
LASHA GELANTIA

105

თეა სუხიტაშვილი

თეორიები სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძვლების შესახებ

THEORIES ON THE GROUNDS OF CIVIL LIABILITY
TEA SUKHITASHVILI

117

ნინო კიკნაძე

იპოთეკა, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება და
იპოთეკის საგნის რეალიზაციის წესი

MORTGAGE – MEANS OF DEMAND GUARANTEE AND RULE OF MORTGAGED
SUBJECT REALIZATION
NINO KIKNADZE

131

შოთა დეისაძე

პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის წარმოშობის ისტორია
საქართველოსა და უცხოურ სახელმწიფოებში

HISTORY OF THE ORIGINS OF THE PRIME-MINISTER INSTITUTION IN
GEORGIA AND OTHER STATES
SHOTA DEISADZE

„რეფორმა არ არის ერთჯერადი, სრულყოფილი შედეგის მისაღწევად წლებია საჭირო“

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუზლაშვილი მიიჩნევს, რომ 2012 წელიც, ბოლო შვიდი წლის მსგავსად, სასამართლო სისტემის რეფორმირებით იყო გამორჩეული. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე აცხადებს, რომ 2005 წელს დაწყებული სასამართლო რეფორმის უმთავრესი ნაწილი წარმატებით დასრულდა.

■ ბატონო კოტე, როგორ შეაფასებდით 2012 წელს? რით იყო მნიშვნელოვანი ეს წელი სასამართლო სისტემისთვის?

2005 წლის შემდეგ, რაც სასამართლო რეფორმა დაიწყო, ჩვენთვის ყველა წელი გამორჩეული და მნიშვნელოვანი იყო. 2012 წლის გაზაფხულზე შვიდი წელი გახდა რეფორმის დაწყებიდან. ამ ხნის მანძილზე უზარმაზარი სამუშაოები ჩავატარეთ და თამამად შემიძლია თქმა, სასამართლო სისტემა, რომელიც არ არსებობდა თავიდან შევქმენით. გაიხსენეთ, რა ხდებოდა სასამართლოში 2000-2005 წლებში და მანამდე, და შეადარეთ დღევანდელ სიტუაციას. ამჟამინდელი მდგომარეობა რადიკალურად განსხვავებულია. ყველაზე კრიტიკულად განწყობილი ადამიანიც კი, ვერ უარყოფს იმ შედეგს, რასაც შვიდი წლის თავზე მივალწიეთ. თავისუფლად შეიძლება თქმა, რომ საქართველოში ევროპულ სტანდარტებზე აწყობილი სასამართლო შევქმენით.

რაც შეეხება კონკრეტულად, 2012 წელს, სასამართლო სისტემის სტრუქტურულ რეორგანიზაციას, წელს მთლიანად დავამთავრებთ. რამდენიმე დღეში დასრულდება სასამართლოების გამსხვილების პროცესი და გვექნება 24 გაერთიანებული სასამართლო, რომლის შემადგენლობაშიც იქნება 40-ზე მეტი მაგისტრატი სასამართლო.

გარდა ამისა, წელსაც მიმდინარეობდა სასამართლო სისტემის ელექტრონულ წარმოებაში ჩართვის პროცესი და სასამართლოების დიდი ნაწილი საქმისწარმოებას უკვე ელექტრონულად აწარმოებს.

საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამა 4 წლის განმავლობაში მზადდებოდა. ახალი სისტემით მუშაობა 2011 წელს, საქართველოს 14 დიდ სასამართლოში დავიწყეთ და წელს ელექტრონული პროგრამის სისტემაში სასამართლოების დიდი ნაწილი ჩაერთო. პროცესი 2013 წელს, სრულად დასრულდება. ეს ძალიან დიდი პროექტია და ამერიკულ მხარესთან ერთად ვმუშაობდით. პროგრამა მართლმსაჯულებისათვის მნიშვნელოვანია, რადგან ის ძალზე ამარტივებს და დააჩქარებს საქმის წარმოების პროცესს, უფრო მეტად გამჭვირვალეს და გახსნილს გახდის სასამართლო სისტემას, მომხმარებლებს მეტად გაუადვილებათ ურთიერთობა სასამართლოსთან. ამ პროგრამის მეშვეობით ოპერატიულად იქნება შესაძლებელი ნებისმიერი საქმის თაობაზე ინფორმაციის მიღება, სტატისტიკის მოპოვება.

2012 წელს კვლავ პრიორიტეტული იყო მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა. ამისთვის საკმაოდ სერიოზული სისტემა

შექმენით. გვაქვს მოსამართლეთა გადამზადების, დანიშნვისა და მომზადების საკმაოდ გამართული ახალი მოდელი, რომელთა შესახებაც უცხოელი ექსპერტები დადებით შეფასებებს გამოთქვამენ. აღიარებენ, რომ კანდიდატ და მოქმედ მოსამართლეთა გადამზადების სისტემა საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესოა. მოსამართლის კვალიფიკაცია ყოველდღიურად უნდა იზრდებოდეს, სხვანაირად ის ვერ იქნება პროფესიონალი. მოსამართლის გადამზადება იმდენად დასაბუთებული უნდა იყოს, რომ მას ნაკლი ვერავინ მოუძებნოს. როცა მოსამართლე პროფესიონალია, აქვს მაღალი კვალიფიკაცია, მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება უმაღლესი ხარისხის იქნება და პრეტენზიებიც უსაფუძვლო. ამიტომაც, წელსაც აქტიურად ვმუშაობდით ამ მიმართულებით.

ბატონო კოტე, ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გახშირდა სასამართლო სისტემის საქმიანობის კრიტიკა. უფრო ზუსტად, საუბარია, სასამართლოში დამოუკიდებლობის დეფიციტზე – სასამართლოს პოლიტიკური შეკვეთების შესრულებაში ადანაშაულებენ. რას იტყვით ამ ბრალდებაზე?

ჩემი აზრით, ეს პრეტენზია მთლიანად სისტემის მიმართ არ არის გამოთქმული, რადგანაც, სისტემა ძირითადად, ობიექტურად და დამოუკიდებლად მუშაობს. ბრალდებები გარკვეული კატეგორიის საქმეებიდან გამომდინარეობს. ამ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებზე პოლიტიკოსები მედიაში საუბრობენ და სრულიად დაუსაბუთებლად აცხადებენ, რომ ამა თუ იმ პირის დაპატიმრება პოლიტიკური ნიშნით მოხდა. აქვე ვიტყვი, რომ



სწორედ ამ განცხადებებს აქვს პოლიტიკური მოტივი, რაც გარკვეულ მიზანს ემსახურება.

იუსტიციის სამინისტროს მიერ ინიცირებულ ახალ კანონპროექტებზე რას გვეტყვი. გავრცელებული ინფორმაციით, სასამართლო ხელისუფლება ცვლილებების ერთ ნაწილს არ ეთანხმება.

ახალმა ხელისუფლებამ გადანყვიტა, რომ ცვლილებები შეიტანოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობისა და მისი დაკომპლექტების წესში და იუსტიციის სამინისტრომ ამის თაობაზე კანონპროექტიც მოამზადა. თუმცა, მინდა გითხრათ, რომ ჩვენ თავადაც ვაპირებდით რიგი ცვლილებების შეტანას ამ კანონებში. იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ კანონპროექტში არის საკითხები, რომლებსაც ვეთანხმებით,

მაგრამ კანონპროექტის რამდენიმე ნორმა წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციასთან.

მაგალითად, კანონპროექტის მიხედვით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი არ შეიძლება იყვნენ სასამართლოების, პალატებისა და კოლეგიების თავმჯდომარეები. გარდა იმისა, რომ ეს ნორმა კონსტიტუციას ეწინააღმდეგება, ასევე, სასამართლოების თავმჯდომარეების დისკრიმინაციაა. არ ვიზიარებთ კანონპროექტის კიდევ ერთ ნაწილს, რომლის მიხედვითაც, კანონში ცვლილებების ამოქმედებისთანავე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დღეს მოქმედ წევრებს უფლებამოსილება შეუნყდებათ. კანონპროექტი და ჩვენი მოსაზრებები ამ ხარვეზებთან დაკავშირებით გადავუგზავნეთ ვენეციის კომისიას. ვიდრე ვენეციის კომისიას საქმის კურსში ჩავაყენებდით, იუსტიციის სამინისტროს ჯგუფთან გვქონდა შეხვედრა და გავაცანით ჩვენი მოსაზრებები.

ბატონო კოტე, იუსტიციის ახლანდელმა მინისტრმა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თაობაზეც გამოთქვა პრეტენზია, მან დაინუნა მოდელი, რომელიც საქართველოში ამოქმედდა.

შესაძლოა ვინმეს არ მოსწონდეს გარკვეული დეტალები, რომელთა დახვეწაც შეიძლება, მაგრამ, ჩემი აზრით, საქართველოში მოქმედი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოდელი ნამდვილად არ იმსახურებს კრიტიკას. ეს ნიშნავს, რომ გააკრიტიკო ანგლო-ამერიკული მოდელი, ფაქტობრივად, რომლის ანალოგიცაა ქართული ინსტიტუტი. მსგავსი მოდელით საუკუნეებია ინგლისსა და ამერიკაში მოქმედებს ეს ინსტიტუტი და ძალზე დიდი წარმატებით.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ძირითადი პრინციპია, რომ მართლმსაჯულებას ახორციელებს ხალხი, საზოგადოება, რომელსაც გამოაქვს ვერდიქტი. ეს ინსტიტუტი დემოკრატიის მწვერვალადაა მიჩნეული და ძალიან კარგია, რომ საქართველოშიც ავამოქმედეთ.

შვიდწლიანი რეფორმის შემდეგ, შეიძლება თქმა, რომ საქართველოში სასამართლო სისტემა დამოუკიდებელია?

ალბათ გახსოვთ, რომ არც ერთ ჩემს ინტერვიუსა თუ განცხადებაში არასდროს მითქვამს, რომ ამ მხრივ, პრობლემა არ არსებობს; არასდროს არ მითქვამს, რომ სასამართლო სრულიად დამოუკიდებელია. ყოველთვის ვამბობდი, რომ სასამართლო რეფორმა არ არის ერთჯერადი აქტი და სრულყოფილი შედეგის მისაღწევად წლებია საჭირო.

როცა ვამბობ, რომ სასამართლო რეფორმის დიდი ნაწილი დასრულდა, იგულისხმება პრინციპული, ძირეული საკითხები. მაგალითად, სასამართლოსა და მოსამართლეების დამოუკიდებლობისათვის შეიქმნა მყარი პირობები, როგორც საკანონმდებლო ასევე, სხვადასხვა სტრუქტურული რეორგანიზაციის თვალსაზრისით და სხვა ის უამრავი პრობლემა მოგვარდა, რომელიც სასამართლოს გამართულ ფუნქციონირებას განაპირობებს.

მართლმსაჯულების სრული დამოუკიდებლობისათვის რაც დაგვრჩა გასაკეთებელი ესაა, მოსამართლეთა უვადო დანიშვნა და მოსამართლეთა კვალიფიკაციის კიდევ უფრო გაზრდა. უვადოდ დანიშნული მაღალი კვალიფიკაციის მოსამართლის მიმართ, რომლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებაც სრულყოფილად არის დასაბუთებული, უკვე ძნელია საუბარი მიკერძოებულობასა და დამოუკიდებლობის პრობლემაზე.

აქვე გკითხავთ, ბოლო პერიოდში სასამართლო აღმკვეთ ღონისძიებად ხშირ შემთხვევაში, არ იყენებს დაპატიმრებას, ბრალდებულებს გირაოს გადახდას უფარდებენ, რაც ადრე არ ხდებოდა. რითაა გამოწვეული ეს თვალშისაცემი ცვლილება? არსებული პრაქტიკა შეცვალა სასამართლომ თუ პროკურატურა გახდა უფრო ღმობიერი?

ვერ დაგეთანხმებით, რომ თითქოს ადრე აღმკვეთ ღონისძიებად უმეტეს შემთხვევაში, პატიმრობა გამოიყენებოდა, ეს ასე არ იყო. უბრალოდ, სტატისტიკას გეტყვით. ევროპულ ქვეყნებში აღმკვეთი ღონისძიების პატიმრო-

ბის გამოყენება 27 პროცენტს აღწევს. საქართველოში 2005 წელს პათიმრობის გამოყენება 60 პროცენტს აღწევდა, შარშან კი, ეს მაჩვენებელი 49 პროცენტი იყო, წელს კიდევ უფრო შემცირდა – 44 პროცენტია. ეს სტატისტიკა მეტყველებს იმაზე, რომ სასამართლო ბოლო წლებში უფრო მეტად აღმკვეთი ღონისძიების უფრო მსუბუქ ფორმას იყენებდა.

რაც შეეხება ბოლო პერიოდს, ზოგ შემთხვევაში, თავად პროკურატურა არ ითხოვს პათიმრობის შეფარდებას, რამდენჯერმე სასამართლომ არ გამოიყენა ეს სანქცია, რაც ნიშნავს, რომ მანამდე არსებული პრაქტიკა ახლაც გრძელდება, უბრალოდ, ადრე ეს ასე თვალნათელი არ იყო. ახლა სასამართლო ყურადღების ცენტრშია, გახმაურებულ საქმეებს და საზოგადოებისთვის ცნობილ პირებს ეხება საქმე და ამიტომაც, უფრო მეტად ჩანს სასამართლოში განვითარებული მოვლენები. როგორც გითხარით, აღმკვეთი ღონისძიების მსუბუქი სახის ხშირად გამოყენება სასამართლოსთვის ახალი პრაქტიკა ნამდვილად არ არის.

ბატონო კოტე, ცოტა ხნის წინათ სასამართლო სისტემაში მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილება განხორციელდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მიშა ფხაკაძე რუსთავის სასამართლოს თავმჯდომარედ დაინიშნა, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარედ კი, მამუკა ახვლედიანი – რუსთავის სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე. რატომ განხორციელდა ეს გადაადგილება?

ამ ცვლილებაში განსაკუთრებული არაფერია, მსგავსი საკადრო ცვლილება სხვა სასამართლოებშიც განხორციელდა და ამის მიზანი საკადრო გადახალისება იყო. მიშა ფხაკაძე კვალიფიციური პროფესიონალია, ის თბილისის საქალაქო სასამართლოში წლებია მუშაობს, ვიდრე სასამართლოს თავმჯდომარედ დაინიშნებოდა, კოლეგიის თავმჯდომარე იყო. იგივე შემძლია ვთქვა მამუკა ახვლედიანზეც, ის მაღალკვალიფიციური პროფესიონალია, წლების მანძილზე რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე იყო და წარმატებულად უძღვებოდა საქმიანობას. მივიჩნით, რომ ჯობდა გადახალისებულ იყო მათი სამუშაო პროცესი და ვფიქრობ, სწორადაც მოვიქეციით.

გეტყვით, რომ საერთოდ, საკადრო პოლიტიკისადმი დამოკიდებულებას ვცვლით, აქცენტს გადავიტანთ რაიონებზე. თბილისსა და მის შემოგარენში, რუსთავში, მარნეულში, გარდაბანში, მცხეთაში მოსამართლეები აღარ დაინიშნებიან. გარდა იმისა, რომ აღარ არსებობს ვაკანსია, გვინდა უფრო მეტად რაიონებში გაძლიერდეს სასამართლო. გადანყვებილი გვაქვს, რომ რაიონში რამდენიმეწლიანი საქმიანობის შემდეგ, მოსამართლე გადმოვიყვანოთ თბილისში და პირიქით, თბილისის სასამართლოს მოსამართლე რაიონში გადავიყვანოთ სამუშაოდ. როგორც გითხარით, ეს პროცესი უკვე დავიწყეთ და აქტიურად გაგრძელდება.

ბატონო კოტე, როგორ შეაფასებდით პარლამენტის ინიციატივას პოლიტპატიმრის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით?

ჩემს მიერ ამ პროცესის შეფასება არ იქნება სწორი, ამიტომაც, სამართლებრივი შეფასებისაგან თავს შევიკავებ. პარლამენტმა ალბათ ევროსტანდარტების საფუძველზე იმუშავა ამ საკითხთან დაკავშირებით. სტატუსის მინიჭება არაფერს იძლევა თუ მასთან შესაბამისობაში არ მოვიდა სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი.

როგორ ფიქრობთ, საქართველოში არიან პოლიტპატიმრები? ამ პირებისთვის გამოტანილი განაჩენი იძლევა ამ სტატუსის მინიჭების საშუალებას?

თამამად შემოძლია გითხრათ, რომ სასამართლოს მიერ გამოტანილი ყველა განაჩენი კანონიერია. არ არსებობს არც ერთი საქმე, რომელზეც სასამართლოს პოლიტიკური საფუძველით გამოეტანოს გადაწყვეტილება.

იმ ფონზე, როცა სასამართლო სისტემა კრიტიკის სერიოზული ობიექტია საინტერესოა, რას განიცდიან მოსამართლეები, რომლებიც ქმნიან ამ სისტემას, როგორია მათი განწყობა?

რამდენიმე დღის წინ მოსამართლეთა ასოციაციის კონფერენცია ჩატარდა, სადაც სხვადასხვა საკითხებთან ერთად, მოსამართლეთა მისამართით გამოთქმულ კრიტიკაზეც იყო საუბარი. მოსამართლეთა საერთო განწყობა დადებითია და თავიანთ საქმიანობას პასუხისმგებლობით აგრძელებენ. ისინი პროფესიონალები არიან, რომლებზეც არანაირი მოტივით გამოთქმული კრიტიკა არ მოქმედებს, რადგან იციან, რომ მათ მიერ

გამოტანილი გადაწყვეტილებები დასაბუთებულია.

ბოლო პერიოდში, მართალია, შენელდა ეს კრიტიკა, მაგრამ 1 ოქტომბრის შემდეგ, სასამართლო და კონკრეტული მოსამართლეები განსაკუთრებული კრიტიკის ობიექტები გახდნენ, ზოგ მათგანს დაემუქრნენ კიდეც. მოსამართლემ მის მიმართ განხორციელებულ ყველა ზენოლას კანონის საფუძველზე უნდა გასცეს პასუხი. მსგავსი ფაქტი ცოტა ხნის წინათ მოხდა კიდეც, როცა მოსამართლესთან კომუნიკაციას ეცადნენ, რასაც შესაბამისი რეაგირება მოჰყვა. ყველა მოსამართლე ასე უნდა მოიქცეს – დაიცვას საკუთარი პროფესიული ღირსება. არავის აქვს უფლება, რაიმე სახის ზენოლა განხორციელოს მოსამართლეზე.

ბატონო კოტე, როგორია თქვენი 2013 წლის გეგმები?

2013 წელს ჩვენი ძირითადი პრიორიტეტი მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის მექანიზმების ამოქმედება და ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის მთელ სისტემაში ამუშავება იქნება.

მომავალი წლის დასაწყისიდანვე, მთელი საქართველოს მასშტაბით სასამართლოებში მოხდება ყველა პროცესის აუდიოჩანერა და მხარეებს საშუალება ექნებათ, პროცესის დასრულებისთანავე სხდომის ოქმი ელექტრონული დისკის სახით მიიღონ.

2013 წლის გაზაფხულიდან ყველა სასამართლოში საქმეთა შემოსვლა ელექტრონულ ფორმატში იქნება შესაძლებელი. როგორც

ადვოკატებს, ასევე, სახელმწიფო უწყებებს შეეძლება სარჩელები და განცხადებები ელექტრონულად გადმოგზავნონ სასამართლოში, ამ პროგრამაში ჩაერთვება პროკურატურაც, სამოქალაქო რეესტრიც და ა.შ. ამ პროგრამას უამრავი დადებითი მხარე აქვს და ამას საზოგადოება მალე დაინახავს.

მომავალი წლის პრიორიტეტად დარჩება მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა. კვალიფიკაციის ზრდა მუდმივი პროცესია. არ შეიძლება ადამიანმა, მით უმეტეს, მოსამართლემ ჩათვალოს, რომ ერთხელ გავლილი მოსამზადებელი კურსი მისი სრულყოფისათვის, წლების მანძილზე საქმიანობისათვის და მაღალი ხარისხის გადანყვეტილებების მისაღებად საკმარისია. თუ ვინმე ასე ფიქრობს, ძალიან ცდება. ბოლო წლების მანძილზე, სასამართლო სისტემა, კანონმდებლობა მუდმივ ცვლილებებს განიცდის, რასაც მოსამართლემ ფეხი უნდა აუწყოს და ცვლილებების შესაბამისად, მუდმივად უნდა ვითარდებოდეს. მათი კვალიფიკაცია ძალზე კარგად ჩანს გადანყვეტილებების დასაბუთებულობის ხარისხში. გითხარით, რომ ჩვენ გვყავს ბევრი მაღალკვალიფიციური მოსამართლე, რომელთა გადანყვეტილებების ხარისხი უმაღლესია, თუმცა, არიან ისეთებიც, რომლებიც მოიკოჭლებენ გადანყვეტილების დასაბუთებისას. ეს საკითხი დღეს სასამართლოსათვის ერთ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა და ამიტომაც, ჩვენ მას ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, აქტიურად ვმუშაობთ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად. ასევე, კვლავ ვიზრუნებთ მოსამართლეებისათვის კომუნიკაციის სტანდარტების უფრო მეტად სწავლებაზე. უკვე გვაქვს სპეციალური კურსი, სადაც მოსამართლეები სწავლობენ,

თუ როგორ უნდა განახორციელონ სამოსამართლო საქმიანობა დარბაზთან კომუნიკაციის ნესების დაცვით.

და რაც მთავარია – მართლმსაჯულების სრული დამოუკიდებლობისათვის რაც დაგვრჩა გასაკეთებელი ესაა, მოსამართლეთა უვადო დანიშვნა. უვადოდ დანიშნულ მოსამართლეს დამოუკიდებლობის, პრინციპულობის და სტაბილურობის უფრო მეტი გაცდა ექნება.

“REFORM IS NOT A SINGLE ACT, IT TAKES YEARS TO REACH ALL SET GOALS”

Chairman of the Supreme Court, KONSTANTINE KUBLASHVILI believes that 2012, like other recent years, was distinguished from the point of view of ongoing judicial reforms. Chairman of the Supreme Court states that major part of the reforms launched in 2005 were finalized.

Mr. Kote, how would you evaluate year 2012? Why was this year significant for judicial reform?

Since 2005, when we launched the judicial reform, each and every year was significant for us. It is now 7 years since we started the reform. We accomplished a lot in this period of time and I can easily say that the judicial branch did not exist and we have established it. One should remember what was happening in 2000 – 2005 before, and compare it with current situation. Current situation is absolutely different. Even persons, who are most critical, cannot deny the outcome reached during these 7 years. Now, in 2012, we can easily say that we have established judiciary inline with the European standards.

As for specifically year 2012, we will finalize full structural reorganization of the judiciary. In few days, we will finish process of merging the courts and we'll have 24 merged courts, that include 40 magistrate courts.

Along with this, process of including judiciary in electronic case management system is still underway and we can say now, that major part of courts already carry out electronic case management.

Electronic case management program was being prepared during 4 years. We started to operate in the new system in 2011 in 14 big courts

and most of courts are already included in it. This process will be completed in 2013. This is a huge project and we are working together with Americans. Program is important for the judiciary because it significantly simplifies case management process, makes it more transparent and open and facilitates citizens' communication with the courts. This program will make it easy to receive any kind of information on the cases and general statistics.

Raising qualification of judges remains to be the priority of 2012. For this purpose, we have established a very sound system. We have completely new and effective model of retraining, appointment and initial education of judges. Our foreign colleagues evaluate this system very positively. It is recognized that system of initial trainings for candidates and continues trainings is one of the best. Qualification of judges should be increased on daily basis, otherwise he / she cannot be professional. Judicial decision should be so well reasoned, that no one finds a gap there. When a judge is professional, has high qualification, accordingly his / her decision is also high quality and complaints – ungrounded. Thus, we worked very actively in this direction.

Mr. Kote, there is high criticism towards judiciary in recent times. In other words, we often hear about the lack of independence of the judiciary – courts are being blamed in fulfilling political orders. How would you respond this accusation?

I believe, this complaint does not refer to the entire judiciary, because system in general functions objectively and independently. Accusations are related with certain individual cases. Politicians speak about these cases before media, that specific individuals were arrests were political. These very statements are politically motivated, that certainly has political reasons.

What could you say about the new draft laws initiated by the Ministry of Justice. According to the available information, judiciary disagrees with some of the proposed changes.

New government decided to change the rules of activities and of the composition of the High Council of Justice and prepared relevant amendments on this. However, let me inform you that we were planning to make certain changes in these laws ourselves. There are issues in the proposed changes by MOJ, that we agree with, but some of the draft norms are in conflict with the Constitution.

For example, according with the draft law, chairpersons of the courts, chambers and collegiums may not be members of the high council of justice. Besides that, this norm contradicts with the Constitution and is discrimination of the chairpersons of the courts. We also disagree with one more section of the proposed changes according to which, authority of current members of the High Council of Justice shall be suspended. We sent the draft law and our opinions regarding these shortcomings to the Venice Commission. Before we did so, we had meeting with the group of MOJ and shared our opinions with them.

Mr. Kote, Minister of Justice complained about the jury trial, she criticized the model that is enforced in Georgia.

Someone might dislike certain details, that need to be improved, but I believe that currently enforced jury trial model in Georgia does not deserve criticism. This is the same to criticize Anglo-Saxon model as Georgian system is analogical. Similar model is enforced in England and US and quite successfully.

Key principle of jury trial is that citizens are involved in the administration of justice, public issues the

verdict. This institute is considered to be highest standard of democracy and is extremely good that we were able to introduce it in Georgia as well.

After seven years of reform, can we say that judiciary in Georgia is independent?

You probably remember that in none of my interviews I have tried to say that there are no problems in this regard; I have never stated that judiciary is completely independent. I always used to say that judicial reform is not a single act and it takes years to reach the final goal.

When I say that major part of the reform is over, it means principle and basic issues. For example, sound conditions were established for independence of courts as well as judges on legislative as well as from structural reorganization point of view. Number of problems were resolved to ensure smooth functioning of the courts.

The only remaining challenge for the full independence of the judiciary is life time appointments for judges and further raising qualification of the judges. When a judge that has life time tenure renders fully and well reasoned decision, it is difficult to speak about lack of impartiality and independence.

In recent times, court frequently applies bail as the coercive measure, instead of pre-trial arrest, which was not happening before. How would you explain this? Did the courts change their practice or did the prosecutors become milder?

I cannot agree with you that pre-trial arrest was mostly applied before, this is not true. I can simply bring statistics for you. In European countries, pre-trial arrest is applied in 27%. In Georgia, in 2005 application of pre trial arrest reached 60 %, whereas last year it was 49 %, this year it was even less – 44 %.

This statistics proves that courts started to apply milder measures.

As for the recent times, in certain cases, prosecutor's office does not request pre-trial arrest, several times, court did not apply, which means that existing practice is continued, it is just that before this was not so clear. No courts are in the middle of attention, there is high public interest on the trials. As I said, application of milder coercive measure is not news for court practice.

Mr. Kote, recently there were significant changes in the personnel of courts. Chairman of the Tbilisi City Court, Misha Pkhakadze was appointed as the Chairman of Rustavi City Court, and chairman of Rustavi City Court, Mamuka Akhvlediani, was appointed as Chairman of Tbilisi City Court. What was the reason of this change?

There is nothing extraordinary in this change. Similar changes were carried out in other courts as well and the reason for that was renewal of human resources. Misha Pkhakadze is competent professional, he has been working in Tbilisi City court for many years, before he used to be chairman of the collegium. I can say the same about Mamuka Akhvlediani. He was very successfully chairing Rustavi City Court for years. We thought it would be good to renew their working process and I believe this was correct approach.

I should say that we are changing approach towards human resources policy, and intend to focus on the regions. In Tbilisi and its surroundings, in Rustavi, Marneuli, Gardabani, Mtskheta – judges shall not be appointed. Reason for that is not only that there are no vacancies their but also to strengthen regional courts. We decided that after certain years' of working in the regions we shall assign judges in Tbilisi and visa versa. As I said, this process is already launched and shall be continued actively.

Mr. Kote, how would you assess the Parliamentary initiative about granting the status of political prisoner?

It would not be correct to assess this process from my side, thus I would refrain from its legal assessment. Probably the Parliament was guided by the European standards in this regard. Granting the status does not mean anything, if the relevant judicial decision is not issued.

Do you think there are political prisoners in Georgia? Do the judgements made against these persons allow to grant this status to them?

I'm quite positive to tell you that all decisions made by the courts are legal. There is no case, when court judged on political grounds.

It would be interesting to know how do the judges feel when there is so much criticism of judiciary, what is their attitude?

Few days ago, we had Conference of Judges, where along with other issues, this matter was discussed as well. Judges in general are very positive, they carry on their activities with high sense of responsibility. They are professionals, and critics with various motivations, may not affect them, as they know that their decisions are well reasoned.

Although recently, this critics is not that intensive, but since October 1, courts and concrete judges became subject of strong criticism, some of them have been even threatened. Judge should respond to any influence based on the laws. Similar fact took place, when there were efforts to communicate with the judge, and this was responded accordingly. All judges should react similarly – should protect his / her own professional dignity. No one has right to carry out any type of pressure on a judge.

Mr. Kote, what are your plans for the year 2013?

Our top priority for the year 2013, will be to enforce the life time appointments of judges and full operation of the electronic case management system. Starting next year, audio recording of all trials throughout the country shall be launched and parties will be able to receive CD s with the recorded minutes.

Starting spring 2013, it will be possible to register all cases in the courts electronically. Attorneys as well as state institutions will be able to send complaints and statements electronically. Prosecutor's Office, civil registry and others, shall be part of this system as well. This program has number of positive sides and public will soon realize this.

It remains to be the priority of next year to raise qualification of judges. This is on-going process. Under no circumstances, judge should believe that one course might be sufficient for him / her. If someone thinks similarly. This is very wrong. Laws as well as judicial practice is changing a lot and judges should act accordingly. Their qualification can be well assessed by the quality of reasoning of their decisions. I told you that we have many highly competent judges, quality of their decisions is top, however, there are some weak points in the reasoning part of some judges. This is one of the most problematic issues for courts and thus, we pay a lot attention to eliminate this. We will also do our best to intensify teaching of communication standards to judges. We already have special course, where judges learn , how to carry out judicial activities following out rules of communication.

And what is very important, the only final step to ensure full independence of the judiciary is for example: life time tenure of judges. Judges with life time appointments will have independence, principle and sense of stability.

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლი

ჯონი ხეცურიანი

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-
კორესპონდენტი

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის სასამართლო კონტროლის უფლებამოსილება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ეკუთვნის. საქართველოს ძირითადი კანონით დადგენილია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო „იხილავს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების კონსტიტუციურობის საკითხს“ (89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილების საკანონმდებლო დეფინიცია აგრეთვე, მოცემულია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში,¹ რომლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე, უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს „საერთაშორისო ხელშეკრულებათა ან შეთანხმებათა კონსტიტუციურობის საკითხი“ (მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი).

საერთაშორისოსამართლებრივი აქტებითა² და ნაციონალური კანონმდებლობით³ საერთაშორისო ხელშეკრულებად მიიჩნევა საქართველოს მიერ უცხო სახელმწიფოსთან (სახელმ-

ნიფოებთან) ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ორგანიზაციებთან) წერილობითი ფორმით დადებული შეთანხმება, რომელიც რეგულირდება საერთაშორისო სამართლის ნორმებით, განურჩევლად იმისა, წარმოდგენილია იგი ერთი თუ რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული დოკუმენტით, მიუხედავად მისი კონკრეტული სახელწოდებისა.

საერთაშორისო ხელშეკრულების ზემოაღნიშნულ განმარტებაში მოცემულია რამდენიმე ცნებითი ნიშანი, რომელთა გარეშეც საქართველოს მიერ დადებული აქტი არ ჩაითვლება საერთაშორისო ხელშეკრულებად. სახელდობრ, საერთაშორისო ხელშეკრულება დადებული უნდა იყოს სათანადო სუბიექტებთან — სახელმწიფოებთან ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან (1), წერილობითი ფორმით (2); იგი უნდა იყოს ორი ან მეტი საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ნების გამოვლინება – შეთანხმება, რაც გამოორიცხავს სახელმწიფოების ცალმხრივ აქტებს (3), უნდა წარმოადგენდეს საერთაშორისო სამართლის რეგულირების საგანს, რაც ნიშნავს, რომ ხელშეკრულების დადების, შესრულებისა და მოქმედების შეწყვეტის წესი წესრიგდება მხოლოდ საერთაშორისოსამართლებრივი ნორმებით და შიდასახელმწიფოებრივი სამართალი ვერ მოახდენს ზეგავლენას საერთაშორისო ხელშეკრულების იურიდიულ ნამდვილობაზე⁴ (4). ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს ხელშეკრულების სახით გაფორმებული ურთიერთდაკავშირებული დოკუმენტების სიმრავლეს და მათ სახელწოდებას. ბოლო ორი მახასიათებელი, კერძოდ, დოკუმენტების რაოდენობა და სახელწოდება არ წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულების ცნებით ნიშნებს, რადგან როგორც მართებულად აღნიშნავენ იურიდიულ ლიტერატურაში, მათ საფუძველზე შეუძლებელია აქტის მიჩნევა საერთაშორისო ხელშეკრულებად. ისინი არსებით გავლენას ვერ ახდენენ სუბიექტებს შორის დადებული აქტის იურიდიულ ბუნებასა და ძალაზე.⁵ ამის გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველი უფლებამოსილების საკანონმდებლო დეფინიცია, ჩვენი აზრით, არ არის სწორი და დასაზუსტებელია. მასში არ უნდა იყოს გამოყენებული მაცალკეებელი კავშირი „ან“, რადგანაც „ხელშეკრულება“ და „შეთანხმება“ ამ კონტექსტში თანაბარი მნიშვნელობის ტერმინებია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თვით „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონშიც და ვენის 1969 წლის კონვენციაშიც მითითებულია, რომ ხელშეკრულების აღმნიშვნელ ტერმინებს არა აქვთ არსებითი მნიშვნელობა ხელშეკრულების ცნებისათვის და იგი შეიძლება გამოიხატებოდეს სხვადასხვა სახელწოდებით: შეთანხმება, კონვენცია, პაქტი, ქარტია და ა.შ. ამიტომ, „ან“ კავშირის გამოყენება ამ შემთხვევაში იმის შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს „ხელშეკრულება“ და „შეთანხმება“ სხვადასხვა საერთაშორისოსამართლებრივი აქტებია, რაც არ არის სწორი. კანონისაგან განსხვავებით, შედარებით უფრო ზუსტია საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილების საქართველოს კონსტიტუციისეული დებულება, სადაც ორი ტერმინი „ხელშეკრულება“ და „შეთანხმება“ „და“ კავშირითაა წარმოდგენილი (89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი). ჩვენი აზრით, ამ ტერმინოლოგიური გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილი იქნება, საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველი უფლებამოსილების საკანონმდებლო დეფინიცია შემდეგი სახით ჩამოყალიბდეს: „საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის საკითხის განხილვა და გადაწყვეტა“.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმები, მართალია, საშუალებას იძლევა დადგინდეს, საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს შორის დადებული რომელი შეთანხმება ჩაითვლება საერთაშო-

რისო ხელშეკრულებად, მაგრამ საერთაშორისო ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აგრეთვე, საჭიროა, რომ იგი იყოს მართლზომიერი აქტი და არ ეწინააღმდეგებოდეს საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი ხელშეკრულება ბათილად იქნება ცნობილი და არ წარმოშობს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს. ვენის 1969 წლის კონვენციაში ამომწურავადაა ჩამოთვლილი საერთაშორისო ხელშეკრულებების ბათილობის საფუძვლები, კერძოდ, თუ ხელშეკრულება დადებულია ძალის ან ძალით დამუქრების გამოყენებით, მოტყუებით, მოსყიდვით და ა.შ., აგრეთვე, თუ იგი ეწინააღმდეგება ზოგადი საერთაშორისო სამართლის იმპერატიულ ნორმებს (*jus cogens*).⁶

თუ საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს შორის დადებული შეთანხმება პასუხობს ყველა ზემოაღნიშნულ მოთხოვნას, მაშინ იგი ჩაითვლება სრულფასოვან საერთაშორისო ხელშეკრულებად. მაგრამ, იმისათვის, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებამ წარმოშვას მხარეებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები, იგი უნდა იყოს მოქმედი, ანუ ძალაში შესული. ვენის 1969 წლის კონვენციის მიხედვით, კონვენციის ძალაში შესვლის წესი და თარიღი დგინდება თავად ხელშეკრულებაში ან მოლაპარაკების მონაწილე სახელმწიფოთა შორის შეთანხმებით. ხოლო თუ ასეთი თარიღი ან შეთანხმებული წესი არ არის განსაზღვრული, მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედის, როგორც კი მოლაპარაკების მონაწილე ყველა სახელმწიფო გამოხატავს თანხმობას მისთვის ამ ხელშეკრულების სავალდებულობაზე (24-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები). ხელშეკრულების სავალდებულობაზე თანხმობა, თავის მხრივ, შეიძლება გამოიხატოს ხელშეკრულების ხელმოწერით, საბუთების გაცვლით, რომლებიც ქმნიან ხელშეკრულებას, ხელშეკრულების რატიფიცირებით, მისი მიღებით, დამტკიცებით, მასთან შეერთებით ან ნებისმიერი სხვა ხერხით, რაზედაც შეთანხმდებიან მოლაპარაკებაში მონაწილე სახელმწიფოები (მე-11 მუხლი). საერთაშორისო ხელშეკრულების ძალაში შესვლით, იგი ხდება მოქმედი და, ამდენად, სავალდებულო მისი ყველა მონაწილისათვის, რომლებიც კეთილსინდისიერად უნდა ასრულებდნენ მას (პრინციპი – *pacta sunt servanda*).

საერთაშორისო ხელშეკრულება წარმოშობს ვალდებულებებს მთლიანად სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის მიმართ, რომლის შეუსრულებლობის გამო, სახელმწიფოს დაეკისრება საერთაშორისოსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამიტომ, სახელმწიფო, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, პრინციპის – *pacta sunt servanda*-ს შესაბამისად, ვალდებულია შიდასახელმწიფოებრივ დონეზე მიიღოს ყველა ზომა, თავის ტერიტორიაზე საერთაშორისო ხელშეკრულების შესასრულებლად. ამასთან, ვენის 1969 წლის კონვენციის თანახმად, სახელმწიფოს არ შეუძლია დაეყრდნოს თავის შიდა სამართლის დებულებებს ხელშეკრულების შეუსრულებლობის გასამართლებლად (27-ე მუხლი). თუ ნაციონალური სამართლის ნორმები წინააღმდეგობაშია საერთაშორისო ხელშეკრულების დებულებებთან, სახელმწიფო ვალდებულია შეცვალოს ეს ნორმები და შესაბამისობაში მოიყვანოს საერთაშორისო ხელშეკრულების მოთხოვნებთან.

საერთაშორისო ხელშეკრულებების შიდასახელმწიფოებრივი სამართლის სისტემაში ჩართვის, იმპლემენტაციის ხერხები, როგორც წესი, განსაზღვრულია კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით. საქართველო იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც საერთაშორისო ხელშეკრულებას ავტომატურად ანიჭებენ შიდასახელმწიფოებრივ იურიდიულ ძალას.⁷ საქარ-

თველოს კონსტიტუციით, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ“ (მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი). კონსტიტუციის ეს ნორმა, როგორც მართებულად აღნიშნავენ იურიდიულ ლიტერატურაში, ორ მიზანს ემსახურება: ერთი მხრივ, იგი უზრუნველყოფს საერთაშორისო ხელშეკრულებების ჩართვას საქართველოს სამართლის სისტემაში და მათ უშუალო მოქმედებას, ხოლო მეორე მხრივ, განსაზღვრავს საერთაშორისო ხელშეკრულებების ადგილს საქართველოს ნორმატიული აქტების იერარქიაში, მათ იურიდიულ ძალას.⁸ მართალია, კონსტიტუციის ეს ნორმა პირდაპირ არ მიუთითებს, რომ საქართველოსთვის ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს სამართლის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ სხვა ნორმატიულ აქტებთან შედარებით (კონსტიტუციისა და კონსტიტუციური შეთანხმების გარდა), მისთვის უპირატესი იურიდიული ძალის მინიჭება აზრს დაკარგავდა, ის რომ საქართველოს ნორმატიული აქტების სისტემის შემადგენელ ნაწილად არ იყოს ნაგულისხმევი. ამ საკითხზე რაიმე განსხვავებული მოსაზრების საფუძველს მთლიანად გამორიცხავს „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონი, რომელშიც კონსტიტუციის ზემოაღნიშნული დებულების განმეორებასთან ერთად, პირდაპირაა აღნიშნული, რომ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია“ (მე-6 მუხლის პირველი პუნქტი). აქვეა აგრეთვე, მითითება მათი უშუალო მოქმედების შესახებ, ოღონდ გარკვეული დათქმით. სახელდობრ, ოფიციალურად გამოქვეყნებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების დებულებები, რომლებიც ადგენენ კონკრეტული ხასიათის უფლებებსა და მოვალეობებს, საქართველოში მოქმედებენ უშუალოდ, თუ ისინი არ საჭიროებენ დამაზუსტებელი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიღებას (მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი). მიუხედავად იმისა, რომ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის ზემოაღნიშნული დებულებები სრულად გადმოგვცემენ საქართველოს კონსტიტუციის სულისკვეთებას საერთაშორისო ხელშეკრულებების იურიდიული ძალის და მოქმედების შესახებ, იგი (კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი) მაინც არ არის სწორად ფორმულირებული.

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის კი არა, შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნაწილია. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ამომწურავადაა ჩამოთვლილი ის ნორმატიული აქტები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობას მიეკუთვნება. კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ საქართველოს კანონმდებლობა შედგება მხოლოდ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებისაგან (მე-7 მუხლის პირველი პუნქტი). საერთაშორისო ხელშეკრულება, როგორც ამ კანონიდან ჩანს, არც საკანონმდებლო და არც კანონქვემდებარე აქტია. მაშასადამე, იგი კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილი ვერ იქნება. თავად „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონი საერთაშორისო ხელშეკრულებას მიაკუთვნებს ნორმატიულ აქტებს, ანიჭებს მას საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ ადგილს ნორმატიული აქტების იერარქიაში ისე, რომ მას კანონმდებლობის ნაწილად არ განიხილავს.

ჩვენი აზრით, კანონმდებელი ამ შემთხვევაში სწორად მოიქცა, რადგანაც საერთაშორისო ხელშეკრულება ნორმატიული აქტების სპეციფიკური, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე

აქტებისაგან განსხვავებული სახეობაა. მათ შორის არსებულ ისტორიულ, სტრუქტურულ და ფუნქციურ განსხვავებებს⁹ რომ თავი დავანებოთ, საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ მოქმედი კანონმდებლობით, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებად ჩაითვლება მხოლოდ ის სამართლებრივი ნორმატიული აქტები, რომლებიც მიღებულია საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით მათთვის დადგენილი პროცედურების დაცვით. ამ მოთხოვნას კი, საერთაშორისო ხელშეკრულებები ვერ აკმაყოფილებს, რადგანაც მათი მომზადების, მიღების, ძალაში შესვლისა და გაუქმებისათვის დადგენილია სულ სხვა წესები. ამიტომ საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს ნორმატიული აქტების, სამართლის სისტემის (და არა კანონმდებლობის) შემადგენელი ნაწილია. გამომდინარე აქედან, შესაცვლელია „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის ზემოაღნიშნული დებულება.

საერთაშორისო ხელშეკრულება, როგორც საქართველოს ნორმატიული აქტების სისტემის, შიდასახელმწიფოებრივი სამართლის შემადგენელი ნაწილი, ექვემდებარება საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლს, რომლის მიზანია ქვეყნის ძირითად კანონთან საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისობის და საბოლოო ანგარიშში, კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფა.

საკონსტიტუციო სასამართლოს ეს უფლებამოსილება, თავისი არსით, ნორმათა კონსტიტუციური კონტროლია, მაგრამ იგი ცალკე, დამოუკიდებელი უფლებამოსილების სახითაა წარმოდგენილი, რადგანაც მისი განხორციელება დაკავშირებულია მრავალ თავისებურებასთან, რომელიც საერთაშორისო ხელშეკრულების სპეციფიკური ბუნებით აიხსნება.¹⁰

საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას ამ სფეროში (89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი), შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია ყველა სახეობის საერთაშორისო (სახელმწიფოთაშორისი, სამთავრობოთაშორისი, უწყებათაშორისი) ხელშეკრულებაზე ვრცელდება. თუ აქტი წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებას, მაშინ იგი საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შეიძლება დაექვემდებაროს საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლს. კონსტიტუცია აქ გამოწვევას არ ითვალისწინებს. მოქმედი კანონმდებლობით კი, შეუძლებელია ქვეყნის ძირითადი კანონით განსაზღვრული საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილების ფარგლების შეზღუდვა საერთაშორისო ხელშეკრულების სახეობის ან სხვა ნიშნის მიხედვით.

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ საქართველოს კონსტიტუცია არ აზუსტებს, თუ რომელ სტადიაზე (ხელშეკრულების დადებამდე, ხელშეკრულების დადების შემდეგ) შეუძლია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება. მათი აზრით, ამ საკითხს ნათელს ჰყფენს მხოლოდ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად, კონსტიტუციური წარდგინების შეტანა საკონსტიტუციო სასამართლოში შეიძლება საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირებამდე.¹¹ ჩვენი აზრით, ეს მოსაზრება არ არის სწორი. მართალია, საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტში ზოგადაა დათვალა საერთაშორისო ხელშეკრულებებზე და მასში, რასაკვირველია, იგულისხმება საქართველოსათვის უკვე ძალაში

შესული საერთაშორისო სასამართლებრივი აქტები, მაგრამ იმავე კონსტიტუციის 65-ე მუხლის მე-4 პუნქტში გარკვევით იკითხება, რომ საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის შემოწმება შესაძლებელია მის რატიფიცირებამდე, ე.ი. საქართველოსათვის საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებამდე. ძირითადი კანონის ამ ნორმაში ნათქვამია: „საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების შეტანის შემთხვევაში დაუშვებელია შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების თუ შეთანხმების რატიფიცირება საკონსტიტუციო სასამართლოს გადამწყვეტილების გამოტანამდე“. ის გარემოება, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ეს უფლებამოსილება არ არის საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველ პუნქტში შეტანილი, მდგომარეობას არ ცვლის, რადგანაც ძირითადი კანონის 89-ე მუხლში ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები და შესაბამისად, იგი არ არის უფლებადამდგენი ერთადერთი ნორმა საკონსტიტუციო სასამართლოსათვის. თავად ამ ნორმაში განმარტებულია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო „ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით და ორგანული კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს“ (89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი). სწორედ ასეთი უფლებამოსილებაა განმტკიცებული საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის მე-4 პუნქტში. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი კი, უფრო აკონკრეტებს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილების ფარგლებს და ადგენს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი შეიძლება იყოს როგორც საქართველოსათვის ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულებები, ისე რატიფიცირებას დაქვემდებარებული საერთაშორისო ხელშეკრულებები მათ რატიფიცირებამდე (38-ე მუხლი).

აქვე არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ერთ საკითხს, რომელსაც ჩვენი აზრით, პრინციპული მნიშვნელობა აქვს განსახილველ სფეროში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლების დასადგენად. სახელდობრ, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლზე დაყრდნობით, იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია წინასწარი კონტროლის ფორმით ვრცელდება არა მხოლოდ სარატიფიკაციო საერთაშორისო ხელშეკრულებებზე, არამედ ყველა საერთაშორისო ხელშეკრულებაზე საქართველოსათვის მათ სავალდებულოდ აღიარებამდე. კ. კორკელია ამის თაობაზე აღნიშნავს, რომ თუ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 38-ე მუხლის დებულებები ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ სარატიფიკაციო საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის დადგენის შესაძლებლობაზე, სანინააღმდეგო დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც ხაზს უსვამს არა რატიფიცირებას, არამედ „საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებას“, რაც გულისხმობს საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებას როგორც საქართველოს პარლამენტის, ისე საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ. ამ წინააღმდეგობის დაძლევაში, კ. კორკელიას აზრით, გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკამ.¹²

ობიექტურობისათვის უნდა ითქვას, რომ საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის მე-4 პუნქტისაგან განსხვავებით, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონი მართლაც, აფართოებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წინასწარი კონტროლის ფარგლებს და ადგენს, რომ „საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებამდე, უფლებამოსილი სუბიექტის მიერ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის შემთხვევაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის შესახებ“ (21-ე მუხლის პირველი პუნქტი). როგორც ვხედავთ, აქ კანონმდებელი საკონსტიტუციო სასამართლოს წინასწარი კონტროლის ობიექტად მხოლოდ სარატიფიკაციო ხელშეკრულებებს კი არ მიიჩნევს, არამედ ყველა იმ საერთაშორისო ხელშეკრულებას (სარატიფიკაციოს და არასარატიფიკაციოს), რომელთა მიმართ ჯერ არ დასრულებულა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები საქართველოსათვის მათი სავალდებულოდ აღიარებისათვის.

ჩვენი აზრით, როდესაც კანონმდებელი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის ზემოაღნიშნულ ნორმას აყალიბებდა, მან არ გაითვალისწინა საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნა, რომლის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები განისაზღვრება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციით და ორგანული კანონით (89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი). რადგანაც „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონი არ არის ორგანული კანონი, ამიტომ ამ საკანონმდებლო აქტით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წინასწარი კონტროლის უფლებამოსილების გაფართოება დაუშვებელია. ეს საკანონმდებლო კოლიზია დაიძლევა არა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, როგორც ამას გვთავაზობენ, არამედ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონში სათანადო ცვლილებების შეტანით და იერარქიით მასზე უფრო მაღლა მდგომ საკანონმდებლო აქტებთან (კონსტიტუციასთან და ორგანულ კანონთან) მისი ნორმების შესაბამისობაში მოყვანით. მანამდე კი, ამ საკითხში გასარკვევად უნდა ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციით (65 ე მუხლის მე-4 პუნქტი) და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით (38-ე მუხლის მე-2 პუნქტი), რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წინასწარი კონტროლის ობიექტად მიიჩნევს მხოლოდ სარატიფიკაციო საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

ასევე, გვინდა შევხვთ ერთ საკითხსაც, რომელიც „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის არასრულყოფილებაზე მიუთითებს. სახელდობრ, ამ კანონის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი შეიძლება იყოს მხოლოდ ის საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც საქართველოსათვის სავალდებულოდ არ არის აღიარებული (21-ე მუხლი). რაც შეეხება ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის შემონმების შესაძლებლობას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, მასზე კანონში არაფერია ნათქვამი. გამოდის, რომ ამ კანონის მიხედვით, საერთაშორისო ხელშეკრულებების მიმართ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია მხოლოდ წინასწარი კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება, რაც, რა თქმა უნდა, არ არის სწორი. საქართველოს კონსტიტუციით და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონით, რო-

გორც ეს უკვე ზემოთ ითქვა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს როგორც სარატიფიკაციო, ისე ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხი. გამომდინარე აქედან, საჭიროდ მიგვაჩნია, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონში სრულად იქნას გათვალისწინებული საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის შემონმების სფეროში და ამ კატეგორიის საქმეებზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების იურიდიულ შედეგებთან დაკავშირებული საკითხები.

ამრიგად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს საერთაშორისო ხელშეკრულებების როგორც წინასწარ (პრევენციულ), ისე შემდგომ (რეპრესიულ) საკონსტიტუციო კონტროლს. ამასთან, უნდა ითქვას, რომ ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ენიჭება წინასწარი კონტროლის უფლებამოსილება და ისიც მხოლოდ სარატიფიკაციო საერთაშორისო ხელშეკრულებების მიმართ – მათ რატიფიცირებამდე.¹³

საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომელთა ძალაში შესვლისათვის აუცილებელია საქართველოს პარლამენტის რატიფიცირება, განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუცია. სახელდობრ, საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად:

„იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა გარდა, რომლებიც ითვალისწინებენ რატიფიცირებას, აგრეთვე, სავალდებულოა ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების რატიფიცირება, რომელიც:

- ა) ითვალისწინებს საერთაშორისო ორგანიზაციაში ან სახელმწიფოთა შორის კავშირში საქართველოს შესვლას;
- ბ) სამხედრო ხასიათისაა;
- გ) ეხება სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას ან სახელმწიფო საზღვრების შეცვლას;
- დ) დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ სესხის აღებასა და გაცემასთან;
- ე) მოითხოვს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შეცვლას, ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად აუცილებელი კანონებისა და კანონის ძალის მქონე აქტების მიღებას.“

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციაში ამომწურავად არის ჩამოთვლილი სარატიფიკაციო საერთაშორისო ხელშეკრულებების სახეობები, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონი კიდევ უფრო აფართოებს სარატიფიკაციო საერთაშორისო ხელშეკრულებების წრეს და მასში შეაქვს ის ხელშეკრულებები, რომლებიც რატიფიცირებას საჭიროებენ საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტის თანახმად (მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი).

ამასთან დაკავშირებით, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა გაირკვეს, თუ რამდენად მართებულია სარატიფიკაციო საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციით დადგენილი ჩამონათვალის გაფართოების შესაძლებლობა „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონით. ამის გარკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც იგი ეხება სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობის სფეროში საქართველოს პარლამენტის კომპეტენციის ფარგლების საკითხს და შესაძლებელია იგი საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის დავის სა-

ფუძველი გახდეს.¹⁴ საქმე ისაა, რომ რატიფიცირება ამ შემთხვევაში აღმასრულებელი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკურ საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლის როლს ასრულებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დადებული ზოგიერთი ხელშეკრულების საქართველოსათვის სავალდებულოდ აღიარებისათვის საჭიროა პარლამენტის დასტური ანუ რატიფიცირება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას იურიდიული ძალა არ ექნება. მაგრამ, იმისათვის, რომ ეს საპარლამენტო კონტროლი არ იყოს უსაზღვრო და შესაბამისად, არ დაირღვეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებს შორის ბალანსი საგარეო პოლიტიკის სფეროში, კონსტიტუცია, ერთი მხრივ, განსაზღვრავს საგარეო პოლიტიკის განხორციელების კონკრეტულ შემთხვევებზე საპარლამენტო კონტროლის განხორციელების ფარგლებს – სავალდებულო რატიფიცირებას დაქვემდებარებული საერთაშორისო ხელშეკრულებების ამომწურავი ჩამოთვლით, ხოლო, მეორე მხრივ, მიუთითებს, რომ საქართველოს პარლამენტი კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს მხოლოდ კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში (48-ე მუხლი). აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილებაში შედის იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირება, რომლებიც გათვალისწინებულია მხოლოდ კონსტიტუციით (65-ე მუხლის მე-2 პუნქტი) და არა სხვა საკანონმდებლო აქტით. ამიტომ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონით საერთაშორისო ხელშეკრულების ახალი სახეობის რატიფიცირების სავალდებულობის დადგენის შესაძლებლობა, ჩვენი აზრით, ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მოთხოვნებს და იგი შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი ძირითად კანონთან.

თუ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე, რომელიმე სხვა საკანონმდებლო აქტით გათვალისწინებული იქნა საერთაშორისო ხელშეკრულების ახალი სახეობის რატიფიცირების სავალდებულობა, მაშინ მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია, კონსტიტუციის (89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის) და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის (34-ე მუხლის) საფუძველზე, კონსტიტუციური სარჩელით მიმართოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვოს ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტების სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობა საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლთან და 65-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით. ამ შემთხვევაში, კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გამოიწვევს კომპეტენციის დამრღვევი ნორმატიული აქტების სადავო ნორმების ძალადაკარგულად ცნობას მათი ამოქმედებიდან, რაც ნიშნავს, რომ მათ საფუძველზე მიღებული სამართლებრივი აქტებიც, კერძოდ, პარლამენტის დადგენილება კონკრეტული საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების შესახებ იურიდიულ ძალას დაკარგავს. ეს, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს თავად საერთაშორისო ხელშეკრულების არაკონსტიტუციურად აღიარებას. იგი ძალაში შევა არასარატიფიკაციო საერთაშორისო ხელშეკრულებებისათვის დადგენილი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შემდეგ. ასეთივე წესით უნდა გადაწყდეს კომპეტენციური დავა იმ შემთხვევაში, როცა სარატიფიკაციო საერთაშორისო ხელშეკრულება აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ პარლამენტის გვერდის ავლით

იქნება საქართველოსათვის სავალდებულოდ აღიარებული. რასაკვირველია, ამ დროს, წინა საქმისაგან განსხვავებით, მოსარჩელე და მოპასუხე თავიანთ როლებს გაცვლიან.

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ კომპეტენციის შესახებ დავის შემთხვევაში, თავად საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხი არ განიხილება. საკონსტიტუციო სასამართლო ამ უფლებამოსილების ფარგლებში წყვეტს მხოლოდ იმ საკითხს, კონსტიტუციის მოთხოვნათა გათვალისწინებით, თუ რომელი სახელმწიფო ორგანოს კომპეტენციაში შედიოდა კონკრეტული საერთაშორისო ხელშეკრულების საქართველოსათვის სავალდებულოდ აღიარების უფლება. რაც შეეხება საერთაშორისო ხელშეკრულების შინაარსის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხს, მას საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის შემოწმების უფლებამოსილების ფარგლებში წინასწარი და შემდგომი კონტროლის ფორმით.

საერთაშორისო ხელშეკრულების წინასწარი (პრევენციული) საკონსტიტუციო კონტროლის დროს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი შეიძლება გახდეს მხოლოდ საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენილი საერთაშორისო ხელშეკრულება. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის თანახმად, პარლამენტში რატიფიცირებისათვის საერთაშორისო ხელშეკრულებას წარადგენს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტი (მე-15 მუხლის პირველი პუნქტი). მაგრამ, ვიდრე პარლამენტი მიიღებდეს გადაწყვეტილებას საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების შესახებ, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის (38-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები) საფუძველზე, უფლება აქვს კონსტიტუციური წარდგინებით მიმართოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სარატიფიკაციო საერთაშორისო ხელშეკრულების ან მის ცალკეულ დებულებათა კონსტიტუციურობის შემოწმების თაობაზე.

კონსტიტუციური წარდგინების შეტანა აჩერებს საქართველოს პარლამენტში საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების საკითხის განხილვას და როგორც ეს საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის მე-4 პუნქტშია აღნიშნული, მისი რატიფიცირება დაუშვებელია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე.

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილი სუბიექტებიდან, რატიფიცირებისათვის წარდგენილი საერთაშორისო ხელშეკრულების წინასწარი საკონსტიტუციო კონტროლის მოთხოვნის უფლებით მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის აღჭურვა, ჩვენი აზრით, ორი გარემოებითაა განპირობებული. ჯერ ერთი, რადგანაც პარლამენტში რატიფიცირებისათვის საერთაშორისო ხელშეკრულების წარდგენის ექსკლუზიური უფლება მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს გააჩნია, ივარაუდება, რომ იგი აღმასრულებელი ხელისუფლების ან თავად მის მიერ დადებულ სარატიფიკაციო საერთაშორისო ხელშეკრულებას კონსტიტუციურად მიიჩნევს. ამიტომ, საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს მთავრობა საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებით აღჭურვას ლოგიკურად, ამ შემთხვევაში, არ საჭიროებენ. მეორე, თუ საქართველოს პრეზიდენტი ან საქართველოს მთავრობა და მათი მხარდამჭერი საპარლამენტო უმრავლესობა შეეცდებოდა კონსტიტუციის შეუსაბამო საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირებას, საპარლამენტო

უმცირესობას ეძლევა შესაძლებლობა, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვით, აღკვეთოს არაკონსტიტუციური საერთაშორისო ხელშეკრულების საქართველოსათვის სავალდებულოდ აღიარება. აქედან გამომდინარე, პარლამენტის წევრთა გარკვეული ჯგუფისათვის ამ უფლების მინიჭება საპარლამენტო უმცირესობის დაცვისა და საბოლოო ანგარიშში, კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფის ინტერესებს ემსახურება.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი განსაზღვრავს იმ იურიდიულ შედეგებს, რომლებიც დადგება რატიფიცირებისათვის წარდგენილი საერთაშორისო ხელშეკრულების ან მისი ცალკეული ნაწილების საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ. ორგანული კანონის თანახმად, კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე საერთაშორისო ხელშეკრულების ან მისი ცალკეული ნაწილების არაკონსტიტუციურად ცნობა გამოიწვევს არაკონსტიტუციურად ცნობილი საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების დაუშვებლობას (23-ე მუხლის მე-5 პუნქტი). ამ ნორმის აზრიდან გამომდინარეობს, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საერთაშორისო ხელშეკრულების ნაწილობრივი რატიფიცირების შესაძლებლობას. ეს ნიშნავს, რომ საერთაშორისო ხელშეკრულების თუნდაც ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობისას, დაუშვებელია ამ საერთაშორისო ხელშეკრულების დანარჩენი ნაწილის რატიფიცირება. ასეთი წესი სავსებით ლოგიკურად მიგვაჩნია, რადგანაც ამ შემთხვევაში, ნაწილობრივი რატიფიცირება გამოიწვევდა ხელშემკვრელ მხარეებთან შეთანხმებული საერთაშორისო ხელშეკრულების ტექსტში ცალმხრივად ცვლილებების შეტანას, რაც ეწინააღმდეგება თვით ხელშეკრულების ბუნებას. იურიდიულ ლიტერატურაში საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული შედეგების განხილვისას მიუთითებენ, რომ საერთაშორისო ხელშეკრულების არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაში, სახელმწიფო შეიძლება დაადგეს სამ ალტერნატიულ გზას: უარი განაცხადოს საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულო აღიარებაზე; ხელშემკვრელ მხარეებთან შეთანხმებით შეიტანოს ცვლილება საერთაშორისო ხელშეკრულებაში საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით; შეიტანოს ცვლილება საქართველოს კონსტიტუციაში საერთაშორისო ხელშეკრულებასა და კონსტიტუციას შორის შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.¹⁵ თუ რომელ გზას აირჩევს სახელმწიფო, ეს დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებაზე, თუმცა, ბოლო ორი ალტერნატიული გზა თანაბრად იძლევა საშუალებას საერთაშორისო ხელშეკრულების ძალაში შესვლისათვის.¹⁶ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონი ასეთი შემთხვევისათვის მხოლოდ ერთ გზას გვთავაზობს, კერძოდ, არაკონსტიტუციურად ცნობილი საერთაშორისო ხელშეკრულების საქართველოსათვის სავალდებულოდ აღიარება შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც კონსტიტუციაში, დადგენილი წესით, შეტანილი იქნება შესაბამისი ცვლილებები (21-ე მუხლის მე-3 პუნქტი). სასურველი იყო, კანონში მითითებული ყოფილიყო, რომ ასეთი საერთაშორისო ხელშეკრულების საქართველოსათვის სავალდებულოდ აღიარება აგრეთვე, შესაძლებელია, თუ მასში განხორციელდება ცვლილებები და იგი მოყვანილი იქნება შესაბამისობაში საქართველოს კონსტიტუციასთან. აქ, ფაქტობრივად, სახელმწიფო დგას არჩევანის წინაშე, რომელი უფრო მეტად მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის: კონსტიტუციის უცვლელად შენარჩუნება და საერთაშორისო ხელშეკრულებაზე უარის თქმა, თუ კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილე-

ბების შეტანა და საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირება. რა თქმა უნდა, კონსტიტუციის სტაბილურობა და უზენაესობა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია და ამიტომ საერთაშორისო ხელშეკრულების ქვეყნის ძირითად კანონთან შეუსაბამობის გამოვლენის ყველა შემთხვევაში, კონსტიტუციაში ცვლილებების განხორციელება დაუშვებელია. მაგრამ შეიძლება იყოს ისეთი შემთხვევა, როდესაც საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების აუცილებლობამ გადაიჭარბა კონსტიტუციის სტაბილურობის პრიორიტეტულობა. მაგალითად, „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის რატიფიცირებისათვის ავსტრიაში (1972 წ.) საჭირო გახდა ქვეყნის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა, ხოლო ავსტრიის განცხადებისათვის ევროპის კავშირში (1995 წ.) რეფერენდუმით იქნა მიღებული ფედერალური კონსტიტუციური კანონი მიერთების ხელშეკრულების დადების შესახებ, რომელმაც გამოიწვია ამ ქვეყნის კონსტიტუციის ზოგადი გადასინჯვა. საგულისხმოა, რომ ავსტრიის კონსტიტუცია შეიცავს ნორმას (50-ე მუხლი) იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების შესახებ, რომლებიც იწვევენ კონსტიტუციაში ცვლილებებს.¹⁷ მაგალითისათვის ასევე, შეიძლება მოვიტანოთ „ხელშეკრულება ევროპის კავშირის შესახებ“, ე.წ. მასტრიხტის ხელშეკრულება, რომლის საბოლოო ტექსტის ხელმოწერა დასრულდა 1992 წლის 7 თებერვალს და ამის შემდეგ დაიწყო ნევრი სახელმწიფოების პარლამენტებში მისი რატიფიცირების პროცესი. როგორც იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, ალბათ, არც ერთ სხვა დამფუძნებელ ხელშეკრულებას არ შეხვედრია ისეთი სერიოზული სიძნელეები რატიფიცირების ეტაპზე, როგორც ამ ხელშეკრულებას. საქმე ისაა, რომ მასტრიხტის ხელშეკრულება კიდევ უფრო აძლიერებდა ევროკავშირის ფედერალურ სანყისებს ნევრი სახელმწიფოების სუვერენული პრეროგატივების დათმობის ხარჯზე.¹⁸ აქედან გამომდინარე, აქტუალური გახდა ამ ხელშეკრულების ნაციონალურ კონსტიტუციებთან შესაბამისობის საკითხი. მაგალითად, საფრანგეთში, სადაც საერთაშორისო ხელშეკრულებების მხოლოდ წინასწარი საკონსტიტუციო კონტროლი მოქმედებს, ქვეყნის პრეზიდენტმა კითხვით მიმართა საკონსტიტუციო საბჭოს, მასტრიხტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საერთაშორისო ვალდებულებების კონსტიტუციურობის, მათი ძალაში შესვლისა და კონსტიტუციის გადასინჯვის შესაძლო აუცილებლობის შესახებ. საკონსტიტუციო საბჭომ მასტრიხტის ხელშეკრულება არაკონსტიტუციურად ცნო საფრანგეთის კონსტიტუციის რამდენიმე მუხლთან მიმართებით. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, საფრანგეთის პარლამენტის კონგრესმა ცვლილებები შეიტანა კონსტიტუციაში, უფრო სწორედ, დაამატა ახალი თავი, რომელიც ევროკავშირს ეხებოდა. ამასთან, საფრანგეთის პრეზიდენტმა რეფერენდუმზე გაიტანა საკითხი, რომელზეც საფრანგეთის მოქალაქეებს უნდა გამოეხატათ თავიანთი დამოკიდებულება კანონისადმი, რომელიც ამ ხელშეკრულების რატიფიცირების ნებას რთავდა ქვეყნის პრეზიდენტს. რეფერენდუმის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს ხელშეკრულების რატიფიცირებას. ამის შემდეგ, პარლამენტის დეპუტატთა ჯგუფმა კითხვით მიმართა საკონსტიტუციო საბჭოს, თუ რამდენად შეესაბამებოდა მასტრიხტის ხელშეკრულება კონსტიტუციის შეცვლილ დებულებებს და რამდენად კონსტიტუციური იყო რეფერენდუმზე მოწონებული კანონი. საკონსტიტუციო საბჭომ ამჯერად, კონსტიტუციის შესაბამისად ცნო მასტრიხტის ხელშეკრულება, ხოლო სარეფერენდუმო კანონის კონსტიტუციურობის შესახებ დეპუტატთა შეკითხვა განსახილველად არ მიიღო იმ მოტივით, რომ მას არ გააჩნდა უფლებამოსილება შეემოწმებინა

რეფერენდუმზე მონონებული აქტების კონსტიტუციურობა.¹⁹ საფრანგეთის მსგავსად, წინასწარი საკონსტიტუციო კონტროლის გზით გადაჭრეს ანალოგიური პრობლემა ესპანეთმა და გერმანიამ.²⁰

როგორც ვხედავთ, წინასწარი საკონსტიტუციო კონტროლი უაღრესად ეფექტიანი საშუალებაა, რომლის მეოხებით შესაძლებელი ხდება, საერთაშორისო ხელშეკრულებების სახელმწიფოს მიერ სავალდებულოდ აღიარებამდე, მათი კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხის გარკვევა და სათანადო ზომების მიღება. ეს კი, საშუალებას იძლევა ავირიდოთ მოსალოდნელი წინააღმდეგობა ძალაში შესული, კონსტიტუციის შეუსაბამო საერთაშორისო ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებისა და კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპებს შორის.

ამ პრინციპების დაპირისპირების კონკრეტული ფაქტების გამოვლენისას, საკითხის გადანაცვების სრულიად განსხვავებული წესი მოქმედებს იმ ქვეყნებში, სადაც საერთაშორისო ხელშეკრულებებს ნაციონალურ კანონმდებლობასთან და მათ შორის, ძირითად კანონთან შედარებით უპირატესი იურიდიული ძალა გააჩნიათ. მაგალითად, ნიდერლანდების კონსტიტუციაში პირდაპირ არის მითითებული, რომ „საერთაშორისო ხელშეკრულების ნებისმიერი დებულება, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, მიიღება გენერალური შტატების დეპუტატთა არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით“ (91-ე მუხლის მე-3 პუნქტი).²¹ ამის გამო ნიდერლანდებში სასამართლო ვალდებულია, საერთაშორისო ხელშეკრულებასა და კონსტიტუციას შორის კოლიზიის შემთხვევაში, გამოიყენოს საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმები.²² პორტუგალიის კონსტიტუციის (279-ე მუხლის მე-4 პუნქტი) თანახმად კი, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ, ამ საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რესპუბლიკის ასამბლეა დაამტკიცებს მას ქვეყნის კონსტიტუციის გადასინჯვისათვის საჭირო კვორუმით. ჩვენი აზრით, ასეთი წესი კონსტიტუციის უზენაესობისა და ნორმატიული აქტების იერარქიულობის იდეის დისკრედიტაციას ახდენს და აკნინებს საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის მნიშვნელობას კონსტიტუციური კანონიერების უზრუნველყოფაში.

წინასწარი საკონსტიტუციო კონტროლისაგან განსხვავებით, საერთაშორისო ხელშეკრულებების შემდგომი საკონსტიტუციო კონტროლისას გაცილებით ფართოა საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილ სუბიექტთა წრე. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოში საერთაშორისო ხელშეკრულებათა ან მათ ცალკეულ დებულებათა კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს (38-ე მუხლის პირველი პუნქტი).

საერთაშორისო ხელშეკრულების შემდგომი საკონსტიტუციო კონტროლის დროს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადია საქართველოს მოქმედი, ე.ი. უკვე ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულება. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა გზით (რატიფიცირებით, პრეზიდენტის აქტით) არის საერთაშორისო ხელშეკრულება ძალაში შესული. მთავარია, იგი იყოს მოქმედი, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი გახდეს. თუმცა, საერთაშორისო ხელშეკრულების ძალაში შესვლის ხერხის გათვალისწინებით, კანონმდებელი განსხვავე-

ბულ წესებს ადგენს კონსტიტუციური სარჩელის შეტანის დროს. სახელდობრ, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, თუ საერთაშორისო ხელშეკრულება არ ექვემდებარებოდა რატიფიცირებას და იგი სხვა (არასაპარლამენტო) გზით არის ძალაში შესული, მაშინ ზემოაღნიშნულ სუბიექტებს, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, უფლება აქვთ, სარჩელით მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს ამ საერთაშორისო ხელშეკრულების (ან მის ცალკეულ დებულებათა) კონსტიტუციურობის თაობაზე (38-ე მუხლის 2¹ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი). მაგრამ, თუ საერთაშორისო ხელშეკრულება რატიფიცირებულია, ე.ი. პარლამენტის აქტით არის ძალაში შესული, მაშინ კონსტიტუციური სარჩელის შეტანა შეიძლება რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულების დენონსირებაზე ან გაუქმებაზე საქართველოს პარლამენტის მიერ უარის თქმიდან 30 დღის ვადაში, ხოლო თუ პარლამენტმა 30 დღეში არ გადაწყვიტა ეს საკითხი, მაშინ კონსტიტუციური სარჩელის შეტანა შეიძლება პარლამენტის წინაშე საერთაშორისო ხელშეკრულების დენონსირების ან გაუქმების საკითხის დასმიდან არა უადრეს 31-ე და არა უგვიანეს მე-60 დღისა (38-ე მუხლის 2¹ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები). ამრიგად, რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის შემოწმება საკონსტიტუციო სასამართლოს მეოხებით ყოველთვის არ არის შესაძლებელი. იგი განსაზღვრულ წინაპირობებს გულისხმობს და გარკვეული დროით არის შემოფარგლული.

ზემოაღნიშნული რეგულაციების არსი მაინც ისაა, რომ თუ საერთაშორისო ხელშეკრულების ძალაში შესვლის საკითხი პარლამენტმა გადაწყვიტა (რატიფიცირებით), მაშინ მისი არაკონსტიტუციურად ცნობა პარლამენტის გვერდის ავლით კი არ უნდა მოხდეს, არამედ თავდაპირველად მის წინაშე უნდა აღიძრას საკითხი საერთაშორისო ხელშეკრულებასა და კონსტიტუციას შორის გამოვლენილი კოლიზიის დასაძლევად. მაგრამ, თუ პარლამენტი უარს აცხადებს არაკონსტიტუციური საერთაშორისო ხელშეკრულების საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანაზე ან საერთოდ არ იღებს გადაწყვეტილებას ამ საკითხზე, მაშინ მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი, და ისიც გარკვეულ ვადაში, უფლებამოსილმა სუბიექტმა სარჩელით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. ვადების დაწესება ამ შემთხვევაში, მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებების კეთილსინდისიერად შესრულებისა და საერთაშორისო ურთიერთობათა სტაბილურობის შენარჩუნების ინტერესებითაა ნაკარნახევი. ორგანულ კანონში ღიად არის დატოვებული საკითხი, თუ ვის აქვს უფლება საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანამდე, საქართველოს პარლამენტში დააყენოს საკითხი რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულების (ან მისი ცალკეული დებულების) დენონსირების ან გაუქმების შესახებ. ამის თაობაზე კ. კორკელია გამოთქვამს ვარაუდს, რომ „პარლამენტში წინადადების წარმდგენი სუბიექტები და საკონსტიტუციო სასამართლოში საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციური სარჩელის წარმდგენი სუბიექტები ერთმანეთს ემთხვევა.“²³ თუ ამ ვარაუდს გავიზიარებთ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ეს სუბიექტებია: საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს მთავრობა და საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედი. მართალია, ეს მსჯელობა ლოგიკურია, თუმცა ასეთი ვარაუდის საფუძველს არ იძლევა „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონი, რომლის თანახმად, წინადადებას რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულების შეწყვეტის ან შეჩერების თაობაზე პარლამენტს წარუდგენს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტი (35-ე მუხლის მე-4 პუნქტი). გამოდის, რომ

თუ საქართველოს პრეზიდენტმა არ გამოიჩინა ინიციატივა და პარლამენტს არ წარუდგინა ეს წინადადება, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ორ სუბიექტს – საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს არ ექნებათ შესაძლებლობა, განახორციელონ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის კანონით მათთვის მინიჭებული უფლება.

ჩვენი აზრით, საჭიროა სათანადო ცვლილების შეტანა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონში (38-ე მუხლის 2¹ პუნქტი) და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონში (35-ე მუხლის მე-4 პუნქტი), რათა რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ზემოაღნიშნულ სუბიექტებს მიეცეს ამ უფლებამოსილების განხორციელების რეალური შესაძლებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობით მკაფიოდ არის განსაზღვრული საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, განიხილოს საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის საკითხი როგორც მათი საქართველოსათვის სავალდებულოდ აღიარებამდე, ისე ძალაში შესვლის შემდეგ, ზოგიერთი ავტორის აზრით, გაურკვეველია, შეუძლია თუ არა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, განიხილოს საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხი იმ პერიოდში, როდესაც საქართველომ გამოხატა თანხმობა საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარების შესახებ, მაგრამ ხელშეკრულება ძალაში არ არის შესული საქართველოსთვის (მაგალითად, იმის გამო, რომ არ არის გასული ხელშეკრულების ძალაში შესვლისათვის საჭირო ვადა და სხვ.).²⁴ ჩვენი აზრით, აქ გაურკვევლობასთან არ უნდა გვქონდეს საქმე, რადგანაც „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (38-ე მუხლის 2¹ პუნქტი) გარკვევით არის მითითებული, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შემდგომი (რეპრესიული) კონტროლის საგანი შეიძლება იყოს საქართველოს მხოლოდ მოქმედი, ე.ი. ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულება. თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოსთვის სავალდებულოდ არის აღიარებული, მაგრამ მისი ამოქმედება დაკავშირებულია რაიმე ფაქტის დადგომასთან, მაგალითად, რომელიმე თარიღთან, სხვა სახელმწიფოს მიერ ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებასთან და ა.შ., მაშინ ეს საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოსთვის მოქმედი გახდება ამ ფაქტის დადგომის შემდეგ და შესაბამისად, იგი მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მოექცეს საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადობის სფეროში. დროის ზემოაღნიშნულ მონაკვეთში, საერთაშორისო ხელშეკრულება ვერც საკონსტიტუციო სასამართლოს წინასწარ კონტროლს დაექვემდებარება, რადგანაც წინასწარი კონტროლის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ სარატიფიკაციო საერთაშორისო ხელშეკრულება მის რატიფიცირებამდე. სარატიფიკაციო საერთაშორისო ხელშეკრულებებთან მიმართებაში ასეთი კაზუსი კი, შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ ამ საერთაშორისო ხელშეკრულების საქართველოსათვის სავალდებულოდ აღიარების, ე.ი. რატიფიცირების შემდეგ. ამიტომ ასეთი საერთაშორისო ხელშეკრულება შეიძლება მხოლოდ შემდგომ საკონსტიტუციო კონტროლს დაექვემდებაროს ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მისი ამოქმედებისათვის აუცილებელი ფაქტის დადგომის შემდეგ.

საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის შემონახვა შესაძლებელია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა უფლებამოსილების ფარგლებშიც. ჩვენ ამ საკითხს ნაწილობრივ შევხებით კომპეტენციურ დავებთან დაკავშირებით, კერძოდ, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს სახელმწიფო ორგანოებს შორის დავას, თუ რომელი მათგანის კომპეტენციას მიეკუთვნება კონკრეტული საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარების საკითხის გადაწყვეტა.

საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის შემონახვა აგრეთვე, შესაძლებელია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმათა კონკრეტული კონტროლისა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის უფლებამოსილებების განხორციელების ფარგლებში.

ნორმათა კონკრეტული კონტროლის დროს, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, „თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას, მთლიანად ან ნაწილობრივ მიჩნეულ იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის განხილვა განახლდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ“ (მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი). რასაკვირველია, კანონის ამ ნორმაში მითითებულ ნორმატიულ აქტებში მოიაზრება საერთაშორისო ხელშეკრულებებიც, რადგანაც ისინი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და სასამართლოს მიერ მათი გამოყენება სავსებით შესაძლებელია საქმის გადაწყვეტისას.²⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია პრაქტიკა, როდესაც საერთო სასამართლოს წარდგინების საფუძველზე, განხილულ იქნა საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხი.²⁶

იგივე შეიძლება ითქვას საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებაზე, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვასთან. აქ საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადია ნორმატიული აქტები, რომლებიც მიღებულია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით. რა თქმა უნდა, ნორმატიულ აქტებში, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებთან ერთად, აგრეთვე, იგულისხმება მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც სავალდებულოდ არის აღიარებული საქართველოსთვის და უშუალოდ ეხება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებს ე.ი. ადამიანის უფლებებს და ძირითად თავისუფლებებს. აქედან გამომდინარე, თუ საერთაშორისო ხელშეკრულება (ან მისი ნაწილი) არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს, ფიზიკური და იურიდიული პირების, აგრეთვე, სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია არაკონსტიტუციურად ცნოს სადავო საერთაშორისო ხელშეკრულება (ან მისი ნაწილი).

ამრიგად, საბოლოო ანგარიშში, საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის საკითხის განხილვა და გადაწყვეტა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შესაძლებელია საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მესხუთედის, საერთო სასამართლოს, სახალხო დამცველის, ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართვის საფუძველზე. ამასთან, ყურადსაღებია, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო

სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების განსხვავებულ იურიდიულ შედეგებს ადგენს იმის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს რომელი უფლებამოსილების ფარგლებში ხდება საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის შემოწმება. როდესაც მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხი განიხილება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სპეციალურად, საამისოდ დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში (ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი), მაშინ სადავო აქტის (ან მისი ცალკეული ნაწილების) არაკონსტიტუციურად ცნობა გამოიწვევს საერთაშორისო ხელშეკრულების (ან მისი ცალკეული ნაწილების) საქართველოსათვის ბათილად ცნობას (ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-5 პუნქტი), ხოლო თუ მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხი განიხილება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონკრეტული კონტროლის ან ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის უფლებამოსილების ფარგლებში (ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი და მე-2 პუნქტი), მაშინ სადავო აქტის (ან მისი ცალკეული ნაწილების) არაკონსტიტუციურობის დადასტურება გამოიწვევს არაკონსტიტუციურად ცნობილი საერთაშორისო ხელშეკრულების (ან მისი ცალკეული ნაწილების) ძალადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან (ორგანული კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტი).

საერთაშორისო ხელშეკრულების ბათილობა ამ აქტის ძალადაკარგულად ცნობას გულისხმობს მისი ამოქმედების მომენტიდან. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ასეთ იურიდიულ შედეგებს საქართველოს კონსტიტუცია არ ითვალისწინებს. ძირითადი კანონის თანახმად, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან (89-ე მუხლის მე-2 პუნქტი). კონსტიტუციით დადგენილი წესიდან ასეთი გადახვევა დაუშვებელია და იგი ძირითადი კანონის მოთხოვნებთან უნდა იქნეს შესაბამისობაში მოყვანილი.

კონსტიტუციური წესრიგი მოითხოვს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის დადგენას ეხება, უნდა იწვევდეს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის, მათ შორის, რა თქმა უნდა, საერთაშორისო ხელშეკრულების, იურიდიული ძალის დაკარგვას მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან. რაც ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ექნება უკუძალა. თუმცა, ამ საქმეში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა მაინც არ იქნება საკმარისი საერთაშორისო ხელშეკრულებების სპეციფიკის გამო. საქმე ისაა, რომ არაკონსტიტუციური საერთაშორისო ხელშეკრულების ბათილად ცნობა ან მისი ძალადაკარგულად გამოცხადება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, ორივე შემთხვევაში ნიშნავს საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტას მისი არაკონსტიტუციურობის გამო. ამ საფუძვლით კი, საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტას ან გაუქმებას არ ითვალისწინებს „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონი (მე-3 მუხლის „ლ“ და „მ“ ქვეპუნქტები). ამის გამო, როგორც მართებულად

აღნიშნავენ იურიდიულ ლიტერატურაში, შეიქმნება ისეთი მდგომარეობა, როდესაც საერთაშორისო ხელშეკრულება სავალდებულოდ დარჩება შესასრულებლად საერთაშორისო დონეზე, ხოლო შიდასახელმწიფოებრივ დონეზე იგი შეწყვეტს მოქმედებას, რაც საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევის ტოლფასია.²⁷

ზემოაღნიშნული კოლიზიის დასაძლევად იურიდიულ ლიტერატურაში გვთავაზობენ, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების არაკონსტიტუციურობის დადგენის შემთხვევაში, ისეთი პრაქტიკის დამკვიდრებას, რომლის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო დაავალებს საქართველოს იმ სახელმწიფო ორგანოს, რომელმაც გამოხატა თანხმობა საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარების შესახებ, განახორციელოს შესაბამისი პროცედურები საერთაშორისო ხელშეკრულების დენონსირების მიზნით.²⁸

ჩვენი აზრით, საერთაშორისო ხელშეკრულების დადებისა და მისი მოქმედების შეწყვეტის სპეციფიკიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაში, უმჯობესი იქნება გამოვიყენოთ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ნორმა, რომლის თანახმად, „არაკონსტიტუციურად ცნობილი სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი იურიდიულ ძალას კარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, თუ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი“. ამის შესაბამისად, მიზანშეწონილი იქნება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულმა კანონმა დაადგინოს გონივრული ვადა, რომლის გასვლის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი საერთაშორისო ხელშეკრულება (ან მისი ნაწილი) დაკარგავს იურიდიულ ძალას. ამ ვადაში სახელმწიფო ორგანოებს მიეცემა შესაძლებლობა, განახორციელონ შესაბამისი პროცედურები საერთაშორისო ხელშეკრულების დენონსირების მიზნით. ამასთან, საჭირო გახდება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის ზემოაღნიშნული დებულება გათვალისწინებული იქნეს საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის მე-2 პუნქტში, რათა თავიდან ავიცილოთ ორგანულ კანონსა და ძირითად კანონს შორის შეუსაბამობა.

შენიშვნები:

- ¹ იხ.: საქართველოს კონსტიტუცია, კანონმდებლობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ, ბათუმი, 2011 წ., გვ. 86-130.
- ² „საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ“ ვენის 1969 წლის 23 მაისის საერთაშორისო კონვენცია (მე-2 მუხლი) – იხ.: „საერთაშორისო სამართალი და ურთიერთობები“, საქართველოს კანონებისა და საერთაშორისო კონვენციების კრებული, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2008 წ., გვ. 90-120.
- ³ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონი (მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი) – იხ.: „საერთაშორისო სამართალი და ურთიერთობები“, საქართველოს კანონებისა და საერთაშორისო კონვენციების კრებული, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2008 წ., გვ. 24-42.
- ⁴ აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ნიშნის მიხედვით ხდება საერთაშორისო ხელშეკრულებების გამიჯვნა სახელმწიფოებს შორის დადებული პოლიტიკური შეთანხმებებისაგან და ისეთი ხელშეკრულებებისაგან, რომლებიც წესრიგდება ერთ-ერთი ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმებით. იხ.: კონსტანტინე კორკელია, საერთაშორისო ხელშეკრულება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1998 წ., გვ. 20-33.
- ⁵ იხ.: ლევან ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, „ინოვაცია“, თბილისი, 2010 წ., გვ. 91-92; კონსტანტინე კორკელია, საერთაშორისო ხელშეკრულება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1998 წ., გვ. 45-48.
- ⁶ იხ.: „საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ“ ვენის 1969 წლის კონვენციის მე-V ნაწილი, კარი II.
- ⁷ იხ.: კონსტანტინე კორკელია, მით. ნაშრომი, გვ. 156.
- ⁸ იქვე, გვ. 157.
- ⁹ ამ საკითხზე იხ.: პიტერ მალანჩუკი, აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. მეშვიდე შესწორებული გამოცემა, „დიოგენე“, 2005 წ., გვ. 20-21, 80-81; И.И. Лукашук. Конституция России и международное право. В кн.: Общеизвестные принципы и нормы международного права, международные договоры в практике конституционного правосудия. М.: Международные отношения, 2004, с. 45.
- ¹⁰ იხ.: გიორგი კახიანი, საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში, თეორია და კანონმდებლობის ანალიზი, „მერიდიანი“, თბილისი, 2011 წ., გვ. 193.
- ¹¹ იხ.: კონსტანტინე კორკელია, მით. ნაშრომი, გვ. 226-228.
- ¹² კონსტანტინე კორკელია, მით. ნაშრომი, გვ. 237-238.
- ¹³ ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის შემოწმების უფლებამოსილებით ყველა ქვეყნის საკონსტიტუციო კონტროლის ორგანო როდია აღჭურვილი. მაგალითად, ასეთი უფლებამოსილება არ გააჩნია აშშ-ის უმაღლეს სასამართლოსა და თურქეთის საკონსტიტუციო სასამართლოს. თურქეთის კონსტიტუციის 90-ე მუხლში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ დაუშვებელია საერთაშორისო შეთანხმებათა გასაჩივრება საკონსტიტუციო სასამართლოში მათი არაკონსტიტუციურობის საფუძვლით (იხ.: საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები,

რედაქტორი ვასილ გონაშვილი, ნაწილი III, თბილისი, 2006 წ., გვ. 337).
უმეტეს ქვეყნებში (ავსტრია, ალბანეთი, ანდორა, ბულგარეთი, უნგრეთი, გერმანია, საბერძნეთი, ესპანეთი, სლოვენია, რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ესტონეთი და სხვ.) საერთაშორისო ხელშეკრულებები ექვემდებარებიან საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლს. თუმცა, აზერბაიჯანში, საფრანგეთში, სომხეთში, რუსეთში, ესტონეთში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში იგი ხორციელდება მხოლოდ წინასწარი კონტროლის ფორმით. ამასთან, სომხეთში ასეთი კონტროლი სავალდებულო სარატიფიკაციო საერთაშორისო ხელშეკრულებების მიმართ (იხ.: Н.В. Витрук. Конституционное правосудие. «Юрист», М., 2005 г., с. 265-266; М.А. Митюков. Конституционные суды на постсоветском пространстве. М., 1999 г., с. 78).

¹⁴ იხ.: კონსტანტინე კორკელია, მით. ნაშრომი, გვ. 240-241.

¹⁵ იხ.: კონსტანტინე კორკელია, მით. ნაშრომი, გვ. 228-229.

¹⁶ იხ.: Р. Арнольд. Международное право в немецком правовом порядке. В сб.: *Общепризнанные принципы и нормы международного права, международные договоры в практике конституционного правосудия. “Международные отношения”*, М., 2004 г., с. 199.

¹⁷ იხ.: А. Адамович. Выполнение международно-правовых обязательств. Дилеммы для национального конституционного права. Конституционное правосудие. Вестник Конференции органов конституционного контроля стран молодой демократии. Выпуск 2 (12) 2001, Ереван, с. 142-144.

¹⁸ იხ.: ლევან ალექსიძე, მით. ნაშრომი, გვ. 132; Конституция Европейского Союза: Договор, устанавливающий конституцию для Европы (с комментарием), “Инфра - М., М., 2005 г., с. 9; Б.Н.Топорнин. Европейское право. “Юрист”, М., 1998 г., с. 142-148.

¹⁹ იხ.: Д.В. Даниленко. Конституционный контроль международных обязательств и пересмотр конституции во Франции. В сб.: *Общепризнанные принципы и нормы международного права, международные договоры в практике конституционного правосудия. “Международные отношения”*, М., 2004 г., с. 302-303.

²⁰ იხ.: Д.В. Даниленко. Указ. соч., с. 304; Б.Н. Топорнин. Указ. соч., с. 143.

²¹ იხ.: Конституции государств Европейского Союза. Под. ред. Л.А.Окунькова, “Норма-Инфра”, М., 1999 г., с. 491.

²² იხ.: კონსტანტინე კორკელია, მით. ნაშრომი, გვ. 203.

²³ იხ.: კონსტანტინე კორკელია, მით. ნაშრომი, გვ. 231.

²⁴ იხ.: კონსტანტინე კორკელია, მით. ნაშრომი, გვ. 233.

²⁵ საგულისხმოა, რომ საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკაში შეინიშნება საერთაშორისო აქტების მზარდი გამოყენების ტენდენცია (იხ.: კონსტანტინე კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბილისი, 2004 წ., გვ. 126).

²⁶ იხ.: ქალაქ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება, კრებულში: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებები, 2002, თბილისი, 2003 წ., გვ. 39-47.

²⁷ იხ.: კონსტანტინე კორკელია, მით. ნაშრომი, გვ. 236.

²⁸ იხ.: კონსტანტინე კორკელია, მით. ნაშრომი, გვ. 236.

CONSTITUTIONAL COURT CONTROL OVER THE INTERNATIONAL AGREEMENTS OF GEORGIA

JONI KHETSURIANI

Doctor of Law, Professor

Member of the National Academy of Sciences of Georgia

The international Agreement, as the composing part of the system of normative acts of Georgia and the Internal State Law is subjected to control from the part of the Constitutional Court. This type of control aims to ensure the compliance of the international agreements with the basic laws of Georgia and ensure the rule of constitution in the final end.

The Constitution of Georgia and the Organic Law of Georgia on the Constitutional Court of Georgia authorizes the Constitutional Court of Georgia to undertake control over the legitimacy of international agreements. This kind of authority assigned to the Constitutional Court envisages the constitutional control over the norms, but it is presented separately in the form of independent authority, since its implementation is related with numerous particularities common to the specific nature of international agreements.

The jurisdiction of the Constitutional Court of Georgia applies to international (interstate, intergovernmental, interagency) agreements of all types. The Constitutional Court of Georgia undertakes the preliminary (preventive), as well as follow-up (repressive) control over the international agreements. This is the only case, when the Constitution Court of Georgia is authorized to undertake preliminary control and only over the international agreements (to be subjected to ratification) before their ratification.

Throughout the follow-up (repressive) constitutional control of the international agreements, the Constitutional Court can only judge the acting international agreement of Georgia.

In case if the Constitutional Court of Georgia finds the international agreements unconstitutional, it is recommended to determined the deadline when the international agreement pleaded unconstitutional will lose the legal force. The State institutions will be given the opportunity to take relevant procedures to denounce the given international agreement in the period before the deadline.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო პროცესში – ძირითადი პოზიციები, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

სიმონ ჩხაიძე

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე

დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო საპროცესო სამართლის ერთ-ერთი საყურადღებო და ამასთან, სადავო ინსტიტუტია.

იმ საკითხების გადაწყვეტას, თუ როდისაა შესაძლებელი ან დაუშვებელი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა და რატომ უნდა გაუქმდეს უკვე გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება – ფრიად პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო სამართალწარმოებაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას ითვალისწინებს ორ შემთხვევაში: სასამართლოს სხდომაზე ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობის და მოპასუხის მიერ სარჩელზე შესაგებლის წარმოუდგენლობისას.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დასაშვებია მხოლოდ 1-ლი და მე-2 ინსტანციების სასამართლოებში, საკასაციო სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა არ შეიძლება.

მოცემულ სტატიაში შევეხებით მხოლოდ იმ პრობლემურ საკითხებს, რომლებიც შეეხება 1-ლი ინსტანციის სასამართლოში სასამართლოს სხდომაზე, მხარის გამოუცხადებლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას.

ერთი შეხედვით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის პირობები ნათელია:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე და 230-ე მუხლების თანახმად, 1-ლი ინსტანციის სასამართლოში ერთ-ერთი მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სასამართლო, გამოცხადებული მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.

ე.ი. ნორმიდან გამომდინარეობს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოდის მაშინ, როდესაც: 1. სხდომაზე არ გამოცხადდება ერთ-ერთი მხარე; 2. სასამართლოსათვის არ არის ცნობილი ამ მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზების შესახებ; 3. გამოუცხადებელი მხარე სასამართლოში მონვეული არის კანონით დადგენილი წესით; 4. გამოცხადებული მხარე შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე გამოუცხადებელი მხარის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოსატანად საკმარისია მოპასუხის შუამდგომლობა.

სხდომაზე მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, აუცილებელია, სარჩელში დადასტურებულად ცნობილი გარემოებები იურიდიულად იყოს გამართლებული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სხდომაზე გამოუცხადებლად ასევე ითვლება, პირი, რომელიც თვითნებურად მიატოვებს სხდომას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის ნეგატიური დეფინიცია, თითქოს, უფრო ნათელს ხდის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის პირობებს.

ამ მუხლის მიხედვით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დასაშვებია მაშინ, როდესაც:

1. გამოუცხადებელი მხარე მონვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით;
2. სასამართლოსათვის უცნობია, ადგილი აქვს თუ არა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომლებსაც შეეძლო ხელი შეეშალა მხარის სასამართლოში დროულად გამოცხადებისათვის;
3. გამოუცხადებელ მხარეს დროულად ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები;
4. არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები.

მიუხედავად ამ ნორმის, ერთი შეხედვით, გასაგები დეფინიციისა, დაუსწრებელი გადაწყვეტილების უმრავლესობა უქმდება იმავე ან ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ სწორედ იმ მოტივით, რომ მათი გამოტანისას დარღვეულ იქნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის მოთხოვნები.

ეს კი ნიშნავს, რომ, სინამდვილეში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი საკმაოდ რთულია.

ამიტომ, უპრიანია, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და გამოტანის დაუშვებლობის თითოეული პირობა შეფასებულ და გაანალიზებულ იქნას ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე არსებული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, კონკრეტული მაგალითების მოშველიებით.

როგორც აღინიშნა, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ყველაზე გავრცელებული საფუძველია სასამართლოს სხდომაზე ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობა.

საყურადღებოა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თავდაპირველი რედაქციით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დასაშვებია იყო სასამართლოს, მხოლოდ, მთავარ და არა მოსამზადებელ სხდომაზე, თუმცა, 2010 წლის 15 დეკემბრის კანონით ეს რეგულაცია შეიცვალა;

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოქმედი რედაქციით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დასაშვებია, ზოგადად, სასამართლოს სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში. ეს ნიშნავს, რომ სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გამოიტანოს მოსამზადებელ სხდომაზეც.

როგორც აღინიშნა, სასამართლოს სხდომაზე მოსარჩელის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, მხოლოდ, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე.

ეს ნიშნავს, რომ სასამართლო არ არის უფლებამოსილი გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება თავისი ინიციატივით.

ასე, მაგალითად, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2006 წლის 7 ივნისის განჩინებაში საქმეზე №ას-1281-1517-05 (სუსგ 2006 №4 გვ. 158) განმარტა, რომ სასამართლო დაუსწრებელ გადაწყვეტილებას გამოიტანს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარე იშუამდგომლებს ასეთი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე.

ამ დროს, სასამართლო მოპასუხის შესაგებელს არ მოისმენს. ე.ი. მოსარჩელის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდება მაშინაც კი, თუ სასამართლოს ჩამოუყალიბდება რწმენა, რომ სარჩელი საფუძვლიანია.

თუ მოპასუხე სასამართლოს წინაშე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას არ იშუამდგომლებს, სასამართლოს შეუძლია სარჩელი დატოვოს განუხილველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო სარჩელის განუხილველად დატოვება სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივითაც, ოღონდ ამისათვის აუცილებელია მოპასუხის თანხმობა.

სწორად, მოპასუხეები სარჩელის განუხილველად დატოვების წინააღმდეგნი არიან. ამის მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში შესვლა მოსარჩელეს ართმევს შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს იმავე სარჩელით, მაშინ, როცა სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში, მოსარჩელეს ეს უფლება უნარჩუნდება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 278-ე მუხლი).

თუ მოპასუხე არ ითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას და წინააღმდეგია სარჩელის განუხილველად დატოვების, სასამართლომ საქმის განხილვა უნდა გადადოს.

საყურადღებოა, რომ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის განმეორებითი გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სასამართლოს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიუხედავად მოპასუხის შუამდგომლობისა.

ეს ნორმები სამოქალაქო საპროცესო კოდექსით აღიარებული დისპოზიციურობის პრინციპის (მუხლი 3) გამოხატულებაა.

ამ პრინციპს სხვაგვარად მხარეთა პროცესუალური ბატონობის პრინციპსაც უწოდებენ.¹

ამ პრინციპის თანახმად, სასამართლოში საქმის წარმოების დაწყებისა და დამთავრების შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ მხარეები.

მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს იგი.

ივარაუდება, რომ მხარეები დაინტერესებულნი არიან სარჩელის განხილვითა და დავის გადაწყვეტით. ამიტომ, როდესაც ერთ-ერთი მათგანი არ ცხადდება სასამართლო სხდომაზე, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ მან დავის მიმართ ინტერესი დაკარგა – არსებითად, უარი თქვა

სარჩელზე ან ცნო სარჩელი რაც გამოიხატა მოქმედებაში – სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობაში.

აღნიშნულის შესახებ, ხშირად მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

მაგალითად, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2004 წლის 23 მარტის განჩინებაში აღნიშნა, რომ „დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას საფუძვლად უდევს ვარაუდი, რომ გამოუცხადებელმა მოპასუხემ დაკარგა ინტერესი სარჩელისადმი და აღიარებს მის წინააღმდეგ მიმართულ მოთხოვნას.“² ასევე, 2010 წლის 31 მაისის განჩინებაში საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „სასამართლოში მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობას კანონმდებელი უკავშირებს მის მიერ საქმის განხილვისადმი ინტერესის დაკარგვის ვარაუდს, რასაც შედეგად მოჰყვება მონინააღმდეგე მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილება.“³

ე.ი. აქედან ჩანს, რომ სასამართლო მხარის გამოუცხადებლობას განიხილავს, როგორც პრეზუმფციას მის მიერ საქმისადმი ინტერესის დაკარგვისა.

ეს პოზიცია უაღრესად საყურადღებოა და პრაქტიკული შედეგების მომტანიც.

საქართველოს კანონმდებლობით, ე.წ. მხარის ინტერესი, არ არის საკმარისი საფუძველი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმის ან უკვე გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისათვის, მაგრამ ამ საკითხის გარკვევა უთუოდ დაეხმარება სასამართლოს მართებული გადაწყვეტილების მიღებაში.

მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებიდან და მისი მოქმედებებიდან უნდა ჩანდეს, რომ მას პროცესის უსაფუძვლოდ გაჭიანურება კი არ სურს, არამედ კეთილსინდისიერად ვერ ახერხებს სხდომაზე გამოცხადებას.

მაგალითად, 2006 წლის 16 იანვრის განჩინებით,⁴ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობა მიიჩნია არასაპატიოდ და გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება კანონიერად, მიუხედავად იმისა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დღეს მხარე იყო ავად და დაწინაურებული ჰქონდა ნოლითი რეჟიმი.

უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ სასამართლო სხდომები მანამდეც არაერთხელ გადაიდო მხარის ავადმყოფობის გამო და ამიტომ, მას საქმე სასამართლოში უნდა ეწარმოებინა წარმომადგენლის მეშვეობით. ამ უფლებამოსილების გამოუყენებლობას კი, მოჰყვა პროცესის უსაფუძვლო გაჭიანურება.

თუმცა, სხვა შემთხვევაში, უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა კასატორის პოზიცია იმის თაობაზე, რომ სხდომაზე მისი დაგვიანება გამონვეული იყო საპატიო მიზეზით და მსჯელობას საფუძვლად დაუდო ის, რომ გამოუცხადებელ მხარეს საქმის განხილვის ინტერესი არ დაუკარგავს.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტის ამგვარი შეფასება გერმანული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარეობს და საქართველოში ე.წ. სამოსამართლო სა-მართლით არის დამკვიდრებული.

თავად კანონის ტექსტიდან ჩანს, რომ კანონმდებელი დაუსწრებელ გადაწყვეტილებას განიხილავს, როგორც სანქციას საპროცესო მოქმედების არასაპატიო მიზეზით არშემსრულებელი მხარის მიმართ.

აღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, განსხვავებით გერმანიის საპროცესო კანონმდებლობიდან, დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივრის შეტანა არ ინვესს ავტომატურად საქმის წარმოების განახლებას და სარჩელის არსებითად განხილვას.

მართლაც, თუ მხარე ასაჩივრებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, ცხადია, მას საქმის მიმართ ინტერესი არ დაუკარგავს.

ე.ი. დაუსწრებელი გადაწყვეტილება მხოლოდ მხარის მიერ საქმისადმი ინტერესის დაკარგვის პრეზუმფია რომ იყოს, საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე ყოველთვის გააქარწყლება ამ დაშვებას.

ამის ნაცვლად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შეზღუდულ და მკაცრ პირობებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის მიხედვით, კანონის დაცვით გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გაუქმდეს, თუ მხარის გამოუცხადებლობა სხდომაზე გამონვეული იყო განსაკუთრებული, საპატიო მიზეზით, რის შესახებაც მას არ შეეძლო სასამართლოსათვის დროულად ეცნობებინა.

ამასთან, საჩივრის ავტორმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს მტკიცებულებები, რომლითაც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზებს დაადასტურებს.

ამავდროულად, კანონი, ნაწილობრივ, იძლევა „საპატიო“ გარემოებათა ჩამონათვალს და ზოგ შემთხვევაში, განსაზღვრავს ამ გარემოებების დამადასტურებელ მტკიცებულებათა რეკვიზიტებსაც კი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

ეს ნიშნავს, რომ კანონი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას უკავშირებს საჩივრის ავტორის კეთილსინდისიერებას: დაუსწრებელი გადაწყვეტილება უქმდება მაშინ, როცა სასამართლო დაადგენს, რომ არ არსებობდა „დასჯილი მხარის“ მიმართ სანქციის გამოყენების საფუძვლები.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ განჩინებაში, გარკვეულწილად, გატარებული აქვს ეს აზრი.

მაგალითად, უზენაესმა სასამართლომ 2003 წლის 30 დეკემბრის განჩინებაში განმარტა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება არის სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებელი მხარის წინააღმდეგ სანქციის პრეზუმფიცია.⁵

სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: მხარის მიერ სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის დამადასტურებელი მტკიცებულებები სასამართლომ უნდა შეამოწმოს მხარისავე კეთილსინდისიერების ქრილში. თუ საქმის მასალებიდან ჩანს, რომ მხარე განზრახ არიდებს თავს სასამართლოში გამოცხადებასა და საპროცესო მოქმედებების შესრულებას, სასამართლომ მეტად კრიტიკულად უნდა შეაფასოს ისინი.

როგორც აღინიშნა, სხდომაზე მოსარჩელის განმეორებით, არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს განუხილველად კი არ დატოვებს, არამედ გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, მიუხედავად იმისა, შუამდგომლობს თუ არა ამას მოპასუხე.

ცხადია, ამ შემთხვევაშიც, არ უნდა არსებობდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს სხდომაზე მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დამტკიცებულად ითვლება სარჩელში მითითებული გარემოებები და სასამართლო უფლებამოსილია, მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საყურადღებოა, რომ მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

ეს ნიშნავს, რომ სარჩელი საფუძვლიანიც უნდა იყოს და დასაბუთებულიც.

სარჩელის საფუძვლიანობაში იგულისხმება ის, თუ რამდენად აქვს მოსარჩელის მოთხოვნას კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველი, ხოლო დასაბუთებულობაში ის – თუ რამდენად ამართლებს დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები მოსარჩელის მოთხოვნას.

თუ სარჩელი უსაფუძვლო ან დაუსაბუთებელია, მაშინ „სასამართლომ უნდა გამოიტანოს არა დაუსწრებელი, არამედ ჩვეულებრივი გადაწყვეტილება, რომლითაც უარი უნდა ეთქვას სხდომაზე გამოცხადებულ მოსარჩელეს სარჩელზე.“⁶

საყურადღებოა, რომ ნორმის მიხედვით, მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დამტკიცებულად ითვლება სარჩელში და არა მოსარჩელის ახსნა განმარტებაში მითითებული გარემოებები.

იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე ახსნა განმარტებაში უთითებს ახალ, არსებით გარემოებას, რომლის შესახებაც არ იყო მითითებული სარჩელში და რომელიც შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია.

ამ დროს იგულისხმება, რომ მოპასუხეს არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი). ასე, მაგალითად, 2009 წლის 3 დეკემბრის განჩინებაში, საქმეზე №ას 440-754-09 საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ რადგან მხარემ არ იცოდა მონინაალმდეგე მხარის მიერ მოთხოვნის დაზუსტების თაობაზე, იგი არ იყო ინფორმირებული საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ.⁷

როგორც აღინიშნა, მოპასუხის გამოუცხადებლობისას, სასამართლო დაუსწრებელ გადაწყვეტილებას გამოიტანს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაადგენს, რომ სარჩელი საფუძვლიანი და დასაბუთებულია.

ეს ნიშნავს, რომ სასამართლო უაპელაციოდ, შეუფასებლად კი არ იზიარებს მოსარჩელის პოზიციას, არამედ აფასებს სარჩელს და გამოაქვს გონივრული, ლოგიკური დასკვნა სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

ამ თვალსაზრისით, პირველ ყოვლისა, შესაფასებელი არის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლიანობა.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ უკვე მოხსენებულ 2003 წლის 30 დეკემბრის განჩინებაში განმარტა, რომ „იურიდიულად გამართლებულია თუ არა მოთხოვნა აღნიშნული ნორმის დანაწესის შესაბამისად, უნდა შემოწმდეს იმის მიხედვით, არის თუ არა იგი კანონიერი, შეიძლება თუ არა სასამართლოში ასეთი მოთხოვნა წარდგენილ იქნეს და იგი დაკმაყოფილდეს კანონმდებლობის შესაბამისად.“⁸

მაგალითად, თუ გამოხატვის თავისუფლების შესახებ დავაში მოსარჩელე ითხოვს მოპასუხისათვის ბოდიშის მოხდის დაკისრებას, ასეთი მოთხოვნა იურიდიულად უსაფუძვლო იქნება, იმიტომ, რომ საქართველოს კანონის „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია მოპასუხის იძულება მოიხადოს ბოდიში. ასევე, მაგალითად, არ ექნება იურიდიული საფუძველი მოსარჩელის მოთხოვნას მოპასუხისათვის სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევის გამო, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე და ა.შ.

ნებისმიერ შემთხვევაში, მოსარჩელის სასარგებლოდ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას, პირველ ყოვლისა, სასამართლომ უნდა გაარკვიოს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი.

ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ სასამართლო, ძირითადად, შეზღუდული არ არის სარჩელში მითითებული სამართლებრივი, უფრო ზუსტად კი, ნორმატიული (და არა ფაქტობრივი) საფუძვლებით.

როგორც ჰაინ ბოელინგი და ლადო ქანტურია აღნიშნავენ „ქართული საპროცესო სამართალიც იცნობს მხარეებსა და მოსამართლეს შორის არსებულ ურთიერთობაზე რომის სამართალში მოქმედ პრინციპს: "da mihi facta, dabo tibi ius" – მომეცი ფაქტები, მოგცემ უფლებას.“⁹

ე.ი. მხარე შეიძლება ცდებოდეს ფაქტობრივად არსებული ურთიერთობებისათვის სამართლის ნორმის შეფარდებაში და სასამართლო ვალდებულია თავად „გამონახოს“ ამ ურთიერთობათა მარეგულირებელი ნორმა.

ოლონდ, როგორც აღინიშნა, სასამართლოს არა აქვს უფლება თავად „ეძიოს“ და შეცვალოს სარჩელში მითითებული ფაქტები და მოთხოვნის საფუძვლები, ყოველ შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ეტაპზე.

ამ თვალსაზრისით, ფრიად მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართალწარმოებაში ფაქტისა და სამართლებრივი ურთიერთობის გამიჯვნის პრობლემა.

ხშირად, მხარეები სარჩელის აღძვრისას შემოიფარგლებიან ძირითადი, სადავო საკითხის სამართლებრივი შეფასებით და არ უთითებენ ფაქტებს, რომლებზეც ეყრდნობა მათი მოთხოვნა.

მაგალითად, მოსარჩელე აცხადებს, რომ მოპასუხემ ვალდებულების შეუსრულებლობით მიაყენა ზიანი და ითხოვს მის ანაზღაურებას.

მოცემული მსჯელობა საერთოდ არ შეიცავს ფაქტებს. ამიტომ, ამ მსჯელობის საფუძველზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია.

სამართლებრივი თვალსაზრისით, „ფაქტობრივი გარემოებები“ არის ის, რაც ფაქტობრივად მოხდა ან უნდა მოხდეს და რასაც შეიძლება მიეცეს სამართლებრივი მნიშვნელობა.

ზემოსხენებულ მაგალითში, „ფაქტობრივი გარემოებები“ მითითებული იქნებოდა, თუ მოსარჩელე განმარტავდა – კონკრეტულად, რა ვალდებულება არ შეასრულა მოპასუხემ; რა ქონებრივი თუ არაქონებრივი დანაკლისი განიცადა მოსარჩელემ მოპასუხის ქმედებით და ა.შ. საზოგადოდ, აღსანიშნავია, რომ „ზიანი“ არა ფაქტობრივი, არამედ – სამართლებრივი კატეგორიაა და თუ რა უნდა ჩაითვალოს ზიანად, ეს უნდა შეაფასოს სასამართლომ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე.

ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 18 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-834-1462-03. ამ საქმეში მოსარჩელე აცხადებდა, რომ მოპასუხეს ჰქონდა მისი ვალი, 35 ლარი და 70 თეთრი, რომლის დაუბრუნებლობით განიცადა ზიანი და ითხოვდა მოპასუხისათვის 1321 ლარის გადახდის დაკისრებას. სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი დააკმაყოფილა. საკასაციო პალატამ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გააუქმა და მიუთითა, რომ „დადგენილად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები უნდა უკავშირდებოდეს დამდგარ იურიდიულ შედეგს. ის, რომ მოპასუხეს ჰქონდა ვალი 35 და 70 თეთრი, იურიდიულად უნდა ამართლებდეს მოპასუხეზე 1321 ლარის დაკისრებას... სარჩელში არ არის მითითებული იმ გარემოებებზე, რომლებიდანაც ირკვევა, რომ მოპასუხეს შეეძლო განეცადა უსაზღვროდ დიდი ზიანი და მათი დამტკიცებულად ცნობის შემთხვევაში, შესაძლო იყო მოპასუხეზე მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხის დაკისრება.“¹⁰

ამავდროულად, მნიშვნელოვანია, რომ ზოგჯერ, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები არ შეიძლება ჩაითვალოს დადასტურებულად სასამართლოს სხდომაზე მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევაშიც კი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სამოქალაქო სამართალწარმოებისას მტკიცებულებად შეიძლება გამოყენებულ იქნას: მხარეთა ახსნა განმარტებები, მოწმეთა ჩვენები, ფაქტების კონსტატაციის მასალები, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებები და ექსპერტთა დასკვნები.

არსებითად, სარჩელი ეს არის წერილობითი სახით ჩამოყალიბებული მოსარჩელის ახსნა - განმარტება. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ერთადერთ მტკიცებულებად მიიჩნევა ეს ახსნა განმარტება და რადგან სასამართლო არ იღებს და აფასებს საწინააღმდეგო მტკიცებულებებს, მოსარჩელის პოზიცია დადასტურებულია.

თუმცა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს, რომ საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

ეს ნიშნავს, რომ კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევაში, მოსარჩელის ოპონენტად გამოდის არა მოპასუხე, არამედ – კანონი. მართლაც, რაც უნდა დამაჯერებელი იყოს მოსარჩელის ახსნა განმარტება, იგი ვერანაირად „გადაწონის“ კანონის მოთხოვნას. ამიტომ, კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევაში, მოსარჩელის, თუნდაც წერილობითი ახსნა განმარტება არ არის საკმარისი დაუსწრებელი გადანყვეტილების გამოსატანად, ზოგჯერ, გარდა ამისა, საჭიროა კანონით პირდაპირ განსაზღვრული მტკიცებულების წარდგენაც.

მაგალითად, თუ მოსარჩელე აცხადებს, რომ იგი რეგისტრირებულია უძრავი ნივთის მესაკუთრედ, მან სასამართლოს უნდა წარუდგინოს შესაბამისი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლომ არ უნდა მიიჩნიოს დადასტურებულად აღნიშნული ფაქტი.

ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა ისიც, რომ „საკუთრება“ უფლებაა და არა ფაქტი. ამიტომ, მარტოდენ, მოსარჩელის მითითება, რომ „იგი არის ნივთის მესაკუთრე“ არ შეიძლება ჩაითვალოს ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებად.

ამგვარად, სასამართლო სხდომაზე მოპასუხის გამოუცხადებლობის ან მის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში, ჩვეულებრივ, დამტკიცებულად ითვლება სარჩელში მითითებული ფაქტები და არა მათი, მოსარჩელისეული, სამართლებრივი შეფასებები და სწორედ ეს ფაქტები შეიძლება დაედოს საფუძვლად დაუსწრებელ გადანყვეტილებას.

როგორც აღინიშნა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაუსწრებელი გადანყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ გამოუცხადებელი მხარე სხდომაზე მიწვეული არ ყოფილა კანონით დადგენილი წესით.

ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს მყარად ჩამოყალიბებული პრაქტიკა და იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოიწვიოს სასამართლომ მხარე სხდომაზე, მოცემულ სტატიაში ყურადღებას არ გავამახვილებთ.

მოცემულ შემთხვევაში, პრობლემურია სასამართლოს გზავნილების მხარისათვის ე.წ. საჯარო შეტყობინებით ჩაბარების საკითხი. სასამართლოები ხშირად იყენებენ მხარისათვის პუბლიკაციების ჩაბარების ამ წესს, რის შემდეგაც, ჩვეულებრივ, გამოაქვთ დაუსწრებელი გადანყვეტილება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობი-

ნების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე, ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით; ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით: ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე, ვებგვერდზე განთავსებიდან, გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

ამ ნორმიდან ნათლად ჩანს, რომ „საჯარო შეტყობინება“, თავისთავად, იურიდიულ ფიქციას ემყარება – უდავოა, რომ ამ დროს სასამართლოს პუბლიკაციები, პირადად, მხარეს არ ჰბარდება, მაგრამ მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, იგულისხმება, რომ მხარემ ისინი ჩაიბარა; ამაზე მეტყველებს თავად ნორმის შინაარსიც, რომლის მიხედვითაც უწყება ჩაბარებულად „ითვლება“.

ამავდროულად, ცხადია, არც იმის გონივრული ვარაუდი არსებობს, რომ პირები, რომელთა მიმართაც ხორციელდება საჯარო შეტყობინება, ამ შეტყობინებებს გაეცნობიან; ამას უტყუარად მონიშნავს სასამართლოს პრაქტიკაც.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

იმ შემთხვევაში, როცა პირი, უშუალოდ არ არის ინფორმირებული მის წინააღმდეგ მიმართული სასამართლო პროცესის თაობაზე, მას, ცხადია, ეზღუდება შესაძლებლობა თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

სწორედ ამის გამო, ჩვენი აზრით, სასამართლომ ძალიან ფრთხილად, ყველა ფორმალური ნების დაცვით და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, უნდა ისარგებლოს საჯარო შეტყობინების პროცესუალური ინსტიტუტით.

სასამართლომ შეტყობინება საჯაროდ უნდა გაავრცელოს, მხოლოდ მაშინ, როცა დარწმუნდება, რომ მოსარჩელემ გამოიყენა მისთვის ხელმისაწვდომი ყველა საშუალება მოპასუხის ზუსტი მისამართის დასადგენად; მას კეთილსინდისიერად შეეძლო მიეჩნია მოპასუხის მისამართად სარჩელში მითითებული მისამართი და მოპასუხისათვის უწყების ჩაბარება სხვაგვარად შეუძლებელი აღმოჩნდა; მაგრამ თუ დადგინდება, რომ მოსარჩელემ არ ამოწურა მისთვის ხელმისაწვდომი ყველა საშუალება მოპასუხის მისამართის დასადგენად ან საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, მას არ შეეძლო მოპასუხის მისამართად კეთილსინდისიერად მიეჩნია სარჩელში მითითებული მისამართი, სასამართლომ შეტყობინება საჯაროდ არ უნდა გაავრცელოს.

როგორც აღინიშნა, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, ასევე, დაუშვებელია, თუ გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა ფაქტობრივი გარემოებები.

ამაში, პირველ ყოვლისა, იგულისხმება ინფორმაცია იმ ფაქტიური გარემოებების შესახებ, რომლებიც წამოყენებულია მხარის წინააღმდეგ მოწინააღმდეგე მხარის მიერ.¹¹ ეს ნიშნავს, რომ მოპასუხეს, აუცილებლად უნდა ჩაჰბარდეს სარჩელი, ხოლო მოსარჩელეს – შესაგებელი და ეს უნდა მოხდეს ისე, რომ მხარეებს ჰქონდეთ საკმარისი დრო სხდომისათვის მოსამზადებლად და სასამართლოში გამოსაცხადებლად; თუმცა, ეს ნორმა არ გულისხმობს, მხოლოდ მხარისათვის მოწინააღმდეგე მხარის პოზიციის შეტყობინების ვალდებულებას.

ასე, მაგალითად, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2006 წლის 9 მარტის განჩინებაში საქმეზე №ას-1264-1504-05 დაუსწრებელი გადაწყვეტილება გააუქმა იმ მოტივით, რომ გამოუცხადებელ მხარეს არ ეცნობა საქმის გადადების თაობაზე მისი შუამდგომლობის განხილვის შედეგი. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სასამართლოს „საკმაო დრო ჰქონდა ემსჯელა აღნიშნულ განცხადებაზე და ეცნობებინა წარმომადგენლისათვის მისი დაკმაყოფილებისა თუ დაუკმაყოფილებლობის შესახებ.“¹² სხვა საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მხარისათვის საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე შუამდგომლობის განხილვის შედეგის შეუტყობინებლობა ასევე, მიიჩნია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელ გარემოებად.¹³

ამგვარად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტში მითითებული „ფაქტობრივი გარემოებები“ მოიცავს მნიშვნელოვანი საპროცესო მოქმედებების თაობაზე ინფორმაციასაც.

გარდა ამისა, საყურადღებოა, უკვე გამოტანილ დაუსწრებელ გადაწყვეტილებებზე საჩივრების განხილვის საკითხიც.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის მიხედვით, გარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებისა, დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს, თუ მხარის გამოუცხადებლობა გამონვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს არაერთხელ განუმარტავს, რომ მხარე, თუ იგი ვერ ცხადდება სხდომაზე, ვალდებულია ამის თაობაზე დროულად აცნობოს სასამართლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლომ, შესაძლოა ძალაში დატოვოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, თუნდაც, მხარეს სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზები ჰქონოდა.

ასე, მაგალითად, 2010 წლის 11 ოქტომბრის განჩინებაში, საქმეზე №ას-601-564-2010 უზენაესმა სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერების ერთ-ერთ მოტივად ისიც მიუთითა, რომ გამოუცხადებელი მხარე ავად გახდა სასამართლო სხდომის წინა დღეს, რაც არ გამორიცხავდა მის მიერ სასამართლოსათვის თავისი ავადმყოფობის შეტყობინების შესაძლებლობას,¹⁴ ხოლო 2012 წლის 23 მარტის განჩინებაში საქმეზე №ას-132-127-2012 საკასაციო პალატამ პირდაპირ განმარტა, რომ ‘როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი, ისე 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, სავალდებულოდ ითვალისწინებს მხარის ობიექტურ შეუძლებლობას ამ მიზეზის თაობაზე წინასწარ აცნობოს სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მხარე ზემოაღნიშნულს ცალსახად არ დაადასტურებს, საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაშიც კი, სასამართლო არაა უფლებამოსილი გააუქმოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.“¹⁵

ამავდროულად, სასამართლომ ლოგიკურად უნდა შეაფასოს მხარის მიერ წარდგენილი ის მტკიცებულებები, რომლებიც სასამართლოს სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის მიზეზებს ეხება. 2006 წლის 19 ივნისის განჩინებაში, საქმეზე №ას-1219-1463-05 საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრებისას გამართლებული და ახსნილი უნდა იქნეს მხარის გამოუცხადებლობა,“¹⁶ სხვა შემთხვევაში, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მხარის ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, მიუხედავად სამედიცინო ცნობაში მითითებული დიაგნოზისა, სასამართლოს სხდომაზე მისი გამოუცხადებლობა მიიჩნია საპატიოდ.¹⁷

ეს ნიშნავს, რომ სასამართლომ სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის მიზეზების ამსახველი მტკიცებულებები უნდა შეაფასოს არა ფორმალურად და ზედაპირულად, არამედ „ყოველმხრივად, სრულად და ობიექტურად, რის შედეგადაც უნდა გამოიტანოს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.“

დაბოლოს, მნიშვნელოვანია დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივრის განხილვის ეტაპზე სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების ფარგლები; უფრო კონკრეტულად, საკითხავია, უნდა შემოიფარგლოს თუ არა სასამართლო დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივრის განხილვისას საჩივარში მითითებული არგუმენტებით, თუ იგი უფლებამოსილია შეამოწმოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერება ზოგადად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე და 241-ე მუხლებთან მიმართებით.


პრაქტიკა მოწმობს, რომ სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერება სრულყოფილად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე და 241-ე მუხლების ყველა დანაწესის გათვალისწინებით.

ასე, მაგალითად, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2006 წლის 9 იანვრის განჩინებაში საქმეზე №ას-1021-1278 განმარტა, რომ „აღნიშნული გარემოების გარკვევა უკავშირდება არა მხარეთა მიერ ასეთი საკითხის სასამართლოს წინაშე დასმის აუცილებელ წინაპირობას, არამედ იგი გამომდინარეობს სასამართლოს მოვალეობიდან.“¹⁸

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ თუ მხარე არ იყო სათანადო წესით მიწვეული სასამართლოს სხდომაზე; თუ მას არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები; თუ არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები; თუ სარჩელი იურიდიულად გაუმართლებელია; თუ საქმის მასალებიდან იკვეთება, რომ მხარეს ობიექტურად არ შეეძლო სხდომაზე გამოცხადება, სასამართლო ვალდებულია გააუქმოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, მიუთითებს თუ არა ამ გარემოებების თაობაზე საჩივრის ავტორი.

შენიშვნები:

- ¹ Zivilprozessordnung mit Gerichtsverfassungsgesetz, den Einführungsgesetzen und europarechtlichen Vorschriften Kommentar. 28 Auflage. Prof. Dr. Heinz Thomas und Prof. Dr. Hans Putzo. C.H.Beck München 2007 გვ. 1.
- ² სუსგ 2004, №3, გვ. 764.
- ³ სუსგ 2010, №11, გვ. 111.
- ⁴ სუსგ 2006, №4 გვ. 81.
- ⁵ სუსგ 2004, №1, გვ. 162.
- ⁶ თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2007, გვ. 416.
- ⁷ <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>
- ⁸ სუსგ 2004, №1, გვ. 162.
- ⁹ ჰაინ ბოელინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბილისი, 2003, გვ. 42.
- ¹⁰ სუსგ 2004, №2, გვ. 438.
- ¹¹ თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2007, გვ. 421.
- ¹² სუსგ 2006, №4, გვ. 105.
- ¹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 4 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-310-635-07; <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>
- ¹⁴ სუსგ 2010, №11, გვ. 156.
- ¹⁵ <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>
- ¹⁶ სუსგ 2006, №4 გვ. 162.
- ¹⁷ 2010 წლის 27 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-419-392-2010; <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>
- ¹⁸ სუსგ 2006, №4, გვ. 41.



DECISION IN ABSENCIA IN CIVIL PROCEEDINGS – MAJOR PROBLEMS ANALYZES OF COURT PRACTICE

SIMON CHKHAIDZE

Judge of Kutaisi Appellate Court

Article reviews several problematic aspects related with rendering decisions in the civil law chamber of first instance court. Article describes existing court practice, scholars' positions and author's opinion on this issue. Article only deals with the cases when parties fail to appear before the first instance court and pays less attention to legal consequences of not submitting counter claim. Author believes that the topic analyzed in the article is extremely important, as far as decision in absencia, is a difficult and comprehensive institute that refers to the fundamental right guaranteed by the Constitution – right to apply to the court. Article provides list of all resources that author has used.

ერთგულეზის მოვალეობა, როგორც უმრავლესობისა და უმცირესობის ქმედების მასშტაბი საკორპორაციო სამართალში

გერმანული სამართლის მაგალითზე

ირაკლი გურდული

*სრული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი*

I. შესავალი

ნებისმიერი კომპანიის წარმატებით ფუნქციონირების წინაპირობა თავად ამ საზოგადოებაში პარტნიორთა უფლებებისა და სანარმოს ინტერესების პატივისცემაა. იქიდან გამომდინარე, რომ თავისი სამართლებრივი შინაარსით საზოგადოებაც, გარკვეულწილად, ვალდებულებითსამართლებრივ კატეგორიად უნდა განიხილებოდეს და სამართალურთიერთობის სახეს ატარებდეს, ამ ურთიერთობის მონაწილეთა უფლებების დაცვა მასში მონაწილე ყოველი სუბიექტის ერთ-ერთი ცენტრალური მოვალეობა იქნება. მონაწილისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება და მისი უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინება და დაცვა მთელი კერძოსამართლებრივი ბრუნვის ქვაკუთხედაა. სწორედ ამას აღიარებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილიც, რომლის თანახმადაც, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები ვალდებული არიან ამ ურთიერთობასთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები კეთილსინდისიერების ფარგლებში განახორციელონ. შესაბამისად, საზოგადოების წევრთა ურთიერთდამოკიდებულება არა

მხოლოდ ერთმანეთის მიმართ, არამედ საზოგადოების მიმართ, სწორედ რომ ასეთი კეთილსინდისიერების საზომით უნდა განისაზღვრებოდეს. უფლების კეთილსინდისიერად გამოყენება და მოვალეობებისადმი პასუხისმგებლობითი დამოკიდებულება საკორპორაციო სამართალში იმ მასშტაბს ქმნის, რომლის დარღვევაც გარკვეულ იურიდიულ სანქციებთან არის დაკავშირებული. ამ მოვალეობათა პატივისცემისა და დაცვის სამართლებრივ საფუძველს პარტნიორებს შორის დადებული გარიგება წარმოადგენს, რომლითაც ისინი საზოგადოების ჩამოყალიბებაზე თანხმდებიან. სწორედ ამ შეთანხმებით¹ ფუძნდება მათ შორის უფლებებისა და მოვალეობების პატივისცემის, დაცვისა და მათი კეთილსინდისიერად შესრულების ვალდებულება. მათი დაუცველობა და აქედან გამომდინარე (შედეგობრივი თვალსაზრისით), ყოველგვარი სანქციის დაუნესებლობა საზოგადოების წევრებს აღვირახსნილი მოქმედებებისკენ უბიძგებდა, რაც მათ მხოლოდ პირადი „ეგოისტური“ ინტერესების სადარაჯოზე დააყენებდა. ამის თავიდან ასაცილებად საკორპორაციო სამართალში დიდი ხანია აღიარებული და განვითარებულია ერთგულების მოვალეობის პრინციპი, რომლის დაუცველობაც, კონკრეტული შემთხვევის განხილვისას, შესაძლოა, გარკვეული სამართლებრივი სანქციის დაკისრების საფუძველიც გახდეს.

აღნიშნული სტატია მიზნად ისახავს ქართველ მკითხველს მიანოდოს ზოგადი ინფორმაცია საკორპორაციო სამართალში აღიარებული და დადგენილი ერთგულების მოვალეობის შესახებ. ნაშრომი შესავლის (I), ძირითადი ნაწილის, სადაც ერთგულების მოვალეობის ზოგად სტანდარტზე, უცხოური სასამართლო პრაქტიკის ჩვენებით დომინანტი და მინორიტარი პარტნიორის მიერ ხმის უფლების ბოროტად გამოყენების შედეგად ერთგულების მოვალეობის დარღვევის თაობაზეა მსჯელობა (II) და დასკვნისაგან შედგება (III).

II. საკორპორაციო სამართლებრივი ერთგულების მოვალეობის ზოგადი სტანდარტი

საზოგადოების ხელშეკრულებაზე დაფუძნებული ერთგულების მოვალეობა ორგვარი მოქმედებით ხასიათდება:² ერთი მხრივ, იგი მიმართულია საზოგადოების წევრთა ურთიერთდამოკიდებულებისაკენ, ხოლო მეორე მხრივ, წევრებსა და საზოგადოებას შორის დამოკიდებულებისაკენ.³ ამიტომ იგი არსებობს როგორც თანაპარტნიორებთან, ისე საზოგადოებასთან დამოკიდებულებაში.⁴ ერთგულების მოვალეობა, გარკვეულწილად, მისი ინტენსიურობით ხასიათდება, რომლის მეშვეობითაც შესაცნობი ხდება მისი მოქმედების საზომი და მასშტაბი. ამხანაგური ტიპის საზოგადოებებში,⁵ სადაც ორგანიზაციული სტრუქტურა პერსონალურ ხასიათს ატარებს, ერთგულების მოვალეობა გაცილებით უფრო ინტენსიურ სახეს ღებულობს, ვიდრე ეს დიდ კაპიტალურ საზოგადოებაშია, სადაც აქციონერთა წრე რამდენიმე ასეულ პარტნიორს აღემატება. ამიტომაც ამბობენ, რომ ერთგულების მოვალეობის ინტენსიურობა დამოკიდებულია, თუ როგორ არის ჩამოყალიბებული და მოწყობილი თავად ეს საზოგადოება⁶ და როგორი ‘რეალური სტრუქტურა’ უდევს მას საფუძველად.⁷

ერთგულების მოვალეობის შინაარსს საწარმოს საერთო მიზნის მიღწევისაკენ სწრაფვა წარმოადგენს,⁸ ხოლო დარღვევა ერთგულების მოვალეობის დარღვევად განიხილება. ერთგულების მოვალეობის შინაარსისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არაპიროვნული ინტერესების მხედველობაში მიღების ვალდებულება,⁹ რადგანაც წარმოების პროცესში შესაძლებელია, დღის

წესრიგში დადგეს აქციონერის პირად ინტერესსა და საზოგადოების ინტერესს შორის კონფლიქტის საკითხი. ამიტომ აქციონერი შებოჭილია ერთგულების მოვალეობით, რომელიც ძირითადად კონკრეტული შემთხვევის განხილვისას უნდა დადგინდეს. შინაარსიდან გამომდინარე, ერთგულების მოვალეობა პარტნიორის ქმედების მასშტაბსაც ადგენს. ამიტომაც მიიჩნევა, რომ ერთგულების ვალდებულება პარტნიორის ის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა, რომელიც მისი ქმედებიდან გამომდინარეობს. შესაბამისად, ერთგულების მოვალეობა პარტნიორის „ქმედების მოვალეობაა.“¹⁰ აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ერთგულების მოვალეობის საზომს წარმოადგენს ის, თუ რა ქმედებებს ახორციელებს აქციონერი (პარტნიორი).¹¹ დგას იგი მხოლოდ საკუთარი პირადი ინტერესების სადარაჯოზე და ამით ზიანს აყენებს მის თანაპარტნიორებს და/ან საზოგადოებას, თუ მისთვის უპირატესი საწარმოს ინტერესია. ამ დროს მნიშვნელოვანია სწორედ თანაფარდობა აქციონერის ინტერესსა და საზოგადოების ინტერესს შორის.¹² ინტერესთა ასეთი ბალანსი და საზოგადოების პარტნიორისათვის მისი პრიმატის დაწესების მოთხოვნა უშუალოდ უკავშირდება წევრობის სტატუსს. პარტნიორს იმიტომაც მოეთხოვება ერთგულების მოვალეობის დაცვა, რომ იგი აღნიშნულ საწარმოში წევრობის უფლებამოსილებათა ერთობლიობის მატარებელია. ამიტომაც, ერთგულების მოვალეობა წევრობის ძირითად მოვალეობად განიხილება.¹³

ის, თუ როგორ უნდა მოიქცნენ საზოგადოების პარტნიორები ერთმანეთისა და საზოგადოების მიმართ, არ შეიძლება იყოს დამოკიდებული სუბიექტურ ფაქტორზე. თუმცა, ვერც ობიექტური ფაქტორი გააკეთებს ერთგულების მოვალეობის კონკრეტულ ჩამონათვალს და ვერც გარკვეულ სამართლებრივ ჩარჩოში მოაქცევს მას. ერთგულების მოვალეობა ეთიკური კატეგორიაა. ამიტომ მისი მოქცევა კონკრეტულ იურიდიულ მოცემულობაში წარმოუდგენელი იქნებოდა. იქიდან გამომდინარე, რომ ერთგულების მოვალეობის ინტენსიურობა და მოცულობა საზოგადოების რეალური სტრუქტურიდან და კონკრეტული გარემოებების შეფასებიდან უნდა მომდინარეობდეს, მას (ერთგულების მოვალეობას) უფრო სამოსამართლო სამართლის სფეროში აქცევს.¹⁴ ის, დაირღვა თუ არა ერთგულების მოვალეობა, მხოლოდ კონკრეტული შემთხვევის შემონმებისა და შეფასების შედეგად შეიძლება გაირკვეს. ამიტომ ერთგულების მოვალეობის დარღვევას ინდივიდუალური მიდგომა ესაჭიროება.

ერთგულების მოვალეობა პერსონალური საზოგადოების სამართალში განვითარებული ინსტიტუტია, რომელმაც ბინა კაპიტალურ საზოგადოებათა სამართალშიც დაიდო. ამის თაობაზე გერმანიის ფედერალურ უმაღლეს სასამართლოს რამდენიმე ცნობილი გადაწყვეტილება აქვს მიღებული.¹⁵ ამიტომ დამკვიდრდა შეხედულება, რომ ერთგულების მოვალეობა კავშირშიც¹⁶ იგივე ფუნქციის მატარებელია, როგორც ფუნქციაც მას სამოქალაქო სამართალში აქვს, კერძოდ, რა ფუნქციითაც მას გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 242-ე პარაგრაფი განიხილავს (სამოქალაქოსამართლებრივი ვალდებულებითი ურთიერთობა).¹⁷ სააქციო სამართლისათვის, ერთი შეხედვით, მიუღებელი უნდა ყოფილიყო ასეთი მიდგომა. სს რთული სტრუქტურული ერთეულია. იგი საჯარო მიზნის მისაღწევად და ფუნქციების განსახორციელებლად შექმნილი წარმონაქმნია. მისი თავისებურება ის არის, რომ ამ სამართლებრივ ფორმაში მონაწილეობა ანონიმური კაპიტალის არსებობას უშვებს. ეს ნიშნავს, რომ დიდ სს-ებში შესაძლოა, პარტნიორებმა საერთოდ არ იცოდნენ ერთმანეთის ვინაობის შესახებ. როგორც წესი, ისინი საერთოდ არ იცნობენ ერთმანეთს. ისინი საზოგადოებაში მხოლოდ კაპიტალით მონაწილეობენ. უმრავლეს შემთხვევაში, ისინი არც საწარმოს მართვის საქმეში არიან ჩაბმულნი. ამიტომ მათთვის ერთგვარად გაუგებარიც

უნდა იყოს თუ რატომ უნდა ამოძრავებდეთ სხვა თანაპარტნიორების მიმართ „პასუხისმგებლობის გრძნობა.“ მათთვის ხომ საკუთარი (მატერიალური) ინტერესია პრიორიტეტული. ამიტომ ერთგულების მოვალეობის დაცვა, ერთი შეხედვით, მხოლოდ დახურული ტიპის სს-ში შეიძლება ყოფილიყო დასაშვები. ასეთ საზოგადოებაში კორპორაციის რეალური სტრუქტურა შესაძლოა უფრო მიაგავდეს ამხანაგური ტიპის საზოგადოებას, სადაც პარტნიორებს შორის ისეთი კავშირურთიერთობა არსებობს, რომელიც მათი მხრიდან პატივისცემისა და ურთიერთინტერესებისა და უფლებების დაცვას მოითხოვს. ღია ტიპის სს-ში ეს წარმოუდგენელი იქნებოდა.¹⁸ თუმცა, ახალმა სამართალგანვითარებამ საფუძველი იმ მოსაზრებას ჩაუყარა, რომ ერთგულების მოვალეობის გამოჩენა არა მხოლოდ დახურული ტიპის სს-ებში უნდა იყოს სახეზე, არამედ ღია ტიპის სს-ებშიც.¹⁹ ხანდახან უმრავლესობაში მყოფ აქციონერებს და უმცირესობას შორის ისეთი ვითარება ყალიბდება, რა დროსაც იგი შეუძლებელია აიხსნას და განიმარტოს სწორედ იმ დოგმატიკის გამოყენების გარეშე, რომელსაც ეყრდნობა ამხანაგური ტიპის საზოგადოება და შპს ერთგულების მოვალეობის საკითხების გადანყვეტასთან მიმართებით.²⁰ ამიტომ მიჩნეულია, რომ „ასეთ სიტუაციაში ყურადღება უფრო სამენარმეო საქმიანობის რეალურ სახეს უნდა მიექცეს, ვიდრე მის სამართლებრივ ფორმას“, ²¹ სხვა სიტყვებით, უფრო შინაარსს და არა მასში გამოხატულ ფორმას.

იქიდან გამომდინარე, რომ საკორპორაციოსამართლებრივი ერთგულების მოვალეობა კორპორაციული ურთიერთობიდან იღებს სათავეს, მისი დაცვის ადრესატები არიან სს და აქციონერები. მესამე პირებს ამ მოვალეობის დაცვა, როგორც წესი, არ ეხებათ. მართალია, სს-ის ორგანოებმა (სამეთვალყურეო საბჭო და გამგეობა) სს-სთან და აქციონერებთან მიმართებით უნდა დაიცვან საკორპორაციოსამართლებრივი ერთგულების მოვალეობა, მაგრამ თავად მათ შორის ურთიერთობისას იგი უმნიშვნელოა და არანაირ სამართლებრივ დატვირთვას არ ასრულებს. ამის საპირისპიროდ, სამეთვალყურეო საბჭოსა და გამგეობის წევრთა ერთგულების მოვალეობა (ერთმანეთის მიმართ) დაფუძნებულია „სხვისი ქონებისა და სამენარმეო-ხელმძღვანელობითი შანსების“ კეთილსინდისიერად გამოყენების (წარმართვის) ვალდებულებაზე.²² როგორც ზემოთ მოტანილი არგუმენტებიდან ჩანს, ერთგულების მოვალეობისას გადამწყვეტია ის სამართალურითიერთობა, რომელიც კორპორაციულ ხასიათს ატარებს, ანუ ამ შემთხვევაში, მხედველობაში მიიღება კორპორაცია, როგორც სამართალურითიერთობის ერთი მხარე, აქციონერი, როგორც მეორე მხარე, ან აქციონერი და აქციონერი, როგორც ურთიერთობის მონაწილე მხარეები. თუმცა, საინტერესოა საკითხი იმის შესახებ, არსებობს თუ არა ერთი პირის სს-შიც ასეთი ერთგულების მოვალეობის დაცვის მასშტაბი. ამასთან დაკავშირებით, გერმანიის ფედერალურ უმაღლეს სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილება აქვს მიღებული. მართალია, ყველა ეს გადაწყვეტილება მხოლოდ შპს-ის სამართლებრივ ფორმას ეხება, თუმცა, მათი გავრცელება და გამოყენება სს-ის მიმართაც სავსებით დასაშვებია. იმ შემთხვევაში, როდესაც სს-ს მხოლოდ ერთადერთი დამფუძნებელი პარტნიორი ჰყავს, საკორპორაციოსამართლებრივი ერთგულების მოვალეობის დაცვის ვალდებულება არ არსებობს. რასაკვირველია, უმცირესობის მიმართ ასეთი ვალდებულების არსებობა საფუძველს მოკლებული იქნებოდა, რადგან კორპორაცია მხოლოდ ერთი პირისაგან შედგება. რაც შეეხება ამ აქციონერის ერთგულების მოვალეობას თავად სს-სთან დამოკიდებულებაში, სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, აქციონერს ერთგულების მოვალეობის დაცვა სს-ის მიმართ ასევე არ მოეთხოვება. თუმცა, კომენტარულ ლიტერატურაში ამ საკითხის მიმართ გარკვეული კრიტიკაა გამოთქმული, რომელიც მესამე პირთა

კრედიტორთა ინტერესების დაცვას უკავშირდება: იმ დროს, როდესაც კრედიტორთა ინტერესს ზიანი შეიძლება მიაღწეს აქციონერის არასწორი ქმედების გამო (რომელშიც ერთგულების მოვალეობის დარღვევას მოვიაზრებდით, მაგალითად, სანესდებო კაპიტალის ხელყოფა და ამით კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილების გარანტიის შელახვა), მაშინ ამ ერთადერთ აქციონერსაც მოვთხოვდით სანარმოს მიმართ ერთგულების მოვალეობის გამოჩენას.²³

1. მოვალეობის დაცვა ხმის უფლების გამოყენებისას

ერთგულების მოვალეობის დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აქციონერის მიერ ხმის უფლების გამოყენებისას. ხმის უფლების გამოყენება ხდება აქციონერთა საერთო კრებაზე. სწორედ ეს არის ის ორგანო, სადაც საზოგადოების ძირითადი პოლიტიკა და ნება ფორმირდება. ერთგულების მოვალეობის მასშტაბი კი, ამ კრებაზე აქციონერის მიერ ხმის მიცემის (ანუ მისი მხრიდან ქმედების განხორციელების) გამოყენების საზომსაც ადგენს. აქ მხედველობაშია ის გარემოება, რომ აქციონერმა ერთგულების მოვალეობა, როგორც წესი, სწორედ მისაღებ გადანყვეტილებასთან დაკავშირებით უნდა გამოიჩინოს, რადგანაც მის მიერ კრებაზე მისაღები გადანყვეტილების კენჭისყრის შედეგებზე „ცუდი“ და არამართლზომიერი ზეგავლენა შესაძლოა, საზოგადოებისათვის ან თანაპარტნიორისათვის ზიანის მიყენების საფუძველიც გახდეს. ამიტომ იურიდიული დოგმატიკის მიერ, გარკვეულწილად, პარტნიორის ქმედების ის მასშტაბია მოხაზული, რომლის დაცვაც თითოეული პარტნიორის ზრუნვის საგანს უნდა წარმოადგენდეს. ამასთან, ერთგულების მოვალეობის დარღვევა რელევანტური, უპირველეს ყოვლისა, დომინანტი პარტნიორის მიერ უფლების ბოროტად გამოყენებისას იქნება. თუმცა, თანამედროვე სასამართლო პრაქტიკა უმცირესობაში მყოფი პარტნიორის ქმედებასაც ითვალისწინებს, რათა ამ უკანასკნელის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენებას არ ჩაეყაროს საფუძველი. მოკლედ, მოვალეობა თანაბარწილად ვრცელდება უმრავლესობაზე და უმცირესობაზე. ამიტომაც საუბრობენ, რომ უმრავლეს შემთხვევაში, კორპორაციულსამართლებრივი ერთგულების მოვალეობა აქციონერის სტატუსზე დაფუძნებულ თანამმართველობით უფლებას უკავშირდება.²⁴ სასამართლო პრაქტიკიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი გადანყვეტილებას განვიხილავთ, რომლის საფუძველზეც ეს საკითხები კიდევ უფრო ვრცლად განიმარტება.

1.1. დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება

დომინანტი აქციონერის ცნება გერმანულ სამართალში არ წარმოადგენს საკანონმდებლო ლეგალურ დეფინიციას.²⁵ კანონში განმარტებულია მხოლოდ აქციონერის მხრიდან საერთო კრების კენჭისყრის შედეგებზე ისეთი ზემოქმედების მოხდენა, რომელმაც შესაძლოა, საზოგადოებას ან პარტნიორს ზიანი მიაყენოს. ამიტომაც საუბრობს იურიდიული ლიტერატურა, რომ კაპიტალური ტიპის საზოგადოებებშიც ერთგულების მოვალეობის ბრალეულმა დარღვევამ ყველა ვარიანტში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა უნდა წარმოშვას.²⁶ მოთხოვნის წარმოშობა კი, უმეტესწილად, მისი ანაზღაურება/არანაზღაურების საკითხამდე მიგვიყვანს.

როგორც ზემოთ ითქვა, გერმანული სასამართლო პრაქტიკა 1988 წლამდე ყურადღებას მხოლოდ ისეთ ერთგულების მოვალეობაზე ამახვილებდა (და უშვებდა კიდევც), რომელიც სს-ის ინტერესებიდან ამოდიოდა, ანუ საზოგადოებისადმი იყო მიმართული. შესაბამისად, პრაქტიკა

არ აღიარებდა აქციონერის მხრიდან ერთგულების მოვალეობას თანაპარტნიორთა მიმართ. მაგრამ სიტუაცია შეიცვალა, როდესაც გერმანიის ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ ორი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც უახლეს ისტორიაში „ლინოტიპისა“ და „გირმესის“ სახელით არის ცნობილი.²⁷ წინამდებარე გადაწყვეტილებებით განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა უმრავლესობაში მყოფი აქციონერის მხრიდან თანააქციონერთა ინტერესებისა და კორპორაციულსამართლებრივი უფლებების პატივისცემაზე, მათი (დომინანტი პარტნიორის) მხრიდან ქმედების კეთილსინდისიერად განხორციელების ვალდებულებაზე. საკორპორაციო კანონმდებლობასთან ერთად სასამართლო ასევე, სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებს დაეყრდნო.²⁸ გერმანიის სააქციო კანონში ამ საკითხის მოსაწესრიგებელ ცენტრალურ ნორმას 117-ე პარაგრაფი წარმოადგენს. აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს, რომ ის, ვინც განზრახ საზოგადოებაზე მისი ზემოქმედების გამოყენების შედეგად გამგეობის წევრს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრს, პროკურისტს ან სავაჭრო წარმომადგენელს საზოგადოებისათვის ან მისი აქციონერისათვის ზიანის მიყენებას უბიძგებს, ვალდებულია აანაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი.²⁹ ამ შემთხვევაში, კანონის მოცემულობა რამდენიმე იურიდიულ ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას.³⁰ კერძოდ, 117-ე პარაგრაფი, უპირველეს ყოვლისა, აქცენტს აქციონერის ქმედებაზე აკეთებს. პირში, ამ შემთხვევაში, ძირითადად, სწორედ რომ აქციონერი მოიაზრება, რომელსაც შესაძლებლობა აქვს მისმა ქმედებამ საზოგადოებაზე გარკვეული ზემოქმედება მოახდინოს. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლის³¹ ჩანაწერს რომ დავუკვირდეთ, ნაციონალურ კანონმდებლობაშიც, პრინციპში, შინაარსობრივი თვალსაზრისით, იგივეა განმტკიცებული. შემდეგ, გერმანული კანონმდებლობის მიხედვით, მოდის ზიანის მიყენების ფაქტი და თანაც ისე, რომ ეს ზიანი განზრახი ქმედების შედეგად უნდა იქნეს დამდგარი.³² როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში, კანონი პირის (აქტიურ) ბრალეულ ქმედებაზე ამახვილებს ყურადღებას. დაბოლოს, ეს ზიანი მიმართული უნდა იყოს საზოგადოების ან მისი აქციონერების წინააღმდეგ.³³ თუ კანონის ეს მოცემულობა სახეზეა, მაშინ კონკრეტული შემთხვევის გადაწყვეტისას დგება ზიანის ანაზღაურების საკითხი. ამ დროს, ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ზიანის ანაზღაურებისათვის შეტანილ სარჩელს დიდი პერსპექტივა აქვს. მოთხოვნის წაყენების უფლება, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების განკარგულებაში დგას, თუმცა, გამონაკლის შემთხვევაში ეს უფლება, კანონის ჩანაწერიდან გამომდინარე, აქციონერსაც (აქციონერებს) აქვს.³⁴ ზემოთ ნახსენები გადაწყვეტილებების დასაბუთების ქვაკუთხედსაც სწორედ (კორპორაციულსამართლებრივი თვალსაზრისით) სააქციო კანონის აღნიშნული ნორმა წარმოადგენდა.

ახლა რაც შეეხება უშუალოდ „ლინოტიპის“ გადაწყვეტილებას და მის შინაარსს:

ა.) „ლინოტიპი“ და იურიდიული დოქტრინა

1975 წელს დაფუძნებულ სს „ლინოტიპს“ რამდენიმე პარტნიორი (აქციონერი) ჰყავდა. აღნიშნულ კორპორაციაში ერთ-ერთი შპს აქციათა საკონტროლო პაკეტს, ხმათა 96%-ს ფლობდა. დანარჩენი 4% წვრილ პარტნიორებზე იყო გადანაწილებული. სს-ის სამენარმეო საქმიანობა რენტაბელური იყო და საზოგადოებისათვის კარგი შემოსავალიც მოჰქონდა. მიუხედავად კომპანიის წარმატებული საქმიანობისა, 96%-ის მქონე პარტნიორმა (შპს-მ), უფრო სწორედ, სს-მ მიიღო გადაწყვეტილება სს „ლინოტიპის“ ლიკვიდაციის შესახებ. ლიკვიდაციის გეგმის და საზოგადოების ქონების უდიდესი ნაწილის გადანაწილებასთან დაკავშირებით დომინანტმა

პარტნიორმა, ისე, რომ არაფერი უკითხავს უმცირესობაში მყოფი პარტნიორებისათვის, მოლაპარაკებები აწარმოა კორპორაციის გამგეობასთან. მოკლედ, აქციონერთა საერთო კრებაზე მიღებულ იქნა საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილება და კორპორაციის ქონების უდიდესი (არსებითი) ნაწილი, აღნიშნული გადაწყვეტილების თანამხად, იმ შპს-ის ხელში გადავიდა, რომელიც სს „ლინოტიპში“ აქციათა 96%-ს ფლობდა.³⁵ გამოვიდა ისე, რომ ქონების ასეთი გადანაწილება მხოლოდ საზოგადოების დომინანტი პარტნიორის ინტერესში ექცეოდა და ამისგან უმცირესობაში მყოფი პარტნიორი ნაკლებად თუ მიიღებდა სარგებელს.³⁶ საბოლოოდ, უმცირესობაში მყოფი აქციონერის³⁷ მიერ გასაჩივრებულ იქნა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება. სარჩელი სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა. გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნულ დავაში ადგილი ჰქონდა ერთგულების მოვალეობის დარღვევას.³⁸ უმრავლესობაში მყოფი პარტნიორის მხრიდან საზოგადოების გამგეობასთან ლიკვიდირებული ქონების არსებითი ნაწილების განაწილების შესახებ ერთპიროვნული მოლაპარაკებები, ისე, რომ ამ პროცესში საზოგადოების უკლებლივ ყველა აქციონერი არ არის ჩაბმული არღვევს აქციონერთა თანაბარი მოპყრობის პრინციპს³⁹ და თანაპარტნიორებისადმი ლოიალური დამოკიდებულების – ერთგულების მოვალეობას.⁴⁰ შესაბამისად, საწარმოს ლიკვიდაციის გადაწყვეტილება არ უნდა უქმნიდეს მხოლოდ ერთ აქციონერს უპირატესობას, ხოლო მეორეს „დაჩაგრულ“ მდგომარეობაში აყენებდეს. აქციონერებს საზოგადოების და ერთმანეთის მიმართ აქვთ ერთგულების შენარჩუნების ვალდებულება, რომლის დარღვევამაც შესაძლოა, საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ზიანის ანაზღაურების დაკისრება გამოიწვიოს. ამასთან, პარტნიორმა არ უნდა გამოიყენოს მისი ძალაუფლება ბოროტად საზოგადოების სტრუქტურულ ორგანოებზე და არამართლზომიერად არ უნდა მოახდინოს მათზე ნებისმიერი ხასიათის ზემოქმედება.⁴¹ ამ შემთხვევაში, სასამართლო, ძირითადად, იმას დაეყრდნო, რომ ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე უმრავლესობაში მყოფმა პარტნიორმა ბოროტად გამოიყენა თავისი დომინანტური მდგომარეობა და გამგეობასთან საზოგადოების ქონების არსებითი ნაწილის მისთვის გადაცემის თაობაზე მოლაპარაკების წარმართვა ერთგულების მოვალეობის დარღვევად განიხილა.⁴²

ბ.) "Sachsenmilch" დავა

„ლინოტიპის“ ცნობილ გადაწყვეტილებასთან ერთად ასევე, მოჰყავთ სს „საქსონიის რძის“⁴³ დავა, სადაც მსჯელობა ასევე, ერთგულების მოვალეობაზე, მის მასშტაბსა და დარღვევაზე იყო.⁴⁴ ამ შემთხვევაში, უფრო თვალნათელია უმრავლესობაში მყოფი პარტნიორის მიერ ძალაუფლების დემონსტრირებისა და მისი ბოროტად გამოყენების ფაქტი. დავის მიხედვით უმრავლესობის მიერ საზოგადოების სანაციის მოტივით მიღებულ იქნა კორპორაციის კაპიტალის შემცირების გადაწყვეტილება. სს-ის 75 მლნ. გერმანული მარკის ოდენობის სანესდებო კაპიტალი, საბოლოოდ, 100 000 მარკამდე იქნა დაყვანილი, რამაც უმცირესობაში მყოფი აქციონერები უკიდურესად მძიმე ვითარებაში ჩააგდო, რამდენადაც საერთო ჯამში აქციათა ფასი იმდენად იყო დაცემული, რომ მათი გაყიდვის შემთხვევაშიც კი, აქციონერის მატერიალური სარგებლის მიღებაზე საუბარი ზედმეტი იქნებოდა. ფედერალური უმაღლესი სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ იქნა უმცირესობაში მყოფი აქციონერების სარჩელი და საერთო კრების ის გადაწყვეტილებები, რომლითაც სანესდებო კაპიტალის შემცირება განხორციელდა იმ მოტივით, რომ

ამას სხვა თანაპარტნიორების საზოგადოებიდან ხელოვნური განდევნა გამოეწვია – ბათილად გამოცხადდა.⁴⁵

1.2. ერთგულების მოვალეობის შინაარსი უმცირესობის მიერ ხმის უფლების გამოყენებისას: უმცირესობის უფლების ბოროტად გამოყენება

როგორც ითქვა, ერთგულების მოვალეობას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. მისი შინაარსი შესაძლოა შემდეგნაირად დადგინდეს: იგი მოქმედებს როგორც საერთო მიზნის მიღწევისაკენ წარმართული მოთხოვნა; როგორც საწარმოსათვის ზიანის მიყენების აკრძალვის მოთხოვნა; ასევე, ისეთი ზემოქმედების აკრძალვის მოთხოვნა, რომელმაც შეიძლება კორპორაციას ზიანი მიაყენოს.⁴⁶ ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, მჭიდროდ არის დაკავშირებული პარტნიორის მხრიდან მისი უფლების პასუხისმგებლობაუნარიანად გამოყენებისა და განხორციელების ვალდებულებასთან.⁴⁷

ერთგულების მოვალეობის დარღვევის დროს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1988 წლის შემდეგ უმცირესობაში მყოფი პარტნიორის მხრიდან ამ უფლების ბოროტად გამოყენებისა და ზიანის ანაზღაურებაზე შეიძლება საუბარი. მინორიტარი აქციონერისათვის ერთგულების მოვალეობა მოქმედებს როგორც უფლების შეზღუდვა ძირითადად მაშინ, როცა საკითხი ე.წ. *Sperminorität*-ის⁴⁸ გამოყენებას შეეხება. ამ შემთხვევაში, იმისგან დამოუკიდებლად უმცირესობაში მყოფი აქციონერი ხმის მიცემით უბრალოდ დაეთანხმება საერთო კრებაზე მიღებულ გადაწყვეტილებას თუ სახეზე შემთხვევითი კოალიცია იქნება, რომელიც ამ გადაწყვეტილებას მიიღებს.⁴⁹ ასეთი მდგომარეობით უმცირესობა ისეთივე პოზიციაში ექცევა, როგორშიც უმრავლესობა აღმოჩნდება: მინორიტარი აქციონერის ხმის მიცემით სახეზეა ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ხელყოფს საზოგადოების ან/და თანააქციონერის ინტერესს. ეს კი, მოთხოვნის აღძვრის საფუძველი ხდება. მოკლედ, ასეთ დროს უმცირესობაში მყოფი აქციონერის ქმედება, ისევე როგორც ეს უმრავლესობაში მყოფი აქციონერის ქმედებას ახასიათებს, როგორც წესი, გამიზნული უნდა იყოს პირადი სარგებლის მიღებისაკენ. მნიშვნელოვანია, რომ უმცირესობის ქმედება განზრახი ბრალეული ქმედების პრინციპზე დაყრდნობით განიხილებოდეს.

უმცირესობაში მყოფი აქციონერის უფლების ბოროტად გამოყენების ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითად შესაძლოა გამოდგეს ისეთი შემთხვევა, როდესაც მინორიტარი აქციონერი, რომელიც განკარგავს ე.წ. *Sperminoritäts*-ს, ეწინააღმდეგება საერთო კრების გადაწყვეტილებას ან⁵⁰ იღებს სხვაგვარ გადაწყვეტილებას. ამიტომ მიჩნეულია, რომ ამ დროს უმცირესობაში მყოფი აქციონერი წინ არ უნდა აღუდგეს ისეთ გადაწყვეტილებებს, რომელიც აუცილებელია საზოგადოების „გარანტირებული არსებობა-ფუნქციონირების ან საწარმოს მომავალი რენტაბელური საქმიანობის“ უზრუნველსაყოფად.⁵¹ ხშირად უმცირესობა ამ უფლებას იმიტომ იყენებს, რომ პირადი სარგებელი „გამოსტყუოს“ უმრავლესობას: გადაწყვეტილების დაბლოკვით ზიანი მიაღებება საზოგადოებას და უმეტესწილად, უმრავლესობაში მყოფ აქციონერს. ამიტომ თუ უმცირესობა ამგვარად გამოიყენებს თავის უფლებას, მას შეიძლება დაეკისროს ზიანის ანაზღაურების მოვალეობა სწორედ სააქციო კანონის 117-ე პარაგრაფიდან გამომდინარე.⁵² გაბატონებული მოსაზრების თანახმად, გერმანიის სააქციო კანონის 117-ე პარაგრაფი დელიქტურსამართლებრივი ბუნების მქონე ნორმაა⁵³ და მასთან ერთად შესაძლოა გამოყენებულ იქნეს გერმანიის სამო-

ქალაქო კოდექსის 393-ე, 830-ე, 840-ე პარაგრაფები.⁵⁴ ამ ნორმას შეიძლება დაეყრდნოს როგორც საზოგადოება, ისე ყოველი მესამე პირი, რომელსაც შეიძლება ზიანი მიადგეს აქციონერის ქმედებით.⁵⁵ მნიშვნელოვანია, რომ ზიანის მოთხოვნის უფლება, ამ შემთხვევაში, აქვს საზოგადოებას გამგეობის (დირექტორატის) მეშვეობით და არა ცალკეულ აქციონერს.⁵⁶ თავად აქციონერს დამოუკიდებლად არა აქვს უფლება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წაუყენოს ზიანის მიმყენებელს.⁵⁷ ამისათვის მან თავდაპირველად, საზოგადოების გამგეობას⁵⁸ (როგორც ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით ორგანოს) უნდა მიმართოს. რაც შეეხება მესამე პირს, მას კანონმდებლობა აძლევს შესაძლებლობას გამოიყენოს უფლება და მოთხოვნა წაუყენოს ზიანის მიმყენებელ აქციონერს.⁵⁹ უმცირესობაში მყოფი აქციონერი თავს ვერაფრით იმართლებს იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზე მისი მხრიდან სააქციო კანონის 117-ე პარაგრაფის დარღვევას ექნება ადგილი, წარმოიშობა ზიანი და მისი ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი იარსებებს. ამ შემთხვევაში ზიანი მხოლოდ ქონებრივ ზიანს უნდა ნიშნავდეს.⁶⁰ ამიტომ აქციონერის ზიანი განიხილება როგორც „არაპირდაპირ წარმოშობილი ქონებრივი“ ზიანი⁶¹ (დანაკლისი). საქართველოს კანონმდებლობა, თითქოსდა, რეგულირების მიღმა ტოვებს იმ შემთხვევას, როდესაც ზიანი არასწორი ქმედებით შეიძლება უმცირესობაში მყოფმა პარტნიორმა (აქციონერმა) გამოიწვიოს (ისე როგორც ამას გერმანული სამართალი განსაზღვრავს). ამის დაშვების პრეზუმფციით, წარმოსადგენი იქნებოდა, რომ ამ საკითხთან მიმართებით ქართული სამართლებრივი მოწესრიგება ნამდვილად ხარვეზიანია. ზიანის მოთხოვნის დაყენების უფლება ნაციონალური კანონის აღნიშნული ნორმის განმარტების შედეგად, არც მესამე პირს ექნება. თუმცა, არ შეიძლება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის არასათანადო შეფასება. აღნიშნული მუხლი მხოლოდ საერთო კრებაზე მისაღები გადაწყვეტილების კენჭისყრის შედეგებზე ზემოქმედებას აწესრიგებს, ანუ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაზე საუბრობს. თუმცა, მე-8 პუნქტის ბოლო წინადადებაში განსაზღვრავს თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს ასეთ პარტნიორად (აქციონერად). ასეთ პირად შესაძლებელია გამოვიდეს როგორც უმრავლესობაში მყოფი პარტნიორი, ისე უმცირესობაც, რომელიც ე.წ. სინდიკატური⁶² ხელშეკრულების საფუძველზე, გადაწყვეტილების მისაღებად ისეთ „ჩამკეტ უმცირესობას“ შექმნის,⁶³ რომელიც არსებით ზეგავლენას მოახდენს კენჭისყრის შედეგებზე. სწორედ ასეთი ვითარება შეიქმნა „გირმესის“ სახელთან დაკავშირებული ცნობილი დავისას.

ა.) „გირმესის“⁶⁴ დოქტრინა და უმცირესობაში მყოფი პარტნიორის ერთგულების მოვალეობა

სს „გირმესი“ გერმანიაში ერთ-ერთი ცნობილი კორპორაცია იყო. მისი აქციონერთა წრე საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. ერთმნიშვნელოვნად გადამწყვეტი უმრავლესობა აღნიშნულ საზოგადოებაში არ არსებობდა. მოხდა ისე, რომ „გირმესი“ მძიმე ეკონომიკურ ვითარებაში ჩავარდა, რაც 1987-88 წლებში კორპორაციის მიერ დაახლოებით 17 მლნ. გერმანული მარკის დანაკლისის საფუძველი გახდა. 1988 წელს საწარმოს 50 მლნ-ნი კაპიტალი ფაქტობრივად ნახევრამდე დავიდა. ზედავალიანების გამო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს (გამგეობის) მხრიდან კრედიტორებთან ერთად შედგა სს-ის რეაბილიტაციის გეგმა. აღნიშნული სანაციის კონცეფციის თანახმად, სს „გირმესში“ უნდა განხორციელებულიყო კაპიტალის შემცირება 5:2 პროპორციით, ანუ 5 არსებული (ძველი) აქციის ნაცვლად გამოშვებულ იქნებოდა 2 ახალი აქცია.⁶⁵ კრედიტორები (ძირითადად, ბანკები) აპელირებდნენ იმაზე, რომ კაპიტალის შემცირებით და საწარმოს

გარკვეული ვალებისაგან გათავისუფლებით (ჩამონერით), ჯერ კიდევ, შესაძლებელი იქნებოდა კორპორაციის გადარჩენა. ამით, 10 მლნ. ლირებულების ნებადართული კაპიტალი შეიქმნებოდა, რაც დადებითად აისახებოდა საზოგადოების მატერიალურ მდგომარეობაზე.⁶⁶ აქციონერთა საერთო კრება 1989 წლის 3 თებერვლისთვის დაინიშნა. თუმცა, კრების ჩატარებამდე ბოლკო ჰოფფანმა, რომელიც გერმანული საბირჟო ჟურნალის 'Eფფეცტენ-შპიეგელ' გამომცემელი იყო, საზოგადოების უმცირესობაში მყოფ აქციონერებს სანარმოს რეაბილიტაციის თავისებური ხედვა შესთავაზა. მისი მტკიცებით კრედიტორთა მხრიდან შემოთავაზებული საზოგადოების სანაციის კონცეფცია მინორიტარი აქციონერების ინტერესებს საერთოდ არ ითვალისწინებდა და ისევ კრედიტორების (ძირითადად, დოიჩე ბანკის⁶⁷) ინტერესებს ატარებდა.⁶⁸ ჰოფფანის მხრიდან შემოთავაზებულ იქნა კონცეფცია, რომლის მიხედვითაც, საერთო კრებაზე აქციონერების მიერ საკმარისი იქნებოდა კაპიტალის შემცირება 10:9 პროპორციით, ხოლო ეს საკმარისი იქნებოდა კრედიტორთა მხრიდან მოთხოვნებზე უარის სათქმელად. მოკლედ, საერთო კრებამდე რამდენიმე ხნით ადრე ჰოფფანმა უმცირესობაში მყოფი აქციონერებისაგან მისთვის მათი ხმის უფლების გადაცემა მოითხოვა, რითიც, ერთი მხრივ, მისაღები გადაწყვეტილებისათვის შეიქმნებოდა ე.წ. „ჩამკეტი“ უმცირესობა, ხოლო მეორე მხრივ, იგი გამოვიდოდა ამ აქციონერთა წარმომადგენლად საერთო კრებაზე. მართლაც, მოხდა ისე, რომ აქციონერთა გარკვეული ნაწილი (საკუთარი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე) დაეთანხმა „ეფექტენ შპიეგელს“, ხოლო მის გამომცემელს აქციონერთა საერთო კრებაზე ხმის უფლების გამოყენების უფლებამოსილება მიანიჭა. Sperrminorität-ის შეკვრით კრებამ ვეღარ შეძლო გადაწყვეტილების მიღება, რამაც კრედიტორთა განრისხება გამოიწვია.⁶⁹ მათ უარი თქვეს საერთოდ დასახულ სანაციაზე, რის შედეგადაც უახლოეს დროში ზედავალისაგან გამო სს გადახდისუუნარო შეიქმნა და გამგეობის მიერ აღძრულ იქნა განცხადება გადახდისუუნარობის შესახებ. საზოგადოების აქციები თითქმის გაუფასურდა. ამ ვითარებას მოყვა ის, რომ ერთ-ერთმა აქციონერმა, რომელსაც აღნიშნულ კორპორაციაში 350 აქცია ჰქონდა, შეიტანა სარჩელი სასამართლოში, რომლითაც ზიანის ანაზღაურება მოითხოვა. თავის მხრივ, მოსარჩელე „გირმესის“ საერთო კრებაზე, სადაც სანაციის კრედიტორებისა და სს-ის გამგეობის მიერ დასახული კონცეფცია უნდა მიღებულიყო, არ დაეთანხმა მიღებულ გადაწყვეტილებას (ანუ იგი სრულად ეთანხმებოდა სანესდებო კაპიტალის შემცირების 5:2-ზე მოდელს). აქედან გამომდინარე, მოპასუხე (საბირჟო ჟურნალის გამომცემელი) პასუხისმგებელი იყო მის წინაშე ზიანის ანაზღაურებისთვის.⁷⁰ მოპასუხის ქმედებით მისი აქციების ფასი იმდენად დაეცა, რომ ეს უკანასკნელი არანაირ მატერიალურ ფასეულობას აღარ წარმოადგენდა. ამ დავაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი ის იყო, რომ ბოლკო ჰოფფანს (მოპასუხეს) არ დაუხსახელებია დავალების გამცემის ვინაობა.⁷¹ მოსარჩელის არგუმენტაციის ერთ-ერთი ამოსავალი ერთგულების მოვალეობის დარღვევა იყო. პირველმა და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს სარჩელი, რის შემდეგაც იგი საკასაციო წესით გასაჩივრდა გერმანიის ფედერალურ უმაღლეს სასამართლოში. ამ უკანასკნელმა საკასაციო საჩივარი დასაშვებად მიიჩნია, განიხილა და ხელახალი განხილვისათვის ქვემდგომ ინსტანციას დაუბრუნა.⁷²

აღნიშნული გადაწყვეტილებით, სასამართლოს მიერ განმარტებულ იქნა ერთგულების მოვალეობასთან დაკავშირებული რამდენიმე სამართლებრივი საკითხი. გერმანულ სამართალში „გირმესის“ გადაწყვეტილება „ლინოტიპის“ გადაწყვეტილების განმარტებად და განვრცობადაც მიიჩნევა. „ლინოტიპის“ დოქტრინის შემუშავებას საფუძვლად ის არგუმენტაცია ედო, რომ აქციონერებს ერთმანეთთან მიმართებით აქვთ ერთგულების გამოჩენის მოვალეობა. ამ მოვალეობის

დარღვევამ საზოგადოებისათვის ან თანაპარტნიორისათვის შეიძლება ზიანის მიყენება გამოინვიოს, რომელიც შემდგომ ანაზღაურებას ექვემდებარება.⁷³ აქციონერის ერთგულების მოვალეობა მისი წევრობიდან გამომდინარე ვალდებულებად მიიჩნევა და მის შემადგენელ ნაწილად განიხილება.⁷⁴ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ დროს საზოგადოების პარტნიორის მიერ თანამართლებლობითი და მაკონტროლებელი უფლებების კეთილსინდისიერად გამოყენების პრინციპი, რომელიც „საზოგადოებასთან ბმული სხვა აქციონერის ინტერესის გათვალისწინებაზე“ უნდა იყოს დაფუძნებული.⁷⁵ „გირმესის“ დოქტრინა უფრო წინ წავიდა: ერთგულების მოვალეობის დარღვევა შესაძლებელია, მაშინაც იყოს სახეზე, როდესაც უმცირესობაში მყოფი აქციონერები „ხმათა შეკვრის“ შეთანხმების საფუძველზე ქმნიან „ჩამკვეტ“ უმცირესობას და საერთო კრებაზე მხარს არ უჭერენ ისეთი გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც აუცილებელია საზოგადოების არსებითი ინტერესების დასაცავად (და მის გასაჯანსაღებლად). ერთგულების მოვალეობის დარღვევად ასევე, შეიძლება ჩაითვალოს როდესაც უმცირესობაში მყოფი აქციონერთა წრე ხმის უფლებას გადასცემს წარმომადგენელს მათი ხმების გამოყენების უფლებით, ხოლო ამ წარმომადგენლის მხრიდან საზოგადოებისათვის ან აქციონერისათვის ზიანი იქნება მიყენებული.⁷⁶ თუმცა, ღიად რჩება ის მომენტი, ასეთი ხმათა შეკვრა აქციონერთა წინასწარგათვლილი, დაგეგმილი მოქმედების შედეგი უნდა იყოს, თუ საკმარისია ხმათა „შემთხვევითი კრულობა“, როგორც ამას ფლუმე უწოდებს.⁷⁷ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. ფლუმეს აზრით, რომელსაც ბევრი მეცნიერი ეთანხმება,⁷⁸ უმცირესობაში მყოფი აქციონერის ერთგულების მოვალეობის მასშტაბი, გაცილებით მცირეა, ვიდრე უმრავლესობაში მყოფი პარტნიორისა. მითუმეტეს, უმცირესობაში მყოფი აქციონერის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებისათვის, სახეზე, ისევე, როგორც ამას ერთგულების მოვალეობის დარღვევის ზოგადი შინაარსი განსაზღვრავს, აუცილებლად უნდა იყოს აქციონერის განზრახვი და ბრალეული ქმედება.⁷⁹ შემთხვევითი უმრავლესობის მიღწევა არ უნდა განიხილებოდეს აქციონერის ბრალეულ ქმედებად და არ უნდა წარმოშობდეს ერთგულების მოვალეობის დარღვევის სამართლებრივ საფუძველს. მთავარი არის, თუ რისი სწამს აქციონერს და რეალურად რა მიზანი ამოძრავებს მას. შემცირდება თუ არა კაპიტალი 5:2, თუ 5:3 პროპორციით, თავის თავში, არსებით სხვაობას არ უნდა მოიცავდეს.⁸⁰ თუმცა, იმასაც უსვამენ ხაზს, რომ საერთო მიზნის მისაღწევად ერთი კონკრეტული პირისათვის უფლებამოსილების გადაცემით მნიშვნელობა აღარ ენიჭება ხმათა ეს კოალიცია განზრახვით თუ შემთხვევით არის შექმნილი. ამას იურიდიულ ლიტერატურაში „მოქმედებაზე ბმულ ერთგულების მოვალეობას უწოდებენ“⁸¹ და იგი ყველაზე კარგად გერმანელი მეცნიერის დრეერის ერთ-ერთ სტატიასაა აღწერილი.⁸² იმ აქციონერებს, რომელნიც ასეთ „ჩამკვეტ“ უმცირესობას შექმნიან დრეერი „კოალიციონერ აქციონერებს“⁸³ უწოდებს.⁸⁴ ამიტომ ხმის უფლების გაერთიანების⁸⁵ დროს კორპორაციულსამართლებრივი ერთგულების მოვალეობა მინორიტარ აქციონერებზეც შეიძლება გავრცელდეს. ეს შემთხვევა, განსხვავდება იმ ვითარებისაგან, დასძენს დრეერი, როდესაც უმცირესობაში მყოფი აქციონერი მხოლოდ ინდივიდუალურად მოქმედებს.⁸⁶ ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში კი, გამორიცხულია აქციონერის ინდივიდუალური ქმედება, რამდენადაც იგი, სხვა ანალოგიურ ვითარებაში მყოფ აქციონერებთან ერთად, ათვისტონობიერებს იმ საერთო მიზანს, რისთვისაც ეს „ხმათა კრულობა“ გამიზნული. ამასთან, დრეერი იმ „ბრძოლისუნარიან“ აქციონერთა წრეზე საუბრობს, რომელიც თავიდანვე მოტივირებულია, რომ საერთო კრებაზე მისაღები გადაწყვეტილების წინაშე საწინააღმდეგო პოზიცია დააფიქსიროს. ეს კი, ყველაზე კარგად „გირმესის“ საქმიდან გამოჩნდა, ამბობს სტატიის ავტორი.⁸⁷ შესაბამისად,

ამ შემთხვევაში ორი აზრი არ არსებობს, რომ უმცირესობაში მყოფ აქციონერზე ვრცელდება კორპორაციულსამართლებრივი ერთგულების მოვალეობა, ხოლო მისი დარღვევა (მათ მიმართ) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაყენებას განაპირობებს.

ერთი შეხედვით, საერთო კრებაზე წარმომადგენელსაც ისეთივე მასშტაბის ერთგულების მოვალეობა უნდა მოეთხოვებოდეს, როგორც თავად აქციონერს.⁸⁸ წარმომადგენელი აქციონერის წარმომადგენელია და მისი ნების „გამხმოვანებელი.“ ამიტომ, ერთი მხრივ, აქციონერის მხრიდან ქმედების ერთგულების მოვალეობა, ხოლო მეორე მხრივ, აქედან გამომდინარე ხმის გამოყენების გარეგება, საზოგადოების წევრობის შემადგენელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს. წევრობა კი, თავის თავში გარკვეულ უფლებებს, მოვალეობებს და პასუხისმგებლობას მოიცავს. ამიტომ წინააღმდეგობრივი იქნებოდა მოსაზრება, რომელიც ერთგულების მოვალეობას ამ საერთო (წევრობიდან გამომდინარე) მოვალეობათა კონტექსტიდან ამოიღებდა და დამოუკიდებელ კატეგორიად განიხილავდა,⁸⁹ ანუ ამ შემთხვევაში საუბარია იმაზე, აქვს თუ არა წარმომადგენელს დამოუკიდებელი ერთგულების შენარჩუნების მოვალეობა, რომელიც არ შედის კორპორაციულსამართლებრივი ერთგულების მოვალეობის საზომში. მაგრამ თავად წარმომადგენელმაც, მისთვის ხმის უფლების გადაცემისა და ხმის უფლების გამოყენების დროს, უნდა დაიცვას ერთგულების მოვალეობის მასშტაბი, რადგანაც ეს ვალდებულება აქციონერთა კორპორაციულსამართლებრივ მოვალეობად განიხილება, იგი კი, მათი (პარტნიორთა) დავალების შემსრულებელია. თუმცა, უფლებამოსილების განმხორციელებელს დამოუკიდებელი კორპორაციულსამართლებრივი ერთგულების მოვალეობა არ უნდა ეხებოდეს. დამოუკიდებელი ხასიათის კორპორაციულსამართლებრივი ერთგულების მოვალეობა მხოლოდ აქციონერთა შორის ურთიერთობას ახასიათებს და იგი მესამე პირზე ვერ გავრცელდება.⁹⁰ ამიტომ დამოუკიდებელი კორპორაციულსამართლებრივი ერთგულების მოვალეობის დარღვევა იურიდიული შედეგის მქონე მხოლოდ საზოგადოების წევრებისათვის უნდა იყოს. ამიტომ ერთი შეხედვით, მოპასუხეს, როგორც არააქციონერს, არ უნდა დაეკისროს კორპორაციულსამართლებრივი ერთგულების მოვალეობა.⁹¹ საერთო კრებაზე ხმის უფლების გამოყენებისას წარმომადგენელი ზიანის ანაზღაურებისათვის მაშინ არის პასუხისმგებელი, როდესაც ერთგულების მოვალეობა განზრახ არის დარღვეული, ხოლო ზიანის შეჩერება (ან თავიდან აცილება) საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებით შეუძლებელი იქნება.⁹²

III. დასკვნა

ერთგულების მოვალეობა ეთიკური კატეგორიაა. იგი იმაზეა დამოკიდებული, თუ რეალურად როგორი სტრუქტურის მატარებელია თავად საწარმო. თუმცა, ამ საზომით, განსხვავება ამხანაგური და კაპიტალური ტიპის საზოგადოებებს შორის, როგორც წესი, არ არსებობს. ერთგულების მოვალეობის დარღვევისას სასამართლო კონკრეტული შემთხვევის ინდივიდუალური მიდგომიდან უნდა ამოვიდეს და შეამონმოს გამოსაყენებელი უნდა იყოს თუ არა ის დოქტრინა, რომელიც პერსონალურ საზოგადოებათა სამართალში განვითარდა. ამ თვალსაზრისით, უმნიშვნელოა საზოგადოება სს-ის თუ შპს-ის სამართლებრივი ფორმით არის ჩამოყალიბებული თუ არა. გადამწყვეტი სწორედ ის ურთიერთობაა, რომელიც საზოგადოების პარტნიორებს შორის იმის აღქმის საშუალებას უნდა იძლეოდეს, რომ მათი მხრიდან არსებობს ისეთი

სამართალურთიერთობა, რომელიც ერთგულების მოვალეობის აღიარებას, მის განუხრელ დაცვასა და გათვალისწინებას მოითხოვს. ამიტომაც სს-შიც გასათვალისწინებელია აქციონერთა შორის პირადი თუ სხვა ტიპის ურთიერთობები. ეს უდავოდ არის დამოკიდებული თვით ამ საზოგადოების რეალურ სტრუქტურაზე, ანუ პარტნიორთა პირადი კავშირებისა და თანამშრომლობის ხარისხზე. თანამედროვე გლობალურ კაპიტალური კორპორაციების ეპოქაში, სადაც ერთ მსხვილ ტრანსნაციონალურ საზოგადოებაში შესაძლოა, რამდენიმე ათასი აქციონერი იყოს განეწიანებული, ძალიან ძნელია ერთგულების მოვალეობის მასშტაბებზე და მის შენარჩუნებაზე საუბარი. ისეთი კორპორაციის აქციები, რომელიც ყოველდღიურად ბრუნავს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე და მათი ყიდვა-გაყიდვით საზოგადოების აქციონერთა წრე ისეა ჩამოყალიბებული, რომ მათ ერთმანეთის შესახებ საერთოდ არაფერი იციან და არც იცნობენ კიდევ ერთმანეთს, ერთგულების გამოჩენისა და დაცვის მოვალეობა, თითქოსდა შეუძლებელი უნდა იყოს. ასეთი დიდი კორპორაციების რეალური სტრუქტურა არ იძლევა ერთგულების შენარჩუნების ვალდებულებას. ამიტომ ამგვარ სს-ებში ერთგულების მოვალეობა წარმოუდგენელი უნდა იყოს. რაც მთავარია ერთგულების მოვალეობის დროს უმრავლესობაში მყოფმა აქციონერმა ძირითადად, ყურადღება იმას უნდა მიაქციოს, რომ მისი ქმედებით, უპირველეს ყოვლისა, არ შეიღახოს საზოგადოების, როგორც „ხანგრძლივი ვადით შექმნილი“ წარმონაქმნის ინტერესი. შესაძლოა, საერთო კრებაზე უმრავლესობამ ისეთი გადაწყვეტილება მიიღოს, რომელიც ამკარად ხელყოფს მინორიტარი აქციონერის მატერიალურ-ქონებრივ ინტერესს, თუმცა, ეს შეიძლება არ გახდეს იმის უპირობო მტკიცების საფუძველი, რომ ასეთი გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება თავად საწარმოს ინტერესს. აქციონერის უფლებების შეღახვა, პირველ რიგში, ნიშნავს კომპანიისათვის ზიანის მიყენებას. აქციონერის ზიანი (დანაკლისი, როგორც ზემოთ აღინიშნა) ევენტუალური ზიანია, რამდენადაც აქციონერის ქონებრივი მდგომარეობა (და აქედან მისი მატერიალური ინტერესი) უშუალოდ არის მიბმული საზოგადოების ქონებრივ ინტერესზე. თუმცა, იმ დროს, როდესაც პარტნიორის პირადი ინტერესი ამკარად აღემატება თავად საზოგადოების ინტერესს, მაშინ საკითხი უკვე ერთგულების მოვალეობის საზომს და მის დარღვევას შეიძლება შეეხოს.

შეიძლება თქმა, რომ ეს პრინციპი (ერთგულების მოვალეობა), სამართლიანობის ზოგადი იდეიდან მომდინარე ეთიკური კატეგორიაა (ერთი შეხედვით ჯანსაღი ეკონომიკური კონკურენციის პირობებში სააქციო სამართალში დამკვიდრებული ეს პრინციპი, თითქოსდა, უსამართლოდ უნდა გამოიყურებოდეს). ამიტომ ქართულ სასამართლოებს არ უნდა მოერიდოთ საკორპორაციო სამართლებრივ ნორმებთან ერთად, სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების⁹³ გამოყენება. თავის მხრივ, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტი დელიქტურსამართლებრივი ბუნების მქონე ნორმაა. მისი შინაარსი ერთგულების მოვალეობას განსაზღვრავს. მართალია, ნაციონალური კანონმდებლობა⁹⁴ საკანონმდებლო დონეზე განმარტავს დომინანტი აქციონერის ცნებას, სადაც არა მხოლოდ უმრავლესობაში მყოფ პარტნიორს, არამედ უმცირესობასაც მოიაზრებს, თუმცა, ამ მდგომარეობის გამოყენებას მხოლოდ საერთო კრებაზე კენჭისყრის შედეგებზე ზეგავლენის მოხდენას უკავშირებს. ამ ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტების შედეგად შესაძლოა, გაკეთდეს დასკვნა, რომ მე-8 პუნქტი⁹⁵ მხოლოდ საერთო კრებაზე პარტნიორისაგან (ქმედების⁹⁶) ერთგულების იმ მოვალეობის გამოჩენას მოითხოვს, რომელიც მხოლოდ საერთო კრებაზე მის ქმედებას უკავშირდება. ამ შემთხვევაში, თითქოსდა მონესრიგების მიღმა რჩება ის საკითხი, რომელიც საზოგადოების სხვა მმართველ ორგანოებზე ზემოქ-

მედების მოხდენას ეხება. თავისუფლად შესაძლებელია, რომ დომინანტი პარტნიორის სამეთვალყურეო საბჭოზე ან გამგეობაზე 'ბოროტი' ზემოქმედების შედეგად კორპორაციას ზიანი მადგეს.⁹⁷ დაეკისრება თუ არა ამ შემთხვევაში მას პასუხისმგებლობა და ზიანის ანაზღაურების მოვალეობა? როგორც ზემოთ წარმოჩინდა, გერმანული სააქციო კანონი⁹⁸ პირდაპირ ანესრიგებს ამ საკითხს. თუმცა, ქართული კანონიც არ ტოვებს ამას რეგულირების მიღმა. მენარმეთა კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის შინაარსი იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ გერმანული კანონის პირდაპირი მოცემულობა ასახული იქნება მასში. ამ შემთხვევაში, განსაკუთრებული ყურადღება მე-8 პუნქტის პირველივე წინადადებას მიექცეოდა, სადაც ნათქვამია: თუ დომინანტმა პარტნიორმა განზრახ გამოიყენა თავისი დომინანტური მდგომარეობა ამ საზოგადოების საზიანოდ, მან დანარჩენ პარტნიორებს უნდა გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია. მოკლედ, აღნიშნული ნორმა რამდენიმე იურიდიულ ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას: (1) დომინანტი პარტნიორი, რომელიც (2) საზოგადოების (3) საზიანოდ (4) განზრახი ქმედებით (5) იყენებს ამ დომინანტურ მდგომარეობას, იგი (6) დანარჩენ პარტნიორებს უნაზღაურებს ამ ზიანს. ნორმის განმარტებიდან გამომდინარე, თვალნათელია, რომ დომინანტი პარტნიორი სწორედ საზოგადოების საზიანოდ უნდა მოქმედებდეს, ხოლო თუ როგორ გააკეთებს უმრავლესობაში მყოფი პარტნიორი ამას⁹⁹ – უმნიშვნელოა. გაუგებრობას თითქოსდა ამავე პუნქტის მეორე წინადადება იწვევს, რომელიც დომინანტი პარტნიორის ლეგალურ დეფინიციას განმარტავს. ამ შემთხვევაში, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ზემოქმედების განხორციელების ადგილი მხოლოდ პარტნიორთა კრებაა. თუმცა, ეს წინადადებაც სათანადო განმარტებას მოითხოვს. ამ დროს კანონი დომინანტი პარტნიორის განმარტებისათვის მოიხმობს პარტნიორთა კრებაზე, კერძოდ კი, კენჭისყრის შედეგებზე პრაქტიკული ზეგავლენის ფაქტს. კანონი განსაზღვრავს უმრავლესობაში მყოფი პარტნიორის კატეგორიას, რა დროსაც პროცედურული ნიუანსი მოჰყავს: კენჭისყრის შედეგებზე ზეგავლენა. ბუნებრივია, ის, ვისაც უნარი შესწევს კენჭისყრის შედეგებზე მოახდინოს პრაქტიკული ზეგავლენა, მას საზოგადოების დანარჩენ ორგანოებზეც ექნება ზემოქმედების ბერკეტი. შესაბამისად, ქართული და გერმანული კანონმდებლობის ჩანაწერები შინაარსობრივი თვალსაზრისით, პრინციპში, ერთი და იმავეს განაპირობებს.

მოკლედ, საწარმოს ეფექტიანი საქმიანობის საფუძველი ის არის, რომ მაქსიმალურად იქნეს დაცული პარტნიორთა თანაბარი მოპყრობის, შეთანხმებების კეთილსინდისიერად შესრულების, მათი განუხრელი დაცვისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპი. იმ სს-ში, რომლის რეალური სტრუქტურაც ერთგულების მოვალეობაზე საუბრის შესაძლებლობას იძლევა, ეს პრინციპი წევრობის შემადგენელ და განუყოფელ ნაწილად არის მიჩნეული. ამიტომ მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტს, თუ რომელმა მხარემ (უმრავლესობამ თუ უმცირესობამ) უნდა დაიცვას ეს მოვალეობა. იგი, განსაკუთრებითადახურული ტიპის სს-ებში, თანაბარი მნიშვნელობის მქონე პრინციპია ნებისმიერი პარტნიორისათვის. უმრავლესობაში მყოფი პარტნიორი პატივს უნდა სცემდეს უმცირესობას. თუმცა, უმცირესობაში მყოფი პარტნიორების დაცვა არ უნდა გულისხმობდეს დომინანტი აქციონერის ბატონობისა და დამოუკიდებელი ხელმძღვანელობის უკანონოდ გამოცხადებას.¹⁰⁰ უმცირესობის დაცვა განპირობებული უნდა იყოს საზოგადოების ერთიანი ობიექტური ინტერესის საფუძვლით, რომლის მიზანიც საზოგადოების რენტაბელური საქმიანობა და მისი განვითარება იქნება.¹⁰¹ ასეთივე მიდგომა მოეთხოვება იმ უმცირესობას, რომელსაც ხმათა გაერთიანების შედეგად საზოგადოების საერთო კრების კენჭისყრის შედეგებზე პრაქტიკული ზეგავლენის მოხდენა შეეძლება.

შენიშვნები:

- ¹ მას სხვაგვარად, აქ წესდება დაერქმევა.
- ² გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს (BGH) მიერ ცნობილი "ITT"-ს გადაწყვეტილების შემდეგ, უკვე ერთხმად არის აღიარებული, რომ ერთგულების მოვალეობა არსებობს თანაპარტნიორთან მიმართებითაც. იხ.: BGHZ 65, 15/18 ff.
- ³ Beckerhoff, Tom, Treupflichten bei der Stimmrechtsausübung und Eigenhaftung des Stimmrechtsvertreters, Peter Lang, Frankfurt 1996, S. 23.
- ⁴ Lutter, Marcus, AcP 180 (1980), S. 84, 120 f; K. Schmidt, Gesellschaftsrecht, §20 IV 1 c). vutiteb: Grunewald, Barbara, Gesellschaftsrecht, (2008), S. 13.
- ⁵ Lutter AcP 180 (1980), S. 84; Lettl acP 202 (2002), S. 3, 8. vutiteb: Grunewald, Gesellschaftsrecht, (2008), S. 13.
- ⁶ Grunewald, gesellschaftsrecht, (2008), S. 13.
- ⁷ Münch. Hdb. GesR III/Schiessl, §32 Rn. 13.
- ⁸ Raiser, Thomas/Veil, Rüdiger, Recht der Kapitalgesellschaften, (2006), S. 111.
- ⁹ Münch. Hdb. GesR IV/Wiesner, §17 Rn. 19.
- ¹⁰ Münch. Hdb. GesR III/Schiessl, §32 Rn. 12.
- ¹¹ Beckerhoff, Treupflichten bei der Stimmrechtsausübung, S. 23.
- ¹² Jannott/Hagemann in Henn, Günter/Frodermann, Jürgen/Jannott, Dirk (Hrsg.), Hdb. des Aktienrechts, (2009), S. 81.
- ¹³ Münch. Hdb. GesR III/Schiessl, §32 Rn. 12; Raiser/Veil, Recht der Kapitalgesellschaften, (2006), S. 108; Jannott/Hagemann in Henn/Frodermann/Jannott, Handbuch des Aktienrechts, (2009), S. 81.
- ¹⁴ Münch. Hdb. GesR III/Schiessl, §32 Rn. 15.
- ¹⁵ BGHZ 129, 136, 143 ff (Girmes/Effectenspiegel – უმცირესობაში მყოფი აქციონერის ერთგულების მოვალეობა); BGHZ 103, 184, 194 ff (Linotype – პარტნიორთა ერთგულების მოვალეობა კორპორაციის და ერთმანეთის მიმართ); BGHZ 127, 107, 11 ff (BMW – სს-ის ერთგულების მოვალეობა მისი აქციონერის მიმართ); ასევე, BGH WM 1992, 1812ff (შპს-სთან მიმართებით შეგიძლიათ იხ: BGHZ 65, 15 ff). თავდაპირველად საიმპერიო სასამართლომ 1908 წელს მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც სს-ში ერთგულების მოვალეობას შეეხებოდა. ამ გადაწყვეტილებით ყოველი აქციონერი უფლებამოსილი იყო გამოეყენებინა თავისი ნება საერთო კრებაზე, თუ იგი ფლობდა ხმათა ისეთ უმრავლესობას, რომელსაც საერთო კრების კენჭისყრის შედეგებზე არსებითი გავლენის მოხდენა შეეძლო. ამ მხრივ მხედველობაში არ მიიღებოდა საზოგადოების ან თანააქციონერების ინტერესების შელახვის საკითხი. ღჩძ 68, 235, 245. ამავე სასამართლომ მოგვიანებით გარკვეული ზღვარი და შეზღუდვები დაუდგინა უმრავლესობას ძალაუფლების გამოყენების დროს. ღჩძ 107, 202, 204. ამის შემდეგ 1976 წელს ფედერალური უმაღლესი სასამართლოს მიერ უარყოფილ იქნა აქციონერთა ერთგულების მოვალეობა ერთმანეთის მიმართ (BGH = JZ 1976, S. 561. VW-Audi/NSU), რამაც იურიდიულ ლიტერატურაში გარკვეული კრიტიკა გამოიწვია. 1988 წლამდე სასამართლო პრაქტიკა მხოლოდ აქციონერის სს-ის წინაშე ერთგულების მოვალეობას აღიარებდა. იხ.: Raiser/Veil, Recht der Kapitalgesellschaften, (2010), S. 76. შემდეგ ლინოტიპის ცნობილი გადაწყვეტილებით საბოლოოდ დამკვიდრდა ერთიანი სასამართლო პრაქტიკა და ითქვა, რომ ერთგულების მოვალეობა (საზოგადოების, საზოგადოებისა და მისი პარტნიორის და თანაპარტნიორებს შორის) არსებობს ყველა ტიპის საზოგადოებაში (როგორც ამხანაგურ, ისე კაპიტალურ გაერთიანებებში). BGHZ 103, 184 f. ასევე: BGHZ 142, 167, 169 = AG 1999, S. 517 f (სს ჰილგესის სახელთან

დაკავშირებული დავა); BGHZ 153, 47, 51 = AG 2003, S. 273 ff (სს ინგრამ-მაკროტონის გადანყვეტილება); სულ ახლახანს ფრანკფურტის მიწის უმაღლეს სასამართლოს აგრეთვე აქვს მიღებული გადანყვეტილება, რომელიც ეკონომიკისა და საბანკო სამართლის ჟურნალის (უნყეები) 2005 წლის ნომერშია განმარტებული: OLG Frank. = WM 2005, S. 2176 f.

- ¹⁶ Verband. გერმანულ სამართალში კორპორაცია კავშირის ძირითად სახეობად განიხილება. იხ.: Klunzinger, Eugen, Grundzüge des Gesellschaftsrecht, (2009), S. 160; Hirte, Heribert, Kapitalgesellschaftsrecht, 5. neu bearbeitete Auf., RWS Verlag, Köln 2006, S. 2; MünchKommAktG/Heider, (2000), §1 Rn. 14. ამიტომაც ამბობენ, რომ ერთგულების მოვალეობა დღეს უკვე კავშირის ერთ-ერთ სამართლებრივ პრინციპად არის აღიარებული. Henze/Notz in GrossKommAktG, Vorbem. §53a Rz. 13-15. ამის საფუძველს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 705-ე პარაგრაფი იძლევა, თუმცა, აღნიშნული ნორმა უფრო პერსონალური საზოგადოების პარტნიორთა შორის ერთგულების მოვალეობის საკანონმდებლო ბაზისად (საფუძვლად) განიხილება. Westermann in Bürgers/Körber, AktG, §53a Rn. 12. მაგრამ სააქციო სამართალში ამ პრინციპის გამოყენებას და, შესაბამისად, 705-ე პარაგრაფზე მითითებას თავისი იურიდიული გამართლება აქვს: სს-ის აქციონერები იმ საზოგადოების პარტნიორები არიან, რომელიც ერთიან მიზნის მისაღწევად შექმნილი (და ერთიან ინტერესზე დაფუძნებული. MünchKommAktG/Bungeroth, Band 1, 3. Auf., (2008), Vor. §53a Rn. 19.) წარმონაქმნია. ამ წარმონაქმნში კი, ადვილი შესაძლებელია, რომ უმრავლესობაში მყოფი პარტნიორის მხრიდან მოხდეს უმცირესობაში მყოფი აქციონერის ინტერესში ჩარევისა და მათი ხელყოფის ფაქტი. Maul in Müller/Rödter (Hrsg.), Beck'sches Hdb. der AG, §4 Rn. 81. ამის თავიდან აღსაკვეთად საჭიროა აღნიშნული ნორმის გამოყენებაც. თავის მხრივ, BGB-ს 705-ე და მომდევნო პარაგრაფები „საზოგადოების ცნებას“ განმარტავს. პრინციპში გერმანიის სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული ნორმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლს ნააგავს, სადაც ერთობლივი საქმიანობის შინაარსია განსაზღვრული.
- ¹⁷ Langenbacher, Katja, Aktien- und Kapitalmarktrecht, (2008), S. 166.
- ¹⁸ ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, გასაზიარებელია, რომ ღია სს-ში აქციონერის ერთგულების მოვალეობა (მისი მასშტაბი) უფრო შეზღუდულია, ვიდრე დახურულ სააქციო კორპორაციაში. იხ.: მაგ.: Grunewald, Gesellschaftsrecht, (2008), S. 257.
- ¹⁹ Raiser/Veil, Recht der Kapitalgesellschaften, (2006), S. 109.
- ²⁰ Raiser/Veil, Recht der Kapitalgesellschaften, (2010), S. 75.
- ²¹ Raiser/Veil, Recht der Kapitalgesellschaften, (2010), S. 75.
- ²² MünchKommAktG/Bungeroth, Band 1, 3. Auf., (2008), Vor. §53a Rn. 22.
- ²³ იხ.: Henze/Notz in GrossKommAktG, Vorb. §53a Rz. 43; ასევე, MünchKommAktG/Bungeroth, Band I, 3. Auf., (2008), Vor. §53a Rn. 24.
- ²⁴ MünchKommAktG/Bungeroth, Band 1, 3. Auf., (2008), Vor. §53a Rn. 25.
- ²⁵ იგულისხმება გერმანიის სააქციო კანონი. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი თავის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის ბოლო წინადადებაში აყალიბებს დომინანტი პარტნიორის ცნებას.
- ²⁶ Schmidt, Karsten, Gesellschaftsrecht, (2004) S. 591, 807 ff.
- ²⁷ BGHZ 129, 136, 143 ff; BGHZ 103, 184, 194 ff.
- ²⁸ §§826, 242 BGB. Raiser/Veil, Recht der Kapitalgesellschaften, (2010), S. 76.
- ²⁹ AktG §117 Abs. 1 Satz 1. "Wer vorsätzlich unter Benutzung seines Einflusses auf die Gesellschaft ein Mitglied des Vorstands oder des Aufsichtsrats, einen Prokuristen oder einen Handlungsbevollmächtigten dazu bestimmt, zum Schaden der Gesellschaft oder ihrer Aktionäre zu handeln, ist der Gesellschaft zum Ersatz des ihr daraus entstehenden Schadens verpflichtet".

- ³⁰ ეს დანაწევრება, ძირითადად, რაიზერის დასახელებულ ნაშრომს ეყრდნობა. Raiser/Veil, *Recht der Kapitalgesellschaften*, (2010), S. 75.
- ³¹ იხ.: „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტი.
- ³² Hüffer, Uwe, *AktG*, (2010), §117 Rn. 4, 7.
- ³³ Westermann in *Bürgers/Körber, AktG*, §117 Rn. 3.
- ³⁴ Raiser/Veil, *Recht der Kapitalgesellschaften*, (2010), S. 75.
- ³⁵ BGHZ 103, 184-185.
- ³⁶ Geier, Bernd M., *Gestaltungsfreiheit und Gestaltungsgrenze der mitgliedschaftlichen Treupflicht des Aktionärs*, Peter Lang, Frankfurt am Main 2007, S. 23.
- ³⁷ ერთი აქციონერის მიერ, რომელიც სს „ლინოტიპში“ მხოლოდ 4 აქციას ფლობდა.
- ³⁸ BGHZ 103, 185.
- ³⁹ Gleichbehandlungsgrundsatz.
- ⁴⁰ BGHZ 103, 193. ლოიალურობის, როგორც ერთგულების მოვალეობის შემადგენელი ნაწილის თაობაზე შეგიძლიათ იხ.: Münch. Hdb. GesR III/ Schiessl, §32 Rn. 16.
- ⁴¹ იურიდიულ ლიტერატურაში გადანყვეტილების განმარტების თაობაზე იხ.: მაგ.: Raiser/Veil, *Recht der Kapitalgesellschaften*, (2010), S. 711; Geier, *Treupflicht des Aktionärs*, S. 23-24; Wilhelm, Jan, *Kapitalgesellschaftsrecht*, 3. neu bearbeitete und erweiterte Auf., De Gruyter Recht, Berlin 2009, S. 336-337; და ა.შ.
- ⁴² Grunewald, *Gesellschaftsrecht*, (2008), S. 259. თუმცა, აღნიშნულ წიგნში პროფ. გრუნეველდის მიერ მიუხედავად იმისა, რომ ავტორი არსებითად ეთანხმება ამ გადანყვეტილებას, გარკვეული კრიტიკა გამოთქმული. კერძოდ, აქ ის აზრია გატარებული, რომ სს-ში აქციის 4% მქონე პირს თითქმის არანაირი ქონებრივი უფლება არა აქვს. ზედმეტია საუბარი იმაზე, რომ საწარმოს გასხვისების დროს ასეთი რამდენიმე აქციის მფლობელი პირი კორპორაციის ქონების საერთოდ რაიმე ნაწილს მიიღებდა. ამიტომ მის მიმართ ერთგულების მოვალეობის დარღვევა, რბილად რომ ითქვას, ცოტა უხერხული იქნებოდა. Grunewald, *Gesellschaftsrecht*, (2008), S. 259. ასეთივე მიდგომის თაობაზე აგრეთვე: Wiedemann *JZ* 1989, S. 447 ff. პროფ. ვიდემანი ასევე ამატებს, რომ აღნიშნულ დავაში, შინაარსობრივი თვალსაზრისით, უმცირესობაში მყოფი აქციონერისათვის მთავარი იყო საწარმოს ქონების ნაწილზე უფლების მოპოვების შესაძლებლობის მინიჭების უზრუნველყოფა. თუმცა, მოსარჩელეს სასამართლოსაგან ეს უკანასკნელი არ მოუთხოვია. (მითითებულია: Grunewald, *Gesellschaftsrecht*, (2008), S. 259).
- ⁴³ *Sachsenmilch-Urteil*. BGHZ 138, 70 ff.
- ⁴⁴ BGHZ 138, 71 ff.
- ⁴⁵ დანერგვით ამ გადანყვეტილების იურიდიული ასპექტების შესახებ: Wilhelm, *Kapitalgesellschaftsrecht*, (2009), S. 229, 337. ამ გადანყვეტილებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი ის იყო, რომ კაპიტალის შემცირების შედეგად, ძველი აქციების (გარკვეული რაოდენობის, მაგ., 10) ნაცვლად ახალი (მაგ., 3) აქციები უნდა განთავსებულიყო. უმცირესობაში მყოფი აქციონერები კი, ისეთ ვითარებაში ჩაადგეს, რომ მათ ძველი აქციების შემცირების შედეგად, ახალი აქციების გარდაქმნის შესაძლებლობა არ ჰქონდათ ან საამისო სახსრები არ გააჩნდათ.
- ⁴⁶ იგი ზემოთ ჩამოთვლილ პირველ მოთხოვნასთან შეიძლება ასოცირდებოდეს.
- ⁴⁷ Raiser/Veil, *Recht der Kapitalgesellschaften*, (2010), S. 77.
- ⁴⁸ ითარგმნება როგორც „ჩამკეტი უმცირესობა“.
- ⁴⁹ K. Schmidt/Lutter/Fleischer, *AktG*, §53a Rn. 50; Hüffer, *Komm. zum AktG* (2010), §53a Rn. 17. ასეთ კონსტალაციას „შემთხვევით უმრავლესობას“

(ძუფალსმეპრჰეიტ) უნოდებენ. ეს განსაკუთრებით იმ შემთხვევაშია მნიშვნელოვანი, როდესაც მინორიტარი აქციონერი სხვა აქციონერთა მხრიდან ხმის უფლების გამოუყენებლობის დროს უმრავლესობის პოზიციაში ექცევა. Hüffer in FS Heinsius. vUTiTeB: Hüffer, AktG, (2010), §53a Rn. 17.

⁵⁰ როგორც ეს კორპორაცია გირმესის საქმიდან გამოჩნდება.

⁵¹ Raiser/Veil, Recht der Kapitalgesellschaften, (2010), S. 78.

⁵² ამასთან, მხედველობაში მიიღება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 242-ე და 705-ე პარაგრაფები.

⁵³ Schall in Spindler/Stilz, Komm. zum AktG, §117 Rn. 3.

⁵⁴ Bürgers-Israel in Bürgers/Körber, AktG, §117 Rn. 1.

⁵⁵ მესამე პირისათვის ამ უფლების მინიჭება განპირობებულია იმით, რომ იგი შესაძლოა წარმოადგენდეს საზოგადოების კრედიტორს. შესაბამისად, მისი ინტერესი იმაში გამოიხატება, რომ მას აქვს უფლება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა საზოგადოების ქონების ხარჯზე. ამიტომ საზოგადოებისათვის ზიანის მიყენებით შესაძლოა საფრთხე სწორედ სანარმოს ქონებას შეექმნას. აქედან გამომდინარე, ამ ნორმის შინაარსი გამიზნულია საზოგადოების „ქონების დაცვის სფეროსაკენ და ხელმძღვანელობის ავტონომიურობისაკენ“. Bürgers-Israel in Bürgers/Körber, AktG, §117 Rn. 1.

⁵⁶ Bürgers-Israel in Bürgers/Körber, AktG, §117 Rn. 5. თუმცა აქ ვათვალისწინებუ-
ბული უნდა იყოს ის გარემოება, რომ ზიანის მოთხოვნის დამყენებელი სუბიექტი შესაძლოა იყოს ასევე, საერთო კრებაც. ამიტომ ეს საკითხი გასათვალისწინებელია სააქციო კანონის 147-ე პარაგრაფთან ერთობლიობაში. Paschke in Schwerdtfeger, Armin (Hrsg.) Kompaktkommentar, Gesellschaftsrecht, Luchterhand 2007, §117 Rn. 6.

⁵⁷ Schall in Spindler/Stilz, AktG, §117 Rn. 15.

⁵⁸ OLG Bremen = AG 2002, S. 620.

⁵⁹ Paschke in Armin Schwerdtfeger (Hrsg.) Kompaktkommentar, Gesellschaftsrecht, §117 Rn. 6.

⁶⁰ Brüggemeier, AG 1988, S. 93, 96. vUTiTeB: Paschke in Armin Schwerdtfeger (Hrsg.), Kompaktkommentar, Gesellschaftsrecht, §117 Rn. 4.

⁶¹ Paschke in Armin Schwerdtfeger (Hrsg.), Kompaktkommentar, Gesellschaftsrecht, §117 Rn. 4.

⁶² Syndikatsvertrag. ამ შემთხვევაში ხმათა შეკვრის ხელშეკრულებას ნიშნავს.

⁶³ სწორედ ამას შეიძლება აქ Spermiorität დაერქვას.

⁶⁴ აღნიშნული გადაწყვეტილება სრულყოფილად შეგიძლიათ იხ.: BGH = ZIP 1995, S. 819 ff.

⁶⁵ Wilhelm, Kapitalgesellschaftsrecht, (2009), S. 333.

⁶⁶ Altmepfen, Holger, Treupflicht der Minderheitsaktionäre einer AG und Haftung des Stimmrechtsvertreters (Girmes), NJW 1995 (Heft 27), S. 1740.

⁶⁷ Deutsche Bank AG.

⁶⁸ Wilhelm, Kapitalgesellschaftsrecht, (2009), S. 333; Geier, Treupflicht des Aktionärs, S. 24.

⁶⁹ საერთო კრებაზე მოპასუხის (ჰოფფმანის) მხრიდან ვაკეთებულ იქნა განცხადება, რომ იგი, უკიდურეს შემთხვევაში მხარს დაუჭერდა ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც ითვალისწინებდა კაპიტალის შემცირებას 5:3-ზე პროპორციით. WM 1995, 1, S. 883.

⁷⁰ ამ გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილი, გარკვეულწილად, მოკლედ ქართულადაც არის მოცემული. იხ.: ბ. კროპფ, პარტნიორის პასუხისმგებლობა, II გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2003, გვ. 249-261.

⁷¹ ეს მომენტი უშუალოდ უკავშირდება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 179-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის გამოყენებას. გერმანიის სასამართლო პრაქტიკისა და იურიდიული ლიტერატურის მიერ აღიარებულია, რომ ის, ვინც გარიგებითსამართლებრივი (ამ შემთხვევაში

- წარმომადგენლობითი) ურთიერთობიდან გამომდინარე, სხვა პირს ზიანს მიაყენებს, ხოლო დავალების გამცემის ვინაობის დასახელებისაგან თავს შეიკავებს, პასუხისმგებელი ხდება ზიანის ანაზღაურებაზე. Schramm in MünchKommBGB, 3. Auf., §179 Rn. 12; OLG Frankfurt a. Main = NJW-RR 1987, S. 914 ff.
- ⁷² Altmeppen, NJW 1995 (Heft 27), S. 1740.
- ⁷³ Flume, Werner, Die Rechtsprechung des II Zivilsenats des BGH zur Treupflicht des GmbH-Gesellschafters und des Aktionäers, ZIP 1995, S. 162. (insg. 161-167)
- ⁷⁴ GmbHR 9/1995, S. 665.
- ⁷⁵ Altmeppen, NJW 1995 (Heft 27), S. 1739.
- ⁷⁶ Altmeppen, NJW 1995 (Heft 27), S. 1739-1740.
- ⁷⁷ Flume, ZIP 1995, S. 166.
- ⁷⁸ იხ. მაგ.: Wilhelm, Kapitalgesellschaftsrecht, (2009), S. 333-336.
- ⁷⁹ Flume, ZIP 1995, S. 166-167.
- ⁸⁰ Flume, ZIP 1995, S. 167. ვრცლად BGH-ს აღნიშნული გადაწყვეტილების კრიტიკის შესახებ: Flume, ZIP 1995, S. 165-167; ასევე: Wilhelm, Kapitalgesellschaftsrecht, (2009), S. 334-336.
- ⁸¹ ე.წ. wirkungsbezogene Treupflicht.
- ⁸² იხ.: Dreher, Meinrad, Treupflichten zwischen Aktionären und Verhaltenspflichten bei der Stimmrechtsbündelung, ZHR 1993, S. 158-159; ასევე, Timm, Wolfram,, WM 1991, S. 481 ff.
- ⁸³ Koalitionsaktionäre.
- ⁸⁴ Dreher, ZHR 1993, S. 158.
- ⁸⁵ ე.წ. Stimmrechtbündelung.
- ⁸⁶ Dreher, ZHR 1993, S. 158. ამიტომ დასძენს დრეერი, მცირე აქციონერს არ მიეკუთვნება ამ შემთხვევაში ის მინორიტარი პარტნიორი, რომელიც დამოუკიდებლად იბრძვის საერთო კრებაზე საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად და საკუთარი ინტერესისათვის. აქ გადამწყვეტი ის არის, რომ ასეთი აქციონერი სხვა უმცირესობაში მყოფ აქციონერებთან ერთად თავის ხმას არ გადასცემს სხვას და იგი ინდივიდუალურად პარალელურად აწარმოებს საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას. ასეთ აქციონერს „ოპონირებად მინორიტარ აქციონერს“ უწოდებენ. Dreher, ZHR 1993, S. 158-159.
- ⁸⁷ Dreher, ZHR 1993, S. 158. სწორედ ამიტომ არ გადასცეს აქციონერებმა ბოლკო ჰოფმანს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ხმათა გამოყენების (Proxy Voting) თაობაზე?!
- ⁸⁸ WM 1995, 1, S. 885-886.
- ⁸⁹ WM 1995, 1, S. 886.
- ⁹⁰ WM 1995, 1, S. 885.
- ⁹¹ Altmeppen, NJW 1995 (Heft 27), S. 1740-1741.
- ⁹² Altmeppen, NJW 1995 (Heft 27), S. 1740. ვრცლად ამ გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე: Altmeppen, NJW 1995 (Heft 27), S. 1739-1750.
- ⁹³ ამ შემთხვევაში, აქცენტი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლზე გაკეთდებოდა. ამ მუხლის განმარტებისა და მისი „თამამად“ გამოყენების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ მაგ.: ალექსანდრე იოსელიანი, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებითსამართლებრივი გამოკვლევა), უურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 2007 სპეც. გამოცემა, გვ. 12-71.
- ⁹⁴ გერმანულისაგან განსხვავებით.
- ⁹⁵ იმავე შინაარსს შეიცავს ასევე, 53-ე მუხლის მე-4 პუნქტის ბოლო წინადადება.
- ⁹⁶ გერმანულ სამართალში ნახმარია სიტყვა "Verhalten".

- ⁹⁷ ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხ.: ირაკლი ბურდული, ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში (განსაკუთრებით მისი ჩამოყალიბების პროცესში), ქართული და ავსტრიული სამართლის მაგალითზე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008, გვ. 107-115.
- ⁹⁸ AktG §117 Abs. (1).
- ⁹⁹ საერთო კრებაზე განზრახ საკუთარი გამორჩენის (და მაგალითად, საზოგადოების დარჩენილი ქონების არსებითი ნაწილის დაუფლების მიზნით) მხარს დაუჭერს საზოგადოებისათვის საზიანო გადაწყვეტილებას.
- ¹⁰⁰ რ. კნიპერი, უმცირესობაში მყოფი პარტნიორის უფლების დაცვა საქართველოს სამენარმეო სამართლის მიხედვით, საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში, გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი, თბილისი, 2000, 7-8 მარტი, გვ. 95.
უმცირესობაში მყოფი აქციონერების უფლებების დაცვის თაობაზე ასევე: გ. ბახუტაშვილი, აქციათა მცირე პაკეტის მფლობელ აქციონერთა უფლებების დაცვა სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონმდებლობის მიხედვით, საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში, გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი, თბილისი, 2000, 7-8 მარტი, გვ. 117-126; მ. მემარნიშვილი, მცირე აქციონერთა უფლებების დაცვა „სააქციო საზოგადოებათა შესახებ“ კანონის მიხედვით, საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში, გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი, თბილისი, 2000, 7-8 მარტი, გვ. 127-131.
- ¹⁰¹ იხ.: რ. კნიპერი, უმცირესობაში მყოფი პარტნიორის უფლების დაცვა საქართველოს სამენარმეო სამართლის მიხედვით, გვ. 95.

COMMITMENT OBLIGATION – SCALE OF ACTION OF THE MAJORITY AND THE MINORITY WITHIN CORPORATE LAW

On the Example of German Law

IRAKLI BURDULI

*Full Professor and Dean Faculty of Law
Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

This article refers to a very interesting issue of commitment obligation known in the corporate law and unfortunately less developed in Georgia. The article describes the general standard of commitment obligation and provides the Georgian readers with the information about its scales, frames and the legal results in case of its violation. Based on its legal nature the public should also be considered as the legal category of commitments and bear legal status, therefore the protection of the rights of the participants of these relationships will be one of the central responsibilities of each participant. Honest relationship and protection of the rights and interests of the process participants is the milestone of the private law in general. The same is recognized by part 3, Article 8 of the Civil Code of Georgia. According to the mentioned article, participants of the private law relationships are obliged to fulfill the rights and responsibilities related to this relationship honestly. Accordingly the interrelationship between the public members and in front of the public shall be defined according to the honesty. The honest employment of the right and commitment to the duty in the corporate law is crucial and their violation leads to legal sanctions. The respect and observation of the given commitments is grounded on the agreement achieved between the partners. The Agreement serves as the bases for respect, protection and fulfillment of relevant rights and commitments. Disobedience and therefore unemployment of relevant sanctions leads the society members to act only according to their own interests. To avoid this, the corporate law has recognized the principle of commitment. Failure to observe the obligation of commitment in may serve as the bases f applying certain legal sanctions.

This article is composed of the following parts: I – Introduction, II – Basic part describing the general standard of commitment obligation, discussions on the abuse of voting rights by the partners resulting in the violation of the commitment obligation on the example of foreign judicial practice, III – Conclusion.

ეკოლოგიური კატასტროფების შედეგად იძულებით გადაადგილებული პირები – ეკომიგრანტები

სამართლებრივი დაცვის საერთაშორისო სტანდარტები,
საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა

ქეთევან ქამაშიძე

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის სკოლის
დოქტორანტი

1. კანონმდებლობა

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული, კლიმატური ცვლილებების შედეგად, საქართველოს მჭიდროდ დასახლებული მაღალმთიანი რაიონებიდან მოსახლეობის მიგრაციის პროცესები დაიწყო. ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში 10 ათასზე მეტი ადამიანი წყალდიდობის, მენჯერისა და ზვავის შედეგად უსახლკაროდ დარჩა. ეს განსაკუთრებით შეეხო სვანეთისა და აჭარის მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობას. ბევრი სამთავრობო უწყება შეეცადა საპასუხო ღონისძიებების გატარებას ამ პრობლემათა აღმოსაფხვრელად.¹

საინტერესოა, განვიხილოთ როგორ რეგულირდება ეს საკითხი საერთაშორისო სამართლისა და საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. დავიწყოთ იქიდან, რომ არ არსებობს ეკომიგრანტის ერთიანი განმარტება, თუმცა, საერთაშორისო დონეზე არსებობს ამ საკითხის ერთიანი გაგება. ასევე, არ არსებობს ეკომიგრანტების საკითხებზე სავალდებულო ძალის მქონე სამართლებრივი დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია ეკომიგრანტის დეფინიცია და ის ღონისძიებები, რომელიც სახელმწიფოს ავალდებულებს ამ ჯგუფის სოციალურ დაცვას. თუმცა, როდესაც განვიხილავთ ეკომიგრანტთა დაცვის საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოს, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ 1998 წელს მიღებული გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები ქვეყნის შიგნით გადაადგილების შესახებ.² აღსანიშნავია, რომ ეს არ არის სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტი, თუმცა, იგი ერთგვარი

გზამკვლევა ქვეყნის მთავრობებისათვის და იმ ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის, რომლებიც ამ სფეროში საქმიანობენ, რადგან იგი დაფუძნებულია ერთი მხრივ, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის და მეორე მხრივ, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძირითად პრინციპებზე.

საინტერესოა, ვის მიიჩნევს გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილებულ პირად: „...გადაადგილებულ პირებად ითვლებიან ის პირები ან პირთა ჯგუფები, რომლებიც გამოძევებულ იქნენ ან იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ თავიანთი სახლი ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, რათა გაქცეოდნენ შეიარაღებულ კონფლიქტს, საყოველთაო ძალადობას, ადამიანის უფლებათა ხელყოფასა და სტიქიურ ან ადამიანის მიერ შექმნილ კატასტროფებს³ და ამასთან, არ გადაუკვეთავთ საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფო საზღვარი“.⁴

როგორც მოცემული დეფინიციიდან ჩანს, ეკომიგრანტები არიან „იძულებით გადაადგილებული პირები“ და ე.ი. სახელმძღვანელო პრინციპებში მოცემული ყველა ის გარანტია და სამართლებრივი დაცვის სტანდარტი ვრცელდება ეკომიგრანტებზეც. საინტერესოა, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) ეკომიგრანტის დეფინიცია: გარემოში ცვლილების შედეგად მიგრანტები არიან პირები (ან პირთა ჯგუფები), რომლებიც გარემოში მათ სიცოცხლეზე ან ცხოვრების პირობებზე უარყოფითად მოქმედი უეცარი ან მზარდი ცვლილებების გამო, იძულებული არიან დატოვონ თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან აირჩიონ მისი დატოვება, როგორც დროებით, ისე მუდმივად და გადაადგილდნენ სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ ან მათ შიგნით“.⁵ აღნიშნული მოხსენების მიხედვით, ცვლილებები გარემოში ხშირად იწვევს მიგრაციას და საგულისხმოა, რომ ეს ხშირად არა საერთაშორისო, არამედ შიდა მიგრაციაა. მოხსენებაში დაფიქსირებულია პოზიცია, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გადაადგილება ხდება გარემოში ცვლილების საფუძველზე (ან ამ ტიპის გადაადგილება მოხდება მომავალში), იგი არ უნდა იყოს განხილული და მიჩნეული განსხვავებულად, გადაადგილების დანარჩენი ტიპებისაგან.⁶

ეკომიგრანტთა საკითხებზე ნათელი დეფინიციითა და სახელმწიფოსათვის განერილი ვალდებულებებით არც საქართველოს კანონმდებლობა გამოირჩევა. საქართველოს კანონმდებლობაში ვერ იპოვით ვერცერთ საკანონმდებლო აქტს, რომელიც განმარტავს სტიქიური უბედურების შედეგად იძულებით გადაადგილებული პირის სამართლებრივ სტატუსს. თუმცა, საქართველოს კანონმდებლობა სულ სხვაგვარად განიხილავს ამ პირთა წრეს და არ განიხილავს ეკომიგრანტებს, როგორც იძულებით გადაადგილებულ პირებს. ამ მხრივ, აღსანიშნავია, საქართველოს კანონი „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“, რომლის 1-ლი მუხლი ამბობს: „იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო“.⁷ მართალია, საქართველოს მიერ ამ კანონის მიღებისას ჯერ კიდევ, არ იყო შემუშავებული გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები ქვეყნის შიგნით გადაადგილების შესახებ, თუმცა, შესაბამისი პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელი იყო ამ კანონში მომხდარი იმგვარი

დამატება, რომელიც შესაძლებელს გახდიდა საქართველოს აღნიშნული კანონის ეკომიგრანტებზე გავრცელებას.

2011 წლის 23 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები საქართველოს კანონში „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“. ცვლილებების ინიციატორი იყო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. ცვლილებები, რომელმაც ფაქტიურად გამორიცხა ეკომიგრანტები ამ კანონის მოქმედების სფეროდან, შეეხო კანონის სახელწოდებას და თვით იძულებით გადაადგილებული პირის დეფინიციასაც. ცვლილების მიხედვით, კანონის სახელწოდება შეიცვალა ახალი ფორმულირებით – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ. ასევე, შეიცვალა იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის დეფინიციაც: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირად დევნილად (შემდგომში დევნილი) ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიისა და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო, ან ამ კანონის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ვფიქრობთ, ამ კუთხით გასაუმჯობესებელია, უფრო სწორად კი, შესაქმნელია საკანონმდებლო ბაზა, რომელიც დაარეგულირებს ეკომიგრანტთა საკითხებს, ნათლად განერს სახელმწიფოს ვალდებულებებს პირთა ამ ჯგუფის მიმართ და გაითვალისწინებს ეკომიგრანტთა საჭიროებებს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ განიხილავს ეკომიგრანტებს ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა სპეციფიკურ ჯგუფად და დევნილთა შესახებ კანონს არ ავრცელებს მათზე, ქვეყნის ხელისუფლებას მაინც მიაჩნია, რომ ამ ჯგუფს განსაკუთრებული საჭიროებები აქვს და ამ მიზნით იღებს დოკუმენტებს, რომლითაც ცდილობს დაარეგულიროს ეკომიგრანტთა სპეციფიკური საჭიროებით გამოწვეული მდგომარეობა – განსაკუთრებით, ეს შეეხება ეკომიგრანტთა განსახლებისა და ადგილზე ინტეგრაციის ღონისძიებებს.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სამართალი არ ავალდებულებს ქვეყნის ხელისუფლებას იძულებით გადაადგილებულ პირებს მიანიჭოს სამართლებრივი სტატუსი, რადგან ეს პირები ისედაც სარგებლობენ საერთაშორისო თუ ქვეყნის შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეები. კერძოდ, მათი ფუნდამენტური უფლებები – როგორც არის სიცოცხლის უფლება, წამების, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობისაგან დაცვა, პირადი ცხოვრების უფლება, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება და სხვა რიგი უფლებები – დაცულია. მიუხედავად ამისა, საქართველოს ხელისუფლებამ მიიჩნია, რომ იძულებით გადაადგილებული პირები – დევნილები სპეციფიკურ მდგომარეობაში იმყოფებიან დანარჩენ სხვა მოქალაქეებთან შედარებით: მუდმივი (გრძელვადიანი) საცხოვრებლის არქონა, საარსებო წყაროს შეზღუდული არსებობა, ინტეგრაციის პრობლემა, დასაქმების ნაკლები პერსპექტივა, მასპინძელი საზოგადოების დევნილთა ჯგუფებისადმი სტერეოტიპული მიდგომა, დევნილთა მიერ სახელმწიფო და სხვა დახმარებაზე უკიდურესად ძლიერი დამოკიდებულება და ა.შ. და ჩამოაყალიბა დევნილთა უფლებები კონკრეტულ კანონში

და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში. სწორედ ამ მიდგომიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ ქვეყნის ხელისუფლების მიერ არსებობდეს ანალოგიური მიდგომა ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირთა მეორე ჯგუფის – ეკომიგრანტების მიმართაც, როგორც ეს პირველ შემთხვევაშია გათვალისწინებული.

მართალია, დევნილთა შესახებ კანონი არ ვრცელდება ეკომიგრანტებზე და ამ მხრივ, ძნელია აღნიშნული კანონის მიხედვით მათ რაიმე სახის დაცვაზე საუბარი, თუმცა, არსებობს სამართლებრივი დოკუმენტები, სადაც ეკომიგრანტთა დაცვის შესახებ არის საუბარი. კერძოდ, აღსანიშნავია, საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის №34 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ. ამ დადგენილების მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით, ლტოლვილთა, თავშესაფრის მაძიებელთა, დევნილთა, რეპატრიანტთა, საგანგებო სიტუაციებით (სტიქიური უბედურებები, ეპიდემია და სხვ.) გამოწვეული მიგრაციული ნაკადის რეგულირება, მათი დროებითი ან მუდმივი განსახლების ორგანიზება, ადაპტაცია-ინტეგრაციისათვის პირობების შექმნა და სოციალური დაცვა“.⁸ აღნიშნული დადგენილების მე-7 მუხლით,⁹ სამინისტროს ასევე, ევალება ეკომიგრანტთა დაცვის უზრუნველსაყოფად მთელი რიგი ღონისძიებების გატარება.

ამ მხრივ, საკმაოდ ბუნდოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოვალეობები ეკომიგრანტებთან მიმართებაში. ადგილობრივი „თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით რწმუნებული ვალდებულია ეკომიგრანტების რაოდენობისა და მათი საყოფაცხოვრებო და სამეურნეო პირობებით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია წარუდგინოს გამგებელს (მერს).¹⁰

საინტერესოა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება მინისძვრითა და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა, მათ შორის ეკომიგრანტთა მიერ უსასყიდლოდ მიღებული ბინების ღირებულება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეკომიგრანტებისათვის სახლების საკუთრებაში გადაცემა წლების განმავლობაში ჭიანჭურდება. როგორც ვხედავთ, ზოგიერთი საკანონმდებლო აქტი აწესებს გარკვეულ შეღავათებს ეკომიგრანტებისათვის, ითვალისწინებს ეკომიგრანტთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, თუმცა, ვერსად შევხვდებით ნორმას, რომელიც მოგვცემდა ეკომიგრანტის დეფინიციას და აღწერდა იმ პირთა წრეს, რომელზეც გავრცელდებოდა სამართლებრივი სტატუსი.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2010 წლის 2 ნოემბერს (№1346/04-4/ოფ) მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს და გამოითხოვა ოფიციალური ინფორმაცია – სამართლებრივ დონეზე ეკომიგრანტების დაცვის მექანიზმი და პროცედურები დამატებით იყო თუ არა გათვალისწინებული სხვა საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით. მიღებული კორესპონდენციის (ნერილი №04/02-09/10383) შესწავლის შედეგად, დადგინდა, რომ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის №34 დადგენილებაში არსებული ჩანაწერის გარდა დამატებით არ არსებობს ეკომიგრანტების სამართლებრივი დაცვისათვის ნათლად განწერილი პროცედურები ან სტანდარტები¹¹ თუ არ ჩავთვლით ცენტრალური თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობების მიერ ერთჯერადად გამოცემულ ნორმატიულ თუ კანონ-

ქვემდებარე ნორმატიულ აქტებს – სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფისა და განსახლების პროგრამების ცალკეული ღონისძიებების შესახებ.

როგორც სახალხო დამცველი ზემოაღნიშნულ ანგარიშში მიუთითებს, სახელმწიფოს სამართლებრივ დონეზე ეკისრება ეკომიგრანტების დაცვის ვალდებულება და ზემოხსენებული ნორმები ამ უფლების უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების გარკვეულ ჩამონათვალსაც მოიცავს,¹² რაც დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ სტიქიური მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებული პირების ადეკვატური დაცვის რეალიზაციისათვის არსებული სამართლებრივი რეგულაცია ძალზედ ზოგადი, მწირი და არადამაკმაყოფილებელია.¹³

ამრიგად, ეკომიგრანტების ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის სისტემის უზრუნველსაყოფად, საჭიროა საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს ამ პირთა სამართლებრივი სტატუსი, რომელიც ნათლად განერს იმ პირთა ჯგუფს, რომელზედაც გავრცელდება ეს სტატუსი. ამის გარდა, აუცილებელია, საკანონმდებლო დონეზე ცალსახად გაიწეროს დროებითი თუ მუდმივი განსახლების, ასევე, ახალ საცხოვრებელ ადგილებზე ადაპტაცია-ინტეგრაციისა და სოციალური პირობებით უზრუნველყოფის მექანიზმი და პროცედურები.

2. არსებული ნაკლოვანებები ეკომიგრანტთა დაცვის საქმეში

მას შემდეგ, რაც მიმოვიხილეთ საკანონმდებლო ჩარჩო, აუცილებელია გავარკვიოთ თუ როგორი მდგომარეობაა ამ სფეროში ადმინისტრაციული პრაქტიკის თვალსაზრისით. ეკომიგრანტთა საკითხებზე სამუშაოდ არ არსებობს კონკრეტული სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ეკომიგრანტთა პრობლემების გადაჭრაზე მათი საჭიროებების გამოვლენიდან დაწყებული მათ გრძელვადიან განსახლებამდე. მაკოორდინირებელი ორგანოს არარსებობა არის ერთ-ერთი, თუმცა, არა ერთადერთი, პრობლემა ეკომიგრანტთა დახმარების პროგრამების არაეფექტიანობისა. ამ ორგანოს არარსებობა შესაძლოა გამოწვეული იყოს იმიტომაც, რომ სახელმწიფო სამომავლოდ ვარაუდობს ეკომიგრანტთა რაოდენობის შემცირებას, რაც ნაკლებ სავარაუდოა გლობალური დათბობის პირობებში.

აქვე არანაკლებ მნიშვნელოვანია, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების უკიდურესად პასიური როლი ახლადჩასახლებულ ეკომიგრანტთა დახმარების საქმეში.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა არის ეკომიგრანტების მონაცემთა ბაზის არარსებობა. ეს უნდა იყოს იმ მთავარი პასუხისმგებელი ორგანოს ვალდებულება, რომელსაც მთავრობა დანიშნავს ეკომიგრანტთა საკითხების დარეგულირებისათვის.

ეკომიგრანტებისათვის სახლების გადაცემა ერთობ ბუნდოვანი პროცედურაა. გარდა იმისა, რომ არ არსებობს კოორდინაცია ამ პროცესში ჩართულ სახელმწიფო ორგანოთა შორის, აგრეთვე, არ არსებობს ერთიანი შეფასების კრიტერიუმები, რომლითაც ხდება ეკომიგრანტთათვის სახლების გადაცემა.

დღეისათვის, საცხოვრებლის შეფასებისა და შესაბამისი განსახლების ოთხი კრიტერიუმი არსებობს. ეს არის ეკომიგრანტების საკომპენსაციო დახმარების შეფასების სისტემა, რაც გეოლოგების მიერ მომზადებულ დასკვნებს ეყრდნობა:¹⁴

1. დანგრეული სახლი

2. დაზიანებული სახლი
3. დაზიანებული სახლი, რომელიც აღდგენას ექვემდებარება
4. მიწის ნაკვეთი, რომელიც სახლის გარშემო მდებარეობს, დაზიანებულია.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ პირველ კატეგორიაში მოხვედრილი ოჯახები ექვემდებარებიან განსახლებას. საინტერესოა, რომ დაზიანების შეფასება მხოლოდ ვიზუალური დათვალიერებით ხორციელდება და მაშინაც, როდესაც ხდება გეოლოგების მიერ დასკვნების მომზადება – მათი მომზადებული დასკვნები და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს თანამშრომელთა დასკვნები საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ადრეულ წლებში არსებობდა ფულადი კომპენსაციის გაცემის პრაქტიკაც, თუმცა, არ არის ცნობილი როგორ ხდებოდა გასაცემი თანხის დაანგარიშება და საკმარისი იყო თუ არა ის სახლის შესაძენად, რადგან ეს თანხა იყო განსახლების სანაცვლო.

ადმინისტრაციული პრაქტიკის მნიშვნელოვან ხარვეზია ეკომიგრანტებისათვის საკუთრებაში სახლების გადაცემის გაჭიანურება და მცირე რაოდენობის მიწებით უზრუნველყოფა. განსახლების ადგილებზე მნიშვნელოვანი პრობლემაა სასმელი წყლის მიწოდება და მწირი ინფრასტრუქტურა. ამას ემატება პრობლემები ზამთრის პერიოდში.

ზემოთ აღნიშნული საკითხების განხილვის შემდეგ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხელისუფლება ეკომიგრანტების განსახლებას არ განიხილავს გრძელვადიანი განსახლების ჭრილში. ხელისუფლების მიერ ეკომიგრანტები არ არიან უზრუნველყოფილი მინიმალური სტანდარტებით: სასმელი წყლით, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწით, სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმისაწვდომობით, მთელ რიგ შემთხვევებში, ეკომიგრანტები იზოლირებულნი არიან რეგიონის სხვა მაცხოვრებლებისაგან, შემოსავლის წყაროსა და დასაქმების შესაძლებლობებით. აქედან გამომდინარე, თუ ხელისუფლება არ შეცვლის დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი, არ შეიმუშავებს ამ მიმართულებით სტრატეგიას და სამოქმედო გეგმას ეკომიგრანტები იძულებულნი იქნებიან დაბრუნდნენ თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში, სადაც შესაძლოა მათი უსაფრთხოება არ იყოს უზრუნველყოფილი. ამ შემთხვევაში კი, შესაძლოა დადგეს ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი.

3. რეკომენდაციები

– უნდა მოხდეს კანონმდებლობის დახვეწა და ეკომიგრანტების სტატუსის განსაზღვრა ცალკე კანონით ან მოხდეს დევნილის დეფინიციის გავრცელება ამ ჯგუფზეც იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილთა შესახებ კანონით;

– მოხდეს ცვლილებები შესაბამის კანონმდებლობაში, რომლითაც ეკომიგრანტების საკითხებზე დაინიშნება მთავარი პასუხისმგებელი ორგანო. კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილებები, რომლითაც ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს პირდაპირ დაევალებათ როგორც მთავარ პასუხისმგებელ ორგანოსთან კოორდინაცია, ასევე, ეკომიგრანტების საჭიროებებისადმი მუდმივი თვალყურით და მათი პრობლემების მოგვარება. ამ მიზნით, ძალზედ მნიშვნელოვანია მოხდეს როგორც ცენტრალურ ასევე, ადგილობრივი ხელისუფლების ბიუჯეტებში ეკომიგრანტთა დახმარების პროგრამებისათვის საჭირო თანხების ასახვა;

– განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს განსახლების პროცესში განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთა მოთხოვნებს, როგორებიც არიან: ბავშვები, ფეხმძიმე ქალები, ხანდაზმულები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ ამ პირებს არ შეექმნათ პრობლემა ახალ საცხოვრებელ ადგილებზე საჭირო სერვისების მიღების თვალსაზრისით. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს ამ ოჯახებისათვის სრულად გამართული სახლების ჩაბარება, ანყობილი ინფრასტრუქტურა და ამ მიზნით, უნდა მოხდეს წინასწარი ძირეული შესწავლა იმ ოჯახების, რომელთა განსახლებასაც აპირებს სახელმწიფო;

– უნდა მოხდეს ეკომიგრანტებთან მუდმივი კონსულტაცია ყველა ეტაპზე, დაწყებული მათ მიერ განცხადებით მიმართვის დღიდან განსახლების შემდეგაც, ახალი ჩასახლების ადგილებში მათ სრულ ინტეგრაციამდე. ეს ერთი მხრივ, ეკომიგრანტებს საშუალებას მისცემს მიიღონ თითოეული ოჯახისათვის ყველაზე ხელსაყრელი გადაწყვეტილება და მეორე მხრივ, სახელმწიფო ორგანოები საჭიროებაზე მორგებული დახმარების განწევას ეფექტიანად შეძლებენ;

– მოხდეს მთავარი პასუხისმგებელი ორგანოს თანამშრომელთა ყველა რგოლის (გადანწყვეტილების მიმღები, საშუალო და ქვედა რგოლების) ტრენინგი როგორც ჰუმანიტარული და საერთაშორისო სამართლით განერილი სახელმწიფოს ვალდებულებების შესახებ, ასევე, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების ამ რგოლებისათვის უკეთ გაცნობის მიზნით;

– საჭიროა ეკომიგრანტების ინტეგრაციის პროგრამები იყოს ერთიანი რეგიონული განვითარების პოლიტიკის ნაწილი და არა ამოვარდნილი ადგილობრივი განვითარების კონტექსტიდან. ამით ერთი მხრივ, მოხდება თანხების უკეთ მობილიზაცია და მეორე მხრივ, ეკომიგრანტები არ იქნებიან იზოლირებული ადგილობრივი მოსახლეობისაგან როგორც კანონმდებლობის ასევე, პრაქტიკულ დონეზე;

– საჭიროა ეკომიგრანტების ცნობიერების ასამაღლებელი ტრენინგების ჩატარება, რათა მათ გაიგონ თავიანთი უფლებების შესახებ და ამით უკეთ დაიცვან თავიანთი უფლებები;

– მთავარ პასუხისმგებელ ორგანოს უნდა დაევალოს არა მხოლოდ არსებულ სტიქიურ უბედურებაზე რეაგირება, არამედ ამის პროგნოზირება და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომლითაც მაქსიმალურად უნდა იქნას თავიდან აცილებული მსხვერპლი ან უკიდურესი შედეგები.

– ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ განსახლების ადგილებში ეკომიგრანტებს დაუბრკოლებლად მიუწვდებოდეთ ხელი ჯანდაცვაზე, განათლებაზე, დასაქმებაზე და სხვა ძირითად სერვისებზე.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს კანონი №335 „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“, მიღებული 1996 წლის 28 ივნისს, საქართველოს პარლამენტის მიერ;
3. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, 2005 წლის 16 დეკემბერი;
4. საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის №34 დადგენილება „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“;
5. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 2 მარტის №266 დადგენილება „სტიქიური მოვლენების შედეგად – დევნილთა ორგანიზებულად ჩასახლების ობიექტების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით განსახორციელებლ ღონისძიებათა შესახებ“;
6. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 18 თებერვლის №113 განკარგულება „ეკომიგრანტთა განსახლების გარკვეულ ღონისძიებათა შესახებ“;
7. საქართველოს მთავრობის 2008 წლის 30 ივლისის NN#485 განკარგულება „მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ეკომიგრანტებისათვის აშენებული საცხოვრებელი სახლების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ“;
8. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948 წლის 10 დეკემბერი;
9. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია, 1950 წლის 4 ნოემბერი;
10. გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები ქვეყნის შიგნით გადაადგილების შესახებ, 1998;
11. მოხსენება 2010 წლის მსოფლიო მიგრაციის შესახებ – მიგრაციის მომავალი: უნარიანობის პოტენციალის გაზრდა ცვლილებებისათვის, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
12. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2010 წელი;
13. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2011 წელი;
14. ჯასტინ ლაილი, ეკომიგრანტების განსახლება საქართველოში: განსახლების პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებები, ტენდენციები, განხორციელება და აღქმები, ECMI-ის სამუშაო მოხსენება №53, ნოემბერი, 2011, შესავალი;
15. ეკოლოგიური მიზეზებით ადგილნაცვალ პირთა განსახლება არსებული პრობლემის გადაწყვეტა თუ ახლის შექმნა? ეკომიგრაცია საქართველოში 1981-2006, ტომ ტრიერი და მედეა ტურაშვილი, ECMI-ის მონოგრაფია №6, აგვისტო, 2007;
16. Guiding Principles on Internal Displacement Annotations By Walter Kälin, The American Society of International Law, The Brookings Institution – University of Bern, Project on Internal Displacement Studies in Transnational Legal Policy, No. 38 The American Society of International Law Washington, DC
17. The Nansen Principles, Responding to Displacement in the context of climate change and other environmental hazards, The Nansen Conference on Climate Change and Displacement in the 21st Century

შენიშვნები:

- ¹ ჯასტინ ლაილი, ეკომიგრანტების განსახლება საქართველოში: განსახლების პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებები, ტენდენციები, განხორციელება და აღქმები, ECMI-ის სამუშაო მოხსენება №53, ნომბერი 2011, შესავალი.
- ² იხ.: UN Guiding Principles on Internal Displacement, 1998
- ³ ავტორის ხაზგასმა.
- ⁴ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები ქვეყნის შიგნით გადაადგილების შესახებ, პრეამბულა, მე-2 პუნქტი.
- ⁵ მოხსენება 2010 წლის მსოფლიო მიგრაციის შესახებ – მიგრაციის მომავალი: უნარიანობის პოტენციალის გაზრდა ცვლილებებისათვის, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, გვ. 73.
- ⁶ იქვე, გვ. 73-74.
- ⁷ საქართველოს კანონი №335 „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ მიღებულია 1996 წლის 28 ივნისს, საქართველოს პარლამენტის მიერ.
- ⁸ იხ.: მუხლი 2. სამინისტროს ფუნქციები და ამოცანები.
- ⁹ იხ.: იმავე დადგენილების მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი: „სტიქიასაშიშ რეგიონებიდან მოსალოდნელი მიგრაციის პროგნოზირება და ეკომიგრანტთა განსახლების პროგრამების განხორციელება; ეკომიგრანტთა განსახლების ორგანიზება; ახალ საცხოვრებელ ადგილებზე მათი ადაპტაცია-ინტეგრაციის პროგრამების შემუშავება და განხორციელებისათვის ხელშეწყობა; ეკომიგრანტების მონაცემთა ბაზის შექმნა“;
- ¹⁰ იხ.: კანონის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.
- ¹¹ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2010 წელი, იხ: <http://ombudsman.ge/files/downloads/ge/ktifezlljkytwmwbpggc.pdf>
- ¹² „სტიქიასაშიშ რეგიონებიდან მოსალოდნელი მიგრაციის პროგნოზირება და ეკომიგრანტთა განსახლების პროგრამების განხორციელება; ეკომიგრანტთა განსახლების ორგანიზება; ახალ საცხოვრებელ ადგილებზე მათი ადაპტაცია-ინტეგრაციის პროგრამების შემუშავება და განხორციელებისათვის ხელშეწყობა; ეკომიგრანტების მონაცემთა ბაზის შექმნა“.
- ¹³ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2010 წელი, იხ: <http://ombudsman.ge/files/downloads/ge/ktifezlljkytwmwbpggc.pdf>
- ¹⁴ ჯასტინ ლაილი, ეკომიგრანტების განსახლება საქართველოში: განსახლების პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებები, ტენდენციები, განხორციელება და აღქმები, ECMI-ის სამუშაო მოხსენება №53, ნომბერი 2011, გვ. 11.

ECOMIGRANTS – INTERNALLY DISPLACED PERSONS AS A RESULT OF ECOLOGICAL DISASTERS

International Standards of Legal Protection, Legislation and Practice in Georgia

KETEVAN KAMASHIDZE

PhD Student, School of Law of the Georgian-American University

Throughout the last 30 years, over 10 000 persons in Georgia have become homeless as a result of floodings, landslides and avalanches. Particularly the people leaving in the mountainous regions of Svaneti and Adjara. But these persons do not have any special legal status and no coordinating state body is available to resolve their problems. However, the international law refers to this group as the Internally Displaced Persons (IDPs), that “..were forced to leave their houses or places of permanent residence to escape the armed conflict, general violence, violation of human rights and natural, or artificial disasters, but have not crossed the state border recognized internationally”.

Partially this issue is covered by the Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Accommodation and Refugees of Georgia (MRA). According to its charter, in case of disaster, the Ministry shall not only ensure the implementation of the programs for accommodation of eco-migrants, but also deal with the accommodations plans of the eco-migrants, develop and support the implementation of the adaptation-integration plans for these persons, create the data base of eco-migrants. Local municipalities responsible for supporting the accommodation and integration of eco-migrants in new places are frequently very passive and ignore the problems faced by eco-migrants.

The gaps detected as a result of the studies carried out by international and local organizations working in the given field, is of particular interest. Their recommendations will enable the government to better study the needs of these groups and undertake relevant measures to avoid the threat to the lives of eco-migrants if they continue to stay in the zones of ecological disaster; provide them with long-term accommodation decisions involving all the accompanying components: safe and proper living conditions, accessibility to all crucial services, infrastructure available in the new living area and opportunities for sources of income and employment.

არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება

გოგა კიკილაშვილი

საქართველოს უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის მაგისტრანტი

სახელმწიფოს, როგორც სამართლის შემოქმედს და ამავე დროს სამართლის სუბიექტს, მოქალაქეების წინაშე აქვს კანონით დაკისრებული ვალდებულებები, რომელთა შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება უარყოფით გავლენას ახდენს სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ნდობის ხარისხზე. ეს შეიძლება გახდეს მოქალაქეების მიერ საკუთარი მოთხოვნილებების არაკანონიერი გზით ან სამართლის გვერდის ავლით დაკმაყოფილების გამომწვევი მიზეზი.¹ საჯარო და კერძო ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ მისი წარმომადგენლის ქმედების შედეგად არ დაირღვეს მესამე პირის უფლებები. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მაინც ექნება ადგილი უფლების დარღვევის ფაქტს, კანონით დადგენილი წესით თავის წარმომადგენლთან ერთად გაიზიაროს პასუხისმგებლობა. ასეთ დროს დაზარალებული მხარისათვის ერთ-ერთი ოპტიმალური გამოსავალია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა. ცალკეულ შემთხვევებში, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია, ამიტომ დაზარალებული მხარის ინტერესების დაცვისა და სამართლიანობის აღდგენის საკმაოდ ქმედითი მექანიზმია ზიანის ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურება ხდება კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, მხოლოდ კანონით განსაზღვრული წესით და ოდენობით. იმისათვის, რომ ანაზღაურების პროცესი და ასანაზღაურებელი ოდენობა იყოს განსაზღვრადი და არ გახდეს ახალი უსამართლობის საფუძველი, სამართალი შეიცავს მეტ-ნაკლებად დეტალურ რეგულაციებს ზიანის ანაზღაურების ცალკეული შემთხვევებისათვის.

ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთი სპეციფიკური შემთხვევაა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სახელმწიფო მოხელის მიერ კერძო პირისთვის მიყენებული ზიანისათვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობა არის ზოგადი დემოკრატიული პრინციპი, რომელიც მრავალ სახელმწიფოში მოქმედებს და უზრუნველყოფს საჯარო და კერძო ინტერესებს შორის ბალანსის დაცვას. ის ფაქტი, რომ სახელმწიფო თავად არის სამართლის დამდგენი სუბიექტი, არ ათავისუფლებს მას პასუხისმგებლობისაგან. ეს პრინციპი, საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა და თანდათან იქცა სახელმწიფოს ზემოქმედებისაგან კერძო ინტერესის დაცვის გარანტიად. „ჯერ კიდევ, XII საუკუნეში ცნობილი სამართალმცოდნე და მოსამართლე ბრეკტონი ამბობდა, რომ მეფეს მფარველობს ღმერთი და იცავს კანონი და სხვა არაფერი ქმნის მეფეებს კანონის გარდა“.² სახელმწიფოს პასუხისმგებლობის პრინციპი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით ამგვარად არის ჩამოყალიბებული: ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. სახელმწიფოც ისევე არის შებოჭილი კანონით, როგორც სამართლის ნებისმიერი სუბიექტი, მაგრამ გარკვეულ საკითხებთან მიმართებით სარგებლობს საკმაოდ ფართო უფლებამოსილებით და ცალკეულ შემთხვევებში, შეიძლება აღმოჩნდეს დომინანტურ მდგომარეობაში. აქედან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კერძო პირის ინტერესისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში მის ანაზღაურებას ისე, რომ დაცული იყოს კერძო პირის უფლებები, შენარჩუნდეს საჯარო და კერძო ინტერესების ბალანსი და ამავედროულად, არ მოხდეს სახელმწიფოს, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი სუბიექტის როლის დეგრადაცია.

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის ანაზღაურება რომ მოხდეს, ზიანი უნდა დადგეს სპეციალური სუბიექტის ქმედების შედეგად. პირველ რიგში, საჭიროა, ზუსტად გაირკვეს, რომელი სუბიექტის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებაში მონაწილეობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო. ასეთი პირების ამომწურავ ჩამონათვალს შეიცავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, ამსრულებელ სუბიექტთა წრეს მიეკუთვნებიან: სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანო, მისი თანამდებობის პირი, სხვა სახელმწიფო მოსამსახურე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, მისი თანამდებობის პირი, სხვა მოსამსახურე, აგრეთვე, კერძო პირი, რომელიც რაიმე საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დელეგირების ან დავალების საფუძველზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა განვიხილოთ შემდეგი შემთხვევები: სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება და საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი კერძო პირის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება. უფრო ზუსტად კი, ორი შემთხვევა, რადგან საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი კერძო პირის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, იმის მიხედვით, თუ რომელმა მისივე საჯარო უფლებამოსილება.

სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს პასუხისმგებლობის გამიჯვნა განპირობებულია რამდენიმე მიზეზით. ადგილობრივი თვითმმართველობის არსი გულის-

ხმობს თვითმმართველობის დამოუკიდებლობას – მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებში. შესაბამისად, საკუთარი მოქმედების შედეგებისათვის პასუხისმგებლობაც უნდა დაეკისროს ადგილობრივ თვითმმართველობას. გარდა ამისა, ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით პასუხისმგებლობისათვის ცენტრალური ბიუჯეტის სახსრების გამოყენება არ იქნება ეფექტიანი, რადგან ამან შეიძლება, გამოიწვიოს სხვა რეგიონებისათვის განკუთვნილი თანხის შემცირება და ამავდროულად, იქნება დროში საკმაოდ გაწელილი და მოუქნელი პროცესი, რაც თავის მხრივ, კიდევ უფრო მეტ დისკომფორტს შეუქმნის მხარეებს.

სზაკ-ის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამავე კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესს განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 997-ე და 1005-ე მუხლები, – დელიქტური ვალდებულებების კარი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლი საკითხს ამგვარად არეგულირებს: პირი ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა მესამე პირს მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით თავისი შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულებისას. პასუხისმგებლობა არ დადგება, თუ მუშაკი მოქმედებდა ბრალის გარეშე.

სახელმწიფო მოსამსახურის ქმედებასთან მიმართებაში, „სამსახურებრივი მოვალეობის ცნებას უნდა მიეცეს ფუნქციონალური დატვირთვა, რაც გულისხმობს საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების პროცესს.“³ სახელმწიფო მოსამსახურის სამსახურებრივი მოვალეობა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, განისაზღვრება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, სხვა კანონებით, თანამდებობრივი ინსტრუქციებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით. მესამე პირის ცნება კი, მოიცავს ნებისმიერს, რომელსაც შეიძლება, მიადგეს ზიანი. მესამე პირის სამართლებრივ ფორმასა და ორგანიზაციულ სამართლებრივ სტატუსს არა აქვს მნიშვნელობა. ერთნაირად ხდება როგორც ფიზიკური პირის, ისე კერძო თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

დელიქტის შემთხვევაში, ზიანის გამომწვევისათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საჭიროა ოთხი კომპონენტის არსებობა, ესენია: ქმედება, მართლწინააღმდეგობა, ბრალეულობა და მიზეზ-შედეგობრიობა,⁴ ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება, მეორე კომპონენტის არსებობა არ იყოს სავალდებულო. კანონმდებელი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხს უკავშირებს მუშაკის ბრალს. სამოქალაქოსამართლებრივი გაგებით ბრალი გულისხმობს განზრახვას ან გაუფრთხილებლობას. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჯარო მოხელეს ჰქონდა რეალური შესაძლებლობა, რომ სცოდნოდა საკუთარი ქმედების მართლწინააღმდეგობის შესახებ, მაგრამ არ გაითვალისწინა ეს, მას ამ შემთხვევაშიც დაეკისრება პასუხისმგებლობა.

როდესაც ზიანი დგება სახელმწიფო მოსამსახურის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევის შედეგად, მოქმედებს სსკ 1005-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის თანახმადაც, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს

პასუხს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი კი, ადგენს, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ დაზარალებული განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არ შეეცადა სამართლებრივი გზებით თავიდან აეცილებინა ზიანი. წინამდებარე სტატიამი განვიხილავთ მხოლოდ იმ შემთხვევებს, როდესაც დაზარალებულს არ მიუძღვის ბრალი ზიანის დადგომაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის 1-ლი ნაწილი იმპერატიულად ადგენს, რომ სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები კი, ადგენს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, ხოლო სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დელეგირების ან დავალების საფუძველზე მოქმედი კერძო პირის საქმიანობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო. ზემოაღნიშნული ნორმა გამორიცხავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გამოყენებას საჯარო მოხელის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიმართ.

სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს. რაც შეეხება კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით რეგისტრირებულ სუბიექტებს, რომლებიც დელეგირების საფუძველზე ახორციელებენ საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებებს, კერძო სამართლის სუბიექტის ფორმით არსებობა მათ არ აყენებს პრივილეგირებულ მდგომარეობაში, რადგან ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ისინი ახორციელებენ საჯარო უფლებამოსილებას საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის დადგენილი წესებით. მათ ისევე ეკისრებათ ზიანის ანაზღაურების მოვალეობა, როგორც საჯარო მოხელეებს, შესაბამისად, მათ მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებაშიც სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მონაწილეობენ ზემოაღნიშნული წესით.

სახელმწიფოს მონაწილეობა ზიანის ანაზღაურებაში ყოველთვის არ ათავისუფლებს ზიანის გამომწვევ სუბიექტს დაზარალებულის მიმართ პასუხისმგებლობისაგან. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ზიანის ანაზღაურებაში მონაწილეობენ მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში და თუ არ არის სახეზე ამგვარი შემთხვევის ფაქტობრივი შემადგენლობა, მოქმედებს მოხელის პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპი, სსკ 411-415-ე მუხლებით განსაზღვრული ოდენობით.

საჯარო მოხელის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება ხდება ზიანის ანაზღაურების თაობაზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. მხარეებს შორის შეთანხმების საფუძველზე, შესაძლებელია, სასამართლო გადაწყვეტილების გარეშეც მოხდეს ზიანის ანაზღაურება, მაგრამ ამგვარი შემთხვევები ძალიან იშვიათია და როგორც წესი, დავა სასამართლოში წყდება. სასამართლოსადმი მიმართვის უფლება აქვს დაინტერესებულ მხარეს. დაინტერესებული მხარის ვინაობას განსაზღვრავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტი, რომლის თანახმადაც, დაინტერესებულ მხარედ ჩაითვლება ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო,

რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი, აგრეთვე, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება. დაინტერესებული მხარის ცნება საქართველოში არ არის ისეთი ფართო, როგორც მაგალითად, ბრიტანეთში, სადაც სასამართლოები მიიჩნევენ, რომ უბრალო ცნობისმოყვარეობის გამო არავინ დახარჯავს დროს და ფულს. თუ პირი მიმართავს სასამართლოს, ესე იგი გასაჩივრებული ქმედება მის ინტერესს გარკვეულნილად ეხება.⁵ ქართული კანონმდებლობის თანახმად, ინტერესი არ უნდა განვიხილოთ ფართო გაგებით. ინტერესის ცნება, გულისხმობს იურიდიულ დაინტერესება, რომელიც საქმის სასამართლო განხილვაში მონაწილეობის საფუძველია და მიმართულია რეალური დავის სასამართლოში გადაწყვეტისაკენ.⁶

საკმაოდ სპეციფიკური საკითხია, არარა ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის შესრულების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. გარკვეულნილად ბუნდოვანია, რომელი ნორმატიული აქტების საფუძველზე უნდა მოხდეს ასეთ დროს ზიანის ანაზღაურება. ასეთ შემთხვევაში, პასუხისმგებლობის ფორმას განსაზღვრავს ორი კომპონენტი, შემსრულებლის ბრალი და ის, თუ რამდენად უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ არარა ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის შესრულება სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებად.

უპირველეს ყოვლისა, ზუსტად უნდა დადგინდეს, რას გულისხმობს ცნება არარა აქტი. აქტის არარად მიჩნევის საფუძველებს განსაზღვრავს სზაკ-ის მე-60 მუხლი, რომლის თანახმადაც, ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ითვლება არარად, თუ:

- ა) შეუძლებელია მისი გამომცემი ორგანოს დადგენა;
- ბ) გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ;
- გ) მისი შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზების გამო;
- დ) მისი შესრულება გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას.

არარა აქტი უნდა გავმიჯნოთ უკანონო ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტისაგან. აქტის უკანონობა არ ნიშნავს, რომ ის უპირობოდ არარა აქტად უნდა იქნეს მიჩნეული. არარად მიჩნევის საკითხს განსაზღვრავს სამართალდარღვევის ხასიათი. კანონიერების ფორმალური და მატერიალური წინაპირობების, დასაშვებობის პირობების დარღვევა, საქმის გარემოებების არასათანადო გამოკვლევის შედეგად, ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემა შეიძლება გახდეს მისი უკანონობის საფუძველი.⁷ არც შეცდომით გამოცემული აქტი მიეკუთვნება არარა აქტების წრეს. ადმინისტრაციული კანონმდებლობა დასაშვებად მიიჩნევს შეცდომის გასწორებას ისე, რომ ამან არ გამოიწვიოს შესწორებული აქტის იურიდიული ძალის დაკარგვა. არარა აქტი ზუსტად უნდა მიესადაგებოდეს სზაკ-ის მე-60 მუხლის პირობებს. გარდა ამისა, უკანონო ადმინისტრაციული აქტის შესრულების ვალდებულება სახელმწიფო მოსამსახურეს აქვს, ვიდრე არ მოხდება ამგვარი აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება, ხოლო არარა აქტი არ წარმოშობს მისი შესრულების ვალდებულებას.⁸

არარა ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის შესრულების შედეგად დამდგარი ზიანი არც დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების შედეგად დამდგარ ზიანთან არ უნდა გავათანაბროთ. იქიდან გამომდინარე, რომ კანონის ტექსტი ვერ იქნება ყველა ურთიერთობაზე ინდივიდუალურად მორგებული, ადმინისტრაციული ორგანოები აღჭურვილი არიან დისკრეცი-

ული უფლებამოსილებით, რაც მათ საშუალებას აძლევს, ობიექტური ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით მოახდინონ კონკრეტულ ფაქტზე რეაგირება. „დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული იურიდიული გადაწყვეტილებები განეკუთვნებიან იმ ქმედებათა სფეროს, რომელთა განხორციელებაც ხდება სამართლებრივი უფლებამოსილების საფუძველზე.“⁹ დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს საშუალებას აძლევს, სამართლის ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობისა და ფაქტის შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში რამდენიმე შესაძლო კანონიერი გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე უფრო მიზანშეწონილი ალტერნატივა.¹⁰ ასეთ დროს მოხელის ბრალი შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ გასატარებელი ღონისძიების შერჩევის მიმართ; ხოლო არარა აქტის შესრულება თავისთავად უკვე მოიცავს უკანონობას, რადგან კონკრეტული მოქმედების განხორციელება ხდება შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე. შედეგად ირღვევა სპეციალური უფლებაუნარიანობის პრინციპიც და ქმედება არის კანონსაწინააღმდეგო. ქართული კანონმდებლობით არც დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების დროს მიყენებული ზიანისათვის სარგებლობს სახელმწიფო იმუნიტეტი. ამერიკის კანონმდებლობისაგან განსხვავებით, სადაც სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მოხელეები, რომლებიც დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებენ, თავისუფლდებიან მიყენებული ზიანის ანაზღაურებისაგან, სზაკ-ის 208-ე მუხლი კი, ადგენს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების შედეგად დამდგარი ზიანისათვისაც შეიძლება დადგეს პასუხისმგებლობის საკითხი. ქართული კანონმდებლობის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკუთარი პასუხისმგებლობით კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას, კანონის ნორმის მიზნებისა და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით.¹¹

არარა ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის შესრულების შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების წესის განსაზღვრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ორი ფაქტორის დადგენას: წარმოადგენს თუ არა არარა ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის შესრულება სახელმწიფო მოსამსახურის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას და მოხელის მოქმედება უნდა ჩაითვალოს თუ არა ბრალეულად.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საჯარო მოსამსახურის სამსახურებრივი მოვალეობა განისაზღვრება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, სხვა კანონებით, თანამდებობრივი ინსტრუქციებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით. სახელმწიფო მოსამსახურის სამსახურებრივ მოვალეობას ასევე, შეადგენს ზემდგომი პირის დავალების, მითითების შესრულება.

ამავე კანონის 55-ე მუხლი ადგენს, რომ აკრძალულია განკარგულების გაცემა, თუ იგი:

- ა) ეწინააღმდეგება კანონმდებლობას;
- ბ) სცილდება განკარგულების გამცემის უფლებამოსილების ფარგლებს;
- გ) თხოულობს ისეთ ქმედებათა შესრულებას, რისი უფლებაც განკარგულების მიმღებს არ გააჩნია.

ზემდგომი პირის განკარგულება ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტია. შესაბამისად, ისიც უნდა აკმაყოფილებდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ნამდვილობის პირობებს. განკარგულება, რომლის გაცემაც აკრძალულია, თავისი შინაარსით სრულად მიესადაგება არარა აქტის კრიტერიუმებს, თუმცა, არარა აქტი უფრო ფართო

ცნებაა და მისი ერთ-ერთი ფორმა შეიძლება იყოს განკარგულება, რომლის გაცემაც აკრძალულია.

ის ფაქტი, რომ სახელმწიფო მოსამსახურე ასრულებს ზემდგომი თანამდებობის პირის მითითებას, არ ათავისუფლებს მას პასუხისმგებლობისაგან. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-2 პუნქტი სახელმწიფო მოსამსახურეს ავალდებულებს, განკარგულების კანონიერების თაობაზე ეჭვის წარმოშობის შემთხვევაში, აცნობოს განკარგულების გამცემს და ზემდგომ უფროსს. განკარგულების წერილობითი ფორმით განმეორებისას იგი უნდა შესრულდეს, გარდა ამ კანონის 56-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

თუ დავუშვებთ, რომ საჯარო მოსამსახურის მიერ არარა აქტის შესრულება არ წარმოადგენს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას, ამან შეიძლება გამოიწვიოს მიყენებული ზიანისათვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შეზღუდვა ან პასუხისმგებლობის საერთოდ გამორიცხვა.

ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის შემსრულებელი არის სახელმწიფო მოსამსახურე, ფიზიკური პირი, რომელსაც გარკვეული სუბიექტური დამოკიდებულება აქვს შესასრულებელი აქტის და მის მიერ განხორციელებული მოქმედების მიმართ. ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის შესრულების დროს, სახელმწიფო მოსამსახურე ვალდებულია, გამოიჩინოს წინდახედულობა და შეძლებისდაგვარად გადაამოწმოს, შეესაბამება თუ არა შესასრულებელი აქტი კანონიერების ფორმალურ და მატერიალურ კრიტერიუმებს. თითქმის ყველა სახელმწიფო მოსამსახურე თანამდებობაზე დანიშნვამდე ეცნობა მისი საქმიანობის სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობას და უნდა შეეძლოს არარა აქტის ამოცნობა. ამიტომ, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის არარად მიჩნევის საფუძველი და სახელმწიფო მოსამსახურისათვის ეს შეუძლებელი დარჩება, ეს გამონაკისი უნდა იყოს გაუფრთხილებლობით. ცხადია, შეუძლებელია, ერთიანი მიდგომა არსებობდეს მსგავსი შემთხვევების მიმართ და ბრალის ხარისხის განსაზღვრა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მოხდეს ინდივიდუალურად სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. უნდა დადგინდეს, პირი ბრალეულად მოქმედებდა თუ არა და ცალკეული ფაქტორების გათვალისწინებით შეეძლო თუ არა მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა. თუ მხარეებს შორის ვერ მოხერხდა მორიგება, რასაც კანონი არ კრძალავს, ზიანის ანაზღაურების საკითხი სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს. სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ისეთი გარემოებები, როგორიცაა: შემსრულებელი სახელმწიფო მოსამსახურის კომპეტენცია და ჰქონდა თუ არა მას აქტის კანონიერების შემოწმების ობიექტური შესაძლებლობა. თუ დადასტურდება, რომ მოსამსახურეს არაკომპეტენტურობის გამო არ შეეძლო არარა აქტის ამოცნობა, ეს შეიძლება მაინც არ აღმოჩნდეს საკმარისი მისი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისთვის. ერთდროულად შეიძლება დადგეს როგორც იმ შემსრულებლის პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც იცოდა რომ არ შეესაბამებოდა დაკავებულ პოზიციას, მაგრამ მაინც აიღო საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა და იმ თანამდებობის პირის, ვისი გადაწყვეტილებითაც მოხდა სათანადო კვალიფიკაციის არმქონე კადრის შერჩევა. თუმცა, ორივე შემთხვევაში, სასამართლოს შეფასების საგანი უნდა გახდეს ჩაითვალოს თუ არა ზემოაღნიშნული ქმედებები დამდგარი ზიანის მიმართ ბრალეულ ქმედებად. თუ არარა ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის შესრულების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში პასუხისმგებლობის საკითხის განსაზღვრისას ამოსავალი წერტილი იქნება თავად

არარა აქტის ბუნება, ამის საფუძველზე შეიძლება მივიჩნიოთ, რომ არარა აქტის შესრულება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას არ წარმოადგენს. არარა აქტი თავისთავად უკვე გულისხმობს უკანონობას, იურიდიული ძალის არმქონე დოკუმენტს, რომელიც არ არის შესასრულებლად სავალდებულო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი შესრულება არ ჩაითვლება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებად და მისი მოქმედება უნდა განვიხილოთ არა საჯარო მოსამსახურის, არამედ ფიზიკური პირის ქმედებად, მიყენებული ზიანისათვის მან პასუხი უნდა აგოს როგორც ფიზიკურმა პირმა, პირდაპირ და უშუალოდ მთელი თავისი ქონებით და არ უნდა დადგეს მასთან ერთად სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი.

ზემოაღნიშნულ მოსაზრებას, ცხადია, აქვს არსებობის უფლება, მაგრამ სამართლებრივი თვალსაზრისით, საკმარისად არ არის დასაბუთებული. სახელმწიფო მოსამსახურის მიერ არარა აქტის შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისათვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის გამო-რიცხვა ეწინააღმდეგება სახელმწიფოს მიერ მისი წარმომადგენლის მიერ განხორციელებული ქმედებისათვის პასუხისმგებლობის პრინციპს. გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ არარა აქტი არ არის შესასრულებლად სავალდებულო, შემსრულებელს არ უხსნის სახელმწიფო მოსამსახურის სტატუსს და მისი ქმედება განიხილება როგორც საჯარო მოსამსახურის და არა როგორც ფიზიკური პირის ქმედება. რაც შეეხება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-2 პუნქტს, ის ავალდებულებს სახელმწიფო მოსამსახურეს, რომ განკარგულების თაობაზე ეჭვის წარმოშობის შემთხვევაში, აცნობოს განკარგულების გამცემს და ზემდგომ უფროსს, მაგრამ ამ განკარგულების წერილობითი ფორმით განმეორებისას ის ხდება შესასრულებლად სავალდებულო. ამ შემთხვევაში, უფრო მართებული იქნება, სზაკ-ის 208-ე მუხლის საფუძველზე სახელმწიფომ აგოს პასუხი მისი მუშაკის მიერ მიყენებული ზიანისათვის, ვიდრე სახელმწიფოს წილი პასუხისმგებლობა საჯარო მოსამსახურემ იკისროს.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის ბევრად უფრო დიდი მნიშვნელობის მატარებელია, ვიდრე უბრალოდ ზიანის ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურებაში სახელმწიფოს მონაწილეობა არის ერთგვარი გარანტია, რომ დაცული იქნება დაზარალებულის ინტერესები და ის მიიღებს შესაბამის კომპენსაციას. სახელმწიფოს მიერ ზიანის ანაზღაურების მექანიზმის – საჯარო მოსამსახურის, როგორც ფიზიკური პირის, პერსონალური პასუხისმგებლობით ჩანაცვლების შემთხვევაში, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ზიანის ანაზღაურების საკითხი. იმ შემთხვევაში, თუ არარა აქტის შემსრულებელი აღმოჩნდა ქონების არმქონე, შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაშიც კი, მისი აღსრულება პრაქტიკულად შეუძლებელი გახდება, რაც თავის მხრივ, გამოიწვევს, რომ ვერ აღდგება მესამე პირის დარღვევული უფლება, აღსრულების გაჭიანურების შედეგად სახელმწიფოს წარმოეშობა დამატებითი ხარჯები და ამავდროულად გამოიწვევს სახელმწიფოს მიმართ საზოგადოების ნდობის შესუსტებას.

შესაძლებელია, ზიანის ოდენობის განსაზღვრა და ანაზღაურება მოხდეს მხარეებს შორის მოლაპარაკების საფუძველზე, მაგრამ როგორც წესი, ასეთი დავები სასამართლოს მიერ წყდება. სასამართლოსათვის ადმინისტრაციული სარჩელით მიმართვის უფლება აქვს დაინტერესებულ მხარეს. ადმინისტრაციული სარჩელის წარდგენა შეიძლება მოხდეს ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემის, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების, ადმინისტრ-

რაციული გარიგების დადება-შესრულების, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ზიანის ანაზღაურების თაობაზე.¹² ეს უკანასკნელი შემთხვევა გულისხმობს სახელმწიფოს მიერ სრულად ან ზიანის მიმყენებელთან ერთად სოლიდარული წესით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ის, რომ არაა ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი თავისთავად არ არის შესასრულებლად სავალდებულო, ეს სახელმწიფოს ათავისუფლებს მისი შესრულების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებაში მონაწილეობისაგან. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ უფრო მართებული იქნება, თუ დაინტერესებული მხარე სასამართლოს მიმართავს არა სამოქალაქო, როგორც ეს ხდება სამოქალაქო დავების განხილვის დროს, არამედ ადმინისტრაციული სარჩელით.

პასუხისმგებელი სუბიექტის დადგენასთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადის განსაზღვრა. მოთხოვნის უფლების განხორციელება შესაძლებელია კანონით განსაზღვრულ ვადაში, რომლის გასვლასთან ერთად შეუძლებელი ხდება უფლების განხორციელება. ადმინისტრაციულ სამართალში მოქმედებს ხანდაზმულობის ვადები ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის, რეალაქტის ან სხვა კონკრეტული გადაწყვეტილების გასაჩივრების მიმართ. ასევე, არსებობს დელიქტის შედეგად წარმოშობილი მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულობის ვადები, რომელიც განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. სზაკ-ის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს, რომ არაა აქტების მიმართ არ ვრცელდება ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტების გასაჩივრებისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ვადები და ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანო ვალდებულია საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნით არააად აღიაროს ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი, მაგრამ ზემოაღნიშნული ნორმით განსაზღვრული ვადა არის აქტის არააად აღიარების მოთხოვნის ვადა და არაფერი აქვს საერთო ასეთი აქტის შესრულების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადასთან. არაა აქტის შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი წარმოადგენს დელიქტის შედეგად მიყენებულ ზიანს. სზაკ არ შეიცავს სპეციალურ მითითებას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის ვადების შესახებ, შესაბამისად, მართებული იქნება, თუ მის მიმართ გამოვიყენებთ სსკ 1008-ე მუხლით განსაზღვრულ დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადას, რომელიც შეადგენს სამ წელს იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

შენიშვნები:

- ¹ ნ. ბარაბაძე, მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012, გვ. 192.
- ² მ. სალხინაშვილი, ა. ჩოგოვაძე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა პასუხისმგებლობა საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანაში, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №4(19), 2008, „სი ჯი-ეს“, გვ. 131.
- ³ მ. ჯანიაშვილი, ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2011, გვ. 30.
- ⁴ პ. ლუთინგვაუსი, დელიქტური სამართალი, გამომცემლობა „სიესტა“, 2011, გვ. 14.
- ⁵ მ. სალხინაშვილი, ა. ჩოგოვაძე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა პასუხისმგებლობა საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანაში, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №4(19), 2008, „სი ჯი-ეს“, გვ. 132.
- ⁶ ნ. კოპალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „სიესტა“, 2008, გვ. 125.
- ⁷ ზ. ადეიშვილი, ქ. ვარდიაშვილი, ლ. იზორია, ნ. კალანდაძე, მ. კოპალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, პ. ტურავა, დ. ქიტოშვილი, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, 2005, გვ. 143.
- ⁸ ზ. ადეიშვილი, ქ. ვარდიაშვილი, ლ. იზორია, ნ. კალანდაძე, მ. კოპალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, პ. ტურავა, დ. ქიტოშვილი, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, 2005, გვ. 100.
- ⁹ რ. ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მეათე გადაშუქებული გამოცემა, ბეკის გამომცემლობა, მიუნხენი, 2006, გვ. 131.
- ¹⁰ ნ. ნეპლაძე, პ. ტურავა, ადმინისტრაციული სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, გამომცემლობა „ფორმა“, 2005, გვ. 6.
- ¹¹ ნ. ნეპლაძე, პ. ტურავა, ადმინისტრაციული სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, გამომცემლობა „ფორმა“, 2005, გვ. 8.
- ¹² ზ. ადეიშვილი, ქ. ვარდიაშვილი, ლ. იზორია, ნ. კალანდაძე, მ. კოპალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, პ. ტურავა, დ. ქიტოშვილი, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, 2005, გვ. 143.

REIMBURSEMENT OF THE DAMAGE INCURRED AS A RESULT OF THE FULFILLMENT OF THE ANNULLED ADMINISTRATIVE ACTS -LEGAL ACT

GOGA KIKILASHVILI

MA Student of Civil Law

Georgian University

The State, being the law-maker and at the same time the subject of special law, bears commitments in front of other subjects prescribed by law. Failure or improper fulfillment of these commitments makes a negative impact on the level of public confidence towards the public institutions. Deriving from the public and private interests, the state is obliged to elaborate effective tools to avoid its representatives violating the rights of third persons.

In case of violation of rights, one of the best solutions is the restoration of original status, but in certain cases, it is impossible because of the factual circumstances. In this case, the reimbursement of incurred damage is the effective method for the protection of the victim's interest and the restoration of justice. The state is involved in the process of reimbursement of the damage incurred by the state representative in cases and according to the rules determined by the law.

One of the specific cases of reimbursement of the damage incurred by the state representative is the reimbursement of the damage resulted from the fulfillment of the annulled administrative-legal act. The particularity of the above mentioned case is not defined by the act itself, but the complexity of determining the guilt of the implementer. As well as the complexity of determining the responsible subject, the legal act regulating the given relationship, calculation of the responsibility age and procedures for implementing the request right.

The presented article is the revision and the attempt to study the rules of reimbursing the damage incurred through implementation of the annulled administrative-legal act and possible solutions to certain issues.

საქართველოს კონსტიტუციურ სივრცეში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ

ლაშა გელანტია

*სოხუმის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი*

თუ დღევანდელ რეალობაში საქართველოს კონსტიტუციურ სივრცეში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის განსაზღვრის საკითხს და ამ თემაზე საუბარს მივცემთ პოლიტიკურ შეფასებას, აღმოვაჩინებთ, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მონაწილეებს შორის დიალოგის განახლებისათვის არ იქნება ხელსაყრელი. თუმცა, ქართულ საზოგადოებასა და სახელმწიფოში უნდა არსებობდეს საერთო პრინციპული მიდგომები აფხაზეთთან დაკავშირებით, რასაც ხელს შეუწოებს საზოგადოებრივი დიალოგი და საკითხის მეცნიერული შესწავლა. ამ პროცესის წარმართვა აუცილებელია, იმდენად, რამდენადაც ქვეყანაში იყოს მზაობა ყოველგვარი შედეგისათვის.

სტატიის მიზანი არ არის სრულყოფილად მოიცვას აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებული ყოველი დეტალი ან მეცნიერული შეფასება მისცეს მათ. ქვემოთ საუბარი გვექნება აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებულ ზოგიერთ პრობლემურ ასპექტზე და განსხვავებულ პოზიციებზე. ასევე, ამ საკითხისადმი საერთაშორისო საზოგადოების დამოკიდებულებაზე და არსებული კონცეფციების შეფასებაზე.

აფხაზეთის ომის აქტიური საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგი პერიოდიდან, დღემდე გამართულ მოლაპარაკებებში დომინირებდა ორი ფუნდამენტური საკითხი: დევნილთა დაბრუნება და აფხაზეთის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა. ვერც ერთ საკითხზე რაიმე სახის შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული. ამის მიზეზი იყო მოლაპარაკებების მონაწილეთა შეცდო-

მეზი, მესამე ძალის ზემოქმედება ან გეოპოლიტიკური მდგომარეობის ცვლილებები. სამსუხაროდ, რაც დრო გადის აფხაზები უფრო კატეგორიულები ხდებიან აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით და დე-ფაქტო დამოუკიდებლობის დე-იურედ აღიარებას მოითხოვენ.

თუმცა, ერთეული გამონაკლისების გარდა, სოხუმის რეჟიმს არასდროს დაუმაღავს, რომ თბილისსა და სოხუმს შორის მიმდინარე მოლაპარაკებების ერთადერთი მიზანია, რომ დამოუკიდებელმა (სეცესირებულმა) აფხაზეთმა დაამყაროს ნორმალური ურთიერთობა თავის მეზობელთან – საქართველოსთან, მიიღოს მისგან ცეცხლის განუახლებლობის და მშვიდობის გარანტიები.

2008 წლის შემდეგ, მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა და მოლაპარაკებების პროცესი ჩიხში მოექცა. ახალი რეალობიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ უნდა დავუბრუნდეთ აფხაზეთის სტატუსთან მიმართებაში ჩვენი პოზიციების გადახედვას.

მოქმედი საქართველოს კონსტიტუციის მესამე მუხლის თანახმად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონით „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ (10/10/2002. № 16/89). აღნიშნული კანონი დღემდე მიღებული არ არის, მაგრამ მისი მიღების მიზანშეწონილობა ცალკე შესწავლისა და განხილვის საგანია. ფაქტი ერთია, რომ ქვეყნის უზენაესი კანონი აფხაზეთის სტატუს განსაზღვრავს ავტონომიის ფორმით.

18 წელია გასული აფხაზეთში აქტიური საომარი მოქმედებების შეწყვეტიდან. ამ ხნის მანძილზე, არაერთი მცდელობა განხორციელდა და ძალისხმევა დაიხარჯა კონფლიქტის დარეგულირების მიმართულებით, მაგრამ ყოველი მცდელობა, იყო ეს ძალისმიერი თუ სამშვიდობო, უშედეგოდ დასრულდა. ამასთან ერთად, შეიძლება ითქვას, რომ ღიად რჩება უმნიშვნელოვანესი საკითხი: როგორ ხედავს საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის მომავალი მონყობის მოდელს, რა მექანიზმებით იქნება უზრუნველყოფილი აფხაზეთის სამართლებრივი სტატუსი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში და საერთოდ, რა ხარისხის სუვერენიტეტი შეაუბარი.

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, აშკარა გახდა, რომ რუსეთის ინტერესია საქართველოს ანექსია და მისი დაქუცმაცება. ცალსახად გამოიკვეთა და ფარდა აეხადა იმ ფაქტს, რომ საქართველოში არსებული კონფლიქტების დარეგულირებას სამხედრო თვალსაზრისით, ჩვენზე ბევრად ძლიერი რუსეთის სახელმწიფო უშლის ხელს. ასეთ პირობებში, მტრის დასამარცხებელ ერთადერთ იარაღად რჩება სწორი მშვიდობიანი პოლიტიკის წარმართვა და დიპლომატიური საქმიანობა. არსებული რეალობა სწორად შეაფასა ხელისუფლებამ და უკანასკნელ წლებში საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკაში გამოიკვეთა მკაფიო გეზი კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების მიმართულებით. სწორედ კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების პროცესშია აუცილებელი სახელმწიფოს მკაფიო და ერთიანი ეროვნული ხედვის არსებობა აფხაზეთის სამომავლო სტატუსთან დაკავშირებით.

რუსეთის მხრიდან აფხაზეთში გატარებული დემაგოგიური პოლიტიკის და საგანმანათლებლო დანებსებულებებში ცრუ სწავლებების შედეგად, რაოდენ სამსუხაროც არ უნდა იყოს, აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენა აფხაზების მიერ აღიქმება როგორც უშუალო საფრთხე მათი ეთნოსის არსებობისათვის. ამდენად, მათთვის გაუგებარია, თუ რატომ უნდა თქვან თუნდაც დე-იურე არშემდგარ და ნაკლულ დამოუკიდებლობაზე, საქართველოს შემადგენლობაში ბუნდოვანი მომავლის სასარგებლოდ. იმ შემთხვევაში, თუ ქართული მხარე შესთავაზებს აფხაზეთს მისი უფლებებისა და სუვერენიტეტის დაცვის რეალურ კონსტიტუციურ გარანტიებს და მექა-

ნიშნებს ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში, გაჩნდება არჩევანი, თუ რა არის უკეთესი: არალიარებული დამოუკიდებლობა და გაურკვეველი მომავლის შიში, თუ საქართველოს ერთიან კოსტიტუციურ სივრცეში დაბრუნება და აქედან გამომდინარე, ყველა პოზიტიური შედეგი.

მართალია, 2008 წელს, რუსეთმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა, მაგრამ მან ამით უხეშად დაარღვია გაეროს წესდების მოთხოვნები, საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ 1970 წლის დეკლარაცია, 1975 წლის ჰელსინკის დასკვნითი აქტისა და სხვა საერთაშორისო დოკუმენტების მოთხოვნები. აღნიშნულ დარღვევებს აფხაზეთიც კარგად აცნობიერებენ და ხედავენ, რომ მათთვის საერთაშორისო ასპარეზზე გასვლა კვლავაც შეუძლებელია.

დღეისათვის, უმთავრესი მიზანია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და დევნილი მოსახლეობის დაბრუნება, ხოლო აფხაზ ხალხს სურს თვითმყოფადობის შენარჩუნება, სოციალური, პოლიტიკური, კულტურული განვითარებისათვის გარანტიების მიღება და ამისათვის ფაქტობრივ, არალეგიტიმურ სუვერენიტეტსაც ფლობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სწორედ აფხაზი და ქართველი ხალხის მიზნების გათვალისწინებით აუცილებელია ისეთი შუალედის მოძებნა, რომელიც გაითვალისწინებს ორივე მხარის ინტერესებს.

საერთაშორისოსამართლებრივ სივრცეში პრობლემის გატანა, მხოლოდ იმის მოთხოვნით, რომ უნდა აღდგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, შედეგის მომტანი ვერ იქნება. აუცილებელია საკითხის სიღრმისეული შესწავლა გამოკვლევა, საერთაშორისო პრაქტიკის, საქართველოსათვის დამახასიათებელი თავისებურებებისა და გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, პირველ რიგში, შევთავაზოთ აფხაზ ხალხს და საერთაშორისო საზოგადოებას, ქართველთა და აფხაზთა თანაცხოვრების მოდელის ძირითადი პრინციპები და გარანტიები.

თვითალიარებული ე.ი. არალიარებული „რესპუბლიკები“ თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკური რუკისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა. არალიარებული რესპუბლიკები ეს არის პოლიტიკურ-ტერიტორიული, სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ძირითადი ატრიბუტიკების მატარებელი წარმონაქმნები, რომელსაც ახასიათებს ფაქტობრივი სუვერენიტეტი, მაგრამ სუვერენიტეტი არ არის საერთაშორისოსამართლებრივად ლეგიტიმური. ზოგადად, არალიარებული რესპუბლიკები მოკლებული არიან შესაძლებლობას აღიარებულ იქნან დამოუკიდებელ სახელმწიფოებად და მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოთაშორის და საერთაშორისოსამართლებრივ ურთიერთობებში. არალიარებული რესპუბლიკების უმრავლესობას აქვს პრეტენზია სხვა სახელმწიფოებმა აღიარონ მათი სუვერენიტეტი.

თანამედროვე მსოფლიოში არალიარებული რესპუბლიკებია:

ტაივანი (Taiwan) – კუნძული მატერიკული ჩინეთის მახლობლად. დე-ფაქტო სუვერენული ქვეყანა, თუმცა, მას არ აღიარებს ჩინეთი და ქვეყნების უმრავლესობა. ჩინეთს გამოეყო 1949 წლიდან;

თამილ ელამი (Tamil Elam) – თვითალიარებული სახელმწიფო, შრი-ლანკის საერთაშორისოსამართლებრივად აღიარებულ საზღვრებში. თამილ ელამი არც ერთი სახელმწიფოს მიერ არ არის აღიარებული. დღემდე, პერიოდულად მეორდება შეიარაღებული შეტაკებები შრი-ლანკის ცენტრალურ მთავრობასა და ტერიტორიულ დაჯგუფება „თამილის ვეფხვებს“ შორის. „თამილ ელამის გათავისუფლების ვეფხვები“ 1976 წლიდან იბრძვის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისათვის;

ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა (Turkish Republic of Northern Cyprus (TRNC)) – ქვეყანა, რომელსაც კუნძული კვიპროსის ჩრდილოეთი მესამედი უჭირავს. ჩრდილოეთ

კვიპროსი დანარჩენი კვიპროსისაგან გამოყოფილია ბუფერული ზონით. 1963 წელს, რეაქციულმა ძალებმა გამოიწვიეს შეიარაღებული შეტაკება ბერძნულ და თურქულ თემებს შორის. 1974 წელს, კუნძულის ჩრდილოეთში თურქეთმა გადმოსხა თავისი შეიარაღებული ძალები და მოახდინა მისი ოკუპაცია, სადაც მოგვიანებით (1983 წელს), გამოცხადდა „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა“. ეს იყო რეაქცია იმ ძალების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ კვიპროსის მიერთებას საბერძნეთისათვის. 1988 წელს, გაეროს ეგიდით დაიწყო მოლაპარაკებების პროცესი ქვეყნის მომავალი გაერთიანებისათვის, რომელიც დღემდე უშედეგოდ გრძელდება. თურქეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც ჩრდილოეთ კვიპროსი ცნო. 2004 წელს, ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა, როგორც კვიპროსის რესპუბლიკის შემადგენელი ნაწილი ევროკავშირის შემადგენლობაში შევიდა;

კოსოვო – ოფიციალური სახელი სერბეთის კონსტიტუციის მიხედვით, კოსოვოსა და მეტოხიას ავტონომიური მხარე, ხოლო ოფიციალური სახელწოდება თვითაღიარებული პარლამენტის მიხედვით, კოსოვოს რესპუბლიკა. რეგიონი მდებარეობს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. 1990 წელს, სერბეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, სლობოდან მილოშევიჩმა კოსოვოს ავტონომიური უფლებები შეკვეცა. ავტონომიას სერბეთის პოლიცია და შინაგანი ჯარი აკონტროლებდა. მიუხედავად ამისა, 1991-1992 წლებში კოსოვოელმა ალბანელებმა მოახერხეს რეფერენდუმისა და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება. მათ დამოუკიდებლობას მისცეს ხმა. 2008 წელს, კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარა აშშ-მა და ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობამ;

ერაყის ქურთისტანი – დადგენილია, რომ 1988 წელს, ქვეყნის შიგნით ერაყმა ქურთების წინააღმდეგ გამოიყენა ქიმიური იარაღი. ამ და სხვა ომების გამო, 1991 წელს, გაერომ ერაყის მიმართ საერთაშორისო სანქციები დააწესა. ერაყის ჩრდილოეთსა და სამხრეთში შეიქმნა დახურული ზონები. ჩრდილოეთის დახურულ ზონაში ქურთებმა ავტონომიური რეგიონი შექმნეს, რომელიც ფაქტობრივად, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოდიოდა (1991-1993 წლები). რეგიონის ერაყის შემადგენლობაში დაბრუნება მოხერხდა მხოლოდ საერთაშორისო კოალიციური ძალების მიერ უნიტარული ერაყის განადგურებით, ქვეყნის პოლიტიკასა და კონსტიტუციაში სერიოზულის ცვლილებების გატარების შემდეგ;

მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკა – დე-ფაქტო დამოუკიდებელი, არაღიარებული სახელმწიფო აზერბაიჯანის საერთაშორისო სამართლებრივად აღიარებულ საზღვრებში, რომელმაც თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა 1991 წლის 2 სექტემბერს. მისი დამოუკიდებლობა არც ერთ სახელმწიფოს არ უღიარებია;

დნეპრისპირეთის მოლდოვური რესპუბლიკა – სლავურმა მოსახლეობამ 1991 წელს გამოაცხადა დამოუკიდებლობა და მის სტატუსზე დღემდე მიმდინარეობს მოლაპარაკება.

სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა – სეპარატისტულმა ძალებმა 1990 წელს, დამოუკიდებლობა გამოაცხადეს სახელწოდებით – „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკა“, რამაც 1991-1992 წლებში საომარი მოქმედებები გამოიწვია. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, რუსეთის ფედერაციამ, ნიკარაგუამ, ვენესუელამ და ნაურუმ აღიარეს „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ დამოუკიდებლობა. 2008 წლის აგვისტოდან, დღემდე რეგიონის მთელ ტერიტორიას აკონტროლებს რუსეთის საოკუპაციო არმია.

ზემოაღნიშნული კონფლიქტების შესწავლისას, იკვეთება საერთაშორისო საზოგადოების მათდამი დამოკიდებულების ერთი საერთო დამახასიათებელი ნიშანი. კერძოდ, საერთაშორისო ორგანიზაციები აღნიშნულ კონფლიქტებთან დაკავშირებით ცდილობენ სტატუს ქვოს

შენარჩუნებას. საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, ცალსახად იკვეთება, რომ სისხლის-ღვრისა და შეიარაღებული კონფლიქტების განახლების თავიდან აცილების მიზნით, საერთაშორისო ძალები მხარს უჭერენ კონფლიქტის გაყინვას და კონფლიქტის მონაწილეებს აძლევენ შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღონ ორმხრივ მოლაპარაკებებში იმ მიზნით, რომ მშვიდობიანი გზით გადაწყდეს პრობლემა. კონფლიქტებში საერთაშორისო ორგანიზაციების მკვეთრი ჩარევა ხდება მხოლოდ კონფლიქტის განახლების შემთხვევაში და ხშირად მკაცრ სანქციებსა და რადიკალურ გადამწყვეტ ზომებს მიმართავენ,¹ რათა არ მოხდეს კონფლიქტის განახლება.

არსებული კონფლიქტების მოუგვარებლობას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ საერთაშორისო სამართალი აწყდება საერთაშორისოსამართლებრე კოლიზიას. კერძოდ, თვითგამორკვევის უფლება უპირისპირდება საერთაშორისო სამართლის სხვა ფუნდამენტურ პრინციპებს – სახელმწიფო სუვერენიტეტს და განსაკუთრებით, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებულ პრინციპებს. ამიტომ კონფლიქტების მოგვარების პროცესი ხანგრძლივად ჭიანურდება.

ჩვენს შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, არსებობს თუ არა მსოფლიო პრაქტიკაში სეპარატისტული კონფლიქტების მშვიდობიანი გადაჭრის მაგალითები, რა სახის პოლიტიკურსამართლებრივი ნანამძღვრები დაედო საფუძვლად კონფლიქტის მოგვარებას და რა სტატუსით მოხდა მათი დაბრუნება ძირითად სახელმწიფოებში. მსოფლიო პრაქტიკაში ასეთი მაგალითები გვაქვს და მათ შეიძლება მივაკუთვნოთ:

გაგაუზია, გაგაუზ-ჰერი – მიუხედავად 1990-1994 წლებში, ფაქტობრივი დამოუკიდებლობისა, დაბრუნდა მოლდოვის შემადგენლობაში როგორც ავტონომიური წარმონაქმნი. ასევე, ერაყის ქურთისტანი – ერაყის შემადგენლობაში დაბრუნება მოხერხდა მხოლოდ გარეშე ძალების ჩარევით და ქვეყნის პოლიტიკაში და კონსტიტუციაში ფუნდამენტური ცვლილებების გატარების შემდეგ. სამხრეთ ტიროლი – იტალიის შემადგენლობაში დასარჩენად გაიმართა არაერთი მოლაპარაკება და იტალიას პოლიტიკური და სამართლებრივ დათმობებზე მოუწია ნასვლა.

სამივე შემთხვევაში, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ახასიათებს ერთი საერთო დამახასიათებელი ნიშანი. ძირითადი სახელმწიფოს პოლიტიკაში და კონსტიტუციაში აუცილებელი გახდა რადიკალური რეფორმების გატარება. ამ ცვლილებების შინაარსი მდგომარეობდა შემდეგში, სეპარატისტული არაღიარებული სახელმწიფოს ინტეგრირება მომხდარიყო ძირითად სახელმწიფოში, იმგვარად, რომ ამ უკანასკნელის არალეგიტიმური სუვერენიტეტი მინიმალურად შეზღუდულიყო, ხოლო კულტურულ და სოციალურ სფეროში მიეღო დამატებითი გარანტიები.

აფხაზეთის სტატუსის განმსაზღვრელ, დღემდე არსებულ კონცეფციებში ძირითადად, საუბარია აფხაზეთის ფართო ავტონომიაზე და ზოგიერთ სხვა შემთხვევებში, აფხაზეთის სტატუსი კონფედერაციის სუბიექტის სტატუსსაც კი, უახლოვდება. საერთაშორისო ორგანიზაციებიც ზოგადად, მხარს უჭერენ, რომ მინიმალურად შეიზღუდოს არაღიარებული რესპუბლიკის არსებული პოლიტიკური და სამართლებრივი მდგომარეობა და მისი სუვერენულობის მინიმალური შეზღუდვით მოხდეს ინტეგრირება ერთიან სახელმწიფოში. მიუხედავად იმისა, თუ რამდენად ფართო უფლებამოსილებებით მოხდება აფხაზეთის ინტეგრაცია ერთიან სახელმწიფოში, უცვლელ პირობად უნდა დარჩეს ერთიანი საქართველოს შემადგენელ სუბიექტთა სეცესიის უფლების აკრძალვა და დევნილი მოსახლების დაბრუნება.

ამ მიმართულებით საქართველოს ძალისხმევისათვის, აუცილებლად უნდა გადაიხედოს აფხაზეთის მიმართ პოლიტიკური და კონსტიტუციურსამართლებრივი მიდგომა, რადგან კონფლიქ-

ტის წარმოშობის საფუძველი არ ყოფილა მხოლოდ გარე ძალების ჩარევა, არამედ იმჟამინდელი ხელისუფლების პოლიტიკური დამოკიდებულება აფხაზეთის მიმართ და კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები, სადაც დღესაც, არ შეიმჩნევა ძირეული ცვლილებები.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის სტატუსი აუცილებლად იქნება განსაკუთრებული, რადგან შეუძლებელია წაგებული ომის შემდეგ, აღდგეს ის მდგომარეობა რაც იყო ომამდე აფხაზეთში. ამასთან, აფხაზი ეთნოსის ერთადერთი სამშობლო აფხაზეთია, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია. მაგრამ მიმდინარე პროცესების ფონზე, ამ ეტაპზე აფხაზეთის სტატუსის განსაკუთრებულობაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ პრინციპების დონეზე.

აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ ერთიან ქართულ სივრცეში. სახელმწიფო საზღვრების ურღვეობა და დევნილთა მშობლიურ მიწაზე დაბრუნება უმთავრესი მოთხოვნებია. მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ამ ყველაფრის სანაცვლოდ აფხაზეთისათვის ფართო უფლებამოსილების მინიჭება და მისი განსაკუთრებულობის ხაზგასმა ქვეყნის დაშლის მცდელობად და შეცდომით გადადგმულ ნაბიჯად აღიქმება. თუმცა, აფხაზეთისათვის ფართო უფლებამოსილების მინიჭების იდეის მოწინააღმდეგენი ზოგიერთ ასპექტში მართლები არიან. საერთაშორისო ორგანიზაციები გაყინულ კონფლიქტებში სტატუს ქვოს იმ მიზეზით ინარჩუნებენ, რომ კონფლიქტის მონაწილეებს მიეცეთ დრო მოლაპარაკებებისათვის და ურთიერთშეთანხმებისათვის. მათი მთავარი მიზანია კონფლიქტის მოგვარება მშვიდობიანი გზით და ამ გზაზე კონფლიქტის მონაწილეები თუ რა ხარისხის და მოცულობის დათმობებზე წავლენ, მათთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. მათთვის მისაღებია ყველა დათმობა, რომელიც ხელს შეუწყობს კონფლიქტის გადაწყვეტას. შესაბამისად, არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია და სახელმწიფო არ დაგმობს საქართველოს მხრიდან დიდ დათმობებზე წასვლას ან თუნდაც, აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას. შესაბამისად, გვმართებს წინდახედულობა და ზუსტად იმ ფარგლებში უნდა მოხდეს აფხაზეთისათვის განსაკუთრებული უფლებებისა და გარანტიების შეთავაზება, რაც აუცილებელია კონფლიქტის მოსაგვარებლად და არ იქნება საზიანო ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის. ერთი სიტყვით, კონფლიქტი აფხაზეთში უნდა დარეგულირდეს კონსტიტუციური ხელშეკრულების საფუძველზე და არა საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე.

კონფლიქტის გადაწყვეტის ჩვენეული ხედვის შემთხვევაში, აფხაზებს უწევთ არაღიარებული, თუმცა ფაქტობრივი დამოუკიდებლობის დათმობა. სწორედ ამიტომ მიდის საუბარი სანაცვლოდ შეთავაზებულ იქნას ფართო უფლებამოსილებები, აფხაზი ერის შემდგომი არსებობა-განვითარების უტყუარი გარანტიები. მოქმედება გადაუდებელია და სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ჩვენი ქვეყნისათვის. რა შეგვიძლია შევთავაზოთ აფხაზებს ერთად თანაცხოვრებისათვის. საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია აფხაზეთის მიმართ და აფხაზი ერის მიმართ ითვალისწინებს კონტიტუციის მე-8 მუხლს. ერთი შეხედვით, ეს მუხლი ხაზს უსვამს აფხაზური ენის პატივისცემას, მის მაღალ ღირებულებასა და სახელმწიფო ენის რანგში აყვანას, თუმცა, თუ მეტად ჩავუღრმავდებით ვნახავთ, რომ ამ მუხლის განვრცობა და შემდგომი ამოქმედება იძლევა ბევრად მეტ გარანტიებს და აფხაზებს ანიჭებს ფართო უფლებამოსილებას სუვერენულობის შენარჩუნებასა და განხორციელებაში.

მოქმედი კონსტიტუციის მე-8 მუხლი, თავისი შინაარსით ხაზს უსვამს აფხაზეთის სტატუსის განსაკუთრებულობასაც. ამ მუხლის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრეთვე – აფხაზური. აღნიშნული მუხლი

იძლევა აფხაზი ერის კულტურული, ისტორიული და ენობრივი თვითმყოფადობის შენარჩუნების უპირობო გარანტიას. აქვე დავძენთ, რომ ამ კონსტიტუციური გარანტიის პრაქტიკული რეალიზება შესაძლებელია სერტიფიცირების სისტემის შემოღებით. კერძოდ, აფხაზეთში საჯარო მოხელედ პირი სამსახურში არ მიიღება, თუ არ წარადგენს ორივე ენის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს, ხოლო თანამდებობრივ ზრდასთან ერთად, პირი ვალდებული იქნება წარადგინოს ქართული და აფხაზური ენების ფლობის უფრო მაღალი დონის სერტიფიკატი.

საკანონმდებლო და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები უნდა გამოიცეს ორივე ენაზე, გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ინდივიდუალურსამართლებრივი აქტი გამოიცეს ერთ ენაზე, მისი ადრესატის შესაბამისად. ენობრივი სერტიფიცირების მოთხოვნა შეიძლება აგრეთვე, გავრცელდეს კერძო-საჯარო იურიდიულ პირებზე და საბანკო სისტემაზეც.

აქვე, ამავე კონსტიტუციური მუხლის საფუძველზე, იმის გათვალისწინებით, რომ ერთიან სახელმწიფოში მოიაზრება აფხაზეთი, ხოლო ლარი მიმოქცევაშია მთელს საქართველოში, შესაბამისად, ეროვნული ბანკის გადანყვეტილებით, ეროვნულ ვალუტას, ლარს ქართულ წარწერასთან ერთად უნდა ჰქონდეს აფხაზური წარწერაც. ასევე კუპიურებზე შესაძლებელია გამოსახოს აფხაზეთის ისტორიული პიროვნებები, საზოგადო მოღვაწენი, აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ ისტორიულ ნაგებობათა და კულტურის ძეგლთა გამოსახულებანი. 200-ლარიან კუპიურაზე აფხაზურმა წარწერამ და სოხუმის ხედის გამოსახვამ ძალიან დიდი მონონება დაიმსახურა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან. ეს კუპიურა ბრიტანული გამოცემა Currency News-მა აღიარა თვის ბანკნოტად და არა მხოლოდ მისი დიზაინისა და დაცულობის ხარისხის გამო, არამედ მისი დიდი პოლიტიკური დატვირთვის გამოც.² ამავე მუხლის საფუძველზე, აფხაზეთში სრული განათლების მიღება შესაძლებელი ხდება აფხაზურ ენაზე.

აფხაზეთის სტატუსის განსაკუთრებულობა კონსტიტუციურად შემოიფარგლება მხოლოდ ამ მუხლით, რაც თვალსაჩინოს ხდის, რომ აუცილებელია ნორმატიული რეფორმების გატარება, შემდგომი მეცნიერული კვლევა და პროცესებში საზოგადოებრივი ჩართულობა.

მართალია, საქართველოს კონსტიტუციაში ჩადებულია აფხაზეთის სტატუსის განმსაზღვრელი გარკვეული გარანტიები, მაგრამ ამავე კონსტიტუციაში ვხვდებით სერიოზულ დაბრკოლებებს და ხარვეზებს აფხაზეთის სტატუსის და საერთოდ, საქართველოს ტერიტორიულ-სამართლებრივი მონყობის განსაზღვრის საკითხებში.

ამ მიმართებით, მოქმედი კონსტიტუციის მეორე მუხლი დღემდე სერიოზული მუხრუჭის ფუნქციას ასრულებს და მრავალ კითხვას წარმოშობს. საქართველოს კონსტიტუციაში ჩაიწერა და დღემდე უცვლელია ის დეფინიცია, რომ საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მონყობა განისაზღვრება ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ. თუმცა, კონსტიტუციის მე-3 მუხლშივე განსაზღვრულია აფხაზეთის ავტონომიურობის სტატუსი. აფხაზეთის ავტონომიურობის სტატუსის განსაზღვრას იმეორებს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი, პარლამენტის ზედა პალატის, სენატის ფორმირებასთან დაკავშირებით.

ამასთან, კონსტიტუციითვეა განმტკიცებული, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ.

ლოგიკურად ისმის კითხვა, იმ შემთხვევაში თუ კონსტიტუციითა განსაზღვრული აფხაზეთის სტატუსი (ასევე, აჭარის), როგორც ავტონომიური რესპუბლიკის, მაშინ ყოვლად გაუგებარია

რა აბრკოლებს საქართველოს ტერიტორიულ სამართლებრივი მოწყობის საკითხის სამართლებრივ გადაწყვეტას. ცხადია, ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საკითხის გადაწყვეტის გარეშე, ქვეყნის შემდგომი განვითარება და კონფლიქტის მოგვარების მიმართულებით მუშაობა ძალიან ძნელია და ბევრ პასუხგაუცემელ კითხვას აჩენს. ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის თვალსაზრისით, ნიშანდობლივია კონსტანტინე კუბლაშვილის, არჩილ გეგეშიძის, იულიანე ხაინდრავას, პაატა ზაქარეიშვილის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტი „საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განასკუთრებული სტატუსის შესახებ“. დოკუმენტის ავტორები აფხაზეთის საკითხს საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის კონტექსტში განიხილავენ და მხარს უჭერენ ამ პრობლემის ქვეყნის ფედერალური მოდელის საფუძველზე მონესრიგებას.

ცხადია, რომ ქვეყნის ფედერალიზაციის საკითხზე გადაწყვეტილების მიღება ადვილი არ იქნება, ვინაიდან არსებობს საკითხთა და პრობლემათა ფართო წრე, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია.

სეპარატიზმისა და ფედერალიზმის ურთიერთდამოკიდებულება აუცილებლად უნდა განიხილებოდეს კონკრეტულ ისტორიულ და პოლიტიკურ კონტექსტში და არა ზოგადი თეზისების მოშველიებით. ცნობილია, რომ ვითარების თავისებურებიდან გამომდინარე, ფედერალიზმმა შეიძლება ხელი შეუწყოს სეპარატისტული მოძრაობის შენელებას, თუმცა, შესაძლოა ნაახალისოს კიდევ სეპარატისტული იდეოლოგია და გააღრმავოს ერთმანეთისაგან გაუცხოების სინდრომი.

ფაქტია, რომ სეპარატიზმს მოაქვს თანაცხოვრების ტრადიციული წესების აკვიატებული უარყოფა. აგრესიული სეპარატისტები ნებისმიერი საშუალებით გამოდიან ერთიანი სახელმწიფოს წინააღმდეგ. მსოფლიო პრაქტიკა მეტყველებს, რომ სეპარატიზმი, მუდმივი დაპირისპირებები, სეცესიის მცდელობა უარყოფითად მოქმედებს სახელმწიფოს სტაბილურ განვითარებაზე, მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. მეცნიერთა პროგნოზით, ბელგიაში სეპარატისტების გამარჯვება მოსახლეობის ცხოვრების დონეს 10-12 პროცენტით დასცემდა, ხოლო კანადის დაშლის შემთხვევაში – 26-30 პროცენტით.

ფედერალიზმის იდეისადმი სახელმწიფოს შედარებით ფრთხილი დამოკიდებულება აქვს, ვინაიდან ტერიტორიული მოწყობის ფედერალური მოდელი მოიცავს ცენტრიდანული მოძრაობის გაღვივების საფრთხეს. ეს იყო ერთადერთი არგუმენტი, რომლის გამოც, სამხრეთ აფრიკამ უარი თქვა ქვეყნის ფედერალურ მოწყობაზე. ფედერალიზმის პრინციპების განხილვა მწვავედ მიმდინარეობს ევროპის მრავალ განვითარებულ ქვეყანაში. ბელგიის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად მისი ფედერალიზაციისა, არ მოიხსნა ქვეყნის შიგნით არსებული წინააღმდეგობანი. ბელგიის მაგალითი, მრავალი ძალზე საგულისხმო ასპექტის გამო, გასათვალისწინებელია აფხაზეთა და ქართველთა თანაცხოვრების წესის პერსპექტივის პროგნოზირების პროცესში. მცდარია ერთმნიშვნელოვნად მტკიცება იმის შესახებ, რომ ფედერალიზმი სრულად მოხსნის აფხაზეთა სწრაფვას სეცესიისაკენ. განსაკუთრებით ისეთ ვითარებაში, როცა აფხაზეთური მხარე თავის პოლიტიკურ სტრატეგიას აგებს აფხაზეთის უთუო სახელმწიფოებრივი აღიარების მოლოდინზე და ამ პოზიციის სასარგებლოდ მსოფლიოს უახლესი ისტორიიდან უამრავ კონკრეტულ ფაქტებს იშველიებს,³ რაც ქართული მხარისათვის დამატებითი ფიქრისა და კონფლიქტის მოგვარების არაორდინალური გადაწყვეტილების შემუშავების საფუძველი უნდა გახდეს, რადგან დრო საქართველოს სანინააღმდეგოდ მოქმედებს.

უფრო მნიშვნელოვანია არა ის, არსებობს თუ არა სეცესიის მსოფლიო პრაქტიკა, არამედ, აქვს თუ არა აფხაზეთს გამოყოფის კანონიერი საფუძველი. საერთაშორისო სამართალი გან-

მარტავს, რომ თვითგამორკვევის უფლების სუბიექტად შეიძლება განიხილებოდეს მხოლოდ ე.წ. სახელმწიფო ხალხი და ეს აღნიშნულია ადამიანთა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტის 27-ე მუხლში, გაეროს დოკუმენტებში. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს მიეცემათ სეცესიის უფლება, მოსალოდნელია მსოფლიოში მოსახლე დაახლოებით 700 მსხვილმა ეთნოსმა მოინდომოს დამოუკიდებლობა, რაც ძირს გამოუთხრის საერთაშორისო წესრიგს, საფუძველს დაუდებს მსოფლიო ქაოსს.

უნდა ვალიაროთ, რომ აფხაზურ ნაწილს აქვს თვითგამორკვევის უფლება, მაგრამ არა ისე, როგორც ეს აფხაზებს და რუსულ მხარეს ესმის, არამედ ისე, როგორც ამას განმარტავს საერთაშორისო სამართალი, ანუ თვითგამორკვევის უფლება მდგომარეობს იმაში, რომ აფხაზ ხალხს ჰქონდეს ისეთ პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ გარემოში ცხოვრების შესაძლებლობა, რომელიც უზრუნველყოფს მათ ინდივიდუალურ თავისებურებებს, დაიცავს და განავითარებს საკუთარი იდენტურობის განმსაზღვრელ ისტორიულ, კულტურულ, სოციალურ და სხვა ასპექტებს.

გაეროსა და ეუთოს მოქმედი პრაქტიკის შესაბამისად (გაეროს დეკლარაცია №2625, ეუთოს ჰელსინკის 1975 წლის საბოლოო დოკუმენტი), არ არის სავალდებულო თვითგამორკვევის უფლება რეალიზებულ იქნას სეცესიაში. თვითგამორკვევის მიზანი შეიძლება იყოს ტერიტორიული ავტონომიის განსხვავებული ფორმები (მაგალითად, სეპარატისტული სტატუსის მქონე ესპანური პროვინციები, იტალიური სამხრეთ ტიროლი, ფარერის კუნძულები და მრავალი სხვა) ან ფედერალურ სისტემაში მისი ნაწილის განსაკუთრებული სტატუსი (მაგალითად, კვებეკი კანადაში). ჩვენს შემთხვევაში, თვითგამორკვევა უნდა გულისხმობდეს, რომ როგორც ეთნიკურ ჯგუფს შეეძლება ილაპარაკონ და ასწავლონ თავიანთ ენაზე, განავითარონ საკუთარი კულტურა და თვითშეგნება, ტრადიციები, განავითარონ სახელმწიფოებრიობის ადრე მიღებული ნიშნები და უფლებამოსილებანი და სხვა. ამდენად, აქ მთავარია, რომ თავისი წარმოშობისა და განსახლების ტერიტორიაზე მათ აქვთ უფლება მოუარონ, შეინარჩუნონ და განავითარონ გარკვეული, შეიძლება ძალიან ფართო, მაგრამ მხოლოდ კონსტიტუციით გარანტირებული უფლებამოსილებანი.

კონცეფციის ავტორები ემხრობიან საქართველოს ასიმეტრიული ფედერალიზმის პრინციპით მონყობის მოდელს, მაგრამ ავტორების მიერ შემოთავაზებული მოდელი მოიცავს როგორც ბიპოლარული, ისე ასიმეტრიული ფედერალიზმის ელემენტებს გაცილებით უფრო ფართო უფლებებით, ვიდრე ეს ამ სახეობების ტერიტორიული მონყობისათვის არის დამახასიათებელი. აქვე აღსანიშნავია, რომ როგორც პირველს, ისე მეორეს აქვს თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ჩარჩო, რომლის არაკონსტიტუციური გაფართოება გამოიწვევს სეცესიისაკენ სწრაფვის გაძლიერებას. შესაბამისად, ორსუბიექტიანი ფედერელიზმის ტრადიციული მოდელი საქართველოსათვის მიუღებელია.

ასიმეტრიულ ფედერალიზმს თავისი ზღვრული ჩარჩო გააჩნია, რომელიც ფართო საზოგადოებრივ კონსენსუსზე უნდა გადიოდეს, ვინაიდან საქართველოსათვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭებამ შესაძლოა სათავე დაუდოს პოლიტიკური და ეკონომიკური დეცენტრალიზაციის განწყობას სხვა რეგიონებში.

კონცეფციის 32-ე პუნქტში მითითებულია, რომ სახელმწიფოებრიობის ხარისხის გამო, აქვს აფხაზეთს არა ვინმესაგან მინიჭებული, არამედ საკუთარი სუვერენიტეტი.

აღსანიშნავია, რომ ფედერაციის სუბიექტი არ შეიძლება იყოს სახელმწიფო, რეალურად ის არის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. იურიდიული მეცნიერება კლასიკური ფედერაციის სუბიექტებს წარმოაჩენს როგორც სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს. ტრადიციული ფედერაციული სახელმწიფოების კონსტიტუციებში საერთოდ არ გამოიყენება სახელმწიფოს ცნება, მაგრამ არსებობს მისი სინონიმური სახელწოდებით, კერძოდ: შტატები (აშშ, ინდოეთი), პროვინციები (კანადა), მიწები (გერმანია, ავსტრია) და ა.შ.

კონცეფციის 34-ე მუხლში ავტორები განიხილავენ აფხაზეთის, როგორც ფედერაციის სუბიექტის წარმომადგენლობას საქართველოს პარლამენტში, აფხაზეთის პოლიტიკური მოწყობის, პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევის ნესს. ამ საკითხებთან დაკავშირებით კონცეფციაში მოტანილი არგუმენტაცია არასრულყოფილების შთაბეჭდილებას ტოვებს. სასურველი იყო ავტორებს ჩამოეყალიბებინათ თავიანთი პოზიცია არა მხოლოდ წარმომადგენლობით ორგანოზე, არამედ აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებაზეც. გასათვალისწინებელია ე.წ. არასტანდარტული საერთაშორისო საკანონმდებლო გამოცდილება, რომელიც არეგულირებს ტრადიციულად რთულად მიჩნეულ ურთიერთობებს ფედერაციის სუბიექტსა და ფედერალურ სახელმწიფოს შორის. ასე მაგალითად, აშშ-ის წარმომადგენლობით პალატაში ფედერაციის სუბიექტები წარმოდგენილი არიან მოსახლეობის პროპორციულად, მაგრამ თითოეულ შტატს წარმომადგენელთა პალატაში ჰყავს სულ ცოტა, ერთი სენატორი მაინც. იგივეს ვხვდებით შვეიცარიის პარლამენტის ეროვნულ საბჭოშიც, სადაც ადგილები კანტონების მოსახლეობის პროპორციულად არის განაწილებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ომამდე მოსახლეობის რიცხოვნობის შესაბამისად, აფხაზეთს, შესაძლებელია ჰყავდეს ფართო წარმომადგენლობა საქართველოს სენატში.

ნდობის მეტად მნიშვნელოვანი გარანტია უნდა გახდეს აფხაზეთის მონაწილეობა საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში. საინტერესოა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მაგალითი, სადაც აღმასრულებელ ხელისუფლებაში მაღალი დონის ფედერალური მოხელეები წარმოდგენილი არიან ქვეყნის ყველა კუთხიდან. აუცილებელი იქნება აფხაზეთი უზრუნველყოფა შესაბამისი კვოტებით.

საინტერესოა, თუ როგორ აქვთ წარმოდგენილი ფედერაციის სუბიექტის წარმომადგენლობა მართლმსაჯულების სისტემაში. ამერიკის სენატი მონაწილეობს უმაღლესი ფედერალური მოხელეებისა და თანამდებობის პირების დანიშვნაში. უზენაესი სასამართლოს წევრების დანიშვნა ხდება ფედერაციის სუბიექტებს შორის შეთანხმების საფუძველზე. ამ გამოცდილებიდან გამომდინარე, იქნებ მიზანშეწონილი იყო წინადადებების განვითარება უზენაეს და საკონსტიტუციო სასამართლოებში აფხაზეთისათვის კვოტების გამოყოფის შესახებ.

მიუხედავად ამ შენიშვნებისა, კონცეფცია საინტერესო დოკუმენტია, რომლის მიზანი იყო აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარების დაწყებაზე მსჯელობა და დისკუსიების გამართვა.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კონსტიტუცია და არსებული კონცეფციები აფხაზეტს აძლევს საკმაოდ ფართო, გონივრულ ავტონომიურ და ეროვნულ უფლებებს და გარანტიებს, თუმცა, არასაკმარისს. არასაკმარისს, იმდენად რამდენადაც პირველ რიგში, მთავარ გარანტიად თვით საქართველოს კონსტიტუციის სტაბილურობა და უცვლელიობა უნდა იქცეს. აფხაზეთის სტატუსის განმსაზღვრელი კონსტიტუციური დებულებების შეცვლის დაუშვებლობა აფხაზეტის

თანხმობის გარეშე. შესაძლებელია გარკვეულ საკითხებზე ჩაიდოს ვეტოს უფლება და ცალმხრივად გადაწყვეტილების მიღების დაუშვებლობის გარანტია. შეიძლება უფრო შორს წავიდეთ და საქართველოს კონტიტუციაში ნებისმიერი სახის ცვლილება დასაშვები გავხადოთ მხოლოდ ერთობილივი ქართულ-აფხაზური შეთანხმების (გადაწყვეტილების) შემთხვევაში.

თუმცა, ამ კონფლიქტის მონაწილეთა მუშაობა ამ საკითხებზე, ნიშნავს ქართულ აფხაზური პრობლემის მოგვარებას, რაც დღევანდელ რეალობაში ძალიან ძნელად განსახორციელებელია. ისტორიული გამოცდილება გვასწავლის, რომ რთული კონფლიქტები არსად გადაწყვეტილა თუნდაც, საუცხოოდ დანერგილი კონცეფციის დონეზე. კონფლიქტის მონესრიგება მოითხოვს სახელმწიფოსა და საზოგადოების, სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან ხანგრძლივ, სისტემატურ და მიზანმიმართულ საქმიანობას, რომლის გადადება არ შეიძლება.

1945-1985 წლებში მსოფლიოში რეგისტრირებული იყო 127 ეთნიკური კონფლიქტი, რომელთა ძირითადი მიზეზი იყო სეცესია. 1993-1995 წლებში, მსოფლიოში 50 ეთნოკონფლიქტი განახლდა. ასე, რომ აფხაზეთის გარდა, მსოფლიო თანამეგობრობას სხვა საზრუნავიც აქვს რეციდიული, შედარებით ახალი თუ პროგრესირებადი ეთნოკონფლიქტების სახით.

ნაკლებად მოსალოდნელია, რომ აფხაზეთის კონფლიქტი მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევით დარეგულირდება. უეჭველია, რომ უპირველესი და გამამწყვეტია საქართველოს დაინტერესებული და სისტემური მიდგომა ამ საკითხისადმი.

ყოველმხრივი ძიება და სისტემატიური მუშაობა გარდაუვალია, რათა მომზადებული შევხვდეთ მოვლენათა ყოველგვარ განვითარებას. საბოლოოდ, როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, ფედერაციული მონყობის საკითხი აუცილებლად დადგება დღის წესრიგში. ჩვენ გვჭირდება ისეთი ფედერალიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის გაერთიანებას და არა დაქუცმაცებისათვის სამართლებრივ წინაპირობას.

საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, ამჟამად არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ვიდრე სახელმწიფო რეალურად შეუდგება ქვეყნის ფედერაციულ მონყობაზე ზრუნვას, საჭიროა შრომატევადი მოსამზადებელი სამუშაოების შესრულება. კერძოდ, ნდობის აღდგენა კონფლიქტის მონაწილეებს შორის, ომით გახლეჩილი ტერიტორიებისა და მოსახლეობის ეტაპობრივი დაახლოებისა და თანამშრომლობის სახელმწიფო სტრატეგიის ამოქმედება. სახელმწიფოსა და საზოგადოების ერთობილივი ძალისხმევით სისტემური და კონკრეტული მუშაობის წარმართვა.

თუმცა, არ შეიძლება საერთაშორისო ორგანიზაციების გამორიცხვა კონფლიქტის მოგვარებისა და მოლაპარაკებების დაწყების პირველ ეტაპზე. 2009 წლის ბოლოს, ევროკავშირმა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების მიმართ შეიმუშავა სტრატეგია – „ჩართულობა არალიარების გარეშე“. აღნიშნული მიდგომა ამ რეგიონებისადმი საკმაოდ დიდი იმედის მომცემია მოლაპარაკების პროცესების დაწყებისა და შემდგომი განვითარებისათვის.

დაბოლოს, აფხაზეთისათვის ფართო უფლებამოსილების მინიჭება არ უნდა იქნეს აფხაზეთისა და ქართველების მიერ გაგებული როგორც მხოლოდ აფხაზეთისათვის მინიჭებული გარანტიები. მართალია, ეს გარანტიები მიმართულია აფხაზი ერის თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად, მაგრამ ამავდროულად, იგი მოქმედებს აფხაზეთის მთელს ტერიტორიაზე და ეხება ყველა იქ მცხოვრებ მოქალაქეს. როგორც აფხაზეთისათვის ასევე, იქ მცხოვრებელი ქართველებისათვის აფხაზეთი არის მშობლიური მიწა და შესაბამისად, ამ ორ ენობრივ ჯგუფს შორის იმგვარად უნდა აიგოს ურთიერთობები, რომ ნაკლებად მოხდეს ენობრივი აღრევა და ამავდროულად, მაქსიმალურად იყოს გამოყენებული ყოველდღიურ ცხოვრებაში. შესაბამისად, ორივე ენობრივი ჯგუფი უნდა ისწრაფოდეს აფხაზეთის განვითარებისათვის.

გამოყენებული მასალა:

1. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი III, შემდეგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი, სამართლის დოქტორი ვასილ გონაშვილი, თბილისი, 2006;
2. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი V, შემდეგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი, სამართლის დოქტორი ვასილ გონაშვილი, თბილისი, 2007;
3. კონცეფცია „საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ“, ავტორთა კოლექტივი: კონსტანტინე კუბლაშვილი, არჩილ გეგეშიძე, იულიანე ხაინდრავა, პაატა ზაქარეიშვილი, თბილისი, 2004;
4. კონფლიქტის პროგნოზირება საერთაშორისო სამართლებრივი და ეკონომიკური ასპექტები, შოთა მალაშხია, თბილისი, 2007;
5. ფედერალიზმი როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი, გიორგი ხუბუა, თბილისი, 2000.
6. Южно-Тирольская автономия Краткое введение, Професор Энтони Элок, 2001;
7. ნორმატიული მასალა: საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია; გაეროს წესდება, გაეროს დეკლარაცია №2625; 1975 წლის ჰელსინკის დასკვნითი აქტი.

შენიშვნები:

- ¹ 2008 წელს, აღიარებულ იქნა კოსოვოს დამოუკიდებლობა, რასაც საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს დაუპირისპირდა ადამიანის ძირითადი უფლებები. კოსოვოს აღიარების ძირითადი საფუძველი გახდა სერბეთის მხრიდან კოსოვოელ ალბანელთა ეთნოწმენდა და ომის განახლება. 90% ალბანელებით დასახლებული კოსოვოსა და სერბეთის შემდგომი თანაარსებობა შეუძლებელი იქნებოდა, რადგან მათი შემდგომი თანაარსებობა ერთ სამართლებრივ და პოლიტიკურ სივრცეში გამოიწვევდა ადამიანის უფლებათა მასობრივ დარღვევებს, სისხლისღვრასა და შეიარაღებულ დაპირისპირებებს.
- ² ბრიტანული გამოცემლობა Currency News – May 2007 (Vol 5, No5).
- ³ ასე, მაგალითად: 1905 წელს, ნორვეგია გამოეყო შვედეთს, 1971 წელს – ფინეთი რუსეთს, 1918 წელს – ირლანდია დიდ ბრიტანეთს, 1971 წელს – ბანგლადეში პაკისტანს, 1960 წელს – სენეგალი მალის ფედერაციას, 1965 წელს – სინგაპური მალაიზიას, 2008 წელს – კოსოვო სერბეთს.

SPECIAL STATUS OF ABKHAZIA IN THE GEORGIAN CONSTITUTIONAL SPACE

LASHA GELANTIA

Assistant-Professor of the Law Faculty at the Sokhumi University,

Iv. Javakhishvili Tbilisi State University,

PhD student of the Public Law Faculty

The article “Special Status of Abkhazia in the Georgian Constitutional Space” refers to the urgency of the issue of defining the future political and legal status of Abkhazia.

The paper outlines the Article 8 of the Constitution of Georgia and the challenging sides of the concepts regarding the status of Abkhazia that have not been discussed before.

The problematic issues of the territorial arrangement of Georgia from the normative point of view, as well as the perspectives, attitudes of the international organizations towards the Abkhazian conflict are also highlighted in the article.

The article presents the examples nonrecognized republics all over the world. It reviews the precedents of peaceful resolution of conflicts in GagaUzi, Iraqi, Kurdistan and South Tyrol and common signs of all the reviewed conflicts.

The paper reviews some basic aspects and principles of the future legal status of Abkhazia. The issues include: territorial-state arrangement, basic principles of the formation of the state bodies, issues of common currency and language and etc.

The current reality regarding the Abkhazian conflict, the principles and perspectives of determining the status of Abkhazia, the role of the international organization in the conflict resolution process, perspectives of federal arrangement of the state related with the status of Abkhazia are also evaluated.

თეორიები სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძვლების შესახებ

თაა სუსნიტაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი*

სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძვლები, მეცნიერ იურისტებს შორის და არა მარტო მათ შორის, ხშირად ბადებდა განსხვავებულ აზრს. ამიტომ ამ შეუთანხმებლობის გამო სამოქალაქო სამართალში პასუხისმგებლობის საკითხი დღესაც აქტუალურია. პასუხისმგებლობის საფუძვლებს სამოქალაქო სამართალში ყოვლისმომცველი მნიშვნელობა აქვს იმ თვალსაზრისით, რომ ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, იგი სამოქალაქო სამართლის ყველა ინსტიტუტის თანმდევია, მაგრამ პასუხისმგებლობა უპირველესად მაინც სახელმეკრულებო და დელიქტური ვალდებულებებიდან – არსებული ვალდებულების დარღვევით ან სამართალდარღვევით ახალი ვალდებულების წარმოშობის შედეგად იჩენს თავს.

პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული სადავო საკითხები ყოველთვის ერთნაირი არ ყოფილა. განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს საკითხი სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძვლების შესახებ. ამ მიმართებით ძირითადად, ორი თეორია არის ცნობილი: 1. სამოქალაქო სამართალდარღვევის შემადგენლობის; 2. ბრალეულობისა და ზიანის მიყენების სახელით ცნობილი თეორიები.

ა) სამოქალაქო სამართალდარღვევის შემადგენლობა. გასული წლების განმავლობაში იურიდიულ მეცნიერებაში გაბატონებული იყო აზრი, რომლის მიხედვითაც, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელ საფუძვლად მიჩნეული იყო **სამოქალაქო სამართალდარღვევის შემადგენლობა.**¹ სამოქალაქო (და ყველა სხვა) სამართალდარღვევის შემადგენლობა არის სამოქალაქო პასუხისმგებლობის საერთო და ერთადერთი საფუძველი – ამბობს გ. მატვეევი – სხვანაირად რომ

ვთქვათ, სამართალდარღვევის შემადგენლობა წარმოადგენს იმ იურიდიულ ფაქტს (ან ფაქტობრივ შემადგენლობას), რომელიც სამართალდამრღვევსა და დაზარალებულს შორის წარმოშობს სამართალურთიერთობას, რაც სამართალდარღვევით მიყენებული ზიანის გამოსწორების მიზნით დაზარალებულს აძლევს მოთხოვნის უფლებას, ხოლო სამართალდამრღვევს დაუდგენს ვალდებულებას.²

სამოქალაქო სამართალდარღვევის შემადგენლობას, როგორც სამოქალაქო პასუხისმგებლობის აუცილებელ საფუძველს, იზიარებენ თანამედროვე ქართველი ცივილისტებიც. პროფესორი ბესარიონ ზოიძე მიიჩნევს, რომ „ქონებრივი პასუხისმგებლობის მოვალეზე დასაკისრებლად საჭიროა, რომ სახეზე გვქონდეს სამართალდარღვევის შემადგენლობა“.³ მართალია, ბ. ზოიძე აღიარებს, რომ „სამოქალაქო სამართალში სამართალდარღვევის შემადგენლობა ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლებელია ბრალის ელემენტის გარეშე“,⁴ მაგრამ ეს პრინციპულად არ ცვლის ავტორის დამოკიდებულებას სამართალდარღვევის შემადგენლობისადმი. როგორც შემდგომ ვნახავთ, სამართალდარღვევის შემადგენლობიდან მარტოოდენ ბრალის ელემენტის ამორიცხვა არ ცვლის მის ბუნებას.

სამოქალაქო სამართალდარღვევის შემადგენლობა, ავტორთა ერთ ნაწილს, გაგებულნი აქვს როგორც სამართალდარღვევის **გარკვეული ნიშნების ერთობლიობა**, რაც სამოქალაქო პასუხისმგებლობისათვის **საკმარის საფუძველს წარმოადგენს**. ავტორთა მეორე ნაწილი კი თვლიდა, რომ სამართალდარღვევის შემადგენლობა არის **საერთო და ტიპიური პირობების** ერთობლიობა, რომელთა **არსებობა აუცილებელია** სამოქალაქო პასუხისმგებლობის დადგომისათვის და თავს იჩენენ ნებისმიერი სამოქალაქო სამართალდარღვევის დროს.

ზემოაღნიშნული ტერმინოლოგიური განსხვავებების მიუხედავად, სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში ადგილი დაიმკვიდრა დებულებამ, რომ სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საერთო და ერთადერთი საფუძველი არის სამართალდარღვევის შემადგენლობა.

ათეული წლების განმავლობაში სპეციალურ ლიტერატურაში – სახელმძღვანელოებში, მონოგრაფიებში, ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავდნენ, რომ სამოქალაქო სამართალდარღვევის შემადგენლობის ელემენტებს და შესაბამისად, სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენდა: მართლსაწინააღმდეგო მოქმედება (უმოქმედობა), ზიანი, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და დამდგარ უარყოფით შედეგს შორის და სამართალდამრღვევის ბრალი.

სამართალდარღვევის შემადგენლობის დასახელებული სტრუქტურისაგან განსხვავებული პოზიცია აქვს ს.ს. ალექსეევს. იგი თვლის, რომ სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის დადგომისათვის საჭიროა სამართალდარღვევის შემადგენლობის ერთიანი პირობები (საფუძველები). ესენია: 1. ობიექტი, 2. სუბიექტი, 3. ობიექტური მხარე, რომელიც თავის მხრივ მოიცავს: მართლწინააღმდეგობას, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით გამოწვეულ უარყოფით შედეგს, მიზეზობრივ კავშირს.⁵

თუ სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში ადრეული წლების გამოცემებს გადავხედავთ, ადვილად აღმოვაჩინებთ, რომ თეორია სამოქალაქო სამართალდარღვევის შემადგენლობის შესახებ მთლიანად სისხლის სამართლის მეცნიერებას უნდა „უმაღლოდეს.“ სამართალდარღვევის შემადგენლობის მიმდევრები, მათ შორის, ცივილისტებიც, ნუხდნენ და გულისწყრომას გამოთქვამდნენ, რომ სამართლის თეორიისა და სამართლის სხვა დარგის სპეციალისტები, გარდა სისხლის სამართლის სპეციალისტებისა, სამართალდარღვევის შემადგენლობის თეორიას ჯეროვან

შეფასებას არ აძლევდნენ. გ.კ. მატყევევი წერდა, რომ სამართლის ყველა დარგში სამართალ-დარღვევის შემადგენლობის შემეცნებითი მნიშვნელობა ბოლო დრომდე, ჯერონად არ არის შეფასებული. ამასთან, ასეთი საყვედური არ შეიძლება, სისხლის სამართლის მეცნიერების მი-სამართით იყოს მიმართული, რომლის წარმომადგენლებმაც პირველებმა შეიმუშავეს სამარ-თალდარღვევის შემადგენლობის შინაარსი და დაამტკიცეს, რომ სამართალდარღვევის შემად-გენლობა, ყოველი მეცნიერული აბსტრაქციის მსგავსად, დანაშაულის კონკრეტული შემადგენ-ლობის შემეცნების პროცესის, მისი შინაარსის გარკვევისა და პრაქტიკაში სისხლის სამართლის კანონმდებლობის სწორი გამოყენების აუცილებელი საფუძველია.⁶

მეორე მხრივ, სამოქალაქო სამართლის მრავალსაუკუნოვანი მდიდარი ტრადიციები გვამც-ნობს, რომ მისთვის ყოველთვის უცხო იყო სისხლის სამართლის დებულებების სამოქალაქო სამართალში დანერგვა. აღნიშნულის მიუხედავად, როგორც უკვე ვნახეთ, სამოქალაქო სამარ-თლის სპეციალისტები დიდი მონდომებით უჭერენ მხარს სისხლის სამართლის პასუხისმგებ-ლობის დოქტრინის სამოქალაქო სამართალში დანერგვას. აქვე აღსანიშნავია, რომ თვით სისხ-ლის სამართლის სპეციალისტები სამართალდარღვევის შემადგენლობას, სამართლის ყველა დარგისათვის პასუხისმგებლობის აუცილებელ საფუძველად არ მიიჩნევენ. პირიქით, ისინი აქცენტს იმაზე აკეთებენ, რომ თეორია დანაშაულის შემადგენლობის შესახებ და შემადგენლობის ელემენტები სისხლის სამართლისათვის არის დამახასიათებელი.⁷ აღნიშნულის მიუხედავად, როგორც მ.ი. ბრაგინსკი და ვ.ვ. ვიტრიანსკი მხატვრულად აღწერენ თავიანთ შრომაში: სამარ-თალდარღვევის შემადგენლობის მიმდევარი ცივილისტები „მათ ჭკუის სასწავლებლად“, ვინც არ ცნობს სამართალდარღვევის შემადგენლობის თეორიას და სამოქალაქო პასუხისმგებლობის **ცალკეულ პირობებსა და საფუძვლებს აღიარებენ**, თავიანთი პოზიციის გასამტკიცებლად სულ უფრო და უფრო ხშირად მოიხმობენ სისხლის სამართლის სპეციალისტებს.⁸

სამოქალაქო სამართალდარღვევის შემადგენლობის ყველა მიმდევარი ერთხმად აღიარებს, რომ სამოქალაქო სამართალდარღვევის შემადგენლობა არის სამოქალაქო პასუხისმგებლობის საერთო და ერთადერთი საფუძველი და მაინც ისინი სხვადასხვა შემცველობითა და ტონალობით გამოხატავენ თავის პოზიციას. მაგალითად, ს. ალექსეევის პოზიცია მკვეთრი და შეუქცევადია. იგი წერს: „დაუშვებელია პირის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა სამართალდარ-ღვევის დაუმთავრებელი შემადგენლობის შემთხვევაში“.⁹ რაც ნიშნავს, რომ ს. ალექსეევი საერთოდ გამორიცხავს მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას. ამ თვალსაზრისით, ასეთივე ხისტი პოზიცია აქვს ი.კ. ტოლსტოის – „სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ისევე როგორც საერთოდ იურიდიული პასუხისმგებლობა, არის სანქცია სამართალდარღვევისათვის. ამიტომ იქ, სადაც არ გვაქვს სამართალდარღვევა, არც პასუ-ხისმგებლობაზე შეიძლება საუბარი“.¹⁰

ზემოაღნიშნული ავტორებისაგან განსხვავებით, უფრო შერბილებული პოზიცია უკავია გ. მატყევევს. ის ერთი მხრივ, აღიარებს სამართალდარღვევის შემადგენლობის თეორიას, მაგრამ ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის საკითხთან მიმართებაში სამართალდარღვევის ელემენ-ტების არასრული შემადგენლობა, როგორც პასუხისმგებლობის საფუძველი, მის წინაშე ბარი-ერად აღიმაართება. ის, რომ სამართალდარღვევის ელემენტების სრული შემადგენლობის გარეშე პასუხისმგებლობა არ დადგება, წერს გ. მატყევევი, ამ პოზიციას შეიძლება დავთანხმებოდით, სამოქალაქო სამართალიც სისხლის სამართლის მსგავსად, მხოლოდ ბრალეულ (დანაშაულებრივ) პასუხისმგებლობას რომ იცნობდეს, მაგრამ სამოქალაქო სამართალი იცნობს როგორც ბრალე-

ულ, ისე ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას. მაგალითად, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანი, პირგასამტეხლოს გადახდა მიწოდების ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის მაშინაც, როცა ხელშეკრულების შეუსრულებლობას ფაქტობრივად ზიანი არ გამოუწვევია. უფრო მეტიც, განაგრძობს გ. მატვევი, სამოქალაქო სამართალი ასევე, იცნობს „უმიზეზო“ პასუხისმგებლობასაც. მაგალითად, დაუძლეველი ძალის მოქმედებით თვითმფრინავის მგზავრის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება¹¹ და ისეთ პასუხისმგებლობას, როცა ის გამოწვეულია უკიდურესი აუცილებლობით, ანუ როცა ადგილი არა აქვს სამართალდარღვევას.¹²

ზემოაღნიშნული წინააღმდეგობებიდან გამოსავალს გ. მატვევი იმაში ხედავს, რომ „ყველა იმ შემთხვევაში, როცა პასუხისმგებლობა სამართალდარღვევის არასრული შემადგენლობის შედეგად დადგება, მას პასუხისმგებლობა კი არ უნდა ვუნოდოთ, არამედ ვალდებულება ზიანის ანაზღაურების შესახებ,¹³ რასაც ვერ დავეთანხმებით. საქმე არა ტერმინოლოგიურ, არამედ პასუხისმგებლობის საფუძვლების შინაარსშია. მათ, ვინც სამოქალაქო პასუხისმგებლობის საერთო და ერთადერთ საფუძვლად სამართალდარღვევის შემადგენლობას მიიჩნევენ, შევახსენებთ ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერ კიდევ, გ. შერშენევიჩის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან სრულიად განსხვავებულ საწყისებზეა აგებული. სასჯელი აუცილებლად გულისხმობს დანაშაულს – სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევის გარეშე არ არსებობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, მაშინ როდესაც სამოქალაქო პასუხისმგებლობა სამოქალაქო სამართალდარღვევის გარეშეც შეიძლება დადგეს. კანონმა შეიძლება დაზარალებულის სასარგებლოდ იმ პირს დააკისროს ქონებრივი ზიანის ანაზღაურება, რომელსაც ქონებრივი ზიანის მიყენებაში ბრალი არ მიუძღვის ან საერთოდ ზიანი მისი მოქმედებით არ იყოს გამოწვეული.¹⁴

სამართალდარღვევის შემადგენლობის თეორიას ჰყავდა მოწინააღმდეგეებიც, თუმცა, ისინი თავიდან აშკარად არ უპირისპირდებოდნენ მას. მ. აგარკოვი ჯერ კიდევ, 1940 წელს წერდა, რომ რაკი უფლებაში განზრახვასა და გაუფრთხილებლობას ვგულისხმობთ, ეს არ ნიშნავს, რომ იქ სადაც არ გვაქვს განზრახვა ან გაუფრთხილებლობა, უფლება კარგავს მნიშვნელობას და არც სამართალდარღვევას აქვს ადგილი. კანონი გარკვეულ სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს ადამიანის ქცევის ისეთ შემთხვევებს, როცა პირი სამართლებრივ ნორმას არღვევს განზრახვისა ან/და გაუფრთხილებლობის გარეშე.¹⁵ შემდგომ წლებში, სამართალდარღვევის შემადგენლობის კრიტიკა უფრო მიზანდასახული გახდა. კანონმდებელი როცა სამართალდარღვევის ბრალის გარეშე პასუხისმგებლობაზე საუბრობს, ეს სამართალში და სასამართლო პრაქტიკაში უბრალოდ ტრადიციულად დამკვიდრებული ტერმინოლოგია კი არ არის, არამედ მოვლენის არსის გამოხატულებაა. ასეთ შემთხვევებში, სამოქალაქო პასუხისმგებლობა დადგება ისეთი სამართალდარღვევისათვის, რომელიც არღვევს მესამე პირის ნებისმიერ სამოქალაქო უფლებას. სწორედ ასეთი სამართალდარღვევაა სამოქალაქო ვალდებულების შესრულების საფუძველი. შესაბამისად, სამოქალაქო პასუხისმგებლობა წარმართება მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად.¹⁶ როგორც ვხედავთ, საბჭოთა სივრცეში ეს იყო პირველი სერიოზული დასაბუთებული მცდელობა, წინ აღსდგომოდნენ ათეული წლების განმავლობაში გაბატონებულ სამართალდარღვევის შემადგენლობის თეორიას.

მ. ბრაგინსკი და ვ. ვიტრიანსკი სამართლიანად უარყოფენ სამოქალაქო სამართალში სამოქალაქო სამართალდარღვევის შემადგენლობას, როგორც სამოქალაქო პასუხისმგებლობის

საერთო და ერთადერთ საფუძველს. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის (ერთადერთ და საერთო) საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო უფლებების – ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევა. რამდენადაც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა არის სამოქალაქო ბრუნვის ერთი მონაწილის პასუხისმგებლობა მეორის წინაშე, მის საერთო მიზანს წარმოადგენს დარღვეული უფლების აღდგენა პრინციპით — პასუხისმგებლობის ზომა უნდა შეესაბამებოდეს მიყენებული ზიანის მოცულობას. ამასთან, არავითარი სამართლებრივი მნიშვნელობა არა აქვს საზოგადოებრივ ინტერესებზე მომხდარ მავნე შედეგებს.¹⁷

ჩვენ ვიზიარებთ დასახელებული ავტორების შეხედულებებს, რომ სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საერთო და ერთადერთ საფუძველს სამოქალაქო უფლებების დარღვევა წარმოადგენს. ამასთან, აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ცალკეული სამოქალაქო უფლებების დარღვევისათვის და თვით სამართალდამრღვევის მიმართ, კანონმდებელი სპეციალურ მოთხოვნებს ადგენს, რომელთა დაცვა აუცილებელია სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის. მათ სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობები ეწოდებათ. ეს პირობებია: 1. სამოქალაქო უფლების სამართალდარღვევა; 2. სამართალდარღვევით გამონეული ზიანი; 3. მიზეზობრივი კავშირი სამართალდარღვევასა და დამდგარ შედეგს შორის; 4. სამართალდამრღვევის ბრალი. კიდევ ერთხელ დავძენთ, რომ პასუხისმგებლობის პირობები სხვადასხვა ურთიერთობებში სხვადასხვა შეიძლება იყოს.

ბ) თეორიები ბრალეულობისა და ზიანის მიყენების შესახებ. თეორია ბრალეულობისა და ზიანის მიყენების შესახებ იმაში მდგომარეობს თუ რა იყოს მიჩნეული პასუხისმგებლობის საფუძველად – ბრალეულობა თუ ზიანის მიყენება. როგორც ვხედავთ, სამართალდარღვევის შემადგენლობის, ბრალეულობისა და ზიანის მიყენების თეორიებს შორის საერთო ბევრია. ორივე შემთხვევაში, საუბარია პასუხისმგებლობის ელემენტებზე. პირველი შემთხვევა ყველა შესაძლო ელემენტის კვლევას მოიცავს, მეორე შემთხვევაში კი, საუბარია მხოლოდ ბრალზე და ზიანის მიყენებაზე. ის ვინც პასუხისმგებლობის დასადგომად ბრალეულობის პრინციპს უჭერდა მხარს, ძირითადად, ზიანის მიყენებით წარმოშობილ ვალდებულებებზე ამახვილებდა ყურადღებას, ცალკეულ შემთხვევებში კი, სახელშეკრულებო ურთიერთობებზეც ავრცელებდნენ ამ პრინციპს. ბრალეულობისა და ზიანის მიყენების თეორიაში გაბატონებული მდგომარეობა მაინც იმ ავტორებს ეკავათ, რომლებიც პასუხისმგებლობის დადგომისათვის უპირატესობას დამდგარ შედეგს ანიჭებდნენ. საბჭოთა პერიოდში მეცნიერები, რომლებიც ზიანის მიყენების პრინციპს იცავდნენ, პირადი სოციოლოგიური შეხედულებებითა და პირველი საბჭოთა სამოქალაქო კოდექსებით ხელმძღვანელობდნენ.¹⁸

შეიძლება ითქვას, რომ ავტორთა ამგვარი პოზიციის ჩამოყალიბებაში მართლაც რუსეთის 1922 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 403-ე მუხლს „მიუძღვის წვლილი“. მის მსგავსად, საქართველოს 1923 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 403-ე მუხლი სამოქალაქო პასუხისმგებლობას ადგენდა არა პოზიტიურ – ჩადენილი ბრალეული მოქმედების გამო, არამედ საუბარი იყო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების პირობებზე. კერძოდ, მასში ნათქვამი იყო: **„ვინც ავნებს სხვის პიროვნებას ან ქონებას, ვალდებულია აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი.** იგი გათავისუფლდება ამ მოვალეობისაგან, უკეთუ დაამტკიცებს, რომ არ შეეძლო მავნებლობა აეცდინა ან იგი უფლებამოსილი იყო მავნებლობა მიყენებინა, ანდა რომ მავნებლობა შედეგი იყო თვით დაზარალებულის განზრახვისა თუ უხეში გაუფრთხილებლობისა.“ ციტირებული ნორმის პირველი წინადადება ქმნიდა წარმოდგენას, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობის

ერთადერთი და აუცილებელი საფუძველია პიროვნებისათვის ან ქონებისათვის მიყენებული ზიანი. მეორე მხრივ, კოდექსის 403-ე მუხლის ამგვარი აგებულება სრულიად შეესაბამებოდა საბჭოთა საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის საბჭოურ იდეოლოგიას ყოველგვარი ზიანის ანაზღაურების შესახებ, ხოლო ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმა, ნებისმიერი საფუძვლით, ერთი პირის – ზიანის მიმყენებლის ინტერესებს იცავდა. აქედან გამომდინარე, კეთდებოდა დასკვნა, რომ სამოქალაქო კოდექსი ზიანის ანაზღაურებისათვის პასუხისმგებლობას ადგენდა ზიანის მიყენების სოციალური საწყისების გათვალისწინებით და არა ბრალის ინდივიდუალურ საწყისებზე დაყრდნობით.¹⁹ ამავე დროს, ვფიქრობთ, მათივე პოზიციის საწინააღმდეგოდ ვერ უარყოფდნენ, მართალია არაპირდაპირ, მაგრამ სრულიად გარკვევით, რომ პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ზიანის მიმყენებლის გათვითცნობიერებული ქმედება. იგივე ა. გოიხბარგი წერდა, რომ ზიანის მიმყენებელი არ უნდა იყოს ზიანის მიყენების მექანიკური იარაღი. თუ ვინმე მეორეს ისე უბიძგებს, რომ ეს უკანასკნელი ნაიქცევა და დაამტკრევს იქვე გვერდით მდგარ კალათაში მოთავსებულ შუშის ნაკეთობებს, ნაქცეული პასუხს არ აგებს მესაკუთრის წინაშე.²⁰ აღნიშნული მაგალითი იმის დადასტურებაა, რომ ზიანის მიყენების თეორიის პირობებშიც ბრალეულობის უგულებელყოფა ყოველთვის არ არის შესაძლებელი.

ზიანის მიყენების თეორიის მეორე წარმომადგენელმა პ. სტუჩკამ 1922 წლის საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეცხრე მოწვევის მე-4 სესიაზე განაცხადა: მუშურ-გლეხური მთავრობის პირობებში სასამართლოში დავის აღძვრა იმის შესახებ, პირმა რკინიგზაზე ჯანმრთელობის დაზიანება მიიღო განზრახი თუ გაუფრთხილებელი ქმედებით, უღირსი საქციელი იქნება.²¹ მართალია, ციტირებული ტექსტიდან გაურკვეველია ვის ბრალეულობაზეა საუბარი – ზიანის მიმყენებლის თუ დაზარალებულის, მაგრამ ერთი კი ნათელია, ავტორის სწრაფვა, ბრალი განდევნოს სამოქალაქო სამართლიდან.

უფრო მოგვიანებით პ. სტუჩკა წერდა, რომ მაშინ, როდესაც ჩვენ სისხლის სამართალში შეეცვალეთ არა მხოლოდ ბრალეულობის პრინციპი, არამედ ზიანის მიყენების პრინციპიც, არ შეგვიძლია ისინი დავტოვოთ სამოქალაქო სამართალში და წინადადებას იძლეოდა პასუხისმგებლობის ეს ორი პრინციპი, სისხლის სამართლის მსგავსად, შეეცვლილიყო **სოციალური მავნებლობის პრინციპით**, ხოლო დაზარალებულის ბრალის მნიშვნელობა ძველებურად შენარჩუნებულიყო.²²

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რთული არ არის დავასკვნათ, რომ სოციალურად მავნე ზიანის მიყენება არაფრით არ არის დაკავშირებული ბრალთან. ის სხვა არაფერია, თუ არა პასუხისმგებლობის დაკისრება ზიანის მიყენების საფუძველზე. ასეთი პოზიციის გამოვლენა გასაგებია, რადგან საბჭოთა სახელმწიფოში სოციალისტური საკუთრებისათვის, მოქალაქის პიროვნებისა და მისი ქონებისათვის მიყენებული ზიანი განიხილებოდა სოციალურად მავნე ქმედებად. თუმცა, გაუგებარია, რა მიზნები ამოძრავებდათ ავტორებს, როცა ერთი მხრივ, ზიანის მიყენების თეორიას უჭერდნენ მხარს და მეორე მხრივ, დაზარალებულის ბრალის მნიშვნელობას აღიარებდნენ – თუ ზიანის მიმყენებლის მოქმედება **სოციალურად მავნე ქმედებად** აღიქმებოდა, ხოლო მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა ყველა პირობებში პირს სწორედ ამ ობიექტური მავნე ქმედებისათვის უნდა დაეკისროს სუბიექტური მომენტის – პირის ბრალეულობის გათვალისწინებლად, მაშინ ბუნებრივად იბადება კითხვა – რისთვის გვჭირდება დაზარალებულის ბრალი და მან, როგორც დაზარალებულის უღირსმა საქციელმა, როგორ უნდა შექდოს „სოციალურად მავნე ობიექტური შედეგის“ გაუქმება და ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობაში ცვლილებების შეტანა?!

1960-1970-იან წლებში სამოქალაქო კანონმდებლობაში განხორციელებული რეფორმების შედეგად, პრინციპულად იცვლება მეცნიერ ცივილისტთა შეხედულებები. გ. ამფითეატროვი უკვე, 1973 წელს, სახელშეკრულებო ურთიერთობებისათვის და განსაკუთრებით კი, სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის დადებული გეგმიური ხელშეკრულებების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის კრიტერიუმად ასახელებს მოცემული ორგანიზაციის მიერ გეგმის შესასრულებლად სამეურნეო ანგარიშგების შესაძლებლობის ხარისხს, სამეურნეო ინიციატივების დაუფლებისა და მეურნეობის სწორად და გონივრულად მოწყობის უნარს.²³

აკრიტიკებდა რა, გ. ამფითეატროვის ზემოაღნიშნულ პოზიციას, ო. იოფე აღნიშნავდა, რომ გ. ამფითეატროვის ასეთი შეხედულება ცალსახად უნდა იყოს გაგებული ისე, რომ თუ სამეურნეო ორგანიზაციამ ხელშეკრულების შესასრულებლად ყველა შესაძლებლობა გამოიყენა, მაგრამ ხელშეკრულების შესრულება მაინც ვერ მოხდა, ხელშეკრულების შეუსრულებლობის პირობები უნდა ჩაითვალოს ისეთ გარემოებად, რომლის თავიდან აცილება მას არ შეეძლო, რაც იმდროინდელი კანონმდებლობით (რსფსრ 1922 წლის სამოქალაქო სამართლის 118-ე მუხლი), წერს იოფე, პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებაა.²⁴

ვფიქრობთ, ო. იოფე არასწორ შეფასებას აძლევს გ. ამფითეატროვის, ჩვენი აზრით, საინტერესო ინიციატივას. ო. იოფეს მიერ მითითებულ ნორმაში, საუბარია ისეთ გარემოებაზე, რომელიც შეუძლებელს ხდის ვალდებულების შესრულებას და 'რომლის აცდენა მას არ ძალუძდა'. ანუ ეს გარემოება მოვალის ნებისაგან დამოუკიდებელ და თავისთავად ობიექტურ გარემოებას წარმოადგენს, რაც დაუძლეველი ძალის აუცილებელი მახასიათებელი კრიტერიუმებია. რაც შეეხება გ. ამფითეატროვის ინიციატივას – სამეურნეო ანგარიშგების შესაძლებლობის ხარისხი, სამეურნეო ინიციატივა, მეურნეობის სწორად და გონივრულად მოწყობა არის მოვალის სუბიექტური მხარე – მისი შესაძლებლობები და ნება. ამიტომ ვფიქრობთ, ო. იოფეს კრიტიკა გ. ამფითეატროვის ზემოაღნიშნული პოზიციის მიმართ არასწორია. გ. ამფითეატროვის მიერ 1973 წელს გამოთქმული პოზიცია ერთ-ერთი პირველთაგანია საბჭოთა სივრცეში, რომელიც სრულად მიესადაგება თანამედროვე სამოქალაქო ბრალის დეფინიციის ელემენტებს. ქართულმა სამოქალაქო სამართალმა 1997 წლის სამოქალაქო კოდექსის სახით, უარყო ბრალის ერთგვაროვანი, დოგმატური განმარტება, რომლის მიხედვითაც, ბრალი განიმარტებოდა, როგორც პირის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილ ქმედებასა და ამ ქმედებით გამოწვეული შედეგისადმი. ბრალის დეფინიციის ერთგვაროვნება და დოგმატიზმი კი, იმაში ვლინდებოდა, რომ ბრალეულობის ყოველი კონკრეტული შემთხვევის შეფასება დამოკიდებული იყო პირის შეფასებითუნარიანობაზე – თუ როგორი იყო ბრალეული პირის ფსიქიკური დამოკიდებულება მისივე ქმედებისადმი. ფაქტობრივად არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა პრაქტიკულად გამოვლენილ ისეთ სუბიექტურ ელემენტებს როგორცაა „ჩვეულებრივი ცხოვრებისეული ურთიერთობა“ (568-ე მუხლი), „გულისხმიერება, როგორც საკუთარი საქმისადმი“ (725-ე მუხლი), „კეთილსინდისიერი შენახვა, როგორც საკუთარი ნივთის“ (765-ე მუხლი), „კეთილსინდისიერი მეურნის გულისხმიერება“ (781-ე მუხლი), „გონივრული ვადა“ (399-ე მუხლის მე-3 ნაწილი) და სხვა. ამასთან დაკავშირებით, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ გ. ამფითეატროვის 1973 წლის ინიციატივა ერთი მხრივ, ზიანის მიყენების პრინციპიდან ბრალეულობის პრინციპზე გადასვლაა, ხოლო მეორე მხრივ, მასში ახალი ელემენტების 'სამეურნეო ინიციატივის', 'მეურნეობის გონივრული მოწყობის' და სხვათა შემოღებით ბრალეულობის თანამედროვე მოდელის დანერგვის მცდელობაა.

ბრალეულობისა და ზიანის მიყენების თეორიების ურთიერთსაინანაღმდეგო პერიოდიზაცია ფიქსირდება კონტინენტური ევროპის ქვეყნებისა და საბჭოთა სამართლის თეორიაში. გერმანიაში, საფრანგეთში, აგრეთვე, საერთო სამართლის ქვეყნებში XIX საუკუნის ბოლომდე, ბრალის პრინციპი ბატონობდა. „გერმანია მსოფლიოში პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც გადალახა ადრეული კაპიტალიზმის პატრიარქალური ხასიათი. XIX საუკუნის 80-იან წლებში ბისმარკმა კანონმდებლობით შემოიღო მუშათა სავალდებულო დაზღვევა და სათავე დაუდო წარმოებაში უბედური შემთხვევების სამართლებრივი რეგულირების სისტემის ფუნქციობას პირთა შედარებით ვიწრო წრისათვის. აღნიშნულ სისტემას ახასიათებდა ბრალის პრინციპის რადიკალური უარყოფა ზუსტი პასუხისმგებლობის პრინციპის სასარგებლოდ... მაგრამ ცივილისტთა სამართალშეგნებაში ბრალის პრინციპის მნიშვნელობა დელიქტურ სამართალში ხელშეუხებელი დარჩა“²⁵ – ასკენიან კ. ცვაიგერტი და ჰ. კოტცი. ასეთივე ტენდენცია შეიმჩნეოდა XX საუკუნის პირველ ნახევარში, საფრანგეთში. ჟიულიო მორანდიერი 1957 წელს წერდა, რომ ბოლო ორმოცდაათი წლის განმავლობაში ცხოველი კრიტიკა მიმდინარეობს ბრალის, როგორც უკვე ტრადიციად ქცეული სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძვლის წინააღმდეგ. ეს კრიტიკა გამოწვეულია იმ მისწრაფებით, რომ აღმოიფხვრას მანქანური ტექნიკის განვითარებისა და თანამედროვე ცხოვრების სწრაფი ტემპის შედეგად გამოწვეული უბედური შემთხვევები, რაც ძირითადად, სხეულის დაზიანებით მთავრდება. რატომ დავაკისროთ დაზარალებულს ზიანის მიმყენებლის ბრალის მტკიცების ტვირთი? განა უმჯობესი არ იქნება, სამართალდამრღვევს პასუხისმგებლობა დავაკისროთ თვით მიყენებული ზიანის ფაქტის გამო, რადგან თავისი საქმიანობით ეს უკანასკნელი ღებულობს მოგებას ან ვარაუდობს მოგების მიღებას, შესაბამისად, ამ საქმიანობიდან წარმოშობილი რისკიც მას უნდა დაეკისროს. პირის განზრახვაზე დაფუძნებული – **სუბიექტური პასუხისმგებლობის** ნაცვლად დადგება ფაქტზე დაფუძნებული **ობიექტური პასუხისმგებლობა**.²⁶ აღნიშნულიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ მაშინ როდესაც საფრანგეთში (და შესაბამისად, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში) უკვე „ტრადიციად ქცეული“ ბრალის თეორიის კრიტიკა მიმდინარეობდა ზიანის თეორიის (ობიექტური პასუხისმგებლობის) სასარგებლოდ, საბჭოთა სამართალში საპირისპირო მოძრაობები მიმდინარეობდა. სულ უფრო და უფრო ხშირად გაისმოდა ზიანის მიყენების პრინციპის კრიტიკა ბრალეულობის პრინციპის სასარგებლოდ.

პერიოდი, როდესაც ზიანის მიყენების პრინციპი განიხილებოდა როგორც პასუხისმგებლობის ერთადერთ საფუძვლად, სამოქალაქო სამართალში ბრალი ბურჟუაზიულსამართლებრივ იდეოლოგიად იყო მიჩნეული და შესაბამისად, ბრალის ნამდვილი მეცნიერული კვლევა არ მიმდინარეობდა. უკვე 30-იანი წლების ბოლოს და 40-იანი წლების დასაწყისში გამოცემული სახელმძღვანელოები იმდროინდელი სამოქალაქო კოდექსის 118-ე მუხლს (მხედველობაში გვაქვს როგორც რუსეთის, ისე საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსები) სახელშეკრულებო ურთიერთობებთან დაკავშირებით იმდაგვარად განმარტავდნენ, **რომ პასუხისმგებლობა არ დადგებოდა, თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევა გამოწვეული იყო გარემოებით, რომელიც არ იყო დაკავშირებული მოვალის ნებასა და შესაძლებლობებზე, ე.ი. თუ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა მოვალის ბრალის გარეშე იყო გამოწვეული.**²⁷ ანალოგიური პოზიცია დაფიქსირდა დელიქტურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებითაც. **ბრალეული მოქმედებით გამოწვეულ ეკონომიკურ შედეგებზე პასუხისმგებლობა ბრალეულ**

პირს ეკისრება, მაგრამ თუ ზიანის მიმყენებელი ბრალის გარეშე მოქმედებდა, მასზე ამგვარი პასუხისმგებლობის დაკისრება მიზანშეუწონელი იქნებოდა. პიროვნება, რომლის მიმართ გაუფრთხილებლობის გამოც კი არ შეიძლება საყვედური გამოვთქვათ, ამგვარი ზემოქმედების შედეგად დათრგუნული აღმოჩნდება, დაინყება ადამიანური აქტიურობის დაქვეითება, ადამიანური ფსიქიკის დაცემა, თავისი მოქმედების მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობის მოღუწება.²⁸

ზიანის მიყენების პრინციპი თანდათან ადგილს ბრალეულობის პრინციპს უთმობდა და პირველი უკვე ისტორიულ კონტექსტში მოიხსენიებოდა. ამასთან, ზიანის მიყენების პრინციპის ბრალეულობის პრინციპით შეცვლა საბჭოთა ცივილისტიკაში ერთგვაროვნად არ მიმდინარეობდა. მაგალითად, ხ. შვარცი წერდა, რომ სამოქალაქო კოდექსით პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება მაშინაც, როცა ზიანის მიმყენებლის მიერ ზიანი მიყენებულია ბრალის გარეშე.²⁹ ამგვარი შეხედულება შემდგომში ო. კრასავჩიკოვის მიერ შეფასებული იყო, როგორც **ბრალეულობის საწყისების კონცეფცია გამონაკლისებით**.³⁰ ამ კონცეფციაში ადვილად ამოიკითხებოდა, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობისადმი ბრალი მეორეხარისხოვან, გამონაკლისის სახით იყო გაგებული. ამიტომ ხშირად გაისმოდა ამის სანინაალმდეგო პოზიციაც. კ. იაჩკოვი წერდა, რომ საბჭოთა კანონი არ იძლევა იმის საფუძველს, რომ პასუხისმგებლობის ამა თუ იმ პრინციპს მეორესთან მიმართებაში უპირატესობა მივანიჭოთ. ბრალს, როგორც პასუხისმგებლობის დამატებით პირობას, მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როცა კანონი ბრალეული მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის ადგენს პასუხისმგებლობას,³¹ რაც ო. კრასავჩიკოვის მიერ „ორმაგი საწყისების“ კონცეფციად იქნა შეფასებული.³²

ზემოაღნიშნული ავტორების მოკრძალებული გამოსვლებისაგან განსხვავებით, ბ. ანტიმონოვი მოწონებით შეხვდა „აშკარად განდევნილი ბრალის ცნების ფარულად შემოპარვას პასუხისმგებლობის კონსტრუქციაში“. ავტორი ბუნებრივ აუცილებლობად მიიჩნევდა ამ პროცესს. „ჭეშმარიტად ბუნება კარიდან რომ გააგდო, ფანჯრიდან შემოვაო“,³³ ასკვნიდა ბ. ანტიმონოვი.

მას შემდეგ, რაც ზიანის მიყენების პრინციპმა ბრალეულობის პრინციპს „დაუთმო“ ადგილი, სპეციალისტებმა ინტენსიური თეორიული მუშაობა წამოიწყეს ბრალის პრობლემებთან დაკავშირებით, რაც დღემდე აქტუალურია, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

შენიშვნები:

- ¹ Г.К. Матвеев, Вина в советском гражданском праве, Киев – 1951г., стр.7; О.С. Иоффе, Ответственность по советскому гражданскому праву, Ленинград – 1955г., стр.94; М.М. Агарков, Обязательство по советскому гражданскому праву, Москва – 1940г., стр. 141; К.К. Яичков, Система обязательств из причинения вреда в советском праве, «Вопросы гражданского права», Москва – 1957г., стр.172; О.А. Красавчиков, Юридические факты в советском гражданском праве, Москва – 1958 г., стр.57; Н.С. Малеин, Имущественная ответственность в хозяйственных отношениях, Москва – 1968г., стр. 22 და სხვა.
- ² Г.К. Матвеев, Основания гражданскоправовой ответственности, Москва – 1970 г., стр.5.
- ³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, წიგნი მესამე, თბილისი, 2001, გვ. 364.
- ⁴ იქვე, გვ. 371.
- ⁵ С.С. Алексеев, Гражданская ответственность за невыполнение плана железнодорожной перевозки грузов, Москва – 1959 г., стр.49.
- ⁶ Г.К. Матвеев, Основания гражданскоправовой ответственности, Москва – 1970г., стр.12-13.
- ⁷ А.А. Пионтковский, Учение о преступлении по советскому уголовному праву, Москва – 1961 г., стр.107. «Признание состава преступления единственным основанием уголовной ответственности означает, что лишь в пределах состава преступления можно различать объективные и субъективные основания уголовной ответственности. Всякая попытка создать в теории советского уголовного права какие бы то ни было особые основания уголовной ответственности, лежащие за пределами состава преступления, практически означала бы умаление значения состава преступления».
- ⁸ М.И. Брагинский, В.В. Витрянский, Договорное право, Книга первая, Общие положения, Издание 3-е, стереотипное, Книги 1-5, Москва – 2000-2006г.г., стр.392. <<http://www.alleng.ru/d/jur/jur132.htm>> [03.11.2012].
- ⁹ С.С. Алексеев, О составе гражданского правонарушения, «Правоведение», 1958г.,№1, стр.48.
- ¹⁰ Ю.К. Толстой, Договоры в социалистическом хозяйстве, «Юридическая литература», 1964г., стр.291.
- ¹¹ გ. მატვეევი „უმიზეზო“ პასუხისმგებლობის ტერმინს პირობითად იყენებს, რადგან დაუძლეველი ძალის მოქმედება დაკავშირებულია მგზავრის თვითმფრინავის სალონში ყოფნისას.
- ¹² Г.К. Матвеев, Основания гражданскоправовой ответственности, Москва – 1970 г., стр. 6-7.
- ¹³ იხ.: დასახელებული ლიტერატურა, გვ.7.
- ¹⁴ Г. Ф. Шершеневич, Общая теория права, учебное пособие, в 2-х т. Т.2 (по изданию 1910-1912 г.г.), стр.269.
- ¹⁵ М.М. Агарков, Обязательство по советскому гражданскому праву, Москва – 1940г., стр.145.
- ¹⁶ В.Т. Смирнов, А.А. Собчак, Общее учение о деликтных обязательствах, Ленинград – 1983 г., стр.55.
- ¹⁷ М.И. Брагинский, В.В. Витрянский, Договорное право, Книга первая, Общие положения, Издание 3-е, стереотипное, Книги 1-5, Москва – 2000-2006г.г., стр.392. <<http://www.alleng.ru/d/jur/jur132.htm>> [03.11.2012].
- ¹⁸ О.С. Иоффе, Развитие цивилистической мысли в СССР, часть II, Ленинград – 1978г., 128-129.

- ¹⁹ А.Г. Гойхбарг, Хозяйственное право РСФСР, Москва – 1923 г., стр.174.
- ²⁰ ა. გოიხბარგი, იქვე, გვ. 174.
- ²¹ იხ.: ნიგნში – Б.С. Антимонов, Значение вины потерпевшего при гражданском правонарушении, Москва – 1950г., стр.10-11.
- ²² П.И. Стучка, Курс советского гражданского права, том III, Москва – 1931г., стр.153.
- ²³ Г.Н. Амфитеатров, Ответственность по договору, ნიგნში – Вопросы советского хозяйственного права, Москва – 1973 г., стр.214.
- ²⁴ О.С.Иоффе, Развитие цивилистической мысли в СССР, часть II, Ленинград – 1978 г., стр.131.
- ²⁵ კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, თბილისი, 2001, გვ. 338.
- ²⁶ Жюлио де ла Морандьер, Гражданское право Франции, Москва – 1960г., стр.395.
- ²⁷ Гражданское право, коллектив ВИЮН, т.2, Москва – 1938г., стр.57 ნიგნში – О.С. Иоффе, Развитие цивилистической мысли в СССР, часть II, Ленинград – 1978г., стр.133.
- ²⁸ იქვე, გვ.133.
- ²⁹ Х.И.Шварц, Значение вины в обязательствах из причинения вреда, Москва – 1939г., стр.26.
- ³⁰ О.А.Красавчиков, Возмещение вреда, причиненного источником повышенной опасности, Москва – 1966 г., стр.118.
- ³¹ იხ.: ნიგნში – О.С.Иоффе, Развитие цивилистической мысли в СССР, часть II, Ленинград – 1978г., стр.135.
- ³² О.А.Красавчиков, Возмещение вреда, причиненного источником повышенной опасности, Москва – 1966 г., стр.121.
- ³³ Б.С. Антимонов, Значение вины потерпевшего при гражданском правонарушении, Москва – 1950г., стр.42.

THEORIES ON THE GROUNDS OF CIVIL LIABILITY

THEA SUKHITASHVILI

PhD Student of the Faculty of Law

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Law scientists, as well as others, would often have contradictory opinions concerning the grounds of civil liability. Because of this controversy, the liability was and still remains to be a very urgent issue in the civil law. The liability grounds within the civil law, involves a comprehensive meaning in the sense, that it applies to every single institution of civil law without any exception. However the liability primarily arises from the agreement and delictant obligations – either as a result of violation of the obligations, or through new obligations stemmed from the violation.

The disputed issues related with the liability has not always been the same. The grounds for the civil liability attracts the special interest. There are two basic theories dominating in this field: 1. The theory of the composition of civil offence and 2. The theory of guilt and incurred harm/ damage. The present article will focus on the above mentioned two theories.

იპოთეკა, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება და იპოთეკის საბნის რეალიზაციის წესი

ნინო კიკნაძე

კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მაგისტრანტი

ადამიანები ერთმანეთს შორის ურთიერთობას ნდობის საფუძველზე ამყარებენ. ნდობის ვარაუდი სამოქალაქო სამართალში აშკარად არის გამკვეთილი. ამ თვალსაზრისით, ცივილური სამართალი ცხოვრებისეულ რეალობას ასახავს. როგორც წესი, ადამიანები ნაკისრ ვალდებულებას ნებაყოფლობით ასრულებენ, პირნათლად და კეთილსინდისიერად ისე, რომ იძულების რაიმე დამატებითი ზომა, გარდა საკუთარი სინდისისა და მოვალეობის გრძნობისა, მათ არ სჭირდებათ. მაგრამ სამართალს მხოლოდ ამის იმედზე დარჩენა არ შეუძლია და მხარეებს ნაკისრი ვალდებულების შესრულების დამატებითი გარანტიებიც უნდა შესთავაზოს. ეს სამოქალაქო სამართლის უპირველესი ამოცანაა.

სამოქალაქო კოდექსი სრულად ეხმიანება ამ სულისკვეთებას. იგი ნაკისრი ვალდებულების შესრულების ისეთივე გარანტიებს ითვალისწინებს, როგორც თანამედროვე სამართალში უკვე აპრობირებული და აღიარებულია.

ნაკისრი ვალდებულების (მოთხოვნის) შესრულების უზრუნველყოფის საშუალებები ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: პიროვნული და სანივთო.

მოთხოვნის პიროვნული უზრუნველყოფის დროს პირი კისრულობს დამატებითი ვალდებულების შესრულებას, რომელიც შესაძლებლობას აძლევს კრედიტორს დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა (მოვალის გარანტია, თავდებობა) – პირგასამტეხლო, ბე.

სანივთო უზრუნველყოფის საშუალებების განხილვისას მნიშვნელოვანია, რომ ვალდებულებების უზრუნველყოფა ხდება ქონებით. პირის აქტიურობა აქ მეორე პლანზეა გადაწეული. კრედიტორი სწორედ ქონებიდან იღებს მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ამ ვგუფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს იპოთეკა წარმოადგენს.

მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად უძრავი ნივთი შეიძლება ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული), რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით, პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთის რეალიზაციით ან მის საკუთრებაში გადაცემით (იპოთეკა).

იპოთეკა შეიძლება ასევე, გამოყენებული იქნას სამომავლო ან პირობით მოთხოვნასთან დაკავშირებით, თუ იპოთეკის დადგენის მომენტისათვის შესაძლებელია ამ მოთხოვნის განსაზღვრა. ის მოთხოვნა, რომელიც უზრუნველყოფილია იპოთეკით, შეიძლება შეიცვალოს სხვა მოთხოვნით. ამისათვის საჭიროა მესაკუთრისა და კრედიტორის (იპოთეკარის) შეთანხმება და ამ შეთანხმების რეგისტრაცია რეესტრში. ე.ი. იპოთეკა არის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, რომელიც კრედიტორს იმის გარანტიას აძლევს, რომ დაკმაყოფილებს თავის მოთხოვნას. ეს პატარა ნიუანსი უფრო მეტ მოქნილობას ანიჭებს იპოთეკას. შეიძლება მოხდეს ისე, რომ მოთხოვნა, რომლის უზრუნველსაყოფადაც არსებობს იპოთეკა, შეიცვალოს სხვა მოთხოვნით. აქ უჩვეულო არაფერია, იგი ყოველმხრივ დასაშვებია, მხოლოდ საჭიროა მესაკუთრისა და კრედიტორის (იპოთეკარის) შეთანხმება და ამ შეთანხმების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

საჯარო რეესტრი საჯაროსამართლებრივი ინსტიტუტია, სადაც ცალკეული კერძოსამართლებრივი უფლებების რეგისტრაცია წარმოადგენს არა უბრალოდ უფლების ფიქსაციის ინსტიტუტს, არამედ ამ უფლების შექმნის საფუძველს, უფლების წარმოშობის პროცესის ფინალს.

სამოქალაქო ბრუნვის მექანიზმში საჯარო რეესტრი სპეციფიკური დანიშნულება გააჩნია. კერძოდ, რეესტრის მონაცემებს კანონმდებელი უტყუარობისა და სისრულის ნიშნით ახასიათებს, რაც კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესებს ემსახურება. საჯარო რეესტრში არარეგისტრირებული უფლება (მაგალითად, იპოთეკა) სამართლებრივი თვალსაზრისით, არ არსებობს; უფლებამოსილი პირი (მაგალითად, უძრავი ნივთის მესაკუთრე ან კრედიტორი) ყოველთვის ითვლება ჭეშმარიტად უფლებამოსილ პირად; ყველა რეგისტრირებული უფლება უძრავ ქონებაზე (მაგალითად, იპოთეკა) ითვლება ჭეშმარიტად არსებულ უფლებად.

საჯარო რეესტრის მიზანია უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ სამართალბრუნვაში გარანტირებული იყოს სიცხადე, საიმედოობა და სიმარტივე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საჯარო რეესტრს უდიდესი მნიშვნელობა აქვს უძრავ ნივთებზე საკუთრებისა და სხვა სანივთო უფლებების დასადგენად. საინტერესოა, კონკრეტულად რაში გამოიხატება მისი პოზიტიური როლი იპოთეკასთან მიმართებაში.

იპოთეკა იურიდიულ ძალას იძენს საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. რეგისტრაცია ხდება ერთ-ერთი მხარის მიერ გარიგების წარდგენის საფუძველზე.¹ გარიგებაში უნდა აღინიშნოს მესაკუთრე, იპოთეკარი, სავარაუდო მოვალე მესამე პირი. მხარეთა შეთანხმებით გარიგებაში შესაძლებელია ასევე, აღინიშნოს უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობა, სარგებელი, შესრულების ვადა და სხვა პირობები. გარიგება საჯარო რეესტრში წარდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით. აქვე აღსანიშნავია, რომ გარიგება ან გარიგების მხარეთა ხელმოწერის ნამდვილობა უნდა დამოწმდეს კანონით დადგენილი წესით.

ბოლო პერიოდში, სამოქალაქო კოდექსში განხორციელებულმა ცვლილებებმა მხარეებს შესაძლებლობა მისცა ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე შესაბამისი უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის წარდგენილ წერილობით გარიგებაზე თავიანთი ხელმოწერა დააფიქსირონ მარეგისტრირებელ ორგანოში.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქცია განსაზღვრავს გარიგების მონაწილე მხარეთა მიერ მარეგისტრირებელ ორგანოში ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმების წესს. აღნიშნული ინსტრუქციის მე-19 მუხლის თანახმად, სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმების (შემდგომში – ხელმოწერის დამოწმება) სამართლებრივ საფუძველს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონი და ეს ინსტრუქცია წარმოადგენს. ამავე ინსტრუქციის მე-20 მუხლი განსაზღვრავს მარეგისტრირებელ ორგანოში ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმებას დაქვემდებარებული გარიგებების ჩამონათვალს: ხელმოწერის დამოწმებას ექვემდებარება ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთესთან დაკავშირებული წერილობითი ფორმის როგორც ცალმხრივი, ასევე ორმხრივი და მრავალმხრივი კერძოსამართლებრივი გარიგებები, გარდა მინდობილობის, ანდერძის, სამისდღეშიო რჩენისა და საქორწინო ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გარიგებებისა, ასევე, ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, რომლებიც წარმოშობენ, ცვლიან ან წყვეტენ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე საჯარო რეესტრში რეგისტრაციას დაქვემდებარებულ უფლებებს.

იმის გამო, რომ იპოთეკა სანივთო უფლებაა და უფლებრივი დატვირთვის ხასიათი და ბუნება გამომდინარეობს საჯარო რეესტრიდან, სამოქალაქო კოდექსი უშვებს იპოთეკით ერთი და იგივე ნივთის რამდენჯერმე დატვირთვის შესაძლებლობას. რიგითობა განისაზღვრება იპოთეკის შესახებ განცხადების რეგისტრაციის თარიღის მიხედვით.² კანონი ასეთ შესაძლებლობას ითვალისწინებს. მთავარია, რომ კრედიტორი იყოს თანახმა ვალდებულების უზრუნველსაყოფად მიიღოს უკვე იპოთეკით დატვირთული ქონება. ამ დროს არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, საკმარისია თუ არა იპოთეკით დატვირთული ქონება ორივე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად. პრობლემა შეიძლება წარმოიშვას კრედიტორის დაკმაყოფილების რიგითობის განსაზღვრისას.

მოთხოვნის დაკმაყოფილების რიგითობას კანონი უკავშირებს არა მოთხოვნის შესრულების ვადის დადგომას, არამედ იპოთეკის შესახებ განცხადების რეგისტრაციის თარიღს.

საქართველოს საქმოქალაქო კოდექსის ნოვაციაა, რომ იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი შეიძლება გადავიდეს კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში.

თუ მოვალე გააჭიანურებს იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი შეიძლება გადავიდეს კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული იპოთეკის ხელშეკრულებით და იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი და მოვალე ამის თაობაზე ერთობლივი განცხადებით მიმართავენ საჯარო რეესტრს.

იმისთვის, რომ მოვალის მიერ იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების გაჭიანურების შემთხვევაში, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი გადავიდეს კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში, აუცილებელია არამართო აღნიშნულის გათვალისწინება იპოთეკის ხელშეკრულებაში, არამედ კრედიტორმა და მოვალემ ერთობლივი განცხადება წარმოადგინონ,

სადაც აღნიშნულ უნდა იყოს ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტის დადგომის გამო იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლის შესახებ და მიმართონ საჯარო რეესტრს.³

პრაქტიკაში, ხშირია შემთხვევები, როდესაც ბანკებისა თუ საკრედიტო ორგანიზაციების მიერ იპოთეკის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია შემდეგი შინაარსის პირობა: „ეს ხელშეკრულება ასევე, წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 300-ე მუხლით გათვალისწინებულ ერთობლივ შეთანხმებას და იპოთეკის საგნის პირდაპირ საკუთრებაში გადასვლისათვის არ არის აუცილებელი საჯარო რეესტრში მესაკუთრისა და იპოთეკარის ერთობლივი განცხადების წარდგენა“.

მიუხედავად არაერთ ხელშეკრულებაში არსებული ამგვარი დათქმებისა, მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 300-ე მუხლის განმარტება კანონმდებლის იმპერატიული ნების შესაბამისად და ამგვარი სახის კანონსაწინააღმდეგო სახელშეკრულებო პირობები მხედველობაში არ მიიღება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო მიიჩნევს, რომ სამოქალაქო კოდექსის 300-ე მუხლის მეორე ნაწილით, მხარეთა ერთობლივ განცხადებას წინ უნდა უსწრებდეს ვალდებულების დარღვევის ფაქტი – ხდომილება, რომელიც უკვე არსებულია, მომხდარია.⁴

საკასაციო სასამართლო უთითებს, რომ ამ ნორმის გამოყენებისათვის, მისი შინაარსიდან გამომდინარე, გადამწყვეტია სწორედ ფაქტის – ვალდებულების დარღვევის პირველად არსებობა და შემდეგ ნების (იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადაცემის) გამოხატვა. ვალდებულების დარღვევისას, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა სცილდება რა, ძირითადი ვალდებულების შესრულების ფარგლებს, სავსებით გასაგებია კანონმდებლის მიერ მოვალისათვის 300-ე მუხლის მეორე ნაწილით შეთავაზებული არჩევანი – ნაკისრი ვალდებულების შესრულება ჩაანაცვლოს სხვა შესრულებით. ცხადია, მოვალის ნების გამოვლენა იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადაცემაზე განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მან ვალდებულება ვერ შეასრულა და ნებაც ნამდვილია, რადგან პირის მიერ გამოვლენილი ნება თანხვედრაშია მის მიერ გაზიარებულ ფაქტებთან: ვალდებულება დარღვეულია და იპოთეკის საგანი იკავებს შესრულების ადგილს. სადავო სახელშეკრულებო დათქმით კი, მოვალემ წინასწარ აღიარა არარსებული ფაქტი – ვალდებულების შეუსრულებლობა (რომელიც ჯერ არ მომხდარა) და აღნიშნულის გამო იპოთეკის საგნის გადაცემა.⁵

საზოგადოებაში დამკვიდრებული აზრის საწინააღმდეგოდ, თითქოსდა მესაკუთრე, რომელმაც სესხის დაბრუნება გააჭიანურა, არ გასცემს თანხმობას იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში გადასვლაზე. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კანონის ზემოაღნიშნული დათქმით კანონმდებლის ნება ცალსახადაა გამოთქმული და მისი სხვა შინაარსით განმარტება სასამართლოს კომპეტენციას არ წარმოადგენს. ამასთან, სამოქალაქო კოდექსი ანესრიგებს რა, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებს, ამ ურთიერთობებში მხარეთა ნება ვალდებულების მიღებაზე და მის შესრულებაზეც გადამწყვეტია, მაგრამ ამავდროულად, ვალდებულების ნებაყოფლობით შეუსრულებლობისას კრედიტორის ინტერესების დაცვა ამავე კოდექსის არაერთი დანაწესითაა გარანტირებული. სამოქალაქო კოდექსის 300-ე მუხლის მეორე ნაწილის გამოყენებაზე მოვალის იძულება დაუშვებელია, თუმცა, აღნიშნული არ იძლევა უალტერნატივო დასკვნის საფუძველს, რომ სათანადო პირობების არსებობისას, კეთილსინდისიერი მოვალე, რომელიც ორიენტირებულია ვალდებულების

შესრულებაზე და გაცნობიერებული აქვს ვალდებულების დარღვევის თანმდევი მკაცრი იურიდიული შედეგები, არ გამოიყენებს ამ ნორმით გათვალისწინებულ შესაძლებლობას.⁶

იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში გადასვლისას მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის ღირებულება მთლიანად არ ფარავს ამ მოთხოვნის ოდენობას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.⁷

საყურადღებოა ისეთი ინსტიტუტი, როგორცაა საგადასახადო იპოთეკა/გირავნობა.

საგადასახადო იპოთეკა არის სახელმწიფოს უფლება, საგადასახადო ვალდებულების შესრულება უზრუნველყოს საგადასახადო დავალიანების მქონე გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის, სხვა ვალდებულებების პირის ქონებიდან.⁸

საგადასახადო იპოთეკა წარმოიშობა უფლებამოსილ მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან და საგადასახადო დავალიანების მოცულობის ფარგლებში ვრცელდება გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებულებების პირის საკუთრებაში არსებულ ან/და ბალანსზე რიცხულ (ლიზინგით მიღებული გარდა) ნებისმიერ ქონებაზე, საგადასახადო დავალიანების წარმოქმნის შემდეგ შეძენილი ქონების ჩათვლით.⁹

საგადასახადო იპოთეკის გამოყენების შესახებ შეტყობინება ეგზავნება შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს, რომელიც ვალდებულია არა უგვიანეს შეტყობინების მიღების დღის მომდევნო დღისა, რეგისტრაციაში გაატაროს საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება; იმავედროულად, შეტყობინება ეგზავნება გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს.

მარეგისტრირებელი ორგანოსათვის გაგზავნილ შეტყობინებაში საგადასახადო იპოთეკის უფლების წარმოშობის შესახებ სავალდებულო წესით აღნიშნული უნდა იყოს შემდეგი სახის ინფორმაცია: ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი და პირადი ნომერი, იურიდიული პირის შემთხვევაში – სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი.

იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო იპოთეკის წარმოშობის შესახებ შეტყობინება არ შეიცავს ზემოხსენებულ მონაცემებს, მარეგისტრირებელი ორგანო უარს აცხადებს საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების რეგისტრაციაზე.¹⁰

მნიშვნელოვანია იმ გარემოების აღნიშვნაც, რომ საგადასახადო იპოთეკას გააჩნია ხანდაზმულობის ვადა, რომელიც განისაზღვრება 6 წლით. მოქმედი კანონმდებლობა ასევე, ითვალისწინებს საგადასახადო იპოთეკის ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერებას: ა) გაკოტრების საქმის წარმოების პერიოდში; ბ) საწარმოს რესტრუქტურის რეჟიმში ყოფნის პერიოდში; გ) საგადასახადო დავის მიმდინარეობისას; დ) საგადასახადო იპოთეკით დატვირთული ქონების იძულებითი აღსრულების მიმდინარეობისას.

საგადასახადო იპოთეკის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი თვისებაა მისი უპირატესი ძალა ჩვეულებრივ იპოთეკასთან მიმართებაში. ეს უპირატესობა კი, უპირველეს ყოვლისა, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციისას წარმოიშობა.

იპოთეკით დატვირთული და დაგირავებული ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხით პირველ რიგში, დაკმაყოფილდება საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით უზრუნველყოფილი, აღსასრულებლად წარმოდგენილი მოთხოვნები – მათი არსებობის შემთხვევაში, ხოლო შემდეგ – იპოთეკითა და გირავნობით უზრუნველყოფილი სხვა მოთხოვნები – მათი რიგითობის მიხედვით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს კანონმდებლობა აქ უშვებს გამონაკლისს. კერძოდ, ხშირია შემთხვევები, როდესაც აღსრულების პროცესში კრედიტორების სახით ერთდროულად მონაწილეობენ საჯარო სამართლის იურიდიული პირი — შემოსავლების სამსახური საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნით და საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, სადაზღვევო ორგანიზაციები ან საერთაშორისო და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული განვითარებული ქვეყნების საფინანსო ინსტიტუტები, რომელთა გირავნობის/იპოთეკის უფლებაც წარმოიშვა საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე. ასეთ დროს, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციის შედეგად ამოღებული თანხით პირველ რიგში, დაკმაყოფილდება ზემოაღნიშნული ფინანსური ინსტიტუტების მოთხოვნა საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე წარმოშობილი ვალდებულების ნაწილში, ხოლო შემდეგ – საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნა.¹¹

თუ საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სადაზღვევო ორგანიზაციების, საერთაშორისო და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული განვითარებული ქვეყნების საფინანსო ინსტიტუტების გირავნობას/იპოთეკას, რომელიც რეგისტრირებულია საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე, უსწრებს სხვა პირის გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაცია, მაშინ ამ პირის მოთხოვნები უპირატესად დაკმაყოფილდება იმ ნაწილში, რომლის დაკმაყოფილების ვალდებულებაც არსებობდა რეალიზებულ ნივთზე საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე. ნივთის რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხის დანარჩენი ნაწილით დაკმაყოფილდება საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნა, ხოლო შემდეგ დაკმაყოფილდებიან დარჩენილი კრედიტორები მოთხოვნათა რიგითობის მიხედვით.

მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანი და ამავე დროს სამართლიანი იქნება, თუ საკანონმდებლო ცვლილება შეეხება საგადასახადო იპოთეკასთან დაკავშირებულ ნორმებს და სახელმწიფო და კრედიტორები თანაბარ პირობებში იქნებიან.

საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის საგნის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეალიზაციის შედეგად უქმდება საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციის შემდეგ წარმოშობილი ყველა სანივთო უფლება, ხოლო საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე რეგისტრირებული სხვა გირავნობის/იპოთეკის უფლებები ძალაში რჩება.

იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის გაუქმების შედეგად სრულად ვერ განხორციელდება საგადასახადო ვალდებულების შესრულება, შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულება ძალაში რჩება იმ პირის მიმართ, რომლის ქონებაც დატვირთული იყო საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით.

ყოველდღიურად, რამდენიმე იძულებითი აუქციონი იმართება, სადაც იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება გამოაქვს გასაყიდად. ეს ის ქონებაა, რომელიც უკანასკნელი წლების განმავლობაში ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა, განსაზღვრული თანხის სანაცვლოდ, გირაოს სახით ჩადეს. მას შემდეგ, რაც კრედიტორებმა ვალდებულებების შესრულება ვეღარ შეძლეს, დღის წერიგში იპოთეკით დატვირთული ქონების იძულებითი რეალიზაციის საკითხი დადგა.¹²

იპოთეკიდან გამომდინარე, იპოთეკარს მრავალი უფლება აქვს. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაციის მოთხოვნის უფლება. ეს ის შემთხვევაა, როდესაც უძრავი ნივთის მესაკუთრეს ემუქრება თავისი ქონების დაკარგვის საფრთხე, ხოლო იპოთეკარს ეძლევა შესაძლებლობა, დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა.¹³

იპოთეკის რეალიზაცია თვითმიზანს არ წარმოადგენს. იგი მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალებაა – თუ მოვალე არ დააკმაყოფილებს მოთხოვნას, რომლის უზრუნველყოფის საშუალებაც არის იპოთეკა, იპოთეკარი უფლებამოსილია, მოითხოვოს უძრავი ნივთის რეალიზაცია.¹⁴ მაგრამ მოვალის მიერ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა არ წარმოადგენს ერთადერთ პირობას, რომ კრედიტორმა მოითხოვოს იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაცია. აქ კანონმდებელი კიდევ ერთ პირობას მიუთითებს – „თუ იპოთეკის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“.¹⁵

როგორც ზემოთ აღინიშნა, თუ მოვალე არ დააბრუნებს ვალს, იპოთეკარს შეუძლია მოითხოვოს მისი (მოვალის) უძრავი ნივთის რეალიზაცია.

საქართველოს კანონმდებლობით, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხი ორგვარად წყდება: 1. მესაკუთრე და იპოთეკარი წერილობით თანხმდებიან იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის აუქციონით გაყიდვაზე. 2. მხარეები ვერ თანხმდებიან აუქციონის ჩატარებაზე ან რეალიზაციის სხვა ფორმაზე.

თუ მესაკუთრე და იპოთეკარი წერილობით თანხმდებიან იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის აუქციონით გაყიდვაზე, აუქციონის ჩატარების მიზნით ნიშნავენ სპეციალისტს, მათივე თანხმობით. შეთანხმებით განისაზღვრება სპეციალისტის ანაზღაურება.

ბოლო პერიოდში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განხორციელდა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები. აღნიშნული ცვლილებები შეეხო იპოთეკით უზრუნველყოფილი უძრავი ნივთის რეალიზაციის საკითხსაც. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილებაა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლის მე 11 პუნქტი. აღნიშნული პუნქტის თანახმად, სპეციალისტის მიერ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ნივთის აუქციონზე რეალიზაცია არ ითვლება იძულებით აღსრულებად. აღნიშნულ ცვლილებას ძალიან დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება აუქციონზე შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის დროს.

კრედიტორისა და მესაკუთრის შეთანხმებით შეიძლება დადგინდეს აუქციონისაგან განსხვავებული რეალიზაციის ფორმა.

კრედიტორისა და მესაკუთრის წერილობითი ფორმით დადებულ გარიგებაში მხარეებს შეუძლიათ გაითვალისწინონ, რომ იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორისათვის გადაცემა და რეალიზაცია შეიძლება განხორციელდეს ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში, მხარეთა შორის დადებული გარიგება უნდა დადასტურდეს სანოტარო წესით.

სპეციალისტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქმედუნარიანი პირი, მათ შორის, კრედიტორი, მოვალე ან მესაკუთრე. სპეციალისტი ვალდებულია აუქციონის შესახებ შეატყობინოს საჯარო რეესტრში დაფიქსირებულ უფლებამოსილ პირებს. ასევე, გასათვალისწინებელია ის გარემოება, არის თუ არა აუქციონზე გასატანი ქონება ყადაღადადებული, ვინაიდან, ყადაღადადებული ნივთის სპეციალისტის მეშვეობით რეალიზაცია დაუშვებელია.¹⁶

მნიშვნელოვანია, რომ უძრავ ნივთზე აუქციონის გამოცხადებიდან ან სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებიდან მესაკუთრე კარგავს უფლებას, დაიტოვოს ნივთის ნაყოფი.

ხელშეკრულების საფუძველზე აუქციონის ჩატარების შესახებ განცხადება სპეციალისტთან შეაქვს კრედიტორს (კრედიტორებს). განცხადებაში უნდა აღინიშნოს იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი, მესაკუთრე, მოვალე, მოთხოვნა და ხელშეკრულება.¹⁷

აუქციონის ჩატარების დროსა და ადგილს ადგენს სპეციალისტი, რის შესახებაც იგი აუქციონის ჩატარებამდე არანაკლებ, 7 დღით ადრე აქვეყნებს განცხადებას, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. სპეციალისტი აუქციონის ჩატარების დროსა და ადგილის შესახებ მხარეებს აცნობებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

თუ პირველი აუქციონის დროს არ მოხდება შესაბამისი შემოთავაზება, სპეციალისტი 10 დღის ვადაში ნიშნავს მეორე აუქციონს. მეორე აუქციონი უნდა გამოცხადდეს იმავე ფორმით, რა ფორმითაც გამოცხადდა პირველი აუქციონი. ამასთან, უნდა მიეთითოს, რომ აუქციონი ტარდება მეორედ. მეორე აუქციონის ჩატარების დროს უძრავი ნივთის საწყისი ფასი უნდა იყოს პირველ აუქციონზე შემოთავაზებული საწყისი ფასის ნახევარი ან კრედიტორის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში – უფრო მცირე თანხა. თუ მეორე აუქციონზე იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი ვერ გაიყიდა, კრედიტორისა და მოვალის (უძრავი ნივთის მესაკუთრის) შეთანხმებით შესაძლებელია მოთხოვნა დაკმაყოფილდეს კრედიტორისათვის უძრავი ნივთის საკუთრებაში გადაცემით. ამ შემთხვევაში, ხარჯების დაფარვა დაეკისრება კრედიტორს. თუ აღნიშნულთან დაკავშირებით შეთანხმება არ მოხდა, სპეციალისტი ატარებს მესამე აუქციონს ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ ვადაში. მესამე აუქციონზე უძრავი ნივთის გაყიდვის წესს განსაზღვრავს სპეციალისტი. მესამე აუქციონი ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ უძრავი ნივთი გაიყიდოს.

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ თუ სპეციალისტი ვერ ასრულებს აუქციონის ჩატარებასთან დაკავშირებით მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს, იგი წარმოშობილი ზიანისათვის პასუხს აგებს მონაწილეების წინაშე.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც მხარეები ვერ თანხმდებიან აუქციონის ჩატარებაზე ან რეალიზაციის სხვა ფორმაზე. ასეთ დროს სასამართლო კრედიტორის განცხადების საფუძველზე, წყვეტს უძრავი ნივთის აუქციონზე იძულებით გაყიდვის საკითხს. სასამართლოს გადანყვეტილება უძრავი ნივთის აუქციონზე იძულებით გაყიდვის შესახებ აღსრულდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

უძრავ ქონებაზე აღსრულებას ექვემდებარება მიწის ნაკვეთები, შენობა-ნაგებობები და საჯარო რეესტრში შეტანილ უძრავ ქონებაზე საერთო საკუთრების წილი.¹⁸

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს აღსრულების შემდეგ სახეებს: 1. იძულებითი იპოთეკის რეგისტრაცია; 2. იძულებითი აუქციონი; 3. სეკვესტრი (ქონების იძულებითი მართვით).

კრედიტორმა ამ აღსრულების ღონისძიებებიდან უნდა აირჩიოს ერთ-ერთი. მას არ შეუძლია მოითხოვოს, რომ ერთდროულად განხორციელდეს აღსრულების რამდენიმე ღონისძიება. კრედიტორს მისი მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებამდე უფლება აქვს მოითხოვოს იძულებითი აღსრულების ერთი სახის მეორით შეცვლა.¹⁹

იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციის შესახებ სასამართლოს მიერ მიღებული გადანყვეტილების საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელში განისაზღვრება აღსრულების საშუალება და წესი. ასეთ შემთხვევაში, იძულებითი აუქციონის (ქონების რეალიზა-

ციის) სახით, აუქციონის დასანიშნად კრედიტორის განცხადება სავალდებულო არ არის. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციის შესახებ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელში არ არის განსაზღვრული აღსრულების საშუალება და წესი, იძულებითი აუქციონის (ქონების რეალიზაციის) სახით, აუქციონის დასანიშნად კრედიტორის განცხადება სავალდებულოა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს სააღსრულებო ფურცელთან დაკავშირებით თავისი პოზიცია გააჩნია, კერძოდ, აღსრულების ზოგადი პრინციპია, რომ აღსრულება ხორციელდება სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე და მის ფარგლებში. ეს ნიშნავს, რომ სააღსრულებო ფურცლით დადგენილი აღსრულების საშუალება და წესი არის ზუსტად ის ქმედება და მექანიზმი, რომლითაც უნდა აღსრულდეს სააღსრულებო ფურცელი.²⁰

აღმასრულებელს შეუძლია გამოსცეს განკარგულება იძულებითი აუქციონის დანიშვნის შესახებ, თუ მოვალე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია უძრავი ქონების მესაკუთრედ. ამ შემთხვევაში, იძულებითი აუქციონი ტარდება ქონების შეფასებიდან ერთი თვის ვადაში.

იძულებითი აუქციონის ჩატარების დროსა და ადგილს ადგენს აღმასრულებელი, რის შესახებაც იგი აუქციონის ჩატარებამდე არანაკლებ, 7 დღით ადრე აკეთებს სპეციალურ საჯარო განცხადებას. აღმასრულებელი ვალდებულია აუქციონის ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ სპეციალური საჯარო განცხადება განათავსოს აღსრულების ეროვნული ბიუროს ვებგვერდზე და შესაბამისი სააღსრულებო ბიუროს საინფორმაციო დაფაზე.²¹

აუქციონის ჩატარების შესახებ მხარეებს (შესაბამისი საგადასახადო ორგანოს გარდა) პერსონალურად არ ეცნობებათ. მათი ინფორმირება ხორციელდება აღმასრულებლის მიერ აღსრულების ეროვნული ბიუროს ვებგვერდზე და შესაბამისი სააღსრულებო ბიუროს საინფორმაციო დაფაზე აუქციონის ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ სპეციალური საჯარო განცხადების განთავსებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა (მათ შორის, კრედიტორმა და მოვალემ) აუქციონის დაწყებამდე შესაბამისი სააღსრულებო ბიუროს ანგარიშზე უნდა შეიტანოს სარეალიზაციო ქონების გამოცხადებული საწყისი ფასის ერთი მეათედის ოდენობის თანხა, კონკრეტული აუქციონის მითითებით ან უნდა წარმოადგინოს ამავე ოდენობის საბანკო გარანტია. საბანკო გარანტიის მიმღებია შესაბამისი სააღსრულებო ბიურო, წარმოდგენილი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა უნდა შეადგენდეს აუქციონის ჩატარების დღიდან არანაკლებ, 20 კალენდარულ დღეს. საჯარო აუქციონის მონაწილეებს (გარდა ქონების შემძენისა) აუქციონის დასრულებიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა უბრუნდებათ გარანტიის სახით სააღსრულებო ბიუროს ანგარიშზე შეტანილი თანხა ან მათ მიერ აუქციონზე წარმოდგენილი საბანკო გარანტია.

აუქციონს ატარებს აღმასრულებელი, რომელიც ახორციელებს შემდეგ მოქმედებებს: ა) პირველი აუქციონის შესახებ აცნობებს გარდამავალი უფლებებისა და აღსრულების განმახორციელებელი კრედიტორის მოთხოვნის შემდეგ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მოთხოვნების მფლობელ პირებს, მათ შორის, შესაბამის საგადასახადო ორგანოს სარეალიზაციო ნივთზე საგადასახადო გირანვობის/იპოთეკის არსებობისას; ბ) აუქციონს გახსნილად აცხადებს; გ) აცხადებს საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უფლებებიდან რომელი სარგებლობს უპირატესი უფლებით იმ კრედიტორის მოთხოვნასთან შედარებით, რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება აღსრულება (გარდამავალი უფლება); დ) აცხადებს, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უპირატესი უფლებები იმ კრედიტორის მოთხოვნასთან შედარებით, რომლის

სასარგებლოდაც ხორციელდება აღსრულება (მათ შორის, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება, ასეთის არსებობისას), ძალაში რჩება; ე) აცხადებს, თუ რა ღირებულება აქვს გარდამავალ უფლებებს (საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის და კრედიტორის მოთხოვნასთან შედარებით სხვა უპირატეს უფლებებს, ან უფლებებს, რომლებიც გადაყვება ნივთს აუქციონის წესით მისი რეალიზაციის შემდეგ); ვ) აცხადებს ქონების საწყის ფასს; ზ) მონაწილეებს განუმარტავს აუქციონის ჩატარების წესსა და პირობებს; თ) ადგენს აუქციონის ჩატარების ოქმს.²²

აუქციონი გრძელდება ფასის ყველაზე მაღალი შემოთავაზების დაფიქსირებამდე. აღმასრულებელმა უნდა გამოაცხადოს ფასის საბოლოო შემოთავაზება და აუქციონის დასასრული. პირველ აუქციონზე შემოთავაზებული ფასი არ უნდა იყოს ნივთის საწყის ფასზე ნაკლები.

აუქციონზე ფასის საბოლოო შემოთავაზება უნდა გამოცხადდეს სამჯერ და ხმამაღლა.

აუქციონში გამარჯვებულმა (ქონების შემძენმა) შესყიდვის ფასი სრულად უნდა შეიტანოს სააღსრულებო ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე, აუქციონის ჩატარებიდან ერთი კვირის ვადაში.

შესაძლებელია, რომ პირველ აუქციონზე არ მოხდა ნივთის რეალიზაცია. ასეთ შემთხვევაში განმეორებითი აუქციონის ჩატარებამდე პირს შეუძლია, შეიძინოს ეს ნივთი პირველ აუქციონზე გამოცხადებულ საწყის ფასად. ამ შემთხვევაში, ნივთის შემძენი მიმართავს შესაბამის სააღსრულებო ბიუროს განცხადებით, რომელსაც უნდა ერთვოდეს სააღსრულებო ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე ნივთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რის შემდეგაც მას გადაეცემა ამ ნივთზე საკუთრების უფლების მიღების თაობაზე აღმასრულებლის შესაბამისი განკარგულება, რომელიც უნდა შეიცავდეს შეძენილი ნივთის დასახელებას და ადგილმდებარეობას, ნივთის შემძენის რეკვიზიტებს და გადახდილ ფასს.

არის შეთხვევები, როდესაც, პირველ აუქციონზე ან განმეორებითი აუქციონის ჩატარებამდე პირის მიერ არ მოხდა ნივთის შეძენა პირველ აუქციონზე გამოცხადებულ საწყის ფასად. ასეთ შემთხვევაში, აღმასრულებელი პირველი აუქციონის დასრულებიდან 15 დღის ვადაში ატარებს განმეორებით აუქციონს. განმეორებითი აუქციონი ცხადდება იმავე ფორმით, რა ფორმითაც გამოცხადდა პირველი აუქციონი და მიეთითება, რომ აუქციონი ტარდება განმეორებით. განმეორებით აუქციონზე ნივთის საწყისი ფასი შეადგენს პირველ აუქციონზე საწყისი ფასის ნახევარს. თუ კრედიტორის (კრედიტორების) მოთხოვნა და საფასური ამ ოდენობაზე ნაკლებია, მაშინ განმეორებით აუქციონზე ნივთის საწყისი ფასი განისაზღვრება მოთხოვნისა და საფასურის ჯამური ოდენობით. განმეორებით აუქციონზე შემოთავაზებული ფასი არ უნდა იყოს ნივთის ამ პუნქტით დადგენილ საწყის ფასზე ნაკლები.²³

აღმასრულებელი აუცილებლად აფრთხილებს აუქციონში მონაწილე პირებს, რომ ეს ქონება დატვირთულია გარდამავალი იპოთეკით, ანუ არსებობს რამდენიმე კრედიტორი. ქონების შეძენის შემთხვევაში, ახალ მესაკუთრეზე გადადის ეს გარდამავალი უფლებები. მან უნდა გაისტუმროს შემდგომი რიგის კრედიტორები. ასევე, აღმასრულებელთან შეუძლიათ დააზუსტონ, თუ რა რაოდენობის თანხის გადახდა მოუწევთ კრედიტორების სასარგებლოდ.

რაც შეეხება იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის ნაყოფს, უძრავ ნივთზე აუქციონის გამოცხადებიდან ან სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებიდან მესაკუთრე კარგავს უფლებას, დაიტოვოს ნივთის ნაყოფი.²⁴

როგორც იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნულ ბიუროში განმარტავენ, 2009 წლის იანვრიდან ჩდღემდე, თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლების მიერ დაახლოებით 600 უძრავ ქონებაზე ჩატარდა 1000-მდე პირველი და განმეორებითი იძულებითი აუქციონი. აქედან, 400-მდე უძრავი ქონება გაიყიდა.²⁵

აუქციონზე შექნილ ქონებაზე საკუთრების უფლების შექენისათვის აუცილებელია, შესაბამისი განკარგულებით განსაზღვრული საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „თ“ პუნქტის თანახმად, რეგისტრაცია არის ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე ამ კანონით განსაზღვრული უფლების, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების წარმოშობის, მათში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების, მინის მიზნობრივი დანიშნულებისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის შეცვლის, ტყის ფონდის საზღვრის დადგენისა და მასში ცვლილების, გეოგრაფიული ობიექტების, მათი კომპლექსებისა და ნაწილების ნუმერაციისა და მათ შესახებ მონაცემების, ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემების, მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული სავალდებულო სარეგისტრაციო მონაცემების, მათში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების პარტნიორთა წილებზე საკუთრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული ვალდებულებების წარმოშობის, მათში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის შესახებ მონაცემთა აღრიცხვა შესაბამის რეესტრში, რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებით. იმისათვის, რომ უძრავ ნივთზე დარეგისტრირდეს კანონით განსაზღვრული უფლება აუცილებელია, მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ. რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება გამოიცემა წერილობითი ფორმით და იგი შეიცავს კანონით დადგენილ მონაცემებს.

უძრავ ნივთზე კანონით განსაზღვრული უფლება წარმოშობილად ითვლება რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების გამოცემის მომენტიდან. რეგისტრაციის საკითხებზე გადაწყვეტილება მიიღება სარეგისტრაციო წარმოების შედეგად. სარეგისტრაციო წარმოება იწყება დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, რომელიც „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ზ“ პუნქტის თანახმად, განმარტებულია როგორც „ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი ან ადმინისტრაციული ორგანო, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს სააგენტოს გადაწყვეტილება ან ქმედება“, ამავე კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო სამსახური განიხილავს განცხადებას სარეგისტრაციო დოკუმენტთან ერთად, რომელიც ზემოთ აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის „კ“ პუნქტის თანახმად, განმარტებულია როგორც „სამართლებრივი აქტი, რომელიც უშუალოდ წარმოშობს ამ კანონით განსაზღვრული რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას.“

„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ განეული მომსახურების საფასურის განაკვეთები, საფასურის გადახდევინების წესი და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №509 დადგენილების პირველი მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, „დაინტერესებული პირი ვალდებულია გადაიხადოს ამ დანართით განსაზღვრული საფასური“.

დაინტერესებული პირის მიერ კონკრეტული სარეგისტრაციო განცხადების გარდა, კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში გახდება შესაძ-

ლებელი სარეგისტრაციო სამსახურმა განიხილოს განცხადება და გამოიკვლიოს ის გარემოება, წარმოდგენილი დოკუმენტაცია განაპირობებს თუ არა უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციას. შესაბამისად, შესაძლებელია თუ არა ამავე დოკუმენტაციის (დოკუმენტის) საფუძველზე განხორციელდეს მოთხოვნილი რეგისტრაცია, გადანყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი დოკუმენტის/ინფორმაციის წარმოდგენის აუცილებლობის შემთხვევაში კი, დაინტერესებულ პირს დამატებით განუსაზღვროს წარმოსადგენი დოკუმენტის (დოკუმენტაციის) ჩამონათვალი და ვადა ამავე დოკუმენტაციის წარმოდგენისათვის, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კი, რეგისტრაციასთან დაკავშირებით მიიღოს კანონმდებლობის შესაბამისი გადანყვეტილება.

რეგისტრაციის შესახებ გადანყვეტილება ძალაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებისთანავე. გადანყვეტილების გამოქვეყნებად ასევე, ჩათვლება რეგისტრაციის შესახებ გადანყვეტილების მარეგისტრირებელი ორგანოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.napr.gov.ge) გამოქვეყნება.

საკუთრების გადასვლის შედეგად უქმდება ყველა ის იპოთეკა და სანივთო უფლება, რომლითაც დატვირთული იყო უძრავი ნივთი და რომლებიც რეგისტრირებულია იძულებითი აღსრულების განმახორციელებელი კრედიტორის იპოთეკის შემდეგ. ადრე რეგისტრირებული უფლებები ნივთზე უცვლელი რჩება.

იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის ახალ მესაკუთრეზე გადასვლის მომენტიდან ძველი მესაკუთრე კარგავს ყოველგვარ უფლებას ამ ნივთზე.

აუქციონზე გაყიდული უძრავი ნივთის ახალი მესაკუთრე იკავებს ძველი მესაკუთრის ადგილს და ხდება საკუთრების გადასვლის მომენტისათვის ამ ნივთთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე.

თუ იძულებით აღსრულებას ახორციელებს არაუზრუნველყოფილი კრედიტორი, საკუთრების გადასვლის მიუხედავად, ნივთზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უფლებები უცვლელი რჩება. თუ იძულებით აღსრულებას ახორციელებს იპოთეკარი, საკუთრების გადასვლის შედეგად უქმდება ყველა ის იპოთეკა და სანივთო უფლება (გარდა საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლებისა), რომლებიც ნივთზე რეგისტრირებულია იძულებითი აღსრულების განმახორციელებელი კრედიტორის იპოთეკის შემდეგ. თუ იძულებითი აღსრულების განმახორციელებელი იპოთეკარია საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, სადაზღვევო ორგანიზაცია, საერთაშორისო ან „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული განვითარებული ქვეყნების საფინანსო ინსტიტუტი, საკუთრების გადასვლის შედეგად უქმდება ნივთზე ასეთი კრედიტორის იპოთეკის შემდეგ რეგისტრირებული საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლებაც, თუ ვალდებულება, რომლის გამოც განხორციელდა იძულებითი აღსრულება, წარმოშობილია საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების რეგისტრაციამდე. ნივთზე ადრე რეგისტრირებული უფლებები (მათ შორის, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება) ყველა შემთხვევაში უცვლელი რჩება.

ჩვენ განვიხილეთ იპოთეკის, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების იურიდიული ბუნება, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაცია და მასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები და ემსახურება მკითხველისათვის იპოთეკის არსის გაცნობასა და მარტივად აღქმას. ამასთან, ვიმედოვნებთ, რომ ის საკანონმდებლო ხარვეზები (საგადასახადო გირავნობა/იპოთეკასთან მიმართებაში), რაც მითითებული გვაქვს, მომავალში აღმოიფხვრება.

შენიშვნები:

- ¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 289-ე მუხლის პირველი პუნქტი.
- ² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 290-ე მუხლი.
- ³ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საჯარო რეესტრის შესახებ“, მე-14 მუხლის მე-18 პუნქტი.
- ⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება, საქმე №ას-1283-1538-09, გვ. 8.
- ⁵ იქვე.
- ⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება. საქმე №ას-1283-1538-09, გვ. 9.
- ⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 300-ე მუხლის მე-3 პუნქტი.
- ⁸ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 85-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.
- ⁹ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 85-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
- ¹⁰ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 85-ე მუხლის მე-3² პუნქტი.
- ¹¹ საქართველოს კანონი „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“, 82²-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
- ¹² <http://www.kvirispalitra.ge/economic/380-udzravi-qoneba-auqcionze-iyideba.html>
- ¹⁴ ბესარიონ ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, გვ. 348.
- ¹⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 301-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.
- ¹⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 302-ე მუხლის მე-7 პუნქტი.
- ¹⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 306-ე მუხლი.
- ¹⁸ საქართველოს კანონი „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“, 31-ე მუხლი.
- ¹⁹ საქართველოს კანონი „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“, 63-ე მუხლი.
- ²⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2009 წლის 28 ივლისის №ბს-1537-1494(კ-08) განჩინება.
- ²¹ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის №141 ბრძანებით დამტკიცებული „იძულებითი აუქციონის ფორმები და წესი“, 1-ლი მუხლი.
- ²² საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის №141 ბრძანებით დამტკიცებული „იძულებითი აუქციონის ფორმები და წესი“, მე-2 მუხლი, მე-2 პუნქტი.
- ²³ საქართველოს კანონი „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“, 76¹-ე მუხლი.
- ²⁴ საქართველოს კანონი „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“, 76¹-ე მუხლის მე-4 პუნქტი.
- ²⁵ <http://www.kvirispalitra.ge/economic/380-udzeavi-qoneba-auqcionze-iyideba.html>

MORTGAGE – MEANS OF DEMAND GUARANTEE AND RULE OF MORTGAGED SUBJECT REALIZATION

NINO KIKNADZE

MA Student, Caucasus University School of Law

The issue turned out to be interesting after having to come across the given issue in practice. This topic is very urgent in the contemporary law. The National Bureau of Enforcement under the Ministry of Justice of Georgia holds several compulsory biddings daily and presents the mortgaged real estate for sale. Normally this is the property that was used as a guarantee by a physical or a legal person instead of certain amount of money during the recent years. After creditors fail to fulfill their liabilities the mortgaged real estate becomes the subject of compulsory realization. Therefore it is important to outline the issues related with the realization of the mortgaged immovable property.

პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის წარმოშობის ისტორია საქართველოსა და უცხოურ სახელმწიფოებში

შოთა დეისაძე

სამართლის დოქტორი

პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ფუნქციონირებს და არ არის იდენტური. სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია პრემიერ-მინისტრის არჩევის წესი, მისი კომპეტენცია, უფლებამოსილებები, ურთიერთობა სახელმწიფო ორგანოებთან, ხელისუფლებაში ყოფნის ვადები და ამ ინსტიტუტისადმი დამახასიათებელი ბევრი სხვა ნიშანი, რაც პირველ რიგში, განპირობებულია ქვეყნის ისტორიული განვითარების თავისებურებებით, პოლიტიკური ტრადიციებით, პრემიერ მინისტრისა და ხელისუფლების სხვადასხვა წარმომადგენლების, აგრეთვე, მოწინააღმდეგე პოლიტიკურ და კლასობრივ დაჯგუფებებს შორის ძალთა თანაფარდობით და სხვა ფაქტორებით.

პრემიერ-მინისტრი ფრანგული სიტყვისაგან არის ნაწარმოები, რაც ნიშნავს პირველ, მთავარ მინისტრს – მთავრობის მეთაურს. არაოფიციალურ გარემოში კი, პრემიერებად იწოდებიან მთავრობის მეთაურები, ვისი თანამდებობაც ჟღერს სხვანაირად, მაგალითად, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.¹

უმრავლეს შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის შესახებ ბრიტანელი ისტორიკოსების თხზულებებში გვხვდება, რაც იურიდიული დოკუმენტებითა და სხვადასხვა წყაროებით მტკიცდება. ტერმინის წარმოშობა და პირველად, თუ ვინ შეიძლება დასახელდეს ამ წოდების მატარებლად, დიდი ხანია გახდა კამათის საგანი მეცნიერთა და პოლიტიკოსთა წრეებში. თუმცა, ამ ტერმინის გაჩენა უკავშირდება დედოფალ ანას მმართვე-

ლობის პერიოდს (1702-1714), მას უფრო ფართო მნიშვნელობით ხმარობდნენ მეფე გეორგ II მმართველობის დროს (1727-1760), როცა დაიწყო ამ ტერმინის გამოყენება, როგორც საყვედური „სერ რობერტ უოლპოლის“ მისამართით, რომელმაც თავის ხელში აიღო კაბინეტის მართვა. ამ რანგში, პირველი ფორმალური მოხსენიება პრემიერ-მინისტრისა, დასტურდება მეფის ბრძანებულებით 1905 წელს, რითიც განსაზღვრა პრემიერ-მინისტრის ადგილი ოფიციალურ ცერემონიებზე, უშუალოდ არქივისკოპოს იორკის შემდეგ. მეორედ, პრემიერ-მინისტრი ნახსენები იყო 1917 წელს, ერთ-ერთ კანონში. დაბოლოს, „პრემიერ-მინისტრის“ ინსტიტუტის საბოლოო დამკვიდრების წყაროდ მითითებულია 1937 წელი, როცა მიღებულ იქნა კანონი „ბრიტანეთის გვირგვინოსანი მინისტრების შესახებ“.

XIX საუკუნის პირველ ნახევრიდან, არსებობს ბევრი წერილობითი წყარო, რომ „პირველი მინისტრი“ ან „პრემიერ-მინისტრი“ არ შეესაბამება ბრიტანეთის კონსტიტუციას (იგულისხმება კანონთა ნუსხა, რომელიც აყალიბებს ბრიტანეთის პოლიტიკურ სისტემას). ტერმინი ფაქტიურად ისტორიკოსების ქმნილებებიდან გაჩნდა და არა იურისტებისა და პარლამენტისაგან. სინამდვილეში დოკუმენტები არ ადასტურებენ ასეთი თანამდებობის არსებობას ბრიტანეთში. 1741 წელს, თემთა პალატაში გამოცხადდა, რომ „კონსტიტუციის თანახმად, ინგლისში არ შეიძლება ყოფილიყო ერთპიროვნული მინისტრი ან პირველი მინისტრი. იმავე წელს პარლამენტმა განაცხადა, რომ „ერთპიროვნული ან პირველი მინისტრი – ეს არის თანამდებობა, რომელიც უცხოა ბრიტანეთის კანონისათვის, ეწინააღმდეგება ქვეყნის ჩვეულებებს და არღვევს მოღვაწეობის თავისუფლებას ამა თუ იმ მთავრობაში“. მეორე მხრივ, 1803 წელს, უილიამ პიტი ლორდ მელვილთან საუბარში აღნიშნავდა, რომ „ადამიანი, რომელსაც ხშირად უწოდებენ „პირველ მინისტრს“, აუცილებელია მთავრობის ეფექტიანი მუშაობისათვის და ასეთ ადამიანად უნდა იყოს მინისტრი, რომელიც პასუხისმგებელია ფინანსებზე“. 1806 წელს კი, თემთა პალატამ განაცხადა, რომ „კონსტიტუციისათვის მიუღებელია თვით იდეა პრემიერ-მინისტრის არსებობისა“, 1829 წელს, კვლავ აღინიშნა, რომ „არ არსებობს არაფერი უფრო მავნე და არაკონსტიტუციური, ვიდრე პარლამენტის აქტი ასეთი თანამდებობის არსებობაზე“. 1786 წელს, გამოვიდა ბიტსონის „პოლიტიკური ცნობარი“, სადაც წარმოდგენილია სია პრემიერ-მინისტრებისა და ფავორიტების, დაწყებული ჰენრი VIII მმართველობიდან. 1714 წლიდან ბიტსონმა შეძლო მხოლოდ ერთადერთი „ერთპიროვნული მინისტრის“ პოვნა, ეს იყო სერ რობერტ უოლპოლი. სხვა შემდგომი პერიოდებისათვის, ის იძულებული იყო ეჩვენებინა ორი, სამი ან ოთხი ადამიანი, როგორც ერთობლივი ან თანასწორუფლებიანი მინისტრები, რომლებიც აძლევდნენ რჩევებს მეფეს და შესაბამისად, აკონტროლებდნენ ქვეყნის მართვას.

პრემიერ-მინისტრის ადგილი ოფიციალურ ბრიტანულ ცერემონიალში მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში დადგინდა. 1905 წლის 10 დეკემბერს, მეფე ედუარდ VII გამოსცა სამეფო ბრძანებულება, სადაც ნათქვამი იყო, რომ ვინაიდან პრემიერ მინისტრის საცერემონიალო ადგილი არ იყო სათანადოდ გამოქვეყნებული და დადგენილი, მიზანშეწონილად ჩაითვალა – ეს ადგილი ყოფილიყო გამოქვეყნებული და დადგენილი, რომლის მიხედვითაც სამეფოს ძალაუფლების შესასრულებლად საჭირო გახდა პრემიერ-მინისტრს სამუდამოდ დაეკავებინა ადგილი არქივისკოპოსის შემდეგ. პირველი საპარლამენტო აქტი, სადაც ნახსენებია პრემიერ-მინისტრის თანამდებობა არის 1917 წლის 20 დეკემბერს, მეფის მიერ ხელმოწერილი კანონი „ჩეკერსის მამულის შესახებ“. იგი ეხებოდა მამულს, რომელიც საჩუქრად გადაეცა სერ არტურსა და ლედი ლიმერს, რომ ის შემდგომში გამოყენებული ყოფილიყო, როგორც სახლი გარეუბანში, მომავალი პრემიერ-მინისტრებისთვის.²

დაბოლოს, 1937 წლის 1 ივლისს, მეფემ მოაწერა ხელი კანონს „ბრიტანეთის სამეფოს მინისტრების შესახებ“, სადაც ოფიციალურად აღიარეს პრემიერ-მინისტრის სტატუსი და დაუნიშნეს მას ხელფასი.³ ამის შემდეგ, კანონმდებლობაში გატარდა მკვეთრი ცვლილება, რომლითაც გაიმიჯნა პრემიერ-მინისტრის თანამდებობასა და ხაზინის პირველ ლორდს შორის ფუნქციები. ამით გამოიკვეთა პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის უნიკალური ხასიათი, რომელიც აღიარებდა კაბინეტის არსებობას. თუმცა, მიუხედავად ამ აღიარებისა, პრემიერ-მინისტრის რეზიდენციის შესასვლელ კარზე დარჩა წარწერა – „ხაზინის პირველი ლორდი“.⁴

ვინაიდან ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი თანამდებობაზე დანიშნვისას ფიცს არ დებს, ამ შემთხვევაში, ხელზე ამბორის ცერემონია მონარქის ძალაუფლების გამოვლენის სიმბოლოა – როცა ის ავალებს ერთ-ერთ მინისტრს, შექმნას კაბინეტი. მაშასადამე, არ იყო დამკვიდრებული საზოგადოებაში სწორი აზრი, თითქოს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრები მემკვიდრეობით ცვლიდნენ ერთმანეთს დაწყებული XVII საუკუნის ბოლოდან XVIII საუკუნის დასაწყისამდე. მათი მდგომარეობა და თანამდებობა არ იყო კანონით განსაზღვრული თითქმის XX საუკუნის მეორე ნახევრამდე.⁵ აქედან გამომდინარე კი, პრემიერ-მინისტრების არაოფიციალური მდგომარეობა, რომელიც დიდ ბრიტანეთში 200 წლის განმავლობაში არსებობდა, ჩვენი აზრით, ქრონოლოგიური მიმდინარეობის დროს გასათვალისწინებელია.

ამრიგად, პრემიერ-მინისტრის თანამდებობის არსი განისაზღვრება არა კოდიფიცირებული კანონებით, არამედ დაუწერელი და ცვალებადი ჩვეულებებით, რომლებიც ცნობილია როგორც საკონსტიტუციო ჩვეულებები და ვითარდებოდა ბრიტანეთის ისტორიის განმავლობაში, ხანგრძლივი დროის მანძილზე გამოყენების შედეგად.

საფრანგეთში, პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის ჩამოყალიბება უკავშირდება 1958 წელს, როცა კონსტიტუციამ პირველად დაამკვიდრა ტერმინი – „პრემიერ-მინისტრი“, რაც არ შეინიშნებოდა საფრანგეთის კონსტიტუციური ეტაპების სხვა პერიოდებში (1791, 1848, 1875, 1946 წლებში). ამ ცვლილებას გარკვეული იურიდიული საფუძველი გააჩნდა. იმდენად, რამდენადაც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციები კონსტიტუციამ სახელმწიფო მეთაურს გადასცა, რაც დაკავშირებული იყო რეფორმასთან, რომლის საძირკველი ჩაუყარა შარლ დე გოლმა (1890-1970), რომელიც იყო გენერალი, საფრანგეთის პოლიტიკური და სამხედრო მეთაური. ასევე, მის სახელთანაა დაკავშირებული მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენა საფრანგეთის პოლიტიკურ, თუ სამხედრო ისტორიაში.⁶

XX საუკუნეში ისეთმა გრანდიოზულმა ცვლილებებმა, როგორიცაა: რევოლუციები, მსოფლიო გარდაქმნები, კოლონიური იმპერიების დაშლა – გამოიწვია ბევრი დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოშობა, რაც დადებით მოვლენად აღიქმება მთელს მსოფლიოში. ყველა მათგანი, რომელიც დამოუკიდებელ რესპუბლიკად ჩამოყალიბდა, არ გამხდარა შერეული ტიპის რესპუბლიკა, მაგრამ აღნიშნული ქვეყნების უმრავლესობაში, მაინც შემოღებულ იქნა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა. მთავრობას ყველა სახელმწიფოში ჰყავდა თავმჯდომარე, მაგრამ სხვადასხვა სახელწოდების მატარებელი იყო.⁷

სწორედ ასეთ მათგანს მიეკუთვნება გერმანიის რესპუბლიკა, სადაც მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის სახელწოდება კანცლერია. ამ თანამდებობის წარმოშობა გერმანიაში, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდს უკავშირდება (1949). გერმანიის ძირითადი კანონი პირველ რიგში, ადგენს ფედერალური მთავრობის სამართლებრივ სტატუსს, აწესრიგებს ფედერალური კანცლერის არჩევასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ფედერალური პრეზიდენტის წინადადებით, ფედერალურ კანცლერს კამათის გარეშე ირჩევს ბუნდესტაგი. კონსტიტუციის თანახმად, განუზომლად დიდია გერმანიის სახელმწიფო მართვის მექანიზმში ფედერალური კანცლერის როლი, როგორც ფაქტობრივი სახელმწიფო მეთაურისა. რეალურად, მისგან მოდის მარეგულირებელი აქტების უმრავლესობა, რომელთა ნაწილს იგი გამოსცემს უშუალოდ. ამასთან, მისი გადადგომა ნიშნავს მთავრობის მთელი შემადგენლობის გადადგომას. საომარი მდგომარეობის გამოცხადებისთანავე შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა გადადის ფედერალური კანცლერის ხელში. ყოველივე აღნიშნულის გამო, ფედერალური კანცლერი სახელმწიფოს ფაქტობრივ მეთაურად გვევლინება, ხოლო თავად გერმანიას ხშირად „კანცლერის რესპუბლიკად“ მოიხსენიებენ.⁸ ამრიგად, გერმანიის ფედერალური კანცლერი ძლიერ ფიგურას წარმოადგენს სახელმწიფო მმართველობის სისტემაში, მისთვის მახასიათებელი ნიშან-თვისებებიდან გამომდინარე, რაც დასტურდება მისი საქმიანობის საფუძველზე.

დღეისათვის კი, პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი, ევროპის, აზიის, ჩრდილოეთ ქვეყნების პოლიტიკური სისტემის აუცილებელი ელემენტია. ამავდროულად, თითოეული ქვეყანა თავად განსაზღვრავს, რა როლი უნდა შეასრულოს პრემიერ მინისტრმა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საქართველოში პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის წარმოშობას თავისი რთული და ხანგრძლივი ისტორია აქვს. საბჭოთა საქართველოს სხვადასხვა წლებში მიღებულ კონსტიტუციებში, მინიშნებებიც კი არ არსებობდა ამ ინსტიტუტის შესახებ წარმოშობის შესახებ. საბჭოთა სრულხელისუფლებიანობა, მასში გაერთიანებული საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებით, ვერ თავსდება მთავრობის დანაწილების პრინციპთან, რომლის ერთ-ერთი გამოხატულება, სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის არარსებობაა. ყოველივე ამან, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შექმნილ სახელმწიფოებში, კონსტიტუციური ინსტიტუტების ფორმირების დროს, ხელისუფლების დანაწილებისას, განსაკუთრებული სიმწვავე შეიძინა.

მინისტრთა კაბინეტი ქვეყანაში, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგველი, ანუ მმართველობის ორგანოა, რომელსაც სახელმწიფო და სამართლის მეცნიერებაში თავისი გამოკვეთილი სახელიც გააჩნია – „მთავრობა“. რიგ შემთხვევებში, მთავრობა არ სარგებლობს საკანონმდებლო უფლებამოსილებით და არც კანონის განმარტების უფლებით, მას მხოლოდ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ენიჭება. მთავრობის შექმნის წესი, პრინციპი და მისი კომპეტენციები კი, დგინდება, სახელმწიფოში მოქმედი კონსტიტუციით და მისგან გამომდინარე კანონებით.⁹

საქართველოში, ისტორიულად, პირველი ოფიციალური მთავრობა შეიკრიბა 1918 წელს, როცა რუსეთის 117-წლიანი ბატონობის შემდეგ, მიღწეულ იქნა, საქართველოს დამოუკიდებლობა. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში, შეტანილია მეხუთე თავი, რომელიც ეძღვნება „აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციას“. მასში აღნიშნულია, რომ „უმაღლესი მმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის რესპუბლიკის მთავრობას.“ მომდევნო მუხლებში კი, ლაპარაკია მთავრობის წევრებზე, მთავრობის შექმნის წესზე, მთავრობის კონცეფციაზე და ა.შ. „მთავრობა“ – ეს სახელწოდება საქართველოში 1991 წლის 21 აგვისტომდე დარჩა. ამ დღეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი „საქართველოს მინისტრთა კაბინეტის შემოღებასთან და მასთან დაკავშირებით, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“.¹⁰

ამ შემთხვევაში, კონსტიტუციაში ცვლილებებსა და დამატებებს საფუძვლად უდევს კანონის პირველივე მუხლში ჩანერილი დებულება, რომ „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ნაცვლად, შემოღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის, მინისტრთა კაბინეტი, როგორც საქართველოს რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო“.¹¹ ამ ფაქტით საქართველოს ისტორიაში პირველად დაფიქსირდა, პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის არსებობა. კონსტიტუციის 123-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი შედგება საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ მინისტრის, მისი მოადგილეებისა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრებისაგან. პრემიერ-მინისტრს პრეზიდენტი წარუდგენდა უზენაეს საბჭოს დასამტკიცებლად. პრეზიდენტის მოვალეობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, მას ცვლიდა პრემიერ-მინისტრი. კონსტიტუციაში სრული ფორმით არ იყო განსაზღვრული პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილება, რაც კონსტიტუციის ერთგვარ ხარვეზს წარმოადგენდა, მაგრამ ამ შემთხვევაში, საქართველოს სახელმწიფოსათვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა უფლებამოსილებათა ვრცელ ნუსხას, მთავარი იყო, რომ დადგა ის დრო, როდესაც საქართველოს ხელისუფლება იმოქმედებდა დამოუკიდებლად, საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმართვისას სხვა სახელმწიფოს ჩარევის გარეშე. თუმცა, 1992 წლის განვითარებული მოვლენებით, საქართველოში თავი იჩინა პოლიტიკურმა დაპირისპირებამ, სახელმწიფოში გაუქმდა პრემიერ მინისტრის თანამდებობა, რასაც დაერთო მსოფლიოში განვითარებული პროცესებიც და საქართველო სამოქალაქო ომის ალში გაეხვია.

ამრიგად, პრემიერ-მინისტრის წარმოშობის ისტორია ხასიათდება სახელმწიფოს მმართველობის ფორმათა მრავალფეროვნებით. ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ სახელმწიფოების ცვალებადობაზე აისახებოდა ამ ინსტიტუტებზედაც და ის სხვადასხვაგვარია. აღნიშნული ინსტიტუტის ჩამოყალიბებაში, როგორც ისტორიიდან ჩანს, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამა თუ იმ ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობამ, ეროვნულ-განმანათავისუფლებელმა ბრძოლამ და ისტორიულმა ტრადიციებმა, რაც დამტკიცდა კიდევ საქართველოს მაგალითით.

შენიშვნები:

- ¹ <http://www.vokrugsveta.ru/encyclopedia/>
- ² <http://detarule.narod.ru/prime-minister.html>
- ³ Handbook of British Chronology, 3 rd edition, 1986, p. 112-116.
- ⁴ The office of Prime Minister. London, Oxford Univ. Pr. 1975, p. 15.
- ⁵ Dermot Englefield, Janet Seaton, Isobel White, Facts about the British Prime ministers, H.M. Wilson, Co, New York, 1995, p. 86.
- ⁶ კვერენჩხილაძე გ., მელქაძე ო., საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა, თბილისი, 1997, გვ. 7.
- ⁷ ბეჭიტაშვილი ო., მელქაძე ო., იტალიის სახელმწიფო სისტემა, თბილისი, 1997, გვ. 9.
- ⁸ მელქაძე ო., რამიშვილი ნ., გერმანიის კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 1999 გვ. 112.
- ⁹ ერემოვი გ., საქართველოს მთავრობა, ჟურ. „სამართალი“, თბილისი, 1995, №3 4, გვ. 13.
- ¹⁰ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991, 28 აგვისტო, №37, გვ. 3.
- ¹¹ იქვე, გვ. 4.

HISTORY OF THE ORIGINS OF THE PRIME-MINISTER INSTITUTION IN GEORGIA AND OTHER STATES


SHOTA DEISADZE

Doctor of Law

The Prime-Minister institution has been functioning in many countries worldwide., but it is not identical everywhere. The rule, competence, authorities, relationship with the state bodies, serving terms and many other characteristics of this institution are different in separate states. These differences are first of all the results of the specifications of the historical developments, political traditions, the power balance between the Prime-Minister, various representatives of the authorities, opposing political and other groups and other factors.

The history of the origins of the Prime-Minister institution in the majority of cases are presented in the works of the British historians that are further confirmed by legal documents and other sources. The origin of the term “Prime-Minister” and the dispute over the issue who can be named as the first person bearing this status has been the subject of dispute among the scientists and politicians for ages. However, the first mention of the given term is related with the ruling of Queen Anna (1702-1714). It was widely used during the reign of the king George II (1727-1760), when they started to use this term as the complaint towards “Sir Robert Walpole” who took the responsibility to manage the cabinet. But in the final end, the official source of the introduction of this institution is defined in 1937, when they adopted the law on the royal ministers of Britain.

In the XX century, the tremendous changes such as: revolutions, world transformations, destruction of colonial empires resulted in the emergence of many independent states and it is recognized as a positive event all over



the world. None of the newly developed independent republics have turned into mixed type of republics, but the majority of the given states have introduced the position of the Prime-Minister. All the governments have chairmen, but the difference may be in their titles.

The institution of the Prime-Minister in Georgia has a long and challenging history. The constitutions of the soviet Georgia did not even include any indications of this institution. The soviet authority incorporating the legal and law-enforcement authorities did not comply with the principles of government division, that is reflected in the absence of prime-minister in the system of state agencies. Nevertheless, the institution of the Prime-Minister is very stable in modern Georgia and plays a positive role in the proper and effective functioning of the State.

Nowadays, the institution of the Prime-Minister is the vital element of the political systems in Europe, Asia and Northern countries. Besides, each state defines the role of the prime-minister individually.

საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA
ტელ-ფაქსი/Tel-Fax: (+995 32) 292 34 90

საქართველოს უზენაესი სასამართლო
THE SUPREME COURT OF GEORGIA
ტელ-ფაქსი/Tel-Fax: (+995 32) 299 70 01



917715121259002